114
1954 /4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

114/4
4

7

ივლისი

1954

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეთერთმეტე

6805

საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

7

★

ი ვ ლ ი ს ი

19 54

სახელგამი
თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

★

ეროვნული ბიბლიოთეკა

	გვ.
საქართველოს მწერლების მორიგი ამოცანები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ვ. პ. მეავანაძის** სიტყვიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობაზე	3
მხატვრული ლიტერატურა	
ალეკო შენგელია — ქართული სიმღერა. ლექსები	11
ბორის ჩხეიძე — მშვენიერ გაზაფხულზე. მოთხრობა	16
აკაკი ბელიაშვილი — უღელტეხილი. რომანი. გაგრძელება	66
ა. ჩეხოვი — ორი მოთხრობა. თარგმანი ირ. ევდოშვილისა	100
აბაი — ლექსები. თარგმანი ს. შანშიაშვილისა	105
ლიტერატურული კრიტიკა	
დემნა შენგელაია — ანტონ ჩეხოვი. წერილი	108
მაგალი თოდუა — დიდი ყაზახი პოეტი აბაი. წერილი	119
ა. თავაძე — ესთეტიკურისა და ეთიკურის ერთიანობის საკითხისათვის. წერილი	126
ტ. კვანტილაშვილი — ისტორიული თემა სოციალისტურ რეალიზმში. წერილი	141
პეტრე ბახტურიძე — მარიამ ბარათაშვილის „მარინე". წერილი	146
ბიბლიოგრაფია	
გრ. ჩიქოვანი—საბავშვო ლექსების კარგი კრებული	151
ს. არველაძე — ანდრია სინაურის ლექსები	152
ა. სიგუა — უზბეკი მწერლის მოთხრობები	154
ნ. გურაბანიძე — ვალერიან გუნიას ნაწერები	155
ვ. გოგოლაძე — მონოგრაფია პეტრე ბაგრატიონზე	157
ა. მირიანაშვილი — საინტერესო ლექსების კრებული	159

რედაქტორი

ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **დიმიტრი ბენაშვილი**, **ნიკო კეცხოველი**, **სანდრო შანშიაშვილი**, **ოთარ ჩხეიძე**, **სერგი ჭილაია**.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VIII-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. УЕ 05172
შეკვ. № 994. ტირაჟი 5.300.

პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი 3-23-42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერლების მორიგი ამოცანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის სიტყვიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობაზე

★

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ — საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობის დელეგატებს. (ტაში).

ნება მიბოძეთ აგრეთვე მივესალმო მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს მწერლების ყრილობის მუშაობაში. (ტაში).

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობა მიმდინარეობს მთელი საბჭოთა ხალხის განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, საბჭოთა ხალხისა, რომელიც თავდადებით ახორციელებს ჩვენი პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი განვითარების, ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მკვეთრი ამაღლების გრანდიოზული პროგრამის განხორციელება.

დიდია საბჭოთა ლიტერატურის, საბჭოთა ხელოვნების როლი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვისა და ხელმძღვანელობის მეოხებით საბჭოთა ლიტერატურამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური ლიტერატურის მოწინავე ოსტატებმა შექმნეს მრავალი მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოები, რომლებშიც ასახულია საბჭოთა ადამიანების საბრძოლო გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში, მუშათა კლასისა და ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის შრომითი ენთუზიაზმი, პატრიოტიზმი და მორალურ - პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა ხალხისა, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია კომუნისტური პარტიის გარშემო.

ეს ნაწარმოებნი დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ბევრი მათგანი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მკითხველთა ფართო წრეებში, აგრეთვე კაპიტალისტური სამყაროს მილიონობით უბრალო ადამიანებში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი დიდი ვ. ი. ლენინი და მისი უკვდავი საქმის განმგრძობი დიდი ი. ბ. სტალინი ყოველთვის განსაკუთრებით ზრუნავდნენ

საბჭოთა ლიტერატურისათვის, უდიდეს სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხატვრულ ლიტერატურას.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის პარტიის დაუცხრომელი ხრუნვის ახალი გამოვლინებაა ის ყურადღება, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს დაეთმო პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში მკაფიოდ, ნათლად და კონკრეტულად განსაზღვრა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანები, აღნიშნა, თუ რა ადგილი უკავიათ საბჭოთა მწერლებს კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

საქართველოს მწერლები მთელი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენენ. ქართული ლიტერატურა ვითარდება კლასიკური და საბჭოთა რუსული ლიტერატურის ცხოველმყოფელი ზემოქმედებით, მოძმე სოციალისტური ერების ლიტერატურასთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობისა და თანამეგობრობის პირობებში, ქართველ საბჭოთა მწერლებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი დიდი სამშობლოს სულიერ ფასეულობათა საგანძურში.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა ვითარდება მრავალსაუკუნოვანი პროგრესული ქართული კლასიკური ლიტერატურის სახელოვანი რეალისტური, დემოკრატიული და პატრიოტული ტრადიციების ნაყოფიერ ნიადაგზე, ქართული კლასიკური ლიტერატურისა, რომელმაც მსოფლიოს მისცა გენიალური რუსთაველი და ისეთი გამოჩენილი პროგრესული მოაზროვნეები და მხატვრები, როგორიც იყვნენ დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა ფშაველა.

საქართველოს საბჭოთა მწერლებმა ლიტერატურული შემოქმედების ყველა ჟანრში შექმნეს ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებმაც არა მარტო საბჭოთა მკითხველების, არამედ აგრეთვე უცხო ქვეყნებია მკითხველთა დამსახურებული აღიარება და მოწონება მოიხვეჭეს. ქართული საბჭოთა პოეზიის წამყვანი ოსტატების გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი. გრიშაშვილის, ა. მაშაშვილის, ა. აბაშელის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, კ. კალაძის, ი. ნონეშვილის საუკეთესო ქმნილებანი ფართო პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე ყველა მოძმე რესპუბლიკაში, მათ თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მთელი საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

იგივე უნდა ითქვას ცნობილი ქართველი პროზაიკოსების ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, ა. ჭეიშვილის, ა. ბელიაშვილის საუკეთესო რომანებისა და მოთხრობების შესახებ.

თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოს თეატრებში მუდმივი წარმატებით იდგმება ცნობილი ქართველი დრამატურგის შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, რომელიც ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის გმირული ისტორიის თემაზე. ეს პიესა ასეთივე წარმატებით იდგმება მოსკოვის, ლენინგრადისა და საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების სხვა ქალაქების თეატრებში.

ამ ბოლო დროს საბჭოთა ქვეყნის თეატრების რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მ. ბარათაშვილის კომედია „ჭრიჭინამ“.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის მიღწევებია ი. მოსაშვილის, ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძისა და ჩვენი სხვა დრამატურგების პიესები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ბევრ ნაწარმოებს მიენიჭა სტალინური პრემია.

ყოველივე ეს მოწმობს ქართული საბჭოთა ლიტერატურის დიდ შემოქმედებითს შესაძლებლობებს, სერიოზულ წარმატებებს, რომლებიც მან მოიპოვა მთელ საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად კომუნისტური პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობისა და ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით.

მაგრამ ჩვენს ყურადღებას უნდა იპყრობდეს არა მარტო საყოველთაოდ ცნობილი წარმატებანი და მიღწევები, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოვლინება და გადალახვა, რომლებიც ახასიათებს როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის, ისე ქართული ლიტერატურის ახლანდელ მდგომარეობას.

ამხანაგებო! მწერალთა ეს ყრილობა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. იმისათვის, რომ ეს ყრილობა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყოს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, საჭიროა ჯეროვან სიმაღლეზე ავიყვანოთ ყველა ის იდეურ-შემოქმედებითი საკითხები, რომლებიც აღელვებენ მწერალთა საზოგადოებრიობას. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გზით გამოვავლინოთ ჩვენი ლიტერატურის ნაკლოვანებანი, მწვავედ, პრინციპულად გავაკრიტიკოთ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საქმიანობა, ცალკეული მწერლების მუშაობა, მივაჩვიოთ ისინი მოეკიდონ კრიტიკას შემწყნარებლურად.

თუმცა ახლა ერთგვარი გამოცოცხლებაა მწერალთა შემოქმედებითს მუშაობაში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აი უკვე ათ წელზე მეტია გრძელდება ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის სრულიად შეუწყნარებელი ჩამორჩენა, მაშინ როცა გვყავს ბევრი ნიჭიერი პროზაიკოსი, რომლებსაც სოლიდური შემოქმედებითი გამოცდილება აქვთ.

ჩვენ ვერ დავასახელებთ ქართული მხატვრული პროზის ვერც ერთ დიდ ნაწარმოებს, რომელშიც მართლად იყოს ასახული ქართული საკოლმეურნეო სოფლის სისხლსავსე ცხოვრება. დღემდე ქართულ პროზაში ჩვენ არა გვაქვს დიდი, ნამდვილად მხატვრული ნაწარმოებნი ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის შესახებ, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ, ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის, კომკავშირის ცხოვრების შესახებ, საბჭოთა სკოლის შესახებ, პიონერთა ორგანიზაციის შესახებ და სხვ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი საბჭოთა პროზაიკოსების მიერ დაწერილი ისტორიული რომანების უმრავლესობა მართლად არ აშუქებს ისტორიულ მოვლენებს. ჩვენი მწერლების ყურადღების ცენტრში, რომლებიც ისტორიულ თემებს მიმართავენ, არის არა ხალხი, რომელიც ისტორიის ნამდვილი შემოქმედია, არამედ მეფეები და დიდებულები, საერო და სასულიერო არისტოკრატიის წარმომადგენლები. ხშირად ისინი რომანტიზებული და იდეალიზებული არიან, ხოლო წარსულის იდეალიზაცია, როგორც ცნობილია, ნაციონალიზმის, მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. წარსულის შემეცნება მთლიანად და სავსებით უნდა ემსახურებოდეს აწმყოსა და მომავალს. წარსულის საუკეთესო მაგალითებით უნდა ვზრდიდეთ ჩვენს ახალგაზრდობას.

რა თქმა უნდა, ნათქვამიდან სრულიადაც არ გამოდის, რომ ქართველი პროზაიკოსები გულხელდაკრეფილი სხედან და არაფერს არ აკეთებენ. უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში გამოქვეყნდა ბევრი კარგი მოთხრობა; დაიწერა რამდენიმე რომა-

ნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის საერთო მდგომარეობა სულაც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

არ შეიძლება აგრეთვე არ შევეხოთ ისეთ პრაქტიკას, როცა ჩვენში აქვეყნებენ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ, დაუმუშავებელ ნაწარმოებებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენს ჟურნალი „მნათობი". ამ ჟურნალის რედაქციამ და ჩვენმა საგამომცემლო ორგანიზაციებმა დროა შეიგნონ, რომ საბჭოთა ადამიანების გაზრდილი სულიერი მოთხოვნილება და ესთეტიკური გემოვნება ვერ მიიღებს ყოველგვარ ლიტერატურულ ნედლეულს და ამიტომ ბოლო უნდა მოვუღოთ დაუმთავრებელ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას.

ქართული მხატვრული პროზის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი წამყვანი პროზაიკოსები, როგორც ჩანს, დამშვიდდნენ, კმაყოფილდებიან წარსული სახელით, მიღწეული წარმატებებით და ახლა განცხრომას ეძლევიან.

პირდაპირ უნდა ითქვას, — დაე ეს საწყენი იყოს, მაგრამ ეს სიმართლეა, თუმცა მწარე,—ისინი, ეს მწერლები, მთელი თავისი შემოქმედებითი ძალებითა და შესაძლებლობით აღარ მუშაობენ. ზოგიერთი ჩვენი თვალსაჩინო მწერალი უფრო მეტად ზრუნავს თავის ძველი წიგნების ხელახლა გამოცემაზე, ვიდრე დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნების შესაბამის ახალ ნაწარმოებთა შექმნაზე.

ამხანაგებო, პირდაპირ გეტყვით, რომ ჩვენი პროზაიკოსები საკმაო ყურადღებას არ იჩენენ ჩვენი სინამდვილის შესწავლისადმი, ხოლო ის, რომ ცხოვრებას არ იცნობენ, დამღუპველ გავლენას ახდენს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ დონეზე. ზოგიერთი ნაწარმოების სერიოზული მანკიერება სწორედ იმით აიხსნება, რომ მწერალი სინამდვილეს არ იცნობს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება წარმოსახულია გაღარიბებულად, ხოლო მეორე შემთხვევაში არ ჩანს სიძნელენი და ნაკლოვანებანი, ყველაფერი შელამაზებულია. ერთიც და მეორეც საზიანო და მიუღებელია.

ცხოვრებას უნდა ვხედავდეთ, ამხანაგებო, ცხოვრებას უნდა ვსწავლობდეთ, მაშინ, აქვე ვიტყვი, ნაწარმოებში ცხოვრების კონფლიქტიც გაჩნდება, მისი გამოგონება აღარ დაგვჭირდება.

თქვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამხანაგო მწერლებო, ის არის, რომ შემოქმედებითად გადაწყვიტოთ ინდუსტრიული შრომის თემები, სრულად წარმოსახოთ საბჭოთა მუშა, რომლისთვისაც შრომა ღირსების, სახელისა და გმირობის საქმე გახდა.

მე ვესაუბრე პროპაგანდისტებს, ვკითხე, იყვნენ თუ არა რუსთავში. თურმე არ ყოფილან. ხოლო როგორ შეიძლება გააშუქო საბჭოთა სინამდვილე, დარაზმო ადამიანები უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახორციელებლად, თუ მგზნებარედ, გატაცებით, გასაგებად არ დააჯერებ მათ ამ სინამდვილის ცოცხალი მაგალითებით. როგორ შეიძლება სწერო, თუ ცხოვრებას არ იცნობ? როგორ შეიძლება ასწავლო სოფლის მეურნეობა, თუ ყოველდღიურად თვალს არ ადევნებ ამ მეურნეობის განვითარებას?

ქართველ მწერალთა საზოგადოებრიობის უპირველესი მოვალეობაა აღმოფხვრან მხატვრული პროზის ჩამორჩენა. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა უახლოეს დროში სათავეში ჩაუდგეს პროზაიკოსთა შემოქმედებითს აქტივობას, დაეხმაროს მათ, წარმართოს მათი შემოქმედებითი ენერგია თანამედროვეობის უაღრესად აქტუალური პრობლემების გასაშუქებლად. ამასთან საჭიროა უფრო აქტიურად

დავაწინაუროთ და მხარი დავუჭიროთ ახალგაზრდა პროზაიკოსებს, შევუქმნათ მათ შემოქმედებითი ზრდისა და სრულყოფის ყველა პირობა.

თუმცა ამ უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა დრამატურგიას დაეტყო გამოცოცხლება, მაგრამ ჩვენი თეატრები კვლავ განიცდიან ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე დაწერილი სრულფასოვანი პიესების მწვავე ნაკლებობას. ყბადაღებულმა უკონფლიქტობის თეორიამ, რაც პარტიამ დაგმო, სერიოზული ზიანი მიაყენა ქართულ დრამატურგიასაც.

ამ უკანასკნელ ხანს, პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ უფრო გაბედულად წარმოსახონ მხატვრულ ნაწარმოებებში ცხოვრების კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, ქართველმა დრამატურგებმა დაწერეს მთელი რიგი პიესები, რომლებშიც გამათრახებულია ცალკეული მანკიერი მოვლენები და უარყოფითი ტიპაჟი, რაც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ეს პიესები მოწმობენ იმას, რომ ყველა ჩვენმა დრამატურგმა როდი გაიგო სწორად პარტიის, ხალხის მოთხოვნების არსი. ამის შედეგად მთელ რიგ ახალ ქართულ პიესებში დამახინჯებულია ჩვენი სინამდვილე, მრუდედ არის წარმოსახული საბჭოთა საზოგადოების განვითარების პროცესები.

აქ აიტყვა წარმოთქვა ამხ. გაბესკირიამ. მე მსურს შევეხო მის აქ გამოსვლას და მის პიესას „უფსკრულთან“.

ამხ. გაბესკირია ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში იცავდა იმ აზრს, რომ მწერალს უფლება აქვს წარმოსახოს თავის ნაწარმოებებში სევდა, მწუხარება, ჭმუნვა. ამის დასადასტურებლად მან მოიყვანა მაგალითები ტვარდოვსკის პოემიდან „ვასილ ტიორკინი“ და ა. სურკოვის ლექსიდან „მეომრის ბეგობარი ქალი“. რამდენი სევდიანი სცენაც უნდა იყოს პოემაში „ვასილ ტიორკინი“, ეს ნაწარმოები დიდი ოპტიმისტური სულისკვეთებით გამსჭვალული, იგი ჩვენი დიდი ეროვანი ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებია საბჭოთა ჯარისკაცის შესახებ. მეორე ასეთი პოემა ჯერ არ დაწერილა. ეს პოემა სწორედ ამით არის ძლიერი, რომ განამტკიცებს საბჭოთა ადამიანის საბრძოლო სულისკვეთებას, ეხმარება მას დაძლიოს ყოველგვარი სევდა. მაგრამ უჩვენეთ პიესა „უფსკრულთან“ ომიდან დაბრუნებულ მეომარს, რომელსაც არაერთხელ გაუსწორებია თვალი საკვდილისათვის. თანახმა იქნება თუ არა ეს მეომარი სცენაზე ნახოს თავისი დაღუპული ფრონტელი მეგობრის შვილის საკვდილი, მით უმეტეს, თუ ეს საკვდილი პიესაში გამართლებული არ არის არც იდეურად, არც მხატვრულად, თუ ეს სცენა ავტორს მხოლოდ იმისათვის ესაჭიროება, რომ სევდის გრძნობა აღუძრას მაყურებელს? უნდა გვიჩვენოთ სევდის დაძლევა, სევდის დემონსტრაცია საჭირო არ არის. სევდის ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია როდია. ი. ბ. სტალინი, უპასუხებდა რა ცნობილ მწერალ დემიან ბედნის, 1924 წელს წერდა: „ძალიან კარგია, რომ თქვენ „ხალისიანი განწყობილება“ გქონიათ. „მსოფლიო სევდის“ ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის. დაე ისევდიანონ მიმავლებმა და დრომოჭმულებმა“. (ტაში). გაბესკირიას პიესაში არ არის ხალისიანი განწყობილება. არც მოქმედ პირებს, რომელნიც უსამართლობას აწყდებიან, არც მაყურებელს, თუ მან დაიჯერა პიესის ლოგიკა, არ რჩება რწმენა, რომ სევდა და მწუხარება დაძლეულ იქნება. სურკოვის ლექსის მაგალითიც გაბესკირიას კონცეფციას ეწინააღმდეგება, როდი ადასტურებს ამ კონცეფციას.

მე მგონია, რომ ამხ. გაბესკირია ამ კრიტიკას — პარტიულ კრიტიკას — მიიღებს.

კრიტიკის ამოცანა ის კი არ არის, რომ ვაძაგოთ ადამიანი, წერის ხალისი დავუკარგოთ მწერალს. პირიქით, კრიტიკის ამოცანაა დაეხმაროს მწერალს შეიგნოს თავისი შეცდომა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კულტურის საძინისტრომ და მისმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ, დღემდე ვერ შეძლეს შემოქმედებითი კონტაქტი დაემყარებინათ თეატრებსა და დრამატურგებს შორის, ხოლო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ვერ უზრუნველყო ახალი პიესებისა და საბჭოთა დრამატურგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვალიფიციური შემოქმედებითი განხილვა.

მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ სერიოზულად ჩამორჩება საბავშვო ლიტერატურა, კომუნიზმის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი. მწერლები დიდ ვალში არიან ბავშვების წინაშე. ჩვენ არა გვაქვს მნიშვნელოვანი წიგნები, დაწერილი მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველზე, ცოცხალი, საინტერესო წიგნები, რომლებიც იტაცებს მკითხველს. ასეთ მდგომარეობას ველარ შევურიგდებით. ჩვენს საუკეთესო მწერლებს თავიანთ საპატიო მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბავშვო ლიტერატურის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ამხანაგებო! ხალხთა ურღვევი მეგობრობა ჩვენი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. სანამ ეს მეგობრობა არსებობს, გვასწავლიან ჩვენი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი, ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი მტერი — არც შინაური, არც გარეშე.

აქედან ცხადია, რომ ხალხთა მეგობრობის თემას თვალსაჩინო ადგილი უნდა ეკავოს ჩვენს საბჭოთა ლიტერატურაში. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეა არის ქართული ლიტერატურის შთამაგონებელი თითქმის მისი წარმოშობიდანვე, მაგრამ ეს იდეა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, ეს თემა უფრო ღრმა ასახვას მოელის და ჩვენმა მწერლებმა ღირსეულ სიმაღლეზე უნდა აიყვანონ იგი.

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საიმედო ბურჯია. საბჭოთა ადამიანები, რომელნიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, ასაიცოცხლოდ არიან დაინტერესებული მშვიდობის შენარჩუნებით.

ნაწარმოებნი მშვიდობის, მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზე უნდა იყოს ქმედითი, აქტიური, შეტევითი. მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზეა დაწერილი ქართველი საბჭოთა პოეტების მთელი რიგი კარგი ლექსები, მაგრამ ქართველ მწერლებს ჯერ არ შეუქმნიათ დიდი მხატვრული ნაწარმოებნი ამ თემაზე.

რუსთავის მეტალურგები, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშაკები, აჭარისა და აფხაზეთის მეჩაიეები, ქალაქისა და საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები, რომელნიც თავდადებული შრომით განამტკიცებენ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას, — აი მშვიდობისათვის ბრძოლის თემების მხატვრულ ნაწარმოებთა ნამდვილი გმირები.

რამდენიმე სიტყვა მხატვრული თარგმანის დარგში მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ცნობილია, რომ შესანიშნავმა რუსმა პოეტებმა, მთარგმნელებმა და ლიტერატურის სხვა მოღვაწეებმა უდიდესი დახმარება გაგვიწიეს ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ფართო პოპულარიზაციის საქმეში. ამ

დარგში ჭეშმარიტად დიდია ამხანაგების ტიხონოვის, ზაბოლოცკის, ანტოკოლსკის, პასტერნაკის, მეჟიროვია. გოლცევისა და სხვების დამსახურება. იგივე უნდა ითქვას შესანიშნავ უკრაინელ მწერალ მიკოლა ბაჟანსა და საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხთა ლიტერატურის ბევრ სხვა დიდ ოსტატზე. ამხანაგებო, ნებას მივცემ თავს გულითადი მადლობა გამოვუცხადო ყველა ამ ამხანაგს მათი კეთილშობილური შემოქმედებითი ღვაწლისათვის. განსაკუთრებით მსურს მადლობა გადავუხადო ამხ. ზაბოლოცკის ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის ვაჟა ფშაველას თხზულებათა მშვენიერი თარგმანისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა წამყვანი ქართველი საბჭოთა პოეტი და მწერალი როდი ითვალისწინებს მხატვრული თარგმანის საქმის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას. საკმარისია ითქვას: დღემდე ისიც ვერ მოხერხდა, რომ ქართული პოეზიის საუკეთესო ოსტატებს მიეღოთ მონაწილეობა ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნაში, მაიაკოვსკისა, რომელიც ესოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან.

ამხანაგებო! ლიტერატურის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა საზოგადოების განვითარების მძლავრი ფაქტორია კრიტიკა და თვითკრიტიკა. ლიტერატურული კრიტიკა უნდა იყოს აქტიური, გაბედული, პრინციპული, მკვეთრი, მაღალიდეური და ობიექტური. ლიტერატურულმა კრიტიკამ აქტიური ზემოქმედება უნდა მოახდინოს მთელ ლიტერატურულ პროცესზე, მან აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი და ფართოდ გაუწიოს პროპაგანდა ყოველივე ჯანსაღსა და მოწინავეს ლიტერატურაში, დროზე გამოავლინოს და ულმობლად აღმოფხვრას შეცდომები და ნაკლოვანებანი. ულმობლად — ეს ცემასა და შეურაცხყოფას როდი ნიშნავს, — ეს იმას ნიშნავს, რომ მკაფიოდ, ნათლად, კონკრეტულად ვილაპარაკოთ ამ ნაკლოვანებებზე, ხელი შევუწყოთ მათ აღკვეთას.

სწორი არ არის, როცა კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები ქართული საბჭოთა ლიტერატურის პრობლემებზე მუშაობენ ჩვენი დიადი სამშობლოს მოძმე ხალხთა ლიტერატურებს მოწყვეტით. ჩვენი ლიტერატორები ღრმად უნდა სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურას, სწავლობდნენ დიდი რუსი ხალხის ლიტერატურის მაგალითით.

გაიხსენეთ, რას ამბობდა რუსულ ლიტერატურაზე, მის კეთილნაყოფიერ ზემოქმედებაზე დიდი ქართველი მწერალი და თავისი დროის მოწინავე ადამიანი ილია ჭავჭავაძე. იგი ამბობდა: „არ არის დღეს ჩვენში არც ერთი ბოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხელენეზული ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“. **(ტაში).**

ამხანაგებო! უნდა ითქვას, რომ ქართველი საბჭოთა მწერლების ბეჭდვით ორგანოში — ჟურნალ „მნათობში“ დიდი ხანია აღარ იბეჭდება პრინციპული, მწვავე ლიტერატურულ-კრიტიკული და პოლიტიკური სტატიები. ძალიან იშვიათად ვხვდებით საინტერესო, შინაარსიან ლიტერატურულ და პოლიტიკურ სტატიებს „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზეც.

ლიტერატურის საკითხებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ არც ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ და ჩვენი რესპუბლიკური გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“.

ჩვენში დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არ არის აგრეთვე კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა და მარქსისტულ-ლენინური გაშუქება. საკმარისია ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებს ჯერ არ შეუქმნიათ ნამდვილი მეცნიერული მონოგრაფია რუსთაველის შესახებ, არ დაუმუშავებიათ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და სხვების მსოფლმხედველობის ძირითადი პრობლემები.

ბევრი ჩვენი ლიტერატურათმცოდნე გაურბის საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანესი. აქტუალური საკითხების პრინციპულ განხილას. ზოგიერთი მწერალი არ ცნობს კრიტიკას.

უნდა შევეხო ამხ. შენგელაიას გამოსვლას. რატომ ასე ამხედრდა იგი ამხ. დრუზინის წინააღმდეგ, რომელმაც, მუშაობს რა ლენინგრადში, კეთილსინდისიერად, პარტიულად წაიკითხა ქართველი მწერლების რამდენიმე ნაწარმოები, პარტიულად შეაფასა ისინი და გამოვიდა აქ? დ. შენგელაიას გამოსვლა არსებითად ხომ იმით ამოიწურა, რომ იგი იცავდა „მწერლის უფლებას აკეთოს შეცდომები" და უჩიოდა კრიტიკას, რომელიც თითქოს ართმევდეა მას ამ უფლებას. ეს სრულიად მცდარი თვალსაზრისია.

სამწუხაროდ, ჩვენი კრიტიკა ჯერ არ ამაღლებულა იმ დონემდე, რომ აღკვეთოს მწერალთა შეცდომები, ხელი შეუწყოს ასეთი შეცდომების თავიდან აცილებას. ასეთი კრიტიკა ჯერ არა გვაქვს.

ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხს კაცისმკვლელთა და ჯაშუშთა ბანდამ, რომლებიც ამხილა და უვნებელყო ჩვენმა პარტიამ. ბევრი მოწინავე, პროგრესული მეცნიერი დაღუპა ამ ბანდამ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით არკვევს, თუ როგორ დასწამეს ცილი. დასდეს მსჯავრი, შეურაცხყვეს პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები. არკვევს, რათა თუნდაც სიკვდილის შემდეგ დაუბრუნოს მათ პატიოსანი სახელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ კაცისმკვლელთა ამ საზიზღარი ბანდის ინტრიგებისა და ტერორის მსხვერპლნი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ეს პირნი რეაბილიტირებული არიან. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლები ენერგიულად შეუდგებიან მუშაობას, შექმნიან მაღალიდეურ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც ასახული იქნება ჩვენი შესანიშნავი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა და ცხოვრება. **(ხანგრძლივი ტაში).**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

„სიხარულით გაგიზიარებთ ჩვენს გამოცდილებას და ბედნიერი ვიქნებით თუ შეეძლებთ ამით სარგებლობა მოგიტანოთ ძვირფას მეგობრებსა და ძმებს მზიურ საქართველოდან“.

ტიმონინოელთა წერილი ორთაჭალაში.

★

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲓᲐ

გაზაფხულის ქარშემდგარი
აიწურა მთებზე თოვლი
და ჩანჩქერი ჩქარზე ჩქარი
ჩამოიმსხვრა, როგორც ბროლი.

ბაღებს, ყანებს, ჩაის ბუჩქებს,
გაყუჩებულს ძილში ვაზებს
გაეღვიძათ, გაიფურჩქნენ,
განათდნენ და გალამაზდნენ.

გაგვიშუქდა ქართლის ბაღი,
მზე დაადგა თბილისს-ქალაქს
და ყვავილებს გულზე ახლის
მოზეიმე ორთაჭალა!

ორთაჭალას განა მარტო
გაზაფხულის ზეიმი აქვს, —
აქ სიმღერა დანავარდობს,
ქარს კრწანისში ლხენით მიაქვს.

მანქანების ცეცხლის კრთომა,
ტრაქტორების გრგვინვა მინდვრად,
თავისუფალს უმღერს შრომას,
დიდებად რომ დაგვიმკვიდრდა.

ორთაჭალელ ქართველ ვაჟკაცს,
საამაყო არ აქვს განა!
კრწანისს გასცდა, ლილოს, გასცდა
მისი ბაღი, მისი ყანა.

დღეს ზეიმით ხვდება სტუმრებს,
სამეგობროდ ჩამოსულებს.
მოსკოველი კოლმეურნე,
ქართულ მიწას ოფლს აპკურებს.

ამ ნოყიერ, ძმური ოფლის,
კიდევ უფრო მორთავს ძალა,
ტიმონინოს ქართველ ძმობილს,
ბაღნარების ორთაჭალას.

გაზაფხულის ქარშემდგარი,
მთად გაიჭრა ნისლი ქროლვით.
გამოაღეთ ყველა კარი,
ყვავილების მოდის თოვლი.

— : —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიმოთნინოელი სტუმრები კრწანისში

★

ამ მთებს, ამ სერებს ვადიდებ,
ვლოცავ,
მრავალ ბრძოლებში ნახმლევს,
ნატყვიარს.
გახედეთ ირგვლივ, თვითეულ
ბორცვსაც,
იმ შავბნელ დღეთა სისხლი ატყვია.
კრწანისის ველი, მთა შავნაბადა...
აქ მძინარ გმირებს ახლა ვინ
მოსთვლის,
ვინც სულს ღაფავდა, მაინც კაფავდა,
სამშობლოსათვის, საქართველოსთვის.

მტერს მილეწავდა ერეკლეს ჯარი,
მრავალს უტევდა, იყო მცირედი,
მაგრამ იმედი, ვით მჭრელი ხმალი,
ძალას მატებდა სარდალს იმედი.
თითქოს წამისწამ მშველელს
უცდიდა,
შორს გაჰყურებდა ჩრდილოეთისკენ.
მის დიად სწრაფვას რას დაუმლიდა
ან მტრის სიხშირე, ან მთების
სისქე...
ასრულდა მაინც, რადგან თვით
ხალხმა,
დიდ რუსმა ხალხმა ხმა აიმაღლა,
დახშული მთები დათბა და გალღვა
და მეგობრობის აზვირთდა ტალღა.
ვლოცავ. ვადიდებ როგორც
ქართველი
იმ ათას შვიდას ოთხმოცდა სამ წელს,
როცა დამკვიდრდა ძმობა ნათელი,
სამარადისოდ უკვდავი, გამძლე.
ვადიდებ იმ დღეს... მე ახლაც
მესმის
ჩვენს წინაპართა ბრძნული ღაღადი.
ძმობის სიმაგრედ დგას გიორგევსკი,
ხალხთა იმედის შუქით ნახატი.
კრწანისის ველი. მშვიდობა თქვენდა,
შორით მოსულნო, ძვირფასო ძმებო!
დღეს ბედნიერმა ქართველმა დედამ,
სუფრა გაგიწყოთ აქ საგანგებო.
ჩავძახოთ ერთად დაცემულ გმირებს,
მათ სიტყვა თქვენი წამლად
მოხვდებათ, —
რომ ფრთა შეესხა ქართველთა
იმედს,
კრწანისი რომ არ განმეორდება.
ავწიოთ თასი, სამადლობელი
დავლიოთ ერთად დიდ წინაპართა,
რომ საქართველოს ქალაქ-სოფელი
სიკვდილს წაართვეს სიკვდილის
კართან.
თეთრად აჭრილან ცისკენ სახლები,
თითქოს წინაპრებს მხრებზე გაედოთ:
— შვილიშვილებო, ჩვენი სახელით,
მზის ბრწყინვალეებით გაიხარეთო!
ლურჯად ღელავენ მზეზე სერები,
მთებს სიმღერებში დასთენებიათ.
ქართველის შვილები, ბედნიერები,
კრწანისში რუსებს ესალმებიან.

—.—

ერეკლეს სახე

★

ერეკლეს მოედანს ვეწვიეთ დილით,
თბილისის უკვდავ და უწმინდეს
ნაწილს.
და, თითქოს, ერეკლე, ქართველთა
გმირი,
გაბრწყინდა ბრინჯაოს ქანდაკად
თვალწინ.
ერეკლეს მოედანს ვეწვიეთ დილით,
სარდალი შემოგვხვდა ჩვეული
კრძალვით;
საძმოდ მოსულთ რუსეთის შვილი,
ქარქაშში დამშვიდდა მღელვარე
ხმალი.
შევცქერდით მდუმარედ. ერეკლეს
სახე
ცხადად მეტყველებდა წინაპართ
ფიქრებს.
მე მისი ღიმილიც ნამდვილად
ვნახე, —
სტუმრებში ნაცნობი იხილა იქნებ.

იქნებ წარსულისკენ მიხედა დროჟამს, —
და საქართველოში ქართველთა ბედად,
ვინც ძმურად აღმართა რუსული დროშა,
იმ პირველ მედროშის შვილიშვილს ხედავს!

იქნებ...
უბრწყინავდა დიდ სარდალს თვალი,
და ბუმბერაზის წინ თავს ვხრიდით
რიდით.
შუქს ფენდა ერეკლეს უკვდავი ხმალი,
რუსთან მეგობრობის ნათელი ხიდი.

—.—

პატარა კახი

★

დაგადინეს ბევრჯერ სისხლი,
დიდხანს მზემ არ შემოგხედა,
საქართველოვ, ჩემო ტკბილო,
საყვარელო ჩემო დედავ!

დღეს, რამდენიც გაზაფხულის
სასიცოცხლოდ ფეთქავს ხნული,
მკერდს იმდენი გასვენია
დაცემულთა ცხელი გული.

რამდენია!
შეხეთ მინდვრებს,
ყვავილი არ დაილია,
დაცემულთა თითო გული
მინდვრად თითო ყვავილია!

რამდენია!
ყვავილებზე
დაითვალეთ დილის ცვარი,
ეს დედების უნებური
თითო ცხელი ცრემლი არი!

მაგრამ განა შენი ძალა
მტრის სიხშირით დაითრგუნა?

დაცემულთა ყველა გული
აგიძგერდა ერთ დიდ გულად.

მათი ნატვრა, მათი ფიქრი,
შენი, სარდლის, ფიქრი გახდა,
დაცემულთა ყველა ხმალი,
მის თვალებში ელვად გაკრთა!

ის უკვდავი გული იყო,
მტერზე მკერდით შემართული,
პატარა კახს უწოდებდი,
პატარაა რადგან გული!

ის ხომ შენი გული იყო
და ოცნება დაუმცხრალი,
ატყდებოდა როცა ომი,
მის მარჯვენას ერქვა ხმალი.

საქართველოვ, გაიხარე
საყვარელო ჩემო დედავ,
შენ, ერეკლეს დიდმა ნატვრამ,
რუსეთის მზემ შემოგხედა!

—.—

სტუმრად ტიმოთინოზი ფინჯან ჩაიზე

★

წინაკართან სითბოს ებრძვის ყინვა,
და ნისლივით დგება ყინვის მტვერი,
გარეთ ცივა, ცივი ქარი გმინავს,
სახლში ვარ და სამოვარი მღერის.

ჩუქურთმებით სარკმელს ქარგავს
ისე,
დიდოსტატის ფუნჯით, ყინვა
მკაცრი,

თავს გაწონებს, გინდა ხელი მისცე,
შეცდები და კარს გაუღებ კაცი.

დედაბერი დაფუსფუსებს კარში;
ყინვა მძლავრობს, ჩიტს საკენკი
უნდა.
დათვის ქურქში შეფუთვნილი ბავშვი
თოვლში გორავს — თოვლის დიდი
გუნდა!

საკვამურებს კვამლი შერჩა სახტად,
ბრაზისაგან გაიბერა თითქოს,
ყინვასთან რომ ვეღარაფერს გახდა,
კვლავ ღუმელში ჩაბრუნებას
ფიქრობს.

სარკმელს გავცქერ. მასპინძელი
მიხსნის:
— იმ ფარდულთან ხარებს ვეჭედით
წინათ.

წელს კრამიტით შევუცვალეთ ისლი
და ზამთარში კომბაინებს სძინავთ...

გარეთ ყინავს. შინ ღუმელი მღერის,
ცეცხლს ნებივრად მივუშვირეთ
მკერდი.
ჩაის ვსვამთ და გვათბობს ჩაი
ცხელი,
მასპინძელი ფინჯანს მივსებს:
„ერთიც.
შეგვერგება, ქართულია, ჩვენი“.
თან გამოსწევს ნამცხვრებიან საინს.
სტუმარს იქნებ თავპატიჟი შვენის,
უარს ვეღარ ვეუბნები მაინც.

ცეცხლი მღერის, არღვევს ზამთრის
დუმილს,
საკვამურით ყრის ნაპერწკლებს
მაღლა.
თბილი არის რუსი კაცის გული,
ეს ღუმელი გულს მაგონებს ახლა!

— . —

კოლმეურნე ტარიგინი

★

ღიმილით მითხრეს, მოხუც ტარიგინს
დღემდე გულმაგარს, მკლავმაგარს,
თითქოს
არც დაბადების ახსოვს თარიღი
და არც სიკვდილის თარიღზე
ფიქრობს.

მინდოდა ხილვა. ვეძიე დიდხანს,
ბაღში შეველ და შემომხვდა ხესთან.
გაგიმარჯოსო, უნდობლად მითხრა,
თითქოს მალულად რგავდა და
თესდა.

როცა შემიცნო მოსული სტუმრად,
მიმიპატიჟა, გალაღდა უცებ.
ბაღის ბილიკზე გამიძღვა ჩუმად
და შვილებივით მაცნობდა ბუჩქებს...

მე ისიც მითხრეს, ყინვამ და ქარმა
როგორ გაახმო ბაღში ყოველი,
მაგრამ ვერ სძლია დროთა ზამთარმა,
მებაღის გული დაუცხრომელი.

მოვიდა, მიწას დახედა ნათელს,
ბარი დაჰკრა და ბაღი განახლდა.

მოხუც ტარიგინს რა დაუზამთრებს,
აქ, გაზაფხულთან დაამხანაგდა.

და დავალთ ბაღში. მოხუცი
ცდილობს
გულისნადები გამანდოს სრულად:
— ნუ მუშაობ! მიშლიან, შვილო,
მკლავიც არ მერჩის
ახალგაზრდულად!

მაგრამ მე ჯერაც სიცოცხლეს
ვეტრფი,
და გულს სიბერის ჩრდილს არ
ვაკარებ.
მე დასვენება არ მინდა მეტი,
ვისვენებ, როცა ვზრდი და ვახარებ.

ჩამოეშალა ცას მზის გვირგვინი,
ბუჩქებს ოქროსფერ სიმად გაეპა,
ატეხილ ბაღში დგას ტარიგინი,
როგორც სიმღერა და უკვდავეპა.

მიწას დამთბარი მკერდი უღვივის,
დასცხრა, დაწყნარდა ყინვა და ქარი.
ხოლმოგორული ძროხის ზურგივით,
აჭრელებულა თოვლი აქა-იქ.

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა ტიმონინოში

★

განათდა, ადგა მზე მინდვრებს იქით,
მიწას დაეყრდნო მთელი სიმძიმით,
და მე ვიხილე, ვიგრძენი იგი,
როგორც სამშობლოს ლაღი სიცილი.

გადაიკრიფნენ უცბად ჩრდილები
და ნისლთან ერთად გაუჩინარდნენ,
თვალუწვდენ ველებს
დანამდვილებით
დაესაკუთრა ყველგან სინათლე.

რარიგ უსაზღვრო ყანა აშლილა,
ლურჯად მიღელავს ტალღებაყრილი,
მიმოვიხედავ, შუა ზღვაში ვარ
და შორს ტყე მოჩანს, როგორც
ნაპირი.

ვსუნთქავ ჯეჯილის ნამს და
ოხშივარს,
ყანები ტალღებს მკერდზე მახლიან,
რუსეთში ვარ და სამშობლოში ვარ,
ეს ტიმონინო ჩემი სახლია.

ამღერდა დილის ყველა მგოსანი,
შუქმა დათოვა, შუქმა იწვიმა,
ყანამ ცვარ-ნამის კრიალოსანი
მზეზე ნებივრად აიციმციმა.

შორიშორს ჩანან თეთრად სახლები.
მასპინძლებს ისე ვეხმაურები,
როგორც ნავიდან გადასძახებენ
ზღვაზე ერთმანეთს მეზღვაურები.

და ბრწყინავს დილა. ამ რუსულ
დილას,
რას დავარქმევდი უკეთეს სახელს;
გავხედავ ველებს, მიღიმის
ტკბილად
დიდი ილიჩის ბავშვობის სახე.

ახლა სიმღერა ისე მომშივდა,
გულზე ლექსები შუქად მაყრია...
რუსეთში ვარ და სამშობლოში ვარ,
ეს ტიმონინო ჩემი სახლია.

— · —

მეგობრობის ზეიმი თბილისში

★

ზეცას მტრედები თეთრად მოედვნენ,
სალუტმა შეძრა მაღლა მთაწმინდა,
ელვა შეენთო ქუჩებს, მოედნებს,
ციდან ვარსკვლავთა გუნდი
დაცვივდა.

გაერთიანდნენ ძმური ხელები
ერთი მძლავრი და მტკიცე ხელივით,
და აღიმართა თავაღერებით
დროშა, ლენინის შუქმოფენილი.

მოღელავს ხალხის ტალღა და
ტალღა,
ხალხს, თითქოს, მარტო ერთი გული
აქვს,
დროშები მაღლა, დროშები მაღლა!
ქვეყნად ნამდვილი გაზაფხულია!

მოდის ქართველი, უკრაინელი,
რუსთან ხელიხელ ჩაკიდებული,
წინ მოანათებს რუსი პირველი,
ძმობის სინათლედ დამკვიდრებული.

ამდგარა ხალხი უძლეველ ჯარად,
გულს მეგობრობის სიმღერა მოსავს,
და ამ სიმღერის მიარხევს ძალა
ლენინისა და სტალინის დროშას.

ამდგარა ხალხი. დროშასთან ახლოს
ხმელნიცკიც მოჩანს, ერეკლეც
მოჩანს,
რადგან დღეს გულში სიმღერა
სახლობს.
რადგან დღეს ყველა ტკივილი მორჩა.

ჩვენთან მოდიან, მღერიან ჩვენთან
გურამიშვილი და უკრაინკა.
მათი მღელვარე ლექსების ფეთქვა
სამშობლომ წმიდად გულში ჩაიკრა.

მღელავს ხალხი უძლეველ ჯარად.
გულს მეგობრობის სიმღერა მოსავს,
და ამ სიმღერის მიარხევს ძალა
ლენინისა და სტალინის დროშას.

ბორის ჩხეიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვენიერ გაზაფხულზე

მოთხრობა

★

> აბა რას გვარგუნებს ჩვენ ის გუთანი,
> რომე აჩეჩოს მარტო მიწანი,
> და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
> რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას.
>
> ილია.

I

აგურით ნაგები და კრამიტით დახურული სახლები ჩამწკრივებულან მეჯუდის ამომშრალი კალაპოტის ორივე ნაპირის დასწვრივ. შუა ოქტომბერია. ცივი ქვენა ქარი ქრის. განუწყვეტლივ ბოლავენ საკვამლე მილები. ხანდახან ქუჩებში გუნდ-გუნდად გამოჩნდებიან ბავშვები, ყიჟინით იქაურობას გამოაცოცხლებენ და ისევ მიიმალებიან. შარებზე მოურიდებლად ცოგიალებენ ენაშარიანი კაჭკაჭები. ნაყოფისა და ფოთლისაგან გაძარცულ ვაშლებს, კომშებს ტოტები ხელებივით მაღლა აღუპყრიათ, თითქოს ცას ევედრებიან: მალე, მალე გაზაფხული მოგვგვარეო. მინდვრად სიმინდის ჩალებიც კი დაუზვინავთ. სატვირთო მანქანები შაქრის ჭარხლის თეთრი ბოლქვებით სავსე ძარებს ეზიდებიან რკინიგზის ბაქნისაკენ.

კანტორაში მარტო ზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სამსონ ბეროიძე. საშემოდგომო თესვას მორჩნენ კოლმეურნეები. ტრაქტორები გუშინ თავიანთ საყუდებში წავიდნენ. მისაბმელი იარაღებიც თან წაიღეს. სამსონმა ავტომანქანა გაგზავნა გამგეობის წევრების მოსაყვანად. დასხდებიან ერთად, შეამოწმებენ, რამდენი და როგორ მოიხნა; იმსჯელებენ, როგორ შეხვდნენ და გააცილონ ზამთარი.

სამსონი მოლოდინში ხშირად იხედებოდა ეზოსაკენ. მოუსვენრობა გუშინწინდელს აქეთ დასჩემდა, რაიკომის მდივანს რომ შეხვდა. მან განუცხადა სამსონს: რაიონში სამუშაოდ გადაყვანას გიპირებთ, მოემზადე, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ შენს მაგივრად ასარჩევი კაცი შეგვითვალიერე, ამისათვის ოთხი, სულ დიდი ხუთი თვის ვადას გაძლევო.

ხუთმეტი წელიწადია სამსონი თავს დასტრიალებს თორების კოლმეურნეობას. ახლა დადგა ჟამი განშორებისა. ყველაზე უფრო თავის მაგიერი კაცის გამოძებნა აფიქრებს. თორებში ბევრია თავიანი კაცი და ქალი, მაგრამ ამოცანა ის არის — მათ შორის რომელი სჯობს კოლმეურნეობის მეთაურად? ვინ გაუძღვება არცთუ ცუდად გზაგაკვლეულ მრავალფეროვანი კულტურების მეურნეობას? ვინ არის თორების კოლმეურნეთა შორის ისეთი პიროვნება, რომელიც სამსონივით კი არა, უფრო უკეთ წაიყვანს საქმეს? ეს რამდენჯერ გამოვიდა აივანზე თავმჯდომარე, და არათუ სასურველი კანდიდატი შენიშნა, მეჯუდის რიყეზე გადადებულ ხიდზეც არავინ დადიოდა. ყველა შინ, თბილ კერასთან დამალვია

სიცივეს. როგორც ჩანს, გამგეობის წევრებიც ნასადილევს მოიყრიან თავს. შოფერი მაინც სადღა დაიკარგა? ჰო, მართლა, აკი დაუბარა, როცა დაძახებას მორჩები, შენც ისადილე და ისე მოდიო. ბუხჰალტერს მაინც გამოებაასება. არ ღირს, ამ ბოლო ხანს სასმელს მიეძალა ალფეზი. ერთთავად სულ. დღით თუ ღამით, გამობრუჟებულია. რაც არ უნდა ჰკითხო, „ჰო“ და „არას“ მეტს არაფერს გეტყვის. ზის, ატკაცუნებს საანგარიშო ქვებს. ეგ არის მისი თავი და თავი საზრუნავი. აგერ ფეხის ხმა მოისმა კანტორის უკნიდან. ნეტავი ვინ უნდა იყოს? სამსონი გარს უვლის აივანშემოკრულ კანტორას. ახალგაზრდა ქალი დალანდა. ნათიმვილიანთ ნანიტოს მიამსგავსა. თუ ისაა, ნეტავ ვის ელის ასე მალულად? რა გასჭირვებია ახალგაზრდა ქალს?

კანტორის მახლობლად, მაღალი მესერის გადაღმა, რიყე რომ იწყება, ტანდაჯირკვული მსხვილი ტირიფი მოწყენილად დგას. წყალდიდობით გამორეცხილი, ღილკილოსავით გადაკვანძული ფესვები ტირიფს მეჯუდის ტოტში ჩაუყრია. მის ძირას გაჩერებულა ნანიტო. ხის ტანს ეფარება. ხშირ-ხშირად ხრის თავს გზისკენ. მიაჩერდება მოპირდაპირე სახლის ფასადს, მიუთვალთვალებს და კვლავ ხეს ამოეფარება. აგერ, აივანზე გამოჩნდა ნანიტოს ტოლი ქალი. კიბით ძირს ჩაირბინა, ეზოში დადგა, მიუყურადა.

— პეპელო! — ფრთხილად ეძახის მას ნანიტო.

— ჰა, ახლავე! — ეხმაურება პეპელოც ჯაპანაანთ ძალუა მაიკოს გაზრდილ უმცროს დას, ნანიტოს, თავის გულის საყვარელ კბილას, ამხანაგს. გარბის. რაკი ნანიტო ტირიფს ეფარება, მაშასადამე, რაღაც საიდუმლო აქვს და, აბა, პეპელოს გარდა სხვას კიდევ ვის გაუმხელს თავის გულის ჭირს.

— რა მოხდა, გოგო? — ეკითხება ლომ. და გასწია ნანიტო გზისაკენ. მისული. — შენი გულის ხმაური აქ მესმის.

— ეს წუთია რევაზმა სოფელზე გამოიარა, შინ შევიდა. კიბესთან მოხუცი ერმილე შეხვდა. მე კი სადა ვარ, მე სამიწე, ტირიფს უნდა ვეფარებოდე?

— ვაი, შე საწყალო, ამდენი ხნის თვალგადაცილებული კაცი კიდევ გულიდან ვერ ამოიგდე? დაიწვა ჩვენი, გოგოების გაჩენის საათი.

— ჰო, ვერ დავივიწყე. დავინახე თუ არა, კინაღამ ელდა მეცა. ლობეს მოვეჭიდე, თორემ... იმას არც კი შევუნიშნავარ, არხეინად აუარა გვერდი გოდოლს. მაშინვე ამ ტირიფს ამოვეფარე, რაღა მექნა, დაგიძახე.

— რა უნდა გიშველო, თუ მას აღარ უყვარხარ, გული გაცივებული აქვს?

— ახლავე ძევრში წამყევი ჩემს ძმებთან. თორებში გაჩერება აღარ შეიძლება.

— მაგას ვერ ვიზამ, — იუარა პეპელომ. — მაიკოს სახეში ვეღარ შევხედავ. ჩემთან წამოდი. თითქოს არაფერი მომხდარა, ჩიტს არ გადაუფრენია შენს თავზე, ვითომ არც შენ შეგინიშნავს. შინ ერთი ჩვენებურად ვიხტუნაოთ, დავუაროთ, რადიო საცეკვაოს გადმოცემს. მერე გვიან, როცა რევაზს მეზობლების სანახავად სადმე გავიგულებთ, მაიკოსთანაც მიგყვები. მაჭარმა დაიდუღა, ბიჭები ახლა რევაზს შინ არ გააჩერებენ. წავა, გვიანამდე არ დაბრუნდება. დაძინებული დახვდი.

— დაძინებული! — ხვნეშით გაიმეორა ნანიტომ. — ადვილი სათქმელია. ჩემი გულის პატრონს დამეძინება განა?

პეპელომ მკერდზე დაადო ხელი ამხანაგს. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

— პეპელო, გადამარჩინე სიკვდილს, თავი მენანება! — შეეხვეწა ამხანაგს ნანიტო.

— [illegible]ბა, წამო! — სტაცა ხელი პეპელომ. და გასწია ნანიტო გზისაკენ. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ორივენი ხათქახუთქით ხიდისკენ გაფრინდნენ. — იქ, ხიდის შუაგულზე, დავდგეთ, მდინარის ჩქერი და ნიავი გაგვაგრილებს, — თქვა პეპელომ და გადაიხარხარა.

მართლაც კარგა ხანს იდგნენ შუა ხიდზე. მისჩერებოდნენ იქიდან ძალო მაიკოს სახლს. მალე რევაზი შინიდან გამოიხმეს კბილა ბიჭებმა. ეზო გაიარეს, სოფელში მიიმალნენ.

— ისევ შინ მისვლა მირჩევნია, — ხიდზევე უთხრა პეპელოს ნანიტომ. — დავემალო და ვის, საკუთარ თავს? მიმყევი სახლამდე.

პეპელომ გააცილა. მკლავგამოდებული მიიყვანა შინამდე.

— გოგო, ეს რა წყალწაღებულის ფერზე ხარ? მითხარი, რა გადაგეკიდა? — ჩააცივდა ძალო მაიკო დას.

— ხიდზე ალფეზას ცალთვალა ბიჭი. ჭიჭია შემომეყარა, — ხუმრობით, მაგრამ შეცვლილი ხმით მიუგო ნანიტომ უფროს დას.

— არავინაც არ შემოგყრია, — მიუხვდა მაიკო. — ვიცი, ვიცი, რაც მოგელანდა. გადით ორივენი მეორე ოთახში, გოგოებმა ერთმანეთს უთხარით რამე. გონება მოიკრიფე, ნანიტო, მოემზადე, ხვალ დილით თორებიდან გაგაქრობ. ძევრის გზას გაგიყენებ.

— მე იქ რა გამაძლებინებს!

— შენი უფროსი ძმების ქანჩი! — შემოუძახა მაიკომ დას. ორთავეს ხელები დახვია, ძალით შეჰყარა მეორე ოთახში, კარი გამოუხურა. კარს იქიდან დაუძახა, მანდ იყავით, დაუფქვით ერთმანეთს გოგოს სადარდებლებიო. მერე გავიდა თავის ოთახში, მოწყვეტილი ლოგინზე ჩამოჯდა, ფიქრს მიეცა. ბოლოს ხმამაღლა უთხრა თავისთავს: — აჰა, მაიკო, მომწყესე ცეცხლი და თივა საბძელში, ესეც შენა, თავის სატეხად, გულის სახეთქად.

შინ ვეღარ გაჩერდა. ისევ ეზოში გავიდა. იქ პატარა სახლის სახურავი შეათვალიერა. ეს ის სახლი იყო, რევაზის შინ არყოფნის წელიწადს — რომ ააგეს. ამ დროს პეპელოს და ნანიტოს მხიარული ხმაურიც გაისმა.

— ვიშ, სიცილით წყდებიან, ერთი ჩემს გულშიც ჩაახედათ! — გაიფიქრა ძალო მაიკომ, თვითონაც გაეღიმა. — ახალგაზრდები არიან, ცა ქუდად არ მიაჩნიათ, დედამიწა ქალამნად.

II

ავდარი ნაოქტომბრევს დაიწყო თორებში. და მერე როგორი? ერმილე ჯაპანაშვილი, ოთხმოცდათხუთმეტი წლის მოხუცი, რევაზის ალალი პაპა სიცოცხლეს ფიცულობდა: არა, ასეთ ადრიან ზამთარს არ მოვსწრებივარო.

ნადღესასწაულევს უეცრად დაბერა ქვენა ქარმა. საიდანღაც მორეკავდა ღრუბლებს. ჯერ განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა. როცა გადაიღო, წყალგამჯდარ და გაყინულ მიწას თოვლიც დააყარა. კოლმეურნეებმა საშემოდგომო პურეულის დათესვა მოასწრეს მხოლოდ. თორების შუაგამყოფ, მშფოთვარე მეჯუდას ხმა ჩაუწყდა. აღარ ისმოდა მისი ჰავლების შხუილი ფართოდ მორიალებულ რიყეზე. ბატები მდინარეში ფეხის დასასველებელ გუბეს ვერ პოულობდნენ. კოლმეურნეები ამაოდ შესჩერებოდნენ ცას: მზე პირის სანახავს თხოულობდა, ტყვიისფერი ბურუსის იქით ქვეყანას ემალებოდა. უჭირდა მიწას. ჩაბეტონებულივით მაგრად გაყინულ ნიადაგს მთელი ზამთრის მანძილზე ბარის პირი არ მოჰკიდებია. ასე გაგრძელდა, სანამ მარტის მიწურულს მზემ კვლავ გული არ მოიბრუნა, ქვენა ქარმა მინდვრებს არ გადაურბინა. მაშინ ერთბაშად ამოძრავდა სოფელი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სამსონ ბეროიძემ, სასწრაფოდ დაიბარა კანტორაში რევაზ ჯაპანაშვილი, რომელიც ძალო მაიკოს და ბიძის — თადეოზ ყარაჩის

მიერ მისთვის აშენებულ ერთთვალა, სოხანიან სახლში სიმინდის ნაქუჩითა და ბალებში გამოსხლული ფიჩხით თუნუქის ღუმელს ახურებდა.

რევაზი სოფელში ღვინის სმისთვის არავის დასდევდა, გრძელ ღამეებში ელექტრონათურასთან იჯდა და წიგნებს ჩასჩერებოდა. კოლმეურნეობის კანტორაში მისი მიყვანა სამსონმა კოლმეურნეობის ბუხჰალტერს, ალფეზ გოზაშვილს დაავალა.

— რა ვუთხრა, რისთვის გეძახისმეთქი? — შეეკითხა ბუხჰალტერი თავმჯდომარეს, ცოტაც არ იყოს შეურაცხყოფილმა: როგორ, კანტორაში სხვა ვერავინ ნახა, გუშინდელ ბლარტთან მოციქულად მე მგზავნისო!

— შენ რომ ბუმბულში არხეინად გეძინა, დღეს, ექვს საათზე, დილით, ტრაქტორი თორებისკენ წამოვიდა სამანქანო სადგურიდან. რევაზი მიმბმელად მინდა დავსვა ზედ. თუ აღარ მოგეშვას, გკითხოს, რაც საეჭვოა, მაშინ ეს უთხარი და ეს.

— ჩვენი ემტეესის ტრაქტორისტები, — ალფეზმა ხელები გაასავსავა, — აპა... აპა... პა... არც ერთი მაგ ბიჭს მიმბმელად არ დაისვამს მანქანაზე. აკი ყველას ყალყზე ედგა.

— შენ გასწი, რევაზს აქ დამიძახე, მომიყვანე. სხვა მე ვიცი.

— გახსოვს, კურსებზე წასვლამდე როგორ მუშაობდა? — კვლავ შეუბრუნა სიტყვა ბუხჰალტერმა.

— მახსოვს.

— აღარ გახსოვს, თორემ მოგაგონდებოდა რეზიას მიერ ატეხილი აურზაურის ამბავი.

— აურზაური ლამაზი სიტყვაა. ვიცი, მახსოვს. ისიც მახსოვს, რომ გასახარ მოსავალს ვიღებდით ხოლმე სწორედ იმ ფართობებიდან, რომელთა დამუშავებაზე ეგ აურზაურა რეზია კი არა, რევაზი ტრაქტორს მიმბმელად ეჯდა.

ეს ამბავი ალფეზა გოზაშვილმაც კარგად იცოდა. ამიტომაც სათქმელი აღარა ჰქონდა რა. ზლაზვნით წამოდგა, უშნოდ დაიხურა კეპი, უგუნებოდ მიაშურა ჯაპანაშვილების ფუძეს. მალე რიყის ქვით და დუღაბით ნაგებ მრგვალ გოდოლს მიაღწია. აქედან ჯაპანაშვილების სახლი შორს არ იყო. მივბრუნდები კანტორაში, ვიტყვი, არ დამიხვდა-მეთქი, მაგ ბიჭის დანახვას ჭირის შეყრა მირჩევნია, გადაწყვიტა ბუხჰალტერმა. მაგრამ ამ დროს ხვითუბნის მხრიდან თორებისაკენ მომავალი ტრაქტორის მუხლუხების ტკაცანი შემოესმა. შეჩერდა ალფეზი. ყური მიუგდო ხმაურს. მანქანა სოფელში შემოვიდა. გაიარა შარა. კოლმეურნეობის კანტორისა და მეჯუდის რიყის შუა მდებარე ცარიელზე გაჩერდა; მყუდროში. ალფეზმა რეხებელი, ქართველ ქალზე ჩასიძებული, ორგზის ორდენოსანი ტრაქტორისტი ნიკოლოზ ოზეროვიც შენიშნა. კაბინიდან ჩამომხტარი ოზეროვი კანტორაში შევიდა. კარგია, რევაზს ეგ მოუგრეხს კისერს, — მისცა გულს იმედი ალფეზმა, და მხიარულად გადაადგა ფეხი. არა, დღეს დანამსულია ალფეზი. კიდევ უსიამოვნება ელის წინ. გოდლის მეორე მხრიდან თორებელი გასათხოვრად მოწეული გოგოების გუნდი გამოჩნდა. კისკისით იქაურობას იკლებდნენ ის გასაწყვეტლები. მკლავგამოდებულნი, ერთმანეთს ჩაფსკვნილნი, ექვსეულებად დაწყობილიყვნენ, სამ წყებად მოდიოდნენ. სულ თვრამეტნი იყვნენ, დიდი და პატარა, დაკროლილი ნიგოზივით დარჩეულნი. პირველი წყების შუაგულში ძევრელი ნათიშვილის ქალი, ბრიგადირ მაიკოს და, ნანიტო იდგა. ცაში ავარდნილი, მალალშუბლა, ლურჯთვალა, ხშირნაწნავებიანი. მერე ვისი გაზრდილი—მაიკოსი, ერთ ქალად მარტო ეს უკანასკნელი მიზეზი ღირდა. ნანიტოს მხარზე ტყაპუჩა ედო, რაც უთუოდ პაპა ერმილესთვის მიჰქონდა

კანტორის ეზოში, სადაც მოხუცი სიცივეში იდგა. გოგოებმა სალამი მისცეს ალფეზს, გვერდით ჩაუარეს, სიმღერა შემოსძახეს. მიიხედა მათკენ ალფეზმა, ნეტავი კისერი მოსტეხოდა. აშკარად გაიგონა:

— დაინახე, როგორი თვალით შემოგხედა! ქვას, ფუ, ფუ! — უთხრა პეპელომ ნანიტოს. მან კი გადაიკისკისა.

უსიამოვნების მიზეზი, აბა, როგორ დაავიწყდება ალფეზს. შარშან, სამეურნეო წლის დამლევს მოხდა ეს ამბავი. ალფეზმა საანგარიშო წიგნაკი დაუხურა მაიკოს, მერე განზე გაიხმო ქალი.

— ჰა, მაიკო, მომეცი ნანიტო, ჩემს ბიჭს შევრთავ. სახლი, კარი, ვენახი, ბალი ყველაფერი მზად, უშრომლად დახვდება. მიდგნენ და იცხოვრონ, თუ შნო აქვთ.

— ნანიტოს ვკითხოთ! — უთხრა მაიკომ.

— ქალს რა ჭკუა აქვს, რა უნდა ვკითხოთ! — გაიოცა ალფეზ გოზაშვილმა.

— იჰ, შენმა მზემ. ის უნდა წაყვეს შენს ვაჟსა და არა ვკითხო? ხბოსავით თოკი მოვაბა და გაგატანოთ? — გაჯავრდა ძალო მაიკო. ალფეზმა ტუჩებზე იკბინა.

— ვკითხოთ, ვკითხოთ, — უმალვე დაეთანხმა ალფეზი და აი რა გამოვიდა.

— მანამდე არა ჭამოს რა ალფეზ გოზაშვილმა, სანამ მის ნაჯიბგირალ, ცალთვალა ჭიჭიას ნანიტო გვერდში არ ამოუდგეს,—იმ საღამოსვე მიურბენინეს ნანიტოს პასუხი.

გაჭაღარავებული, შვილის დარდით გატეხილი ბუხჰალტერი ქალის ამ სიტყვებმა მხურვალე საკირეში შეგდებული ნაპობივით დასწვეს. ინატრა — ნეტავი მიწაზე არ დავდიოდეო. აბა, მართლაც, რომელი თორებელი ქალი წაჰყვებოდა მის ვაჟს, ჭიჭიას. ვინ არ იცოდა ალფეზის ოჯახში დატრიალებული სირცხვილი. ყველაზე გულსაკლავი ის იყო, რომ ნანიტოს შემონათვალი სამართლიანად მოეჩვენა. ამიტომაც გაუთკეცდა პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობა ახალგაზრდა ქალისადმი. მაგრამ დღეს ერთიანად დასწვა პეპელოს ტუჩებაბზუებამ.

— მაშ ასე, არ მოჰყვები ნანიტო ჩემს ჭიჭიას? ისე გაგიტეხო სახელი, ისე გაგაბახო, რომა, მგონი მეხვეწებოდე... რძლად კი არა, რგოლშიაც არ გიმვებდე სამუშაოდ.

დაემუქრა ალფეზი ახალგაზრდა ქალს. ასე გულბოლმიანი მიუახლოვდა ჯაპანაშვილების ფუძეს. ზედ მიადგა მაიკოს და თადევოზ ყარაჩიძ სახლს, რომლის გვერდითაც დაბალზე, გამოუწვავი ლამის აგურით ნაშენი და შიფერით გადახურული რევაზის ერთთვალიანი სახლი იდგა. მოშორებით გაჩერდა. შიფერის სახურავზე გამოიჯგიმა შავდრუნჩა, ყურებდაჭრილი, ჯინჯილაბალნიანი თეთრი ნაგაზი. საოცრები იყვნენ ჯაპანაშვილები და ძაღლიც თავისებურად გამოექნათ. რომ იტყვიან, საქონელი პატრონს ემსგავსებაო, სწორედ ასე იყო. მთელმა სოფელმა იცოდა: ჯაპანაშვილების ნაგაზი, თათია, ეზო-გარემოდან შარაზე თათს არ გადადგამდა, თუ პატრონის ნება არ იყო. ნამეტნავად მაშინ ფრთხილობდა, როცა შინ არავინ ეგულებოდა. კიბით ავიდოდა რევაზის პატარა სახლის სახურავზე. უძრავად, გამოქანდაკებულივით აღიმართებოდა საკვამლე მილთან. პატრონის სარჩო-საბადელს ზემოდან უდარაჯებდა. მეზობლის ქათამსაც არ გადმოუშვებდა თავის სადარაჯო არემარეში. ვაი მას, თუ ვინმე სახლს ან ახლოს გაუვლიდა, ან ავი თვალით შეხედავდა. კუნთებში ეცემოდა, კი არ უკბენდა, წააქცევდა მხოლოდ, ღრენით თავს დაადგებოდა, სანამ ტყვეს პატრონს არ ჩააბარებდა.

— მასპინძელო! — შორიდან გასძა-

ბა ალფეზმა ჯაპანაშვილებს. მეტი ვეღარ მოასწრო. ნაგაზი თათია გამოუხტა, ეძგერა, შეუტია, მაგრამ რა შეუტია! ალფეზს თმა აებურძგნა. უკან დაიხია და რომელიღაც სახლის კედელს აეკრა. მოსაგერიებლად ძაღლს მიუშვირა ქუდი, რომელსაც თათიამ პირი ჩაავლო, და ნაფლეთებადქცეული თავსამკაული მანამდე არ დაანება პატრონს, სანამ რევაზის ხმა არ გაიგონა.

— აზგამო, თათია, — გაუჯავრდა ძაღლს რევაზი და მოსულს მიუბრუნდა, — ეს დროული კაცი რაზე გარჯილხარ?

— სამსონი გხმობილობს კანტორაში, შენ გაზრდას, დროით მიდი. საქმე აქვს.

— გეახლებით, ძია ალფეზ, — შეეპატიჟა. — შინ შემოდით. მარტოხელა, ამოდენა ხნით, კურსებზე ნამყოფ, უცოლო კაცს სახლში ერთი არაყი დამილიეთ.

— ოლონდაც მაგ ნაგაზმა არ დამასახიჩროს, მომაცილე. არაყზე უარს როგორ გეტყვი, — გაიღრიჯა ალფეზი და შინ შეჰყვა რევაზს.

— მაგის დაშავებული მე არავინ გამიგონია! — გამოექომაგა რევაზი თათიას.

— ვერ ვენდობი, ძაღლია, აბა. რა ვიცი.

ალფეზმა ბარძაყებზე ხელი დაისვა, ზომ არსად უკბენიაო. ღუმელთან ახლოს მიიწია, წიგნებით სავსე მაგიდასთან ჩამოჯდა.

— რას კითხულობთ? — იკითხა.

ერთი სქელი წიგნი გადაშალა, გვერდები ჩახაზული იყო. ცივად გააგდო ხელიდან. კიდობნისაკენ გადახრილ რევაზს ოკოიანი, თარსი თვალი მიაშტერა. „ეს თვითონ ებრძვის წიგნს, მე კი ჩემს ბიჭს მთელი საცხოვრებელი გადავატანე და ქალალდი თვალის დასანახავად ეჯავრება“, გაიფიქრა. რა სიამოვნებით დააზელდა წიხლს ახლა კიდობანზე წაყუდებულ რევაზს, თავს კედელზე მიახლევინებდა, სულს გააფრთხობინებდა.

მასპინძელმა არყით სავსე ბოთლი შემოდგა მაგიდაზე, ჭიქაც გადმოიღო.

— სიტკბოება და სიცოცხლე ნუ მოგიშალოს, — უსურვა პატრონს ალფეზმა.—დაისხა, თითქმის გაავსო საკმაოდ მოზრდილი სასმისი, მოიყუდა, გამოცალა, — ჰო, ჰო, ჰო... — ხრინწიანად დაატანა, — ცეცხლია, არც ხრაკის გემო აქვს, — და კვლავ წაატანა ბოთლს ხელი.

ამ დროს ერთი წუთით, კარის გვერდა ფანჯარა ვილაცამ დააბნელა თავისი ზორბა ტანით. კარიც გაიღო. შინ შემოვიდა მაღალი, განზე გაქცეული თეძო-მხრებიანი, ორმოცდაათ წელს მიტანებული ქალი.

— გაამოთ, — თქვა შემოსულმა და თეფშით მაგიდაზე დადგა გულიანი ქადები.

ეს იყო თორებში ამ ოცდაათიოდე წლის წინათ გამოთხოვილი ძევრელი ნათიშვილის ქალი, ყარაჩა თადეოზის ცოლი, რევაზისა და ნანიტოს გამზრდელი, ბალ-ბოსტნების ბრიგადირი, ძალო მაიკო. ეს ზვინივით ვეება ქალი, რევაზის სახლში რომ ძლივს ეტეოდა, თორებში განთქმული იყო, როგორც ბოსტნეულის მოსავლის ჯადოქარი. თქვენ რომ მისულიყავით რაიონული საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარესთან, რომელიც დიდი მოტრფიალე იყო ყოველგვარი საინტერესო სანახავისა, ის თავისი კაბინეტის გვერდით, იანვარში გიჩვენებდათ კილოიან ულებნო ხახვს, თხუთმეტ კილოიან საზამთროსა და ნესვს, სამ ფუთიან გოგრებს, მუშტის ოდენა ნივრებს, ორმეტრიან სტაფილოებს და ჯირკისოდენა ჭარხლებს. მთელი ეს სანიმუშო ბოსტნეული ძალო მაიკოს ბრიგადის მოყვანილი და გაზრდილი იყო. ნიმუშებთან ერთად იქვე კედელზე ეკიდა ამ ბრიგადისა და მისი მერგოლურების სურათები, რომელთა შორის ნანიტოც

მოჩანდა. ძალო მაიკოს მაგარ ქალსაც ეძახდნენ. ქმარ-შვილი და მისი ოჯახის ყველა წევრი მუჭში ეჭირა. მის უნებურად თადეოზის სახლში წყალს ვერავინ გადააქცევდა. მაგრამ ერთხელაც არავის გაუგონია, მაიკო თავის ქმარს თავზე აზისო.

— ყინვა გატყდა და შენც გამოჩნდი! — გამოელაპარაკა ბრიგადირი ბუხჰალტერს.

— მალე კეფაზე ხელის მოსმის დროც აღარ გვექნება! — მიუგო ალფეზმა, და თვალი გააყოლა რევაზს, რომელმაც ერბოში აცურებული, მთლად დანაოჭებული ქადა აიღო ხელში.

— ძალო მაიკო, ეს ქადები ნანიტომ ხომ არ დამამწყალობა? — უთხრა რევაზმა ქალს. თანაც ეცა და მკერდში ჩაეკრა გამზრდელ ძალოს. ლოყები, ღაბები, ნიკაპი დაუკოცნა, სკამზე დასვა.

— შენ ნანიტოს ავად ხსენებას მოეშვი, თორემა! — შეიკრა კოპები მაიკომ. — თორემა... ჩემი სახლიდან ხომ გაგაგდე ამ შენს ხუხულაშია, აწ უფრო უარესებს მოელოდე.

— ვითომ რა ავად ხსენება არის?

— შენს გულში ვიხედები, ვიცი, ვიცი, რასაც ფიქრობ. ერთი ჯაპანაანთ რომელიმე ქალმაც ივარგოს, მაიკოს სანაზღაურად ძევრელ ნათიშვილზე გასათხოვრად. მეორეც, ეგეთი ხუმრობა არ მიყვარს, დაეხსენი გოგოს, თორემ კიდევ გიმეორებ, მე ვიცი, მე შენა...

ძალო მაიკომ თავშლის დაკუმშული ბოლოები თვალებზე მიიფარა, ცრემლი მოიწმინდა. ამით თავისთავი გაამყღავნა. მაზლისწულის სიტყვები კი არ სწყინდა, ახარებდა. ამ ლაპარაკიდან ერთი ბგერაც არ მისწვდენია სასმელით გათანგულ-გაბრუებულ ალფეზის სმენას. არაყი უკვე მესამედ გადაეკრა, ორი ქადა მთლად გაეთავებინა. ერბოთი აბრეჭყვიალებულ თითებს სულწასულად უთათუნებდა მესამეს. მალე ყველა დერეფანში გავიდა. იქ მათ ნაგაზი თათია უცდიდა. ძაღლმა რევაზს მუხლებზე დასუნა, ბუხჰალტერს გარს შემოუარა, ძერე ძოიპრიხა ჯიხჯილებიანი კუდი და ძალო მაიკო მისი სახლის კარებამდე მიაცილა. იქიდან უკანვე გამობრუნდა, რევაზის სახლზე მიდგმულ კიბესთან მიირბინა და სახურავზე ავიდა. დიდხანს უთვალთვალა პატრონს, კოლმეურნეობის კანტორიდან სწრაფად დაბრუნებული კაბინაში რომ შევიდა. ტრაქტორმა მეჯუდის რიყე ჯახუნით გადალახა, ვიწრო ორლობეში მიიმალა. მალე თათია ისევე ძირს ჩამოვიდა. მაიკოს სახლის კარი თათით შეაღო. ნანიტოს ფეხებთან ჩაცუცქდა. ახალგაზრდა ქალის ცრემლმა და საკუთარმა ალღომ მიახვედრა ნაგაზი, ნანიტოს მხარდაჭერა, მიფერება სჭირდებაო.

— მაშ ასე, იმ ბიჭისათვის გაისარჯე? აი შენ კი ჩასცდი, გაქრი, მეორედ ქადის გამოცხობა არ დაგცალდა!

— ისე გამოვაცხვე, როგორც უნდა, აბა ერთი ცუდი გამომსვლოდა! მაშინ ვნახავდი, რა დღეს დამათენებდი!

— ისემც რას გეტყვი, რომ შენ ქადის გამოცხობის წესი დაიცავი. რაღაც ექვსიოდე ცალს იმოდენა, პირთამდე სავსე ქილა ერბო ზედ გადაატანე. ასე ხელგაშლილი შენ ქმარშვილში იყავი, როცა მოგაქვავებენ, ჩემგან კი შორს. შენა ერთისათვის გინდა ყველაფერი, მე კი, მე, ქმარი, შვილი, სირცხვილი, ნამუსი და ქვეყანა შემომჩერებია. — მაიკომ საბჭოთა კავშირის რუკას მოავლო თვალი სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან დიდ ოკეანამდე, იქიდან კი მზერა შავ ზღვაზე გადმოიტანა და თვალი შეაჩერა.

— აბა, რა ადგილას არის ლენინგრადი?

— აგერა, — დაადო ხელი ნანიტომ.

— ზღვა ახლო არის ჭალაქთან?

— ზედ ზღვასთან არის!

— მოსკოვს ლენინგრადი სჯობს?

— არა.

— აბა, რად წავიდა იქ თადევოზი? მოსკოვში არ იყო უმაღლესი სასწავლებელი?

მაიკოს ერთ-ერთი, მამის სეხნია ვაჟი ლენინგრადში სწავლობდა. იქიდან მშობლებს სწერდა, მოსკოვში ბევრი ქართველი სტუდენტია, ლენინგრადში იმიტომ გადავედი, რომ ყოველდღე არ შევხვდე ნაცნობს, უფრო კარგად ვიმეცადინოო. მაიკო დიდად არ დარდობდა ამას, ზღვის ეშინოდა მხოლოდ — მეჯუდაში ღრმა მორევი არსად იყო, შვილს ცურვა რომ ესწავლა, და ვაითუ ზღვამ შიგ, ღრმად შეიტყუოსო.

— ამ ერთ ქილა ერბოზე ხომ ამაღებინე ხელი!

— დღეს მომივიდა აგრე.

— კატამ შეჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო. თუ შენ კვლავ ქადა გაგაკეთებინო, ეგ შენი ფეხი დამკარი ჩემს კისერზე. დღეს მომივიდა ეგეთიო, რაღა დღესა! ვიცი. ვხვდები, ვერ წამიხვალ ხელიდან. თუ მაიკო ცოცხალი იქნება, ჯაპანაშვილები ვეღარ მოიყვანენ ნათიაანთ ქალსა.

— რა ცუდ ბედში ხარ? — შეეკამათა ნანიტო.

— ვითამ რა ქერის ორმოში ჩამსვეს. ერთი თვე მაცალეს პატარძლობისას მხოლოდ. მერე გამაბეს. დღე და ღამე საქმეში ვარ, ბაღში, ბოსტანში, შინ, გარეთ. ნიქოზში ვერ გადავსულვარ ლენინგრადში წასული შვილის დედა დეიდის სანახავად. ხუთი შვილი გამაზრდევინეს, ის ობოლიც მე მომიგდეს, მაიკო, შენა გაქვს დიდი თავიო, ჰო და იტირეო. მერე შენაც ზედ დაემატე და...

— ჰოდა, რა ცუდი საქმე გიქნია? — კვლავ უთხრა სიცილით დას ნანიტომ. — ნეტავი ქვეყანაზე მეც გამაკეთებინა მაგოდენა საქმე. ბედნიერებაც ეგ იქნებოდა ჩემთვისა.

— აქამდე მართლაც გლახა არა გამიკეთებია რა, ამას იქით მერიდეთ, — შემოიკიდა ცეცხლი მაიკომ. მთელ ტანში სიხარულის ცეცხლმა დაუარა ახალგაზრდა ქალის გონებას. ტრაპეზში რწმენა, მოღვაწეობისადმი სწრაფვა და შრომის სიყვარულის ალმასი რომ აღმოაჩინა, რასაც მაიკო ასე უსიტყვოდ, თავისდაშეუმჩნევლად უნერგავდა ყველას მის გარშემო. მაგრამ ამ სიხარულის დასაფარავად პილპილმოყრილი სიტყვები მოიშველია.

— დიახ, მერიდეთ. ჩემი თავიანად ყველას ერთად გაგიმეტებთ. პირველად გულისჯავრს შენზე ამოვიყრი.

— აგეთს რას მიზამ. დიამც, დიამც ჩემს ძმებთან გაბისტუმრო, ძევრში. დასამადლებელი პური არც აქა მაქვს შენთანა, არც იქ მექნება ძმებთანა, — გაუქილიკავა დას სიტყვა ნანიტომ.

— ეგ-ღა მაკლია, ჩემთან გაზრდილს, თუნდაც ჩვენ თათიას დასამადლებელი რამე ჰქონდეს ქვეყანაზე. რას გიზამ? შეგიკრავ ფეხებს მანიულის წნელით, დაგაკრავ ურემზე, მთელ სოფელზე გაგატარებ, ჩემი ხელით მიგგვრი იმ ცალთვალა, ნაჯიბგირალ ოყაროს.

— მაშინ მე ვიცი!

— აბა, რა იცი შენა, რა გამოცდილება გაბადია?

— არ დავუდგები, გავექცევი. მაშინაც არ დავუდგები, საბიჭეთი რომ მთლად გაწყდეს ქვეყანაზე და მარტო ის გადარჩეს.

ნანიტომ გადაიხარხარა. შეხტა და შეპროწიალდა. იცოდა, დის მუქარა ლიტონი სიტყვები იყო. მაიკო კი იქნებოდა, ნანიტო რომ ცალთვალასათვის გაემეტებინა!

— რაო, — გაგიჟდა კინაღამ მაიკო. — სად ისწავლე ეგეთი ლაპარაკი!

წამოვარდა, გაიწია თმაში ხელის ჩასავლებად, რომ მთლად დაეგლეჯა. შეჩერდა. თათია წამობაჯბაჯდა წინ, შეეღრინა, თითქოს ეუბნებოდა, აბა, სინჯე და ხელი ახლეო.

— ჩაღრძვი, შე საცოფე, ჩაღრძვი! — მიაწყევლა ძაღლს.

უკან დაიხია, მართლა არ მეცეს წვიტებშია. ძალიან საზარლად ღრინებოდა. ნანიტომ დრო იხელთა. გარეთ გავარდა. მას კაბის კალთაზე გამოეცა თათია, რომელსაც მაიკოს მიერ გასროლილი, ნანიტოს მოსახვედრი მაშა კუკუფხოზე მოხვდა, აპრეხილ კუდზე ჩამოეკიდა. ნანიტომ ეზო გაირბინა, დასამალავად რევაზის სახლის უკან მიდგმულ საქათმეს ამოეფარა, იქიდან უსმენდა დის ქოთქოთს, თან იცინოდა, გულს ვეღარ იჭერდა. მაიკოს თათიაზე უფრო მოსდიოდა გული.

— დამიხედეთ იმ საცოფეს, ძალიაო, ვერაფერს ხვდებაო, როგორ აუბა მხარი. მოეცა, მე შენ, ბარემლა ლეკვები გაგაზრდევინო და... შენაც იმ ჩემს „ჭკვიან“ დას გაგატან ძევრში.

III

რევაზ ჯაპანაშვილს უკვე გავლილი ჰქონდა საბჭოთა არმიაში სამსახური. ის გაზარდეს ძალო მაიკომ და ბიძია თადეოზმა, რომელსაც თორებელი მეზობლები — კოლმეურნეები, ნათესავები, ნაცნობნი ყარაჩას ეძახდნენ. სოფელში იცოდნენ, რომ ეს ზედმეტი სახელი თადეოზს არ სწყინდა, ახარებდა კიდევაც. ეს ზედმეტი სახელი მას მაიკომ შეარქვა.

— უსანეთობის დღეობაზე მაჩვენეს თადეოზი. — მოუთხრობდა მეგობრებს ამ „ნათლობის“ შესახებ მაიკო, — ახლა რა არის ყარაჩა? ვეღარ ვცნობ, ჩემმა მზემ, მომიხუცდა, მაშინ უნდა გენახათ. თვალი დაგრჩებოდათ ზედ. განსახიერებული ყარამანი იყო. დამელაპარაკა, დაველაპარაკე. რაღა დავფიცო, მაშინვე გადავწყვიტე გულში—გავყვები-მეთქი. და აი, ერთხელ მამაჩემი, ის სულგანათლებული, თავის ძმების, ბიძაშვილებისა და ნათესაანთ ქალ-რძლის თანდასწრებით მეკითხება:

— გინდა, შვილო, გაჰყვე? მოგწონს? მოგეხსენებათ, ქალმა განგებ უნდა იუაროს.—არა-მეთქი! — რადაო? — შავია, ყარაჩი-მეთქი, თან გული მიცემდა — როდის გამოჩნდებოდა თადეოზი, გარეთ დაფა-ზურნა უკრავდა. — ყარაჩი, ყარაჩი, ყარაჩი, — იცინოდნენ ჩემიანები. ასე იყო და ასე. დავარქვი და იმასაც დაერქვა.

რაღაც მიზეზის გამო რევაზის მამამ, მაიკოს უმცროსმა მაზლმა, ორსულ ცოლს — ღიღილოს თავი დაანება. გაიპარა თბილისში, ხილისა და მწვანილის გამყიდავ ნოქრად დადგა. მალე მეორე ცოლი შეირთო. მას მერმე თორებისათვის ერთხელაც არ შემოუხედავს. მიტოვებულ, ქმარგაქცეულ ღიღილოს რევაზი გაუჩნდა. ძმები გაყრილები არ იყვნენ. ერთად ცხოვრობდნენ ერმილესთან. აქაო და შილებმა საქმის თავის არიდება არ დამწამონო, მელოგინემ გამოშუშებას არ აცალა, წამოდგა და ვაშლის საკრეფად ხეზე ავიდა. სისხლნაკლულობისაგან მაღლა თვალი დაუბნელდა და ძირს ჩამოვარდა. კვლავ ლოგინად ჩავარდა. სიცხიან ღიღილოს მაგივრად ჩვილს ძუძუს მაიკო აწოვებდა. ასეთ მდგომარეობაში ღიღილომ ქალაქიდან დაბრუნებულთაგან გაიგო, რომ ივანემ მეორე ცოლი შეირთო. ქმარი აღარ დამიბრუნდებაო — დარდს თავი ვეღარ გაართვა ავადმყოფმა. აღარც ამდგარა ლოგინიდან.

ქმრისაგან ამრიგად პატივაყრილი ახალგაზრდა რძალი ერმილემ, ყარაჩა თადეოზმა, შილებმა და ახლომახლო მეზობლებმა ხელდახელ შეკრულ კუბოში ჩადვეს, ჯაპანაშვილების ფუძის წილ სამარხიდან მოშორებით გადაიტანეს და ჩაასვენეს წესისამებრ გათხრილ მიწაში. სანამ ივანე შვილს მიეპატრონებოდა, მაზლისწულს მაიკო კვებავდა ძუძუთი. ერმილემ ორჯერ მიაკითხა შვილს ქალაქში, ბავშვი წაიყვანეო. ამაოდ დაშვრა მოხუცი. მამამ შვილის ნახვაც არ ისურვა. მაზლის ასე გაჭსუე-

ბით გახელებულმა მაიკომ ქმარსა და მამამთილს შეუტია:

— შავ წყალს, იმ მოდიდებულ მტკვარს, თბილისს რომ შუაზე სჭრის, წაუღია თქვენი ოხერი ძმა და შვილი. გაჩენის დღიდან ჩვილს ძუძუს ვაწოვებ, განა ჩემი შვილი არ არის? მომეცით აქა, ოღონდ თქვენ ის ქენით, — გააფრთხილა ქმარი და მამამთილი მაიკომ,— რომ გავზრდი ბავშვს, კაცს გამოვიყვან, მაშინ არ წამომედავოს მამამისი, თორემ ცოდოს დავატრიალებ.

— გერის წმინდა გიორგიმ გიშველოს, გაგამრავლოს და აგაღორძინოს, შვილო,—დაჩოქილმა დალოცა ამისათვის ერმილემ მაიკო.

ამ დღიდან მაიკომ მარცხენა მკლავზე თავისი შვილი, მარჯვენაზე კი მაზლისწული გადაიწვანა. ძუძუებიც ასე გაუნაწილა და თავის, ერმილე ჯაპანაშვილის ფუძეში, მთლად პირწმინდად მოსპო გაქსუებული მაზლის ხსენება და სახელი. მარტო დედას არ უკარგავდა შვილს. სასაფლაოზე ისე არ გავიდოდა, რომ რევაზი თან არ წაეყვანა. იქ ღიღილოს სამარის კუზზე დასვამდა ბავშვს. ღიდხანს ათამაშებდა.

— გახსოვდეს, შვილო, დედაშენის საფლავი, — ეუბნებოდა. მერე თუ ახლოს ვინმე თავისი ტოლი ჰყავდა, წყევლა-კრულვას უგზავნიდა მაზლს. — ეს რა ჩაიდინა იმ შეჩვენებულმა. ცოლი, მარგალიტივით ქალი, მიწაში ჩადო, შვილი მიატოვა. ღმერთმა და ხალხმა რომ აპატიონ, მაიკოსი მაინც არ ეშინია? — მერე სამარეში ჩასძახებდა: — ღიღილო, ღიღილო, ღიღილო, შე სიცოცხლეგამწარებულო, ადრე და მალე დამიწებულო, ისე როგორ ჩავალ მიწაში, რომ შენი მოღალატე ქმრის ჯავრი არ ამოვიყარო.

ერთხელ, რევაზს რომ სამი წელიწადი უსრულდებოდა, ყარაჩასთან მაყრად ნამყოფი როსებაანთ დავითი და მისი ცოლი შეხვდა მაიკოს გზაზე. ცოლ-ქმარი ძევრიდან შინ ბრუნდებოდნენ.

— ჩემი ძმებისა არა იცით რა? — ჰკითხა დავითის ცოლს მაიკომ.

— შენი ძმებიც და შენი მაზლი ივანეც კარგად არიან. მაგასარაშვილების დერეფანში ვნახეთ გამოპრანჭული, ხელიც ჩამოვართვით,—ჩაიხითხითა ქალმა.

— ბალღზე არა გკითხათ რა იმ უწმინდურმა?

— იჰ, არა, თითქოს დაბადებაც არ გაუგიაო, არც გაჩენილაო! მეხი დაასკდეს თავზე!

— გასწით ახლავე, აგერა, მეჯუდა დიდი მოდის. ის ხელები, იმ უსინდისოს რომ ჩამოართვით, სილა-ხრეშით დაიბანეთ, — უთხრა მაიკომ დავითსა და მის ცოლს.

მაშინვე შინისაკენ გასწია. დაწერა წერილი და ბიჭის ხელით აფრინა ძევრში. საშუალო ძმას შეეხვეწა, თუ ჩემი დედ-მამის შვილი ხარ, მაგ ჩემი მაზლის ვაი მთელს სოფელს გააგონეო, ისე, რომ ხმა აქ, თორებშიაც მომწვდესო.

ნათიანთ ვახტანგი ამაყი ბიჭი იყო. მაშინ ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა. მიუვიდა დის წერილი. წაიკითხა. აბა, ვის შეარჩენდა მაიკოს მტრობას. მაგასარაშვილების სახლს აუარ-ჩაუარა. მასპინძლებმა შენიშნეს, მიიწვიეს. იმ დროს მიუსწრო და მიუჯდა სუფრას, როცა ბალახზე დათავნებული ბატკნის ხორცით სავსე ხელფინა დიასახლისმა სუფრაზე ჩადგა. მასპინძელმა, ყაფლან მაგასარაშვილმა კი თლილი, ჩაის სასმელი ჭიქები წითელი ღვინით აავსო. ძმის ცოლისძმის დანახვა არ ეჭაშნიკა ივანე ჯაპანაშვილს. ადგომა და გაპარვა - გარიდება სირცხვილით ვერ იკისრა. მაგასარაშვილები საქმეს გადახედული ხალხია, მაშინვე მიმიხვდებიან შეშინებასაო. დალიეს და დალიეს. ზომაზე მეტად შეზარხოშდნენ. გარეთაც გავიდნენ. იქ ყაფლანმა გზის მშვიდობით მიმავალთა დასალოცად დასძახა.

შეცდა ივანე. მიწოდებული ჭიქა ასწია, ჩამავალი მზის სხივებს მიუშვირა, გახედა, რომ ღვინის ლალისფერით ცოტა-ოდნად დამტკბარიყო. ამაზე აუკრიფა მიზეზი ვახტანგმა.

— არ მოგწონს ძევრელების პურ-შარილი? ცუდად გვიმუშავია კოლმეურნეობაში? — დააყარა კითხვები.

— ისე გავხედე, — დაიბნა ივანე.

— გახედე და მიიღე სასმელი! — დაულრიალა ვახტანგმა. — ხომ არ ყიდულობ!

ხელი აუკრა საღვინე ჭიქას, ღვინო სახეზე შეასხა. მხარში მოავლო თათები, მოგვერდი უყო, ფეხებში მოიგდო სადვირე ვერხვის მორივით, კარგა ხანს თალა თავისი კოდალა ცულივით საქნევი მკლავებით. მიშველებაც ვერავინ გაბედა.

— მაიკო მცემს, მაიკო მცემს! — კვნესოდა ივანე.

— დაგიბერდეს ხელები, ვახტანგ! — ლოცავდნენ ნათიშვილს ძევრელი ქალები, ვინაც იცოდა ჩხუბის ნამდვილი მიზეზი. — შვილი მიუტოვებია მაგ უქმურსა, შვილი! ერთი კიდევ, ვახტანგ, რაც სიგრძე აქვს, იმოდენი გააბრტყელე სიგანეზე.

ამ დღიდან ივანე სულ დაიკარგა. წერილიც აღარ გამოუგზავნია შინ. ქალაქში შეხვედრილ ნაცნობ-ნათესავს გვერდს უქცევდა. რძლის რისხვას კი ვერც თბილისში გადარჩა. ყარაჩა თადევოზმა და მაიკომ მანიულის ყვითელი წნელისაგან მოწნული გოდრებით კეხურა წაიღეს თბილისში საკოლმეურნეო ბაზრობაზე გასასყიდად. მტს-ის სატვირთო მანქანით ვაშლი „დეზერტირებზე“ გაიტანეს. ფარდულში მოთავსდნენ.

დეკემბერი ელოდა. ციოდა, ახალი წელი ახლოვდებოდა. დაკაპიწებული ყარაჩა მუშტარს ვაშლს უწონიდა. მაიკო ქმრის უკან გოდორზე ჩამომჯდარიყო. ამონალებ თანხას ყარაჩისაგან ღებულობდა. დოლაბივით ფართო მკერდზე, ზედაწელის უბეში ფულს დაუთვლელად იტენიდა, თან თვალს ადევნებდა მუშტარს — არავის მოეპარა ხილი, ან ქმარს ანგარიში არ არეოდა. ამ გაწამაწიაში სასწორთან ვილაც კოსტიუმიანი კაცი და ფრჩხილ-ტუჩშეღებილი, გამხდარი ქალი მოვიდნენ. მაიკოს კინაღამ ბნედა დაემართა. „ვილაცა“ კოსტიუმიანმა გასაყიდად გამოდგმულ ვაშლს ხელი მოავლო. ხელის გულზე დაიდო და ცოლს მიმართა:

— ეგეთი ვაშლი, კეხურა, ჩვენს სოფელში იცის. ცოლმა ვაშლი გამოართვა, ეტყობოდა, მოეწონა.

— მართლაც რომ მშვენიერია, ათიოდე კილოგრამი ახლავე ვიყიდოთ ახალი წლისათვის, — ურჩია ქმარს.

— მეგობარო, რას აფასებ ამ ვაშლსა? — მიმართა კაცმა თადევოზს, რომელიც მუშტარს ზედ არ უყურებდა.

— ჰაი, შე თავმკვდარო, ვაშლი იცანი, ძმა კი ვერა? ჯაპანაანთ ვანა ასეთი რა კვერცხი გახდი თბილისში! — მიახალა მაზლს მაიკომ, გოდრებიდან ისკუპა, ერთი ხელის გაკვრით ქმარს უკან დაახევინა, დაზგას გადაევლო, მაზლს გულის პირში ჩაავლო ხელები და პერანგი შემოაფხრიწა. მერე ბურთისოდენა სისხლივით წითელი კეხურები ბაზრის სეირის მოყვარულთა გასახარად ბომბებივით დაუშინა ცოლ-ქმარს.

— მოკვდი, ჩაძაღლდი, შე უგულო, შენა! გალსტუკიც რომ ჩამოუპროწიალებია კისერზე! განათლებულ კაცობასაც ჩემულობს. იმ ჩემი შილივით, საწყალ ღიღილოსავით ჩამადებინა შენი თავი მიწაში, მერე მეც მოვკვდე, დარდი არ მექნება. შეხედეთ, ხალხო, როგორ ანგლიის ღორივით გახდომია კისერი, სახეზე ცხვირი და თვალებიც აღარ ამჩნევია. ბიჭობის პირველი სიყვარული კი მიწაში ჩაფლა, სიყრმის შვილი სხვის კარზე მიაგდო. მერე-და, რცხვენია მაგ პირმშავს თუ? ამოდენა

ქალაქში, მთელ საქართველოში კაი კაცივით დაამოტებს. მაშ ეგ უნდა იყოს ჩემი თადეოზის ძმაი? ხალხო, ადამიანებო, უცნობნი ხართ, თუ ნაცნობნი, იმას გეუბნებით, ვისაც გული გაქვთ და სინდისი გაბადიათ, დაინახეთ, ვინ დადის თქვენ შორის უცოდველი ბატკანის სახითა, ვინა გსვრით წუმპეში ამოვლებული ღორივითა.

ბაზარში განგაშის ატეხისათვის აღელვებული კოლმეურნე დედაკაცი მილიციის მორიგესთან წაიყვანეს. ორმა მილიციელმა სამორიგეომდე ბოდიშ-ბოდიშით მიიყვანა „გადარეული ქალი". უფროსმა ყოველივე დაწვრილებით გამოჰკითხა, საქციელი არ მოუწონა. ასეთ დარბაისელ მანდილოსანს თავის შეკავება გმართებდაო. ჰკითხა, აბა სად და სად მოახვედრეო. მაიკომაც გულწრფელად დაუთვალა:

— ზურგზე, ბეჭზე, შუბლზე, წარბზე, კეფაზე, ღიპზე!

— ქალს?

— იმისაკენ არც მიმიხედავს.

— დასჯას გადარჩენილა, — გაეღიმა უფროსს.

— იჰ, ერთი შენაც ბქვი სიტყვა! — გაუქილიკავა მაიკომ. — იმას რომ ქმარი ჰყავს, მეტი სასჯელი ქალს რაღად უნდა.

— რას უწუნებ?

— რა აქვს მოსაწონი? მანქანა მაგას არ დაჰყავს, ხიდს, გზას, კედელს ეგ არ აშენებს, წაღას ეგ არ კერავს,არ ქსოვს, სკოლაში არ მუშაობს. მწვანილს ჰყიდის? დიდი საქმე მომხდარა! იქნება შემწვარ-მოხრაკულის მირთმევაც დაგვამადლოს.

— აგრე ხომ ჩემზედაც შეიძლება ითქვას. — აიმრიზა მილიციის უფროსი.

— შენა კანონის გამრიგებელი ცხვირი ხარ, თვალმა რომ თვალი არ მოთხაროს.

— გათავისუფლებთ, ვინძლო აღარავის წაეკიდოთ! — გაეცინა უფროსს.

— თუ სიმართლის დროშით გული წინ მიმიძღვის, რად არავის წავეკიდები, ქომაგი არ მეყოლება, — ოუ — რა! აგერ მაგალითი — თქვენა.

ასეთი სიტყვა-პასუხით მოხიბლულმა უფროსმა მას გზა დაულოცა, მოწიწებითაც მიაცილა სამორიგეოს კარამდე.

ძალო მაიკო ფარდულში დაბრუნდა. მეზობელ კოლმეურნე ქალებს, ბაზარზე სხვა რაიმე რომ ჰქონდათ გამოტანილი გასაყიდად, გადაულაპარაკა, მართალი ვიყავი, ხელიც ვერ მახლესო. ისევე ჩამოჯდა გოდრებზე. საღამოს ქმართან ერთად თორეებისაკენ გასწია.

— მოგიკვდეს ძალო მაიკო, თუ შენ უპატრონობა განგაცდევინოს, — ჩაილაპარაკა რევაზის დანახვის უმალ ისე ჩუმად, რომ არავის გაუგონია. გახსნა შენახვეული, სანამ საკუთარ შვილებს მოიკითხავდა, მაზლისწულს სპორტული ხალათ-შარვალი ბურთივით დახვეული გადაუგდო.

რევაზი სკოლამი დადიოდა. ყარაჩა თადეოზი ცოლზე ნაკლებ კი არ ფიქრობდა ძმისწულის მომავლისათვის.

— ხომ ხედავ, ივანე ქალაქს მიეკედლა, — ეტყოდა ერმილეს. — საძმოს მაგ ბიჭით შევირჩენ თორეებში, თუ კაცი ვყოფილვარ. მტერს რად ვათქმევინებ, ჯაპანამვილებმა თორეებში იკლესო.

რევაზი ბავშვის მგრძნობიარე გულით ადვილად ხვდებოდა ბიძის ამაგს, მასთან სამუშაოდ მიუხაროდა. და რომ სულ მის გვერდით ეტრიალა, მასთან ერთად ყოფილიყო, თავისებურად, ბავშვურად დროს მომჭირნეობდა. კრაზანასაგან დანესტვრასაც არ შეიმჩნევდა გაკვეთილებზე. შინისათვის მიცემულ სამუშაოს იქვე, გაკვეთილებს შორის დასვენებაზე და დილით სკოლაში წასვლამდე ამზადებდა. სკოლიდან ბიძასთან და ძალოსთან გარბოდა სამუშაოდ მათზე გაპიროვნებულ ფართობებში. მეშვიდე კლასიდან დაწყებული ოთხმოც შრომადღეზე ნაკლე-

ბი არ ჩაუწერიათ მის საანგარიშო წიგნაკში. საბარავში მხარ-მკლავი დაუსრულდა. ჭარხლის, პურის, ქერისა და სიმინდის თესვა-აღებაზე ცის ქვეშ ყოფნით მზისა და ქარისაგან გაირუჯა. შავი წვერ-ულვაშის ბუსუსებმა დააყარა ნიკაპსა და ტუჩს ზემოთ. ყველა კოლმეურნე იცნობდა „ჯაპანაანთ ვანას ბიჭს". კიდევ უკეთ იცნობდნენ მას ხვითუბნელი, ახრისელი, რეხებელი გოგოები. გამოიცვლიან სტუმრად თორებში, ჯაპანაშვილების ფუძეს ჩაუვლიან უთუოდ. ძალო მაიკოს მოიკითხავენ:

— დედამ დაგვიბარა, მაიკო როგორ არისო?

— გაიხარეთ, არა მიშავს რა.

— რევაზი სად არის?

— მინდორში გასწია.

ძალო მაიკო ქალის საოცრად მახვილი ალღოთი ყველაფერს ხვდებოდა, დროითაც განსჭვრეტდა. მოკითხვებს თავისებურად დამლიდა და ცალ-ცალკე განსჯიდა. მახლისწულს უფრთხილდებოდა. რაკიღა ყარაჩა თადევოზს ძმისწულის მახლობლად დასახლება ამოეჭრა გულში, მაიკოც თავისას ცდილობდა. ფრთხილი ძალო ქალების გარედან შემოტევას ადვილად იგერიებდა, ოღონდ შინ მომხდარი ამბავი კანალამ გამოეპარა და გვიან გაიგო. რამდენიმე წლის წინათ მაიკოს ძევრში საკმაოდ ხნიერი დედა გარდაეცვალა. გამოტირების შემდეგ ხუთიოდე დღით დარჩა საყოლში. ვაი იმ დარჩენას. მისი ოთხი ძმა, ყველა წვრილშვილი, გაყრილიყო. მაიკომ აღარ იცოდა, რომელთან გაეთია ღამე. ყოველი მათგანი ეპატიჟებოდა და, როცა ერთი რომელიმე ძმის სახლს ამოირჩევდა, სხვა ძმები აქეთ დას ემდურიოდნენ, იქით ერთმანეთში ჩხუბობდნენ, მაიკო რატომ ჩვენთან არ არისო. უმცროსი, უწლოვანი დის ნანიტოს მდგომარეობაც აფიქრებდა უფროს დას. დედა საშუალო ძმის-ტრაქტორისტ ვახტანგის სახლში გარდაიცვალა. ნანიტოც იქ იყო. ცხედარი მიწას რომ მიაბარეს, ყველა ისაკუთრებდა ნანიტოს — არა ჩემთან წამოვიდეს, არა ჩემთან, მე გავათხოვებო. გადახედა მდგომარეობას მაიკომ. მოეთათბირა ყარაჩა თადევოზს, აქ ბევრი პატრონის ხელში ამ გოგოს არა გაუჭირდეს რაო. ძმები და რძლები ერთად შეაგროვა, გამოუცხადა, ჩემიაო ნანიტო. დაისვა ურემზე ლურჯთვალება უმცროსი და, ძევრიდან თორებში ჩამოიყვანა. ამ დღიდან ძალო მაიკოს ხუთ ღვიძლ შვილს და ერთ მახლისწულს ნანიტოც მიემატა. ათი სული გახდნენ. ნანიტო ორი თუ სამი წლით უმცროსი იყო რევაზზე. დანახვის უმალ დამეგობრდნენ. სკოლაში ერთად გარბოდნენ დილით. სკოლიდან დაბრუნებულები, როცა გაკვეთილების მომზადებას მორჩებოდნენ, ერთადვე მიდიოდნენ ბრიგადებში, სადაც მაიკო და თადევოზი მუშაობდნენ.

რევაზი მეთერთმეტე, ნანიტო მერვე კლასში იყო, როცა მაიკოს პირველად გაურბინა გონებაში — ქალი და ვაჟი ერთმანეთის ზედმეტად მეგობრობენო. ერთხელ დიდ ოთახში წაასწრო მათ. ახალგაზრდები პაპა ერმილესთან ერთად ლუმელის გარშემო ისხდნენ. ხშირი ხმარებით მთლად ფაცვეთილი წიგნიდან რაღაც საზეპიროს ვარჯიშობდნენ. ალტაცებული მოხუცი რამდენჯერმე ამეორებინებდა მათ ერთსა და იმავე ადგილს. არ უსწავლია სკოლაში მაიკოს, მაგრამ საზეპირო კი, რევაზი და ნანიტო რომ იმეორებდნენ, მაშინვე იცნო, ნესტან-დარეჯანის წერილი იყო, მიწერილი ტარიელისადმი. იცნო საზეპირო და უმცროს დას თვალებში ჩახედა. იქ მარტო ლექსით გამოწვეული სიხარული კი არა, სხვა რამეც იხატებოდა. მერე დის ყოფაქცევასაც დააკვირდა. ნანიტო გაკვეთილებს რომ ჩათვალიერებდა, დაისწავლიდა, მერე კაბებს იუთოვებდა, ფეხსაცმელს იწ-

მენდდა. თხელი წინდების ჩაცვენილ თვლებს აბამდა. ნეტავი სად ისწავლა? დაწოლის წინ ივარცხნიდა, იწნავდა მისი, ისედაც მომბიბლავი ლურჯი თვალების, მაღალი შუბლის, ფართო და მსხვილი ნესტოების დამამშვენებელ თმის გვირგვინს. დილით ჩიტი ვერ აასწრებდა. წამოდგებოდა, გადაიცვამდა კოხტა ჭრელ-ჭრელას, დაალაგებდა სუფრაზე საუზმეს თავისთვის და რევაზისათვის, ისაუზმებდნენ.

მაშინვე დაასკვნა მაიკომ, იქ სატრფიალო საზეპირო, აქ ერთმანეთისათვის ასეთი ზრუნვა, სკოლაში ერთად სიარული კარგი რამის მომასწავებელი არ არისო. მაგრამ გულში მანამდე არაფერი გაუვლია, სანამ ერთხელ მეზობლის ქალმა ქუჩაში ერთად მიმავალ ყმაწვილებს არ შენიშნა: შეხედე, მაიკო, როგორი წყვილია?! ჩემმა მზემ, ეგენი ერთმანეთისათვის გაჩენილანო. მაშინ კი გადაწყვიტა, ჩარეულიყო ახალგაზრდების ამ ურთიერთობაში. მაგრამ საიდან დაეწყო? რა დანაშაული წარედგინა დისათვის ან მაზლისწულისათვის მამხილებელ საბუთად? ისღა მოახერხა, რომ ნანიტო სახილე ფარდულში წაიყვანა ერთხელ. დები ჩამოსხდნენ ჩალის კონებზე. ფარდული შაფრანის, ბელფლორის, ბანანის და აბილაურის ნელსურნელებით იყო მობანგული. დიდხანს აწყვეს ყუთებში ვაშლები. ნამდვილი არა ვიცი რა, აბა რა ვუთხრაო, დაება ენა მაიკოს. მერე ალარც ამის ფიქრი დასჭირვებია. მაზლისწულმა სკოლა დაამთავრა, საბჭოთა არმიაშიც იყო, მერე რალაც ორწლიან სამეურნეო სკოლაში წავიდა, საიდანაც ზამთარში ერთხელ მოვიდა შინ სტუმრად. მაიკომ თავში წაიშინა ხელები. ძმები, დები, დედები ისე როგორ იწუხებდნენ შვილის ან ძმის დიდი ხნით შინიდან წასვლას, როგორც ნანიტომ გამოიგლოვა რევაზის გაშორება. ერთი კვირა არავის ეკარებოდა, თვალცრემლიანი დაიარებოდა, ღამით სიზმრებისაგან დამფრთხალს ელვიძებოდა.

— რა გაქვს გულში ასეთი, მოუნელებელი სადარდელი? — დაეპირებდა დის გამოტეხვას მაიკო.

— ისე, არაფერი! — მიუგებდა ნანიტო. სიტყვას ბანზე უგდებდა უფროს დას. სხვა რალაცაზე მოჰყვებოდა ლაპარაკს. გულთამხილავ მაიკოს კი არა სჯეროდა დისა. ამიტომაც წინასწარ სამზადისს შეუდგა მაზლისწულის დაბრუნების დღისათვის.

— ყარაჩო, თადეოზ, — ჩამოუგდო ქმარს საუბარი გაზაფხულზე. — ის ბიჭი მალე დაბრუნდება, როგორ მოვიქცეთ?

— რისი, რა, როგორაო! — გაიღიმა თადეოზმა.

— რევაზის ჩვენთან შინ ერთად გაჩერება ალარ მინდა, — გაუტყდა პირდაპირ.

— რა მიზეზითაო?

— სახლი მე მშვიდად ცხოვრებისათვის მაქვს.

— რა ქარაგმაა? ვინ შემოგჭრია და გირევს?

— ცეცხლისა და თივის დარაჯობის თავი სწორედ რომ ალარ მაქვს.

— ხა, ხა... — გაეცინა თადეოზს. — როგორ მოვიქცეთ? ბიჭი ცალკე ხომ არ გავიყვანოთ?

— ბრძენივით მიხვდი, ყარაჩო, სხვა გზა არა გვაქვს.

გადაწყდა რევაზის განცალკევება. პაპა ერმილე, ძალო მაიკო დით, შვილებით, ქმრით მეჯუდის პირას გავიდნენ. ყალიბები დაიჭირეს ხელებში. ორი კვირა სჭრეს ლამის აგური. მერე, როცა ალიზი გამრა, ხარ-ურმით აგური ეზოში გადმოზიდეს.

პაპა ერმილემ ცარიელზე ლარი გაჭიმა, ოთხკუთხედი შემოფარგლა. თადეოზმა სასაძირკვლე თხრილი ამოიღო. ერთთვალიანი სახლის შენებას შეუდგნენ. კედლები მაიკოსა და თადეოზს აჰყავდათ. ალიზს, აგურის შესაკავშირებლად დულაბს ნანიტო და მისი დის-

წულები აწოდებდნენ. შვეულს პაპა ერმილე ჰკიდებდა. კედლებს ვერხვის, ალვის ხის დვირები, გადასაკიდლები, საძირკვლები და სვეტები დაატანეს. საიმედოდ დასარტყლეს, შიფერის კრამიტით გადახურეს. შნოსათვის მაიკომ ავტომობილით ახლად გამომწვარი გაჯიც მოატანინა კვერნაკის ძირის საგაჯეებიდან. ოსტატს გაალესვინა, ლილაგარეული ცარცით შეღება კედლები.

რევაზიც დაბრუნდა. შემოდგომის ერთ დღეს მოპრეხილი კუდით მას შინ შეუძღვა ნაგაზი თათია. ძალო მაიკო სახლში ტრიალებდა. მწნილის ჩასადებად ცხელი წყლითა და სოდით კაკრებს და დერგებს რეცხდა. მაზლისწული მოულოდნელად წაადგა თავს.

— დამიდგეს თვალები, შენ კი გენაცვალოს ძალო მაიკო, — დაიბნა ქალი, მითქმის ხმაზე აქოთქოთდა. — მე რა, შვილო, განა არ სჯობდა, ის უბედური დედამენი, ლიღილო,გამძღარიყო შენი გაზრდა-დავაკაცების სიმწარესიამითა! მოსწრებოდა შენი ამოდენას მოყრას! ნასალდათარ „ნაყურსალი“ შვილის შინ დაბრუნებასა! და თუნდაც მე დღე გამნახევრებოდა, ჩემმა, მზემ, არ ვინაღვლიდი.

დატრიალდა. სანამ მოსულს მოაკითხავდა ვინმე, ელექტრონის ქურაზე ერბო-კვერცხი მოუტაფა მაზლისწულს. ოცოდე წლის წინათ გარდაცვლილი შილიც გამოიტირა, კიდევ ბევრი სხვა სადარდელიც, რაც სირცხვილ-ნამუსის ლეჩაქიან ქალებს აწუხებთ ხოლმე. მთელი ოჯახი რევაზს მხოლოდ საღამოს შეხვდა. ნანიტო და პეპელოც მაშინ მოვიდნენ. ნანიტომ რევაზს ერთი სიტყვაც ვერ უთხრა. განზე გავიდა მაშინვე, გაფითრებული გაჩერდა ფანჯარასთან. მისჩერებოდა, როგორ შესტრფოდნენ კურსებიდან დაბრუნებულ რევაზს პაპა, ბიძა, ბიძაშვილები. ნანიტო კი თითქოს ყველას დავიწყებოდა. ახალგაზრდა ქალის გულის ფიცარქვეშ, მინაბულ ლურჯ თვალებში თუ როგორი სევდანარევი სიხარული გამოკრთოდა, ამას მხოლოდ მაიკო ხედავდა, პეპელო გრძნობდა. ამიტომაც მალიმალ იხედებოდნენ ნანიტოსაკენ, რომელიც თავისი სილამაზით და მშვენიერებით ადამიანის გულს კი არა, რკინას გაადნობდა. პეპელომ იდაყვი გაჰკრა ჩუმად რევაზს. უნდოდა მისი ყურადღება ნანიტოსაკენ მიექცია. აბა, რა იცოდა მან, რომ რევაზი წამწამებში დამალული, მოჭუტული თვალებით ნანიტოს გარდა, არავის უყურებდა. ამას მარტო თათია ატყობდა. ამიტომ იყო, რომ ნანიტოსთან მიძუნძულდა და მის ფეხებთან თათებდაბაჯაჯგინებული ჩაცუცქდა. ხანდახან წაჭრილ ყურს აუსვამდა ახალგაზრდა ქალს წვივზე, თითქოს ეუბნებოდა: ჰა, ჩემი ძალლური გრძნობა და ერთგულება, თუ კი რამეში გამოგადგება, დამისტვინე და შენთან ვარო! თათიას ასეთ ფერაობას ნანიტოსადმი ყველამ მიაქცია ყურადღება. აქეთ ვაუს გადახედეს, იქით ქალს. გადაიხარხარეს, და უეცრად ძალიან უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ იგრძნო, რომ დიდს და პატარას, ღრმად მოხუცს და სრულიად ახალგაზრდას, მეტყველს და უტყვს დღემდე განუცდელმა კეთილშობილურმა გრძნობამ ერუანტელივით დაუარა სხეულში. არავინ იცოდა, რა სახელი ეწოდებინათ ამ იდუმალებედნიერებისათვის, რომელიც ასე თვითნებურად დაპატრონებოდა იქ მყოფთ. საამური გაოგნებისაგან ძალო მაიკომ გამოიყვანა შინაურები.

— ყარაჩო, — დაარღვია სიჩუმე მან, — თქვენც, გოგო-ბიჭებო, შენაც, მამამთილო, მომეხმარეთ. რასაც მოგცემთ ხელში, გაიტანეთ პატარა ახალ სახლში.

წამოდგა, გადმოალაგა ერთი ხელი ქვეშაგები, სახურავი, იალუმ-ბალიში, მუთაქა, კედლის ხალი, ლითონის სა-

წოლი, ქვაბი, კოკა, ტაფა, ქილა, ვარცლ-საცერი, ასტამ-საჩხრეკელი. ყველაფერი ეს, რაც პატარა ოჯახს შეიძლება ჰქონდეს, გადაატანინა შინაურებს გამოუწვავი ლამის აგურით ნაგებ სახლში. მაიკომ თვითონ დააწყო და დაალაგა ყველაფერი. ბოლოს თუნუქის ღუმელიც შემოაროხინა. დადგა, გამართა, მოხრილი მილის ბოლო ბუხრის ზემოდან დატანებულ ხვრელში გაუყარა. ღუმელი ხმელი ფიჩხითა და ჭიგოს ნაფოტით გაავსო. და როცა საბერავში ალი აპრიალდა, ბუხრის მილში დოლბანდივით დახვეული, თეთრი კვამლი ცისაკენ ტრიალ-ტრიალით გაემართა, მაიკომ კუბოსებურად ძირს ყუთი დააგდო, თმა გაიშალა, ვითომ გამოიტირა ვილაც (ამაზე ახალგაზრდებს სიცილი წასკდათ), მერე მაზლისწული ღია კართან მიიყვანა, იქ სამჯერ შემოატრიალა და ხელის მაგარი კვრით შინ შეაგდო.

რევაზმა მიმოიხედა ელნათურით განათებულ სახლში. ღუმელს სანათი მიუმატა. სწორედ ეს ღუმელი ენთო მაშინ, როცა მასთან ალფეზი შევიდა დანაბარევის სათქმელად — სამსონი კოლმეურნეობის კანტორაში გეძახისო. რევაზი მძიმე ხვნეშით ჩამოჯდა სკამზე თავის ახალ ბინაში.

— ჰა, არ მოგწონს? ხომ არაფერი დამიშურებია? — ჰკითხა მაიკომ რევაზს.

— ასე ცარიელი სახლი ჩემს დღეში არ მინახავს.

— შენმა მზემ, დიდი ხნის სიცოცხლე გაბადია! რაღა შენა, რაღა პაპაშენი ერმილე — ბევრი რამ გენახოს და მოსწრებოდე. ტუჩზე ჯერ რძე არ გაგშრობია, მაინც გული რაზე გაკლია?

— ოჯობებდა, ის მოგეცა, რაც მე მინდოდა — ერთი ყველაზე ძვირფასი და თუნდაც მეჯუდის ცივ რიყეზე დაგესვი!

რევაზმა გარეთ გაიხედა. მის თვალს თვალი გააყოლა მაიკომაც. ორივემ ერთად შეხედეს ნანიტოს. ქალი დერეფანში იდგა, ვერხვის ბუჩქს შემოსკვნოდა მკლავებით, ჩაკიდებული თავი ლოყით ცივ ხისათვის მიედო. ძალო მაიკომ მაზლისწულს პასუხი არ მიუგო. ყური წაიყრუა. ოღონდაც ყველას მიმართა:

— მომყევით, მხოლოდ შინაურები. მზის ჩასვლამდე კიდევ ერთი საქმე მაქვს.

— მე ვერა, ვერა. სოფელში გავივლი. თქვენ რაც გინდათ, ის ჰქენით, — იუარა თადეოზმა.

— რაო! — გაჯავრდა მაიკო.

— იმის შემდეგ, რაც გააკეთე, ვხვდები-ღა კიდევ, რასაც იქმ.

— კიდევ რაღას მეტყვი?

— მეტის გაძლების თავი აღარ მაქვს, ადამიანო! — შეღაღადა თადეოზმა. — სოფელში გავივლი. გულს გადავაყოლებ რამეზე. თუნდაც ქარუმასთან შევივლი. არაყს გადამაკვრევინებს.

— ჰაი, ჰაი, ყარაჩო, კისერზე ლურსმანა გაჩენილო ჩემო შავო კამეჩო! აბა, ერთი ეს მითხარი — როდის მოხდა ამ ოცდაათი წლის მანძილზე, თუნდაც ერთხელ, ყელში მარყუჟად ღვთისა და კაცისაგან მაგრად გასკვნილი საცოლქმარო აპეური შემეხსნას? არა, ამას ვერ იტყვი. მაშ ნურც შენ იზამ ამას. განსაკუთრებით დღეს ნუ გამიძვრები უღლიდან, გამომყევი, სასმელი კი... ქარუმას სათხოვარი არა გვაქვს.

— ნუ ლაპარაკობ ეგეთებს. მე შენზე ნაკლებ კი არ მაწევს ბეჭებზე ტვირთი. შენსას თუ ამბობ, ჩემიც იკითხე. მოვდივარ, მოვდივარ, თუნდაც იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან. ოღონდაც უღლიდან კისრის გარიდებას ნუ დამწამებ, — კინაღამ აღრიალდა თადეოზი.

— აგრე, აგრე, ჩემო ძველო ყარაჩო! თუ მოხეთქილ მეჯუდაში ჩავიმუხლის-

თავო, შენ დამიდექ გვერდით ვაჟკაცის გამძლე გულითა. ურემი წყალს არ გაატანო, მეც წამომაყენე, კვლავაც ერთად ვათრიოთ ტვირთი, ჩვენი მანძილი ჩვენ მივიტანოთ. მერე, როცა დავიხოცებით, სხვანი შეებმიან.

მაიკომ ამგაში პურები, ხორცის ნაჭრები, ღვინით სავსე ბოთლები და ვაშლები ჩააწყო. ქმარს მხარზე გადაჰკიდა. გაუძღვა თავის ბუდის დიდსა და პატარა ფრინველებს ნაზვრეტისაკენ.

ზურგზე საგზალაკიდებულს, რომელს გიხეტიალია ჩვენს ქვეყანაში? სულერთია სად: აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, თვალისა და გულის მახარობელია მისი ყოველი მტკაველი. ერთი წუთითაც არ მოგწყინდება. მასპინძლის მხიარული გულით, სიცილითა და გაშლილი წარბებით გეგებებიან ათასფერ ყვავილებით მოკაზმულ-მოქარგული მწვანე მინდვრები, შხუილა მდინარეები, ტყეებით შემოსილი მთები, შორიდან რომ შავად მოჩანან. არ ილევიან უსასრულო ბაღები, დოვლათით სავსე სოფლები, საბჭოთა მეურნეობები, ფართო გზატკეცილები, შარები, ბილიკები, რომელთა მახლობლად ჩუხჩუხებენ ანკარა წყაროები. ამ ბუნების წიაღში მოსახლე ადამიანებიც იკითხეთ. აბა კიდევ რომელ ქვეყანაში შეხვდებით ამას: მიდიხარ უცნობი მგზავრი შარაზე, წინ უცნობი შემოგეყრება, ქუდს მოგიხდის და მოგეხალმებათ, მშვიდობის გზას გისურვებთ. აგერ სოფელში შეხვედით. სიცხისაგან სული გეხუთებათ, წყურვილისაგან პირი გიმრეებათ. ამ დროს ბაღიდან მოგწვდებათ ადამიანის საამური ხმა:

— მგზავრო, გადმო, პირი გაისველე, მუხლსაც ქარი ამოაღებინე.

გადადიხართ. ჩრდილში მკერდს გაიგრილებთ, ოფლით დაწინწკლულ შუბლს ცვარით განბანილი ბალახით მოიწმენდთ, ჩაიმუხლებთ კიდევაც. მერე ჩაკბეჩავთ ლოყაწითელ ვაშლს, ან პირს ჩაიტკბარუნებთ შაქარივით. ტკბილი ჭანჭურით თუ სულიერ-ლოვანი ატმით. არა, აბა სად არის ამაზე ტკბილი ქვეყანა? ოღონდაც კაცს საკუთარი ბედნიერების ჭედვის შნო გქონდეს, მეტი არა გინდა რა! დიახ, მიდიხართ, მიდიხართ, თქვენს ბედნიერებას ბოლო არ უჩანს, მგზავრო! მაგრამ, თუ ადამიანის ბედით ოდესმე დამწვარხარ, გულის მომწყვლელ სანახაობასაც წააწყდებით.

აგერ სოფლის გარეთ, ბოსტნების იქით შემაღლებული ბორცვი, რომლის წვერზედაც უხსოვარ წარსულში ნაგები ნიში მოწყენილად დგას. დღეს იქ სანთელს არავინ ანთებს, როგორც უთქვამს პოეტს. აღარც არავინ სალოცავად მიდის მასთან. მხოლოდ ხანდახან, როცა შუადღის სიცხისაგან დედამიწას ალმური ასდის, ნიავიც კი არ იძვრის, ნიშის ქიმზე შემოჯდება ნაცარა მიმინო. გაქვავებულივით გაიტვრინება. ალმასის თვალებით უდარაჯებს პურში მოჭუკჭუკე მწყრის ამოფრენას, რომ რისხვად დააცხრეს თავზე. ნიშის ირგვლივ არც ხეა, არც ჯაგი. მხოლოდ ყრია ექვსწახნაგოვანი, კუბოსებურად ვიწრო მხრით აღმოსავლეთისაკენ მიქცეული ლოდები. ასეთი ადგილი თორეების გარეთაც არის ერთ პატარა, ოდნავ შემაღლებულ ვაკეზე. იქ მარხია რევაზის დედა, ყველასაგან დავიწყებული ღიღილო. დღეს მხოლოდ რევაზის დაბრუნების და ცალკე გასვლის ჟამს მოაგონდა შილის საფლავი ძალო მაიკოს. რადა? ამ საიდუმლოებას ის არავის უმხელს, ეშინია, გულჩვილობა არ შეამჩნიონ. შეიძლება კი არა, ნამდვილად, სხვა საბუთიც ბევრი აქვს, მაგრამ განა უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მას წარმოგვიდგინოს ისინი? ჩვენ ის ვიკმაროთ, რისი წარმოდგენაც ისურვა მაიკომ, და მასში ღრმად ჩავიხედოთ.

ქმრითა და შვილებით, დით, მაზ-

ლისწულითა და მამამთილით გარშემოკრებილმა, გასწია მან მიტოვებული შილის საფლავის სანახავად. ყარაჩა თადეოზმა ძლივს მონახა სამარე. იგი რვა-ცხრა წლის კაკლის ძირას მიაგნო. სამარის მონახვა ამ ხემ გააძნელა. ვინ დარგო იგი აქ? სასწაულებრივ თვითონ ხომ არ ამოიზარდა ღიღილოს ძვლებიდან? არავინ იცოდა ეს. სულ ახლად, სამი-ოთხი წლის დარგულს კი ჰგავდა. ვილაცა უვლიდა კიდევაც ნერგს. ამას ადასტურებდა სასაფლაოზე შორიდან მოყვანილი სარწყავი რუს კვალიც. ვინ გაათბო ასე ერთგულად საბრალო ღიღილოს ბნელი და და ნესტიანი სამყოფელი? ვინ იყო ის, ვინაც ეული სამარე, ამაო ცრემლის დაფრქვევის ნაცვლად მარად უჭკნობი, ცოცხალი გვირგვინით შეამკო? ამ გამოცანამ აუფორიაქა გონება ძალო მაიკოს. მაინც ვინ? — მამამთილმა?— არა, თადეოზმა? — არა, რევაზმა? — არა, მაიკოსა და თადეოზის შვილებმა? არა. მაშ ვინ? ნანიტომ ხომ არა? აბა მას რა ესაქმებოდა! მაგრამ მაინც მიიხედა უმცროსი დისაკენ. ნანიტო იქ აღარ იყო. ჩქარი ნაბიჯით გასცილებია ჯაპანაშვილების აყრილ ბუდეს, უკან მოუხედავად მირბის, სადაც არის ბაღების ორლობეში დაიმალება. და ხვდება, რაღაც ჭეშმარიტებას სწვდება მაიკოს გონება, რაღაც დიდსა და ნაზ საიდუმლოს დაკეტილ კარს გასაღებად მისდგომია მისი გული.

— ღიღილო, ღიღილო, ღიღილო! შე საბრალო, ადრე და მალე დამწებულო, სიცოცხლეში დამწვარო, სამარეში დავიწყებულო, განაღა მეტი გინდა!

დაახალა თავი მაიკომ სამარის ბორცვაკს. წამოღებული ხორაგი იქვე მოარიალა, თავშლის წვერები ღაბაბზე მაგრად გაისკვნა. კვნესითა და ანთებული სახით გაექანა იმ მიმართულებით, საითაც ნანიტო მიიმალა. მზე ჩადიოდა. დღისა და ღამის გაყრისას გალია ქალმა ბაღების გზები. გადასჭრა მეჯუდის რიყე. სახლს გვერდით ჩაუარა. პირდაპირ დაადგა [illegible] გორის გზატკეცილის შესართავ სასოფლო შარას. კუპრივით შავად დაბნელდა. გამოხრულებში ფეხი უვარდებოდა, ძაღლების ღაღავი აცილებდა. მაინც მარჯვედ მიდიოდა. იმ გრძნობამ, რომელმაც მაიკოს სამარეზე კაკლის დამრგველი გამოაცნობინა, პირდაპირ მიიყვანა მიზანთან. გზატკეცილის პირას სახლის ცივ კედელს ხელები მოუფათურა სიბნელეში და ნანიტო მკლავების მარყუჟში მოიქცია.

— საით გარბოდი, გოგო!

— ძევრში.

— ასეთ სიბნელეში თავი რად გაიმეტე.

—აღარ მეადგომებოდა თორებში.

— არ გამიმხელიხარ, მე დავიბრალე შენი ეგ სიკეთე, მე. ნეტავი მართლა მე გამეკეთებინა ის. თუმცა რა ფასი ექნებოდა მაშინა. არაფერი. ახლა იმ მზესა სწვდება იმ ნერგის წვერი, რომელიც სიცოცხლეს გვანიჭებს. დაო! ტრფობის ცეცხლში ხარ მიცემული, ჰა? აგრე წარმოიშობა გოგონებისაგან ქალი. გამოტანჯულ სიყვარულზე უკეთესი აბა კიდევ რაღა დაემართება ადამიანსა? ეგ არის მისი ბედნიერად მოსაგონებელი მთელ თავის სიცოცხლეში. ახლა კი თორებისაკენ.

V

გრძელი და მკაცრი ზამთრის განმავლობაში, რომლის მსგავსიც, პაპა ერმილეს მოწმობით, საქართველოში არც ყოფილა წინათ, ძალო მაიკო სულ მოუსვენრად იყო. საკოლმეურნეო საზრუნავს და ოჯახის საქმეს ათასი იმოდენი საფიქრალი დაემატა, რაც მანამდე ჰქონდა ქალს. რატომ ასი ხელი და ასი თვალი არ დამყვაო, უსაყვედურებდა მაიკო თავის გამჩენს. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყების შემდეგ ამოისუნთქა მხოლოდ ოდნავ ხალვა-

თად. ტრაქტორის მოსვლის დღიდან რევაზი დილით უთენია გადიოდა შინიდან გარეთ. მანქანაზე ის მიმბმელად მუშაობდა. დაღამებისას შინ დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა. პატარა სახლში მასთან ღამეს ათევდა ტრაქტორისტი ნიკოლოზ ოზეროვი. მართალია, ამან დაძაბულობა ოდნავ შეანელა, მაგრამ ატყობდა მაიკო, რაც უფრო ახლოვდებოდა გაზაფხული, მით უფრო ღვივდებოდა ცეცხლი და ხმებოდა თივა. ყოველ წუთს ელოდა ალის აბრიალებას. ძევრში მაინც როგორღა მისწვდა ხმა? კილოკავად გაეგოთ ყველაფერი მაიკოს ძმებსა და რძლებს. იანვრის დამლევს ვახტანგი ჯაპანაშვილებს ესტუმრა. მაიკომ ძმას ინდაური დაუკლა. ვახტანგმა ორ დღე და ღამეს აბრიალა ნათიშვილების მტრისათვის საშიშარი მოზვრის თვალები. მაიკომ, როგორც იქნა, ძმას თავი მოუქონა, დაამშვიდა, მაგრამ ვახტანგმა მაინც გაიხმო ნანიტო.

— მაიკო, მაიკოა, — მე კი ძმა ვარ, — ფრთხილად, ნათიშვილებს სირცხვილის ჭამა არ გვჩვევია, ჩვენი გათხოვილი ქალი, ჩვენი სახელის გამტანი და ქმრის ოჯახის ბარაქით ამვსები, ჯიშის გამომკეთებელი ყოფილა მუდამ. გოგო, თუ რამე გაგიჭირდეს, ერთი თითი მიქნიე ძევრში, მაშინვე აქ, შენთან გავჩნდები, თორებს თავისი პაატა მეფის ნაშენი უხეირო გოდოლიანად მოვთხრი, გორის გზატკეცილისაკენ ვისვრი.

ვახტანგმა ნანიტოს ძევრში გაყოლაც შესთავაზა. ქალმა იუარა. ვინ, ვინ და მაიკო მიხვდა უარის მიზეზს. უმცროსი და მიწაზე მაგრად ფეხებდაჭერილი ჯაპანაშვილების სახლში უცდიდა თავისი ბედის ვარსკვლავს. ამიტომაც უდროო დროს გამოჩენილი პატრონი და უფროსი, მისი საშუალო ძმა ვახტანგი, თავისი მუქარა-ნუქარათი და ბევრი სხვა მოვლენები ჯაპანაშვილის ოჯახში უცნაურად ეჩვენებოდა. ერთხელ დაძაბული ფიქრის დროს გაუარა კიდევაც თავში აზრმა:

— შეირთონ ერთმანეთი რევაზმა და ნანიტომ. აბა რა დაშავდებაო! ცოტა ხნის შემდეგ ამ აზრმა, როგორ მომივიდა იგი თავშიო, კინაღამ უცნაური სასჯელი დაატეხა თავს. მაიკო რამდენიმე დღეს აღარავის სცემდა ხმას. ყველა „ჭირივით შესძულდა“, თვალით დასანახავად ერიდებოდა ქმარ-შვილს. ასე ორჭოფულ მდგომარეობაში იყო მაიკო საგაზაფხულო სამუშაოების დამთავრებამდე.

შემოდგომაზე, სანამ თოვლს ჩამოყრიდა, სანამ მიწას გაყინავდა, რევაზმა თავისი მერგოლურებით თორების კოლმეურნეობის ხილის ბაღებში ხეებს — ძველად და ახლად ჩაყრილ ვაშლებს, მსხლებს, ატმებს, ქლიავებს, ბლებს ძირები შემოუბარა. გასხლა კიდევაც. მერე საზღვრების გასწვრივ ჩამწკრივებული ნერგებიც გადაკაფა. ამოსხვიპეს ჭიგო-ხარდანი. გამობოჭილი ფიჩხი და ხმელი როკები მანიულის წნელით შეკონეს. ბაღები მოამზადეს ისე, რომ დარჩენილი ფართობები ტრაქტორით მოეხნათ. ამის შემდეგ ვენახებს ეცნენ, რაც თორელებს მაინცდამაინც ბევრი არ ჰქონდათ. სულ ბოლოს სარწყავი წყლის დიდპატარა არხებიც გადახელეს, ნალექისაგან გაწმინდეს, აქა-იქ ახლებიც გაჭრეს. სამუშაოდ გასულ კოლმეურნეებს ხშირად ნახულობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სამსონ ბეროიძე. ჩამოჯდებოდა ნაბარავის პირას დაგდებულ, მანიულის ქენჭღილით შეკრულ ფიჩხზე და ესაუბრებოდა კოლმეურნეებს — წინ რა სამუშაოები ჰქონდათ, უკან რა საქმე მოიტოვეს.

— ვითომ წავწიეთ წინ სამუშაო? ზამთარი უსარგებლოდ არ მიგვიდის ხელიდან? — ეტყოდა რევაზს.

— კვირტის დაძვრისათვის მხოლოდ საგაზაფხულო სამუშაოები უნდა გადაგვყვეს, ის სამუშაოები, რომელთა

შესრულებაც მხოლოდ მიწის გათბობის შემდეგ შეიძლება, — ურჩევდა მას რევაზი.

— აგრე, აგრე! — უმალვე ეთანხმებოდა სიხარულით შუბლგახსნილი სამსონი და ერთხელ აცნობა: — არ გეგონოს, მხართეძოზე ვიყო წამოწოლილი. ყური მიგდე, კეთილო! სხვა რომ არა ვთქვათ რა, ორასი დაბაგული „ზისი“ მინერალური სასუქი მაინც მოვზიდე, თუმცა ეხ...

— მაგოდენა მინერალური სასუქის პატრონს სახვნელში რაღა გაქვს?—გაიოცა რევაზმა.

— კაცო, როგორ რა?

— მითხარი.

— რა ბედენაა, ხილი ორ წელიწადში ერთხელ ისხამს, მინდვრებს გაუვედი, საქონელსაც, მეწლეობას კი ვერაფერი მოვუხერხე. სექტემბრის და, აგერ, თებერვალ-მარტის დადგენილებები თითქოს ყურში ჩამძახიან — ხეხილის მეწლეობა, სამსონ, შენი ბრალია, ღმერთი აქ არაფერ შუაშია. განა ცენტრალური კომიტეტი ყოველდღე თორების ბაღებში. ჩვენთან, აგერ ფიჩხის კონაზე რომ არ ზის, ჩემს ჩამორჩენილ უბანს ვერ ხედავს? ან მე ვერ ვამჩნევ ამას? თავი ხომ არ უნდა დაგვაკვრევინონ ზედ, აჰა, შეიგნეო.

— მარტო მინერალური სასუქი მართლაც სუსტია მეწლეობის მოსასპობად, — დაეთანხმა რევაზი.—ოღონდაც ორგანულიც საკმაოზე მეტი გვაქვს წელს.

—სადა? ფერმების ნარჩენები ძლივს წვდება ბოსტნებს და ხეხილის ბაღების მეოცედს.

— რომ გიჩვენო!—გაახელა რევაზმა სამსონი.

— ეეი.. ბრმა კი არა ვარ.

— არა, მართლა გიჩვენებ, აგერ, ფეხებში გვებლანდება.

— კაცო, სადა-მეთქი, მიჩვენე, მომაგონე! — დაკარგა მოთმინება სამსონმა.

— მეც შემთხვევით მომაგონდა ორგანულზე უკეთესი სასუქი, თუნდაც ათი წლის მანძილზე გვეყოფა. — უთხრა რევაზმა და ხელი გაიშვირა თორებიდან მის მოსაზღვრე სოფლებამდე ჩაწოლილი თხრილებისაკენ.

—როგორ ვერ მივხვდი! — შემოიკრა შუბლზე ხელი სამსონმა. — ნუთუ ვბერდები, ჰა?

თორებისა და მის მოსაზღვრე სოფლებს შორის არხების ნაეურებისაგან დაჭაობიანებული მიწები მდებარეობდა. მათ სათესად კი არა, საძოვრადაც ვერავინ იყენებდა, დოლის პირივით სწორი, წყალჩამდგარი ვაკეები წყალნიახურას, თავბუა ლაქამის, ვირიპინის გაუვალ შამბად და ტლაპად იქცეოდა ხოლმე ზაფხულობით. ამ ჭაობების ამოშრობა, მეზობელ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებთან ერთად, სამსონ ბეროიძემ ითავა ხუთიოდე წლის წინათ. ზევით დაამტკიცეს ამოშრობის გეგმები. დაუშვეს თანხაც. ახლა ჭაობებში მელიორატორები იბრძოდნენ. რამდენიმე „კავროვეცი“ დღედაღამ მუშაობდა. ჭრიდნენ სწორ თხრილებს. ნაგუბ წყალს მეჯუდისაკენ უკეთებდნენ გასასვლელებს. „კავროვეცები“ თავიანთი სახაპავებით ამოღებულ ტორფნალ შლამს თხრილების გასწვრივ ყრიდნენ. დაცემულ ვაკეებზე გაწოლილი ნალექების შავი ზოლები ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებებს წააგავდნენ. ამონაღები მიწა გამშრალიყო, ნაცარივით იბნეოდა.

— მაშ იმ ნარბილარში შერეული მინერალური სასუქით გავაჯეროთ! ჩვენი ბაღები? ეგ რა მომაგონე, კაცო! — ბარემ ათჯერ გაიმეორა სამსონმა.

და სად იყო, და საიდან, ამის შესახებ რევაზმა არ იცოდა, არც დაინტერესებულა, თავმჯდომარემ მანქანა-ტრაქტორების სადგურიდან ბარემ ხუთი თვითმცლელი მოიყვანა, დააყენა სამუშაოზე. თითქმის თებერვლის ბოლომდე

რევაზი იმ ავტომობილებს ადგა თავზე. ექსკავატორებს სახაპავებით პირდაპირ აყრევინებდა სველ მპალას რკინის ძარებში. მერე მწკრივებად ერთმანეთისაგან თანაბარ მანძილზე აცლევინებდა ტვირთს უკვე ძირებშემობარულ ხეხილის ბაღებში. ამის დანახვის უმალ შეირბინა პეპელომ ძალო მაიკოსთან.

— ერთი გამო გარეთ, რევაზი რას ჩადის, ჰა! — უთხრა ბრიგადირს. — ხედავ რას უშვრებიან თავიანთ ბაღებსა?

— მაშ, მაშა, ააი! — შეეხარბა მაიკოს. — მოუგონიათ და როგორა?

ბრიგადირი და მერგოლური ბაღში წავიდნენ. განზე გასულ თეძოებზე მაიკომ დოინჯი შემოიყარა. ასე დიდხანს შესცქეროდა მაზლისწულის ნამოქმედარს, რკინის ვეებერთელა თვითმცლელებს, რომლებიც შავი მპალათი ავსებდნენ ბაღებს.

— მოსავალი კი არ მოვა, მოსკდება, მოკვარდება, — ჩაილაპარაკა თავისთვის მაიკომ.

— საბოსტნეებისათვის კი არავინ ფიქრობს, — დაგესლა ძალო მაიკო პეპელომ. ავი თვალით გადახედა მას მაიკომ. უყვარდა პეპელო და ოდნავად არ უყვარდა კიდევაც. ეს ახალგაზრდა გოგონა მაიკოს ძალიან ბაძავდა სიტყვა-პასუხში, ყოფაქცევაში, მუშაობაში, ხმაშიაც კი. ხანდახან იგი მომაბეზრებლად ეჩვენებოდა მაიკოს. გარეგნულადაც კი აჯავრებდა ბრიგადირს. როცა ლაპარაკობდა პეპელო, თავი მაიკოსავით სწორად ეჭირა. ცდილობდა ნიკაპი ყორყოთან მიეტანა, რათა ლაბების მაგვარი რბილები ტალღატალღა გასჩენოდა. აქაო და ძალო მაიკოს ნავარგევი მკერდი და თეძოები აქვსო, პეპელოც იდებდა მკერდზე და თეძოებზე რაღაც-რაღაცეებს. აჰა, ნახეთ, მაიკოს არც ამით ჩამოვრჩებიო. ამით მხოლოდ იუშნოებდა თავის შვლის ტანს და საოცრად ლამაზ ყელნიკაპს. ამიტომ არ უყვარდა ის მაიკოს. მაგრამ მეორე მხარეც გაჩნდა ახალგაზრდა ქალს, რაც ძალო მაიკოს მას აყვარებდა და არაფრად აგდებდა მის მაიმუნობას. მერგოლური პირშიმთქმელი იყო. ცოტათი დაშინებული ჰყავდა ყველა. უწმაწურად მოლაპარაკე და ლაზღანდარა გოგო-ბიჭები ახლოსაც ვერ ეკარებოდნენ. პირდაპირობისათვის, თავის ნათქვამობისათვის, ბარემ ხუთი საქმრო დაჰკარგა, პეპელოს შუაკაცებს რომ უგზავნიდნენ. ოთხი წლის წინათ სადღაც სასწავლებლად წასულ ყმაწვილს უცდიდა. თავი ჩაიმწნილაო, ხუმრობდნენ ავყიები. როცა შეეკითხებოდნენ, ასე რად მოიქეცი, პეპელო არხეინად მიუგებდა ყველას:

— გლახაკები, საშუაკაცო მანდ რა არის? ალბათ ცოლშვილობის შნო არა აქვთ. — ბევრი იცინა ამაზე მაიკომ. მთავარი კი ის იყო, რომ რომელ საქმეზედაც პეპელოს დააყენებდა, საიმედოდ გაუკეთებდა, მაიკოს იქით გახედვა აღარ სჭირდებოდა. მარტო ერთი მაგალითი რად ღირდა. შარშან მაიკომ კომბოსტო გაუპიროვნა პეპელოს. დატრიალდა გოგო, აგრონომს ჭადრაკის დაფასავით დაალარვინა ადგილი. სამი ათასამდე ძირის ჩასარგავი ორმო გაანაყოფიერა ჩვეულებრივი პატივით. მერე მინერალური სასუქი თბილ წყალში გახსნა, ეს სითხე თითო ორმოს თითო ლიტრა დაასხა ზემოდან. ერთბაშად გადარგო ჩითილი. მორწყო. ნარგავი რომ გაახარა, თვითონვე გათოხნა რამდენჯერმე. ბარე სამჯერ კვლავ წყალში გახსნილი მინერალური სასუქი შეაწოვა კიდევ მცენარეებს ძირებში, და რა გამოვიდა? სანახავად მოდიოდნენ ყოველი მხრიდან. წელიწადი ისე არ გავიდოდა, ასეთი „ორნი“ რამ არ გამოეგონებინა პეპელოს. ამისათვის შვილივით უყვარდა ის მაიკოს. ახლაც, გადახედა თუ არა ახალ-

გაზრდა ქალს, გაუცინა, თმაზე ხელი დააკარა, შეანჯღრია.

— საბოსტნეებსაც გავავსებინებ მპალათი, — უთხრა და გასწია სამსონთან მოსალაპარაკებლად.

თქმა არ უნდა, ეს საქმე რევაზს დაავალა თავმჯდომარემ. ახლა კი გაზაფხულზე, რაკიღა მზემ ოდნავ გამოიხედა, თბილმა ქვენა ქარმა უხშირა, ენძელები ამოიწვერენ, კაჭკაჭებიც გაეცალნენ სოფელს, მპალას გროვები იყო მოსარიალებელი ბაღებსა და საბოსტნეებში. შემდეგ ნიადაგიც უნდა მოხნულიყო. ამ სამუშაოს თავიდან მოსაცილებლად გამოუძახა რევაზს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბუხჰალტერ ალფეზ გოზაშვილის პირით. მან კანტორაში შემოსვლის უმალ მიაგება ახალგაზრდა კაცს კითხვა:

— როდის შეუდგებით?

— რაღად გადავდებ, ახლავე გავწევთ! — მიუგო მიმბმელმა და მეტი ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ტრაქტორისტს, ნიკოლოზ ოზეროვს, კაბინაში ჩაუჯდა. მუხლუხებიანი მანქანა და მასზე ბუმბერაზ კიბორჩხლებივით მიბმული გუთნები მეჯუდის მშრალ რიყეზე გადაატარა და ბაღებში შერიხინდნენ. ნიკოლოზ ოზეროვმა ნამუშევარს გახედ-გამოხედა.

— ბარაქალა, თქვენ არ ხუმრობთ, ბიჭებო. აი, მესმის ნამუშევარი! — თქვა და თვალი გააყოლა მპალას უთვალავ ბორცვებს.

— ისე მინდა მოვხნა, რომ მპალა ზედ ფესვებზე მოხვდეს ხეხილს, — აუხსნა ტრაქტორისტს რევაზმა.

— სწორად გაგივარაუდებიათ. მიგიხვდით, ნათლიებო, მეწლეობას უცხადებთ ბრძოლას? — გადაიხარხარა ოზეროვმა. — მომხმარე ვარ თქვენი, როგორც ყოველი კარგი საქმისა.

ოზეროვმა მარჯვენა ხელი ასწია, სწორად გააჩერა. თითები მიტყუპებული ჰქონდა. მერე, უცბად ხელის გულიანმა შეატრიალა.

— „Значит“ ბელტი ასე, ერთიანად, წმინდად უნდა ამოვატრიალოთ. ზემოდან მოყრილი მპალა, ბინერალური და ორგანული სასუქები ქვეშ მოექცნენ, ნამუშევარი, მომშეული მიწის გული კი ზემოდან, მზის გულზე? მიმბმელო, ეს შენზე ბევრით არის დამოკიდებული, გუთან-საკვეთი შენ შემოგაცქერის.

— წესიც აგრეა, — დაუდასტურა რევაზმა.

ოზეროვმა ტრაქტორი დასძრა. პირველ კვლებს სხვები მიაყოლეს, გასწიეს, გაქიმეს ხნულები. დიდხანს ისმოდა ბაღებში ტრაქტორის ბუხბუხი. მანქანას რევაზი უწევდა მომსახურებას. დასვენების წინ ამოწმებდა მექანიზმს, წმენდდა, ასხამდა შიგ საწვავს, წყალს, ზეთავდა კიდევაც.

იმ თანამდებობას, რომელსაც ტრაქტორის მუშაობის დროს რევაზი ასრულებდა, ტექნიკის ენაზე სოფლად მიმბმელს ეძახიან. მიწათმოქმედების სამინისტროს ინსტრუქციის მიხედვით, ვინც არ უნდა იყოს პასუხისმგებელი მოხვნის, თესვის და კულტივაციის მაღალხარისხოვნობისათვის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელები, ტრაქტორისტი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუ სხვა, კოლმეურნე მხოლოდ მიმბმელს ეუბნება კარგად მუშაობისათვის მადლობას, ცუდად მუშაობისათვის — საყვედურს. მიმბმელს რიგითი კოლმეურნე თავის შეგნებაში იმდენადვე მნიშვნელოვან ძალად თვლის, რამდენადაც ცხრაულელა ხარ-კამეჩით ხვნის დროს გუთნისდედას თვლიდნენ წინათ. კოლმეურნე, დაინახავს რა კარგ ნამუშევარს, აღტაცებას არ დაფარავს. გაიხარე, გაგიძლოს 'მარჯვენამ', ეტყვის მიმბმელს. ცუდისათვის დაურიდებლად გაიცხავს, უხეშად ამხელს, გულმოსულად მიახლის, მოგიკვდეს თავი, ეს რა გიქნია, მანდ მისაბმელზე, რომ

ზიხარ, ცაში ბუზებს უყურებ, თუ ქვემოთ საკვეთლებზე დაჩერებიხარო.

— ტრაქტორი რკინა არის. ტრაქტორისტი კაბინაში ზის. წინ იმზირება. ხნული უკან რჩება. აბა გზათ მიმავალმა კაცმა ყოველი ნაბიჯის გადადგმისას უკან მიიხედე! გვიან გაივლი მანძილს. მაშ, თუ ტრაქტორისტი და ტრაქტორია ყველაფერი, შენ რაღა ეშმაკი ხარ, უკან წამოსკუპებულო მიმბმელო? არაფერი! ისღა დაგრჩენია — გადმოხტი, წაიხურე, მაზარა, გამოაცხვე ძილი. არა, ჩემო ძმისწულო, საქმე ასე არ არის. მიმბმელი ტრაქტორისტზე ნაკლები არაფრით არ არის. ასი თვალი გამოისხი. აკი იქ ზიხარ, სადაც ტრაქტორს ანძუხზე გუთნები უბია. გუთნები და მანქანა შენ დააკავშირე ერთმანეთსა. მიმბმელიც იმიტომ გქვია. მისაბმელებთანაც შენა ხარ, თავს დასჩერებიხარ სახნის-საკვეთლებს მთელი დღე. დროით აუწი, და დაუწი, თორემ მკვდარსა და ცოცხალს შეგიგინებს კოლმეურნე არაქელა, ქარიხვეტია მუშას.

ეს სიტყვები ძველი თორეველი გუთნისდედისა და პირველი მიმბმელის, ბიძია ყარაჩა თადევოზისაგან ხუთიოდე წლის წინათ ყურში ჩაწვეთებული, ღრმად ჰქონდა გონებაში ჩაჭდეული ძმისწულს. ახალგაზრდა მიმბმელს ამ სიტყვების აზრი ისე სჯეროდა, ისე სწამდა მათი სიბრძნე, რომ მის საკუთარ ნაფიქრალად, შრომის წესად და რიგად ქცეულიყვნენ.

— თადევოზს სიზმარიც დაეჯერება. ვიცნობ მე მას. — დაუქნია თავი ნიკოლოზ ოზეროვმა მიმბმელს. — მართლაც, რას მერჩით ტრაქტორისტს? ჩემთვის დამაყენეთ. მომმხოვეთ. მექანიზმებმა შეუფერხებლად იმუშაონ. ჩემი უყურადღებობით მანქანას არა გაუჭირდეს რა, დღე არ გამიცდეს. იქ შენ, მიმბმელო, იფრთხილე მისაბმელზე. დაე ყველაფერი წესრიგზე იყოს. ფაფას ერბოთი ვერას გზით ვერ გააფუჭებ.

ასე შეთანხმდნენ პირველ: დღესმიმბმელი და ტრაქტორისტი.

თითქოს შეწყობილად მუშაობს, ხელს აღარაფერი უშლიდა. მაგრამ ორი დღეც არ გასულიყო, რომ ლაპარაკი მოუვიდათ.

— შენ, ძმაო, რევაზ, სწრაფად გამაშვებინე მანქანა, სიჩქარეს ნუ მაკლებინებ,—შემოუძახა ერთხელ ტრაქტორისტმა მიმბმელს.

— მე ამას საქმისათვის ვცდილობ. აკი თვითონ თქვი, ასე ამოვაბრუნოთო ბელტიო! — გამოედავა მიმბმელი, ხელი ასწია, გული მზისაკენ შეატრიალა, — აი, ასეო! — გასცინა ტრაქტორისტს.

— ნელა მუშაობას კი არ ვგულისხმობდი. თუ არ გამიშვებ, სიჩქარეს არ მომმატებინებ, მოვაბრუნებ მუხლუხებს და სხვა კოლმეურნეობაში გადავალ სამუშაოდ. აქ ვინც უნდათ, ის გამოგზავნონ.

— გული რად მოგდის, ძმობილო? აბა დახე ხნულს, რას მიწუნებ?

— ჭხედავ, კარგია.

— მაშ დაჯექ მანქანაზე, დააჭირე ფეხი პედალს, უკან მოუხედავად გასწი წინ, — სიცილით უთხრა რევაზმა.

ეს კი აღარ მოეწონა ოზეროვს. ხუმრობა დაცინვად მიიღო, გაბრაზდა.

— აგეთი ვინა ხარ? რას მიბედავ!

— მიმბმელი ვარ, რევაზი მქვია. ტრაქტორისტიც ბევრი მინახავს, ტანკისტიც, შოფერიც, მფრინავიც. თუ არ გინდა ჩემთან მუშაობა, გზა მშვიდობისა. მიწა მქონდეს თორებში ჩვენი კოლმეურნეების ჯანის გასაწდომ-დასამუშავებლად საყოფი, თორემ ტრაქტორსა და ტრაქტორისტს ვერ ვიშოვით? თუ საქმე ისე წავიდა, რომ კაცი არ მომექარა, მიმბმელისაგან ტრაქტორისტი ისევე ადვილად გამოდის, რო-

გორც ჭაჭისაგან არაყი. მანქანის მართვა მეც ვიცი.

— ბიჭო, რად მიხირდები! ასე ერთიორად მეტ დროს მოვანდომებთ ბაღების მოხვნას.

მოლბა ტრაქტორისტი, გაულიმა მიმბმელს. მიხვდა თავის ბრალს. ოზეროვი მეტი ფართობის გამომუშავებას ცდილობდა, ბაღის ხვნის თავისებურებას კი არ ვარაუდობდა. ამიტომაც აღარ სწყენია მიმბმელის, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მხილება.

— გინდა აჩეჩო მიწა? შენ შენი შრომადღეები ჩაიწერო წიგნაკში? სამანქანო-სატრაქტორო სადგურს ცნობა გაუგზავნო, შემხედეთ ვაუკაცს, რა დეგგმირი ვარ, ამოდენი და ამოდენი მოვხანიო? თორებელებს კი მოსავალი მოუცდეთ? დაუფიქრდი, თუ ვერა მოვიწიეთ რა იმ შენ ნაჯირგალევ, სახნის-საკვეთით დახეულ მიწაზე, შენ შრომადღეზე ხმელი ბალახის მეტს ვერას წაიღებ შინ.

— გამიშვი-მეთქი! — განგებ აუწია ახლა ხმას ოზეროვმა.

— აგრე ადვილად, ვერა, ძმობილო. გაგიშვა, გაჰკრა ტრაქტორს მთელი სიმძლავრით? დავაწყვიტო ხეხილს მასაზრდოებელი ზედა ფესვები? სასუქი ალთას წავიდეს, ნამი ბალთას?

— აბა რას მირჩევ? მიბრძანეთ, ახალი მოდის მეთვალყურევ! — დამცინავად შეეხვეწა ტრაქტორისტი.

— ტრაქტორი მიწისთვის არის გაჩენილი. ორივე ისინი კი იმისთვის, რომ ამოდენა ქვეყანა გაიტანოს, არჩინოს, წელიწადს და ხალხს დიდი კუჭი აქვს. თუ მიწის მუშები ვართ, ამაზე უნდა ვიფიქროთ, ახლა გინდა მეთვალყურე დამიძახე, გინდა უარესი.

— კიდევ რაღას მეტყვი?

— მაგ დალოცვილ მანქანას სიჩქარე და სინელე, ორივე ეს თვისება მხოლოდ და მხოლოდ მიწის დასამუშავებლად მისცეს მისმა გამომგონებლებმა.

— ჰო, ეგ აგრეა.

— მაშინ, აბა, თვითონ შენ გამიშვი. გამომაყენებინე სიჩქარე იქ, სადაც ის არის საჭირო, სინელეც ასე. ჩვენი მიზანი მოსავლის მოყვანაა.

— პასუხისმგებელიც შენ იყავი, — კვლავ განგებ უთხრა ოზეროვმა.

— მარტო მე რადა? განა შენ ამ ჩვენს ბაღებში კაჭკაჭებმა თვალები ამოგიკორტნეს, ალებმა გონება წაგართვეს? ორივე ვართ პასუხისმგებელი, ძმო-ბი-ლო! — დამარცვლა უკანასკნელი სიტყვა რევაზმა.

— ჰა, ფარ-ხმალი დამიყრია, დაგნებებივარ. ვიმუშაოთ. ოღონდ საქმე გაკეთდეს, შენმა აზრმა აჯობოს ჩემსას, მე არაფერს ვაგებ. მაღალხარისხოვნად მიწის დამუშავება მეც ჩამეთვლება.

დაუთმო რევაზს ბოლოს ნიკოლოზმა. ჩაიცინა. გულში, ჩუმად, გაუმხელად ძალიან მოსწონდა მიმბმელი და მისი მოსაზრებულობა. განგებ შეედავა. უნდოდა დარწმუნებულიყო, გონებითაც მოსაწონი იყო თუ არა ეს მაღალშუბლა, შავგვრემანი, მხრებზორბა თორებელი კოლმეურნე.

— თუნდაც მარტო შენ ჩაგეთვალოს, — ჩაულაპარაკა მშვიდობიანად რევაზმა, — მე, პირადად, ისიც მეყოფა, რომ, რომელ ფართობშიც ტრაქტორს მიმბმელად ვეჯექ, კაცმა ვერა თქვას, ამ მიწის უკეთ დამუშავება შეიძლებაო.

— დაინახავენ?

— რად არა? ჯერ ბელელი „დაინახავს“, მერე ჯიბე, მერე კიდევ, სად გაგონილა, კარგისა და ცუდის გარჩევა ადამიანს არ შეძლებოდეს!

— ბარაქალა, რევაზ, მომწონს შენი რწმენა, ჯანი, აზრები, გული, — გამოუტყდა ოზეროვი მიმბმელს. — სიტყვაც მაგარი გაქვს. ჩანს, მეგობრის ალმოჩენაში ბედ-ილბალი მაქვს. მოიტა შენი ბებრებიანი მარჯვენა, აგერ

ჩემსას დაჰკა, მაგრად დაჰკა, მთელმა თორებმა გაიგონოს.

მიმბმელთან ამ გამოდავების შემდეგ ნიკოლოზ ოზეროვი ხშირად იხედებოდა უკან. ყოველთვის თავჩალუნული რევაზის კისერს ხედავდა, ბაგირებივით გაბმული წყვილი ძარღვებით თავსა და სხეულს რომ აკავშირებდა. მიმბმელი გუთნებს ერთადერთი აზრით მართავდა. სწორად, ლარში გამოყვანილ ხაზებად მილაგებულიყვნენ ერთმანეთზე კვლები. ბელტებიც წმინდად ამოტრიალებული ყოფილიყვნენ. ნიადაგს ზემოდან მორიალებული ტორფნალი მპალა და მინერალური სასუქის თეთრი ფხვნილის კვალიც არ გამოჩენილიყო. შეიქმნა ხნული და რა ხნული? ოზეროვი თვალს ვერ აშორებდა ნამუშევარს. ხარობდა, ნუთუ ყველაფერი ეს მე და ჩემი ტრაქტორის ნამოქმედარიაო!

ასე ნელა დგებოდა გაზაფხული თორებში. ჰაერი გაითანგა მიწის საამური სუნით, ადამიანს რომ ეწეოდა თავისაკენ, მოდი და შემებრძოლე, დამამუშავე, დამშვენდი და მეც დამამშვენეო. ხეებზე კვირტები დამსხვილდნენ. აქაიქ შვინდმა ყვავილი გააჩინა. ეს კენკრა, ყველა ხილზე ადრე რომ აყვავდება და ყველაზე გვიან დაიყვავილებს ხოლმე, ხშირად შეინიშნებოდა ბაღების სანაპიროებსა და ჭალაკებში.

VI

გაზაფხულის გეშს შეეპყრო ძალო მაიკოც. ქმრით, შვილებით, მამამთილით და დით ბაღებში სამუშაოდ გასული დაგროვილ წალამ-ფიჩხის კონების ნაპირებში გაზიდვას ამთავრებდა. დილით მამლების პირველად აყივლებისას დგებოდა. ასაუზმებდა მაზლისწულს და ტრაქტორისტს ოზეროვს, რომელიც ღამეს თავის მიმბმელთან ათევდა. ჯერსაც მაიკო უზიდავდა ტრაქტორზე. უკანასკნელ დღეებში, რაკიღა ქალი ბაღების გაწმენდას მორჩა, კოლმეურნეობის საკუჭნაოში გადაინაცვლა სამუშაოდ. ბოსტნეულის თესლებს ანაწილებდა. თესლის მომჭირნეობა აუცილებელი იყო. კოლმეურნეობამ წელს ძალიან გაადიდა საბოსტნე ფართობები. ყარაჩა თადეევზი კამეჩებგაბმულ ურმით ეზიდებოდა საბოსტნეებში დამიწებულ, გადამწვარ ორგანულ სასუქს. საკუჭნაოში მაიკოს მარტო ნანიტო ეხმარებოდა. ერთი საათით არ იცილებდა უმცროს დას. ამით გულში დაგროვილ დარდთან ჭიდილს უადვილებდა ახალგაზრდა ქალს. ნანიტოც თავდავიწყებით ეხმარებოდა თავის აღმზრდელს, მოამაგე დედის მაგიერ, უფროს დას. თესლების დახარისხება, მათი აწყვა, პარკუჭებში მოთავსება იტაცებდა. ხელსაქმე ეხერხებოდა. ერთი მარცვალი არ გადაუგორდებოდა განზე. მაიკოს გულს უხალისებდა დის სიმარჯვე. სასოებით შესცქეროდა. ერთადერთი აზრი ასულდგმულებდა, ერთი სურვილი ჰქონდა: როგორმე ეს ტრფიალებით გულდაშაშხული უმცროსი და, ცელქთვალმოგონიერებული ყვავილი ხელში აეტაცა, მკერდში ჩაეკრა, თავით ფეხამდე დაეკოცნა, მაგრამ თავს იკავებდა. მაიკოს აზრით, მისი მკერდში ჩაკვრის უფლება მხოლოდ იმ ფუტკარს ქონდა, ვისთვისაც კუკური ნანიტო ბუტკოდ გაიშლებოდა და ნექტარით სავსე თავის გულს გამოუჩენდა. ამიტომაც ცდილობდა, მოფერებითაც კი არ შეეშფოთებია საყვარელი აღზრდილის გონების მუშაობა. ჩუმად, ხმაგაკმედილი ხელსაქმობდნენ.

ერთხელ კარი მოულოდნელად გაიღო. საკუჭნაოში შევიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სამსონ ბეროიძე. მან დაიარა ყველა კუთხე. დაათვალიერა ჭირნახულით სავსე ტომრები. ძირს გადმოვარდნილი, დამზადებისათვის ჩასაბარებელი ხამი ტყავების მძიმე გრაგნილი წამოაყენა, ასწია, დვირეებზე გახირა, სადაც ის მშრალად შენახვისათვისაც იყო დადებული. ბოლოს თესლების განაწილებაზე მომუ-

შავე დების მახლობლად, ქერით სავსე კოდზე ჩამოჯდა. ხან რას იტყოდა, ხან რას. მაიკომ მალე შეატყო თავმჯდომარეს, რაღაც სათქმელი ჰქონდა და ვერ ახერხებდა სიტყვის მოხერხებულად ჩამოგდებას.

— რად მივლი გარშემო, პირდაპირ მითხარი. ნათქვამია, გაუეჟილს გატეხილი სჯობსო, — შეაქეზა ის მაიკომ.

თავმჯდომარემ ნანიტოს გადახედა, თვალით ანიშნა უფროს დას, სათქმელი მაგას შეეხებაო.

— მაგისაგან დაფარული მე არაფერი მაქვს.

— მაიკო, ჰა, მაიკო, ალფეზს რას ეუბნებით უკანასკნელ სიტყვას? — პირდაპირ შეეკითხა სამსონი.

— ეს რა სასაიდუმლო იყო, — უსაყვედურა მას მაიკომ. — აგერ ეგ ჩემი და, აგერ ეს დიდი შარა. თუ უნდა, ასემც უქნია, ორთვალდავსილსაც გაჰყოლია. მისი გულის საქმეა.

— შენ რაღას იტყვი, ნანიტო? — მიუბრუნდა სამსონი ახალგაზრდა ქალს.

— განა ჩემზე ნაკლები ერთი წყვილი ქალი გყავს შინ გასათხოვარი! რაკი აგრე ზრუნავ იმ ალფეზის ბიჭისათვის, შორს რაღად ირჯები, ადექ, ერთ-ერთს, რომელიც უკეთესია, მე კი მგონია, ნაკლებსაც დასჯერდება, გამოაბი თოკი ყელზედა, გაუძეხ, მიჰგვარე ცალთვალას სახლში.

— ცალთვალა რა... ერა ვიცით, კაცს რა შეხვდება სიცოცხლეში. — სცადა თავის მარწმუნებლის გამოსარჩლება თავმჯდომარემ, რადგანაც ძალიან სთხოვა ალფეზმა, ეს საქმე მომიგვარე, ნანიტო შინ შემომაყვანინე რძლადო.

— მესმის, ომში ან საქმეზე დამართნოდა, თორემ სკრის სადგურზე ჯიბეში ხელის ჩაყოფისათვის თვალი წამოაგდებინეს. არა, აკი გითხარი, თუ აგრე ძალიან მოგწონს ჭიჭია, ემანდ შენა, იქ შენი ერთი წყვილი ქალი, სამზახლოც კანტორაში გიზის, მიჰგიგდით. ხვირი ნახეთ, თქვენს ქორწილში დაკრული დაფა-ზურნაც არ შეგვშურდება. თავგადასაგდებიც არ გვეინანება. ჩვენზე იყოს.

გაუმეორა ცივი უარი ნანიტომ. სამსონმა ენაზე იკბინა. ეს რა დამემართაო. სასაუბრო შესცვალა.

— მართლაც, ჯანი გავარდნია ჭიჭია-ბლიჭიას. ამ სათესლეს მარტო გამოყოფილ საბოსტნე ფართობებისათვის ანაწილებ? — იკითხა.

დაიღუნა, ხელში აიღო საფანტივით მძიმე ხახვის თესლით სავსე პარკი, ჰაერში შეაბურთავა. მაიკო, აქამდე რომ დაღუნული მუშაობდა, გაიშალა, თავშალი გადაიგდო.

— კიდევ სხვა... რაღა?

— ნუთუ არ გითხრა თადეოზმა, აკი შემოგვესწრო საუბარზე.

— შენ გამაგებინე, რას აპირებთ?

— ორი ჰექტარი ბოსტანი მინდა მოვუმატო.

— ეგეც მე დავთესო?

— ჰო, შენა, როგორც იცი.

— დავთესავ. თესლიც მეყოფა. ოღონდაც რგოლების გადანაწილება დამჭირდება.

— გაიხარე, — უთხრა სამსონმა. — ბარემღა გავწევ, ოზეროვს და იმ შენს მაზლისწულს ვეტყვი, მიწა მოგიმზადონ.

— ნუღარ აყოვნებ, ბელტს ღამის სიცივემ გაუაროს, ჭუპრი დაიხოცება. მპალაც მოაყარეთ ახალ საბოსტნესა. ძალიან მოუხდება. თუ ვმუშაობთ, ბარემღა ვიმუშაოთ, კაცმა წუნი ვერ დაგვდოს.

— აგრე ვიქმ. მანქანებს დღესვე გამოვუძახებ. მაგას აბა რა დიდი თავისტეხა უნდა. ახლავე დავტრიალდები, — დაპირდა სამსონი.

საკუჭნაოდან გარეთ რომ გადიოდა, კიდევ რაღაც სათქმელს კბილებს

უჭერდა, ჭოჭმანობდა, ეთქვა თუ არ ეთქვა.

— კიდევ გაქვს რამე საკითხავი? — მიეხმარა მაიკო.

— ამას წინათ ერთი გოდორი ვაშლის არჩევა მითხარი. მაშინვე გავაკეთებინე მეკუჭნავეს. აქეთა საწყობში დგას დათბუნებული სავსე გოდორი. ვაშლი სათითაოდ ავარჩევინე სხვადასხვა ჯიშისა. ყველაზე მეტი სისხლივით წითელი კეხურა არის.

— გმადლობთ.

— არ ვიცი კი, რა განგიზრახავს. ვაშლი შინაც საკმაოდ ბევრი გაქვს.

— მაქვს. ეგ სავსე გოდორი ახალი მოსავლის კრეფამდე მინდა შევინახო. ძველს ახალს შევახვედრებ მკრეფავების თვალწინ, თუ გაგონდება, შარშანაც ასე მოვიქეცი. შინიდან ათიოდე ცალი მოვიტანე, მეტი აღარ მქონდა.

— მახსოვს. გავიცინეთ კიდევაც, მაიკო ვაშლს გვაკვირვებს თორებლებსაო, ვთქვით.

— შეგნიშნეთ. მაშინ არაფერი გითხარით. არა იყო რა სასაცილო და საოცარი. ყარაჩა თადეოზის დედები და დიდედები, მამები და პაპები, იმ ძველ დროში, როცა ჩვენზე ათასჯერ ნაკლები ცხოვრების სალსარი ჰქონდათ, ჩვენს ქებულ კეხურას, თურაშაულს, აბილაურს, კიტრას, ხანდუკარას ტოტს მოსაკრეფად ხელს მანამდე არ ახლებდნენ, სანამ ძველს, იმავე ძირზე მოკრეფილ ნაყოფს კალათით ფესვზე არ დაუდგამდნენ ხესა.

— მაგისთვის გინდა ვაშლი?

— ჰო, ლამაზი იქნება და იმიტომ.

— ეგ მარტო ლამაზი კი არა, ახლა ვხვდები, დიდი აზრიც არის. შემდეგში ალბათ მაგის შინაარსს უფროც ჩავწვდებით. მაიკო, მაიკო, თვითონაც სილამაზე ხარ, ქალო. გონების ნათელი სხივი მცემს შენი შუბლიდან. ამიტომაც არის, რომ შენთან საუბარი დაუსრულებლად მწყურია, შენს ხილვას დილასავით ველი ხოლმე. ეჰ, ეჰ, როცა დრო იყო, ვერ გივაროგე, ვერ გიცან, თადეოზმა მაჯობა, წამართვა შენი თავი.

— სუ, ჩუმად, გამწიე-გამომწიე, ეს მაიკო ვარ და ეს. ნუ მომაგონებ, რომ ერთ დროს, აგერა, ამასავით (ნანიტოზე უჩვენა) ქორფა ვიყავი. თბილიპუური კი შენი წატეხილი რაღად მინდა. როცა მე იგი თვითონ ჩავაკარ თონეში.

— ჰე, — ამოიგმინა კვლავ სამსონმა. — საუბარმა გამიტაცა, გავწევ ტრაქტორთან.

— აჯობებს, საქმე სისულელეს მოგგლეჯს გონებიდან. — სიცილით უთხრა მაიკომ.

სამსონმა კარი გაიხურა. ნანიტოსაც სიცილი აუტყდა. თავს ველარ იკავებდა, გადაბჟირდა, მას მაიკოც აჰყვა. დიდხანს კისკისებდნენ ქალები საკუჭნაოში.

— ნეტავი გამაგებინა, ბიჭები რამ გამოაყეყეჩა ასე, წახედონ მაინც სამსონს. ათჯერ გამოგითამაშებენ, ცეკვით ტყეს გაგაგდებინებენ. მოელი: აბა, აგერ დასცდებათ ერთი თბილი სიტყვა, აბა აგერაო. ენასაც ვერ იბრუნებენ პირში, თითქოს ჯერ არც ამოუდგამთო. ფერი კი მისდით. გულის ბაგაბუგი შორიდან გესმის, — თქვა ნანიტომ, როცა დამშვიდდნენ.

— ბიჭებში ეგ არის ის ნიშანი, რაც მათ ვაჟკაცობას და სასიკეთო ზნეს მოასწავებს. გამომიტყდი, ძალიან გინდა ის თბილი სიტყვა გადმოგიგდოს ვინმემ, აგერ მე რომ მაძალებდნენ და არ მჭირდება?

— რატომაც არა, ძალიან.

— ისიც იცი, ვისგანაც მოელი და მას კი ვერ გაუბედავს?

ნანიტომ თავი ჩაჰკიდა.

— მეც ვიცნობ ისეთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც თვითონ გაუბედავია და ისლა მოუხერხებია, რომ თავისი

რჩეულის დედის საფლავს შველას სთხოვს.

ნანიტომ თავი უფრო ჩაჰკიდა. დას ზურგი შეაქცია. საიდან გაიგო, გულში ხომ არ ჩამიძვრა და ამოიკითხაო. მართლაც, კაკლის დარგვის შემდეგ სულ ხშირად ნახულობდა ღილოს საფლავს.

— ცოცხალს ჩემი მოხმარებისთვის არ სცალია, იქნებ მკვდარმა მაინც მიშველოს რამე-მეთქი, — სევდიანად ჩაილაპარაკა ნანიტომ. მაიკო აენთო.

— ვხვდები. შველასა მთხოვ. მაგას ვერ ვიზამ. თქვენ თვითონ მოიყარეთ, დაო, იმოდენები, რომ თქვენი გულისნადები ერთმანეთს ენითაც გააგებინოთ.

ნანიტომ მაიკოს ახლა სახეც მოარიდა. ძალიან რცხვენოდა.

— პირს რას მარიდებ, დაო და შვილო. მანდ არც შენს საქციელში, არც ნაფიქრ სიტყვებში ცუდის ლანდიც არა არის რა.

ქალებმა ლაპარაკი შეწყვიტეს. სამსონი ეზოში ხმაურობდა. აღელვებული იყო თავმჯდომარე, სანამ ტრაქტორთან წავიდოდა, საკუჭნაოდან გასვლის შემდეგ ჯერ კანტორაში შეიარა. ნეტავი რამ ააღელვაო, დაინტერესდნენ ქალები.

— ქალია თუ ვაჟი? — შეეკითხა ალფეზი კანტორაში შესვლისთანავე.

— რა გითხრა, — გამოუტყდა სამსონი. — ეგ საქმე შარშანწინდელი თოვლივით დაივიწყე.

— მაინცა, რა თქვა მაიკომ?

— ნანიტო ამბობს სასტიკ უარს.

— მეხმა დაარბიოს, — მიაწყევლა ალფეზმა. — ვენაცვალე იმ ჩემს ბიჭს, რომ ის ნანიტოა, თუ რაღაცა ნათიაანთ ნაბოლარა, ერთი მაგრად ბურჯღნა და თელა იმ ჩვენ ხატის ჭალამიდა.

— რა სთქვი, შე მურტალო, შე უსინდისო, ნუთუ ნამუსის ქუდი არა-სოდეს არ გხურებია მაგ ოხერ თავზე!

— შეტია ბუხჰალტერს ამბობ.

მიიხედ-მოიხედა. მათ გარშემო ადგნენ კოლმეურნეობის კანტორის დამლაგებელი და ბიბლიოთეკის გამგე, ენატანია ქვრივი ქალი. გაშრა სამსონი. ეს ქალები რომ შეენიშნა, სიტყვასაც არ ამოიღებდა. თავში შემოიკრა ხელები, სკამზე დაეშვა და ფიქრს შეუდგა—რა ეღონა, რომ ხმა სოფელში არ გასულიყო. ვერაფერი მოიგონა ისეთი. შეუძლებელიც იყო, და რატომღაც ერთი სურათი დაუდგა თვალწინ.

მაშინ სულ ცამეტ-თოთხმეტოდე წლის ბიჭი იყო სამსონი. თორებში ეტლით მოვიდა ერთი საკმაოდ ჩასუქებული კაცი. მთელი სოფლის ბალები ყვავილშივე რომ ჰქონდა შესყიდული. მას თან მოჰყვა ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი, თბილისის კომერციული სკოლის მოსწავლე, რომელსაც ხელში დავთარი ეჭირა. შამა შვილს ეუბნებოდა რაღაცებს, ის კი იწერდა. გამოპრანჭული იყო ყმაწვილი. სოფლის ბიჭებს არ ეკარებოდა, მაღლიდან დასცქეროდა ყველას ამილახვარის მემკვიდრესავით. ვაჭარი ათას ცხრაას ჩვიდმეტ წლის გაკოტრდა. მისი შვილი, ალფეზი, ხან მენშევიკურ გვარდიაში იყო, ხან ხილით ვაჭრობდა. შემდეგ თორებში დაესახლა. ყველას აკვირვებდა მისი დაჟინებული „ჰო“ და „არა“. დაუმსახურებლად კი არ ეძახდნენ თორელები „ალფეზ არას“. ეს ალფეზი იყო ახლა კოლმეურნეობის ბუხჰალტერი. რამდენჯერ არ ეცადა სამსონი, მოეხსნა ის, მის მაგივრად სხვა აეყვანა, მაგრამ ამის საფუძველი ვერ ეპოვნა. ალფეზს ალრიცხვა არცთუ ცუდად ჰქონდა დაყენებული, მაგრამ მისი ზნეობისა დღემდე არა იცოდა რა.

დღეს გაიგო და ჭირივით შეზიზღდა. ახლა მიხვდა ყველაფერი სამსონი, თუ რისთვისაც ხარე სამი ახალგაზრ-

და კაცი, რომლებიც მან ბუხჰალტრებად მიიწვია კოლმეურნეობაში, ალფეზმა არც ერთი არ გააჭაჭანა თორებში.

VII

გადიოდა დღეები, ტრაქტორისტმა და მიმბმელმა მანქანა და მთლად აპრიალებული სახნის-საკვეთლიანი გუთნები ბაღებიდან გაიტანეს. დამატებითი საბოსტნე ფართობიც რომ აჰყარეს, სოფლის გარეთა ტრიალ მინდორზე გადაინაცვლეს. ტრაქტორს გუთნები მოხსნეს. გზისპირას დაყარეს. სამაგიეროდ სათესი აგრეგატი მიუბეს. ჭარხლის თესვას შეუდგნენ. ახლა მანქანას ხშირი მიხვევ-მოხვევა აღარ სჭირდებოდა, როგორც ბაღებში მუშაობის დროს. აღარც ფესვები, ტოტები და სარწყავი კვლები იყო მოსარიდებელი. მაგიდასავით მოსწორებული, უბორცვო მინდორი იყო წინ გადაშლილი. ოზეროვსაც ეს ახარებდა. მანქანა და სათესი აგრეგატი ოსტატურად მიჰყავდა, თარაზოთი გასწორებული ხშირი ხაზებით ჩესელავდა ხნულს.

— კიდევ მიწუნებ რასმე? — ჰკითხა ერთხელ რევაზს.

— მომწონს. — დაუფარავად შეაქო რევაზმა ტრაქტორისტი, და შთაგონებულივით, მთლად ანთებული თვალების ცეცებით განაგრძო. — მოწონება და შენი მარჯვენის დალოცვა მაშინ ნახე, როცა ჭარხალში კულტივატორს შემოვიტანთ. უნებურად ერთ ბოლქვსაც არ ამოაგდებს მიწიდან კულტივატორი.

ოზეროვი მიმბმელის ქებით გულში ამაყობდა, თავისთვის იმეორებდა ხშირად — „კულტივატორი უნებურად ერთ ძირ ბოლქვსაც არ ამოაგდებსო“. ტრაქტორისტის ნამუშევრის ამაზე უკეთესი შეფასება შეუძლებელი იყო.

— კულტივატორიც მე და შენ გავატაროთ ჭარხალში, — შეეხვეწა რევაზს.

— გავატაროთ, გავატაროთ, არავის დავანებებ ჩემი ნამუშევრის წახდენას, — დაჰპირდა რევაზი, რომელიც ათესზე ტრიალებდა, თესლსა და სასუქის ფხვნილს აჭმევდა, ეუბნებოდა სათესი აგრეგატის მექანიზმს, ასე ნელა, მაგრამ მკვიდრად უყრიდა ფესვებს მეგობრობის მტკიცე გრძნობა ორი მექანიზატორის გულში. ტრაქტორისტსა და მიმბმელს ამის გამო სჯეროდათ, სწამდათ, რომ მთელ ქვეყნიერებაზე არც ერთი ტრაქტორისტი და მიმბმელი მათზე უკეთ არ მუშაობდა. ხანდახან ოზეროვი გადახედავდა მოსაზღვრე კოლმეურნეობის ჭარხლის, ქერის და პურის ნათესებს. ნამუშევარში შენიშნული მცირე ნაკლიც კი ყალყზე აყენებდა. დაინახავდა თუ არა გაღუნულ კვალს, დაუფშვნელ ბელტებს, ნაღალს, უმომჭირნოდ მოხრილ საქცევებს, ჯავრობდა, თითქოს მას თვითონ არ მოსვლოდეს ასეთი რამ.

— რევაზ, დახე რა უქნიათ იმ ოჯახქორებს (ტრაქტორისტსა და მიმბმელს გულისხმობდა), როგორ დაუზარალებიათ სოფელი და კოლმეურნეობა! მოტყდეთ ხელები! ერთი მუშაობის დროს შევსწრებოდი, მეტი არა მინდოდა რა.

„დამნაშავეებს“ იძებდა. უბის წიგნაკში იწერდა მათ გვარსა და სახელებს. მერე განაგრძობდა:

— ამას არ შევარჩენ, თუნდაც ჩემი ძმა იყოს. გავათავებ თესვას, დავბრუნდები მანქანა-ტრაქტორების სადგურში, და მაშინ იყურონ თავიანთი თამაშა. ოჰ, ოჰ, როგორ შევდგები ზურგზე იმ უბედურებს, როგორ გამოვიყვან საამკარაოზე. შავ დღეს გავუთენებ.

ტრაქტორისტის ასეთ გულისწუხილზე მიმბმელს ეღიმებოდა. კვერს უკრავდა, მეც შენთან ვარ, ერთად შევუტიოთო, გარეთ გაზაფხულია, იმათ დახე, როგორ უმუშავნიათო.

მართლაც, დღითიდღე თბებოდა. შუადღისას, როცა მზე მაღლა იწევ-

და, ცხელოდა კიდევაც. ბალებში კვირტები გამოიკოკრნენ, ხის კანის სურნელებას ნიავი უხვად ერეკებოდა მინდვრად. ზამთრობით მთლად ამომშრალ მეჯუდაში მღვრიე წყალი წამოვიდა, რიყეზე გაიშალა. ეს ბარად და ზემოთ, გორაკების მზიგულებში დამდნარი თოვლის ნაკური იყო. მალე წყალდიდობაც დაიწყებოდა.

ძალო მაიკოს მინდორში ცხელი კერძი დაჰქონდა, მუშებს აჭმევდა. იქვე რუში რეცხდა ჯამ-ჭურჭელს, ჩაალაგებდა ბაგაში და უკანვე ბრუნდებოდა. გადადიოდა მინდვრიდან საბოსტნეებში, სადაც მისი ბრიგადა დამატებით გამოყოფილ საბოსტნეს რკინის ფოცხებით შესეოდა. არიალებდნენ მინერალურ სასუქში შერეულ ორგანულ პატივს, ფშვნიდნენ ბელტებს, მიწას თესლის მოსაპნევად ამზადებდნენ. ნანიტოც ამ ბრიგადაში მუშაობდა. ახალგაზრდა ქალი ანაწილებდა სასუქებს, ამზადებდა ნარევს, თვალს ადევნებდა ნიადაგის ზედაპირზე მის თანაბრად მოყრას.

ძალო მაიკო მეტად უფრთხილდებოდა უმცროს დას, ნამეტნავად სამსონის შუამავლად მოგზავნის შემდეგ. ერთი მხრით, ნანიტოსაგან დაწუნებული, ნაჯიბგირალი, ცალთვალა ჭიჭიასი ეშინოდა — ქალი არ გამილანძღოსო, მეორე მხრით, რევაზი რომ ჯერ გადაწყვეტილს არაფერს ამბობდა, ქალმა თავის თავს არაფერი ავნოს ან ძევრს არ გამეპაროს, ძმებთანო. აკი უთვლიდა ვახტანგი: მაიკო, ეგ ჩემი და აქ, ძევრში, გამომიგზავნე, თორემ ჩამოგივარდები და აგიკლებო. ვახტანგის მუქარა არაფერია. მაიკომ იცის ბოვერია ძმის დაშოშმინების წამალი. სულ დიდი, ერთი მაგარი შემოძახილით მოიყვანს გონს. ვერც აიკლებს და ვერც შეაშინებს ვისმე. საქმე ის არის, რომ ოჯახში ერთ სადარდელს მეორე ზედ მიეწია. გაზაფხულის მზემ დააცხუნა თუ არა, მამამთილს, ერმილეს, გულზე ... და სულისხუთვამ უმატა. ... ერთთავად დუმდა. სინანულ, მიმრეტილ თვალებს უაზროდ აცეცებდა. შარაზე პირუტყვს გზას ვერ უქცევდა. ამას წინათ კოლმეურნეობის კამეჩის კურომ კინალამ რქებზე წამოიგო ერმილე. იმ დღეს კი ბეღლის კარი გაეღო, შიგ სახრეს უსუსურებდა.

— მამამთილო, მაგას რას შვრები?— შეეკითხა მაიკო.

— ზაქი მინდა გამოვრეკო, — გასცა ხმა მოხუცმა.

მაიკოს ენა დაება, ცრემლები გადმოცვივდა ღაპალუპით. აბა ზაქს ბეღელში რა უნდოდა. ჩანდა, მოხუცი ნელ-ნელა კარგავდა გონებას და თავდავიწყებას ეძლეოდა, მალე ცნობიერებაც უღალატებდა. ამასთან, მოსვენებაც დაეკარგა მოხუცს. ღამღამობით, ძილში ბოდავდა. თავის კარგა ხნის წინათ გარდაცვლილ მეუღლეს ეძახდა, მოიცა, მეც შენკენ მოვდივარო. ეს ნიშნები იმას მოასწავებდა, რომ მამამთილი სწრაფად უახლოვდებოდა სიცოცხლის საზღვარს. დღეს თუ არა ხვალ, ხეზე ყვავილ-ფოთლის გაჩენამდე, დიდი, დიდი, ნაყოფის ჩასახვამდე ერმილე სულს განუტევდა.

ერთ დილით მოხუცი ძალიან ადრე ადგა, ტყაპუჩა ჩაიცვა. დილით, განთიადზე ბოსტნებისაკენ წავიდა. იქ რძალი, შვილი და შვილიშვილები ეგულებოდა. მაიკოს გამოუცხადა, ახრისში გათხოვილ ქალთან სტუმრად წასვლა მინდაო. ერმილე იმ დილით ჯანიანად გამოიყურებოდა. ხუმრობდა, ქალებს უწმაწურ შაირებს დაამბებს მოუთხრობდა. მერე პატარა ხნით სამუშაოსაც წამოკრა ხელი. ხან ფოცხით მიწას ასწორებდა, ხან რუს სწმენდდა თოხით. მაიკომ მამამთილი და ნანიტო შინ დააბრუნა. მოხუცი დას ჩაბარა — ახრისში წასასვლელად მოემზადებინა. თვითონ ისევე ბოსტ-

ნებზე გავლით მუშებს სადილი წაუ-
ლო ტრაქტორზე. შინ დარჩენილი ნა-
ნიტო დატრიალდა. მეზობლის ბიჭუ-
ნას დალაქი მოაყვანინა. სანამ ის სა-
მართებელს პირს აუწყობდა, მოხუცს
გაპარსავდა და გაკრეჭდა, საარყე
ქვაბით მეჯუდის წყალიც გაათბო.
მოხუცს თავი დააბანინა, საცვალ-
ტანსაცმელიც გამოუტანა. გამო-
ცოცხლდა ერმილე. სტუმრად წასვ-
ლის ხალისი მის სისხლისაგან გამომშ-
რალ ძარღვებს და დამჭკნარ სხეულს
რაღაც უცნაურად აღელვებდა და
ახალგაზრდული აღტაცების იერს
ჰფენდა. ხედავდა რა მოხუცის ასე
გამხიარულებას, ნანიტოც გულით ხა-
რობდა. ახალგაზრდა ქალს სიამოვნე-
ბას ჰგვრიდა ის, რომ ამ საზეიმო წუ-
თებში, იქნებ სიხარულის განცდის
უკანასკნელი შემთხვევის დროს,
მოხუცს უსრულებდა ყოველგვარ
სურვილს. დაუკერებდა ღილს, ქუდზე
ზონარს მიუბამდა ან ჭრელ ცხვირსა-
ხოცს მიაწოდებდა. მათი სიხარული
ნაგაზ თათიასაც ედებოდა. ძაღლი
ორივეს ფეხებში ებლანდებოდა, ყეფ-
და, ხტუნავდა, ნავარდობდა, ხანაც
კბის კალთაში ეწეოდა ნანიტოს. ამ
ყოფით შუადღისას ქალი საქმეს მორ-
ჩა. მოხმარებითა და ყურადღებით
მოხიბლული მოხუცი კმაყოფილად
თავისთვის ლაპარაკობდა: გაიხარე,
გაძლიერდი, გამრავლდი, ქალობა გის-
რულოს, დაბერდი.

როცა ყველაფერი მზად იყო, მო-
ხუცმა ძველებური ყარაჩოხული ფარ-
თო შარვალი ჩაიტნია მაიკოსაგან
მოქსოვილ, თეთრად ქათქათა წინ-
დებში. შავი პაჭიჭებით კოხტად შე-
მოისხიპა წვივები. ჩადგა ფეხები ტყა-
ვის საძირე-სამოგვეებიან წაღებში,
ბატის ფრთით შეისკვნა მოკლე, ნეკ-
ნების ძირას ნაოჭშემოყრილი, უკვე
გახუნებული ატლასის ახალუხის
ღილკილოები. ზედ მუქლურჯი ყარა-
ჩოხული ჩოხა გადაიცვა, შემოიჭირა
ავეანდიანი ხამის ღვედი. ახალგაზრ-
დულად კეფაზე კოკორა თუშური
ქუდი გვერდზე მოიგდო. — წინ სამაჯ-
გი ჯოხიც რომ იპოვნა, უკვე მზად
იყო წასასვლელად.

სახლის კიბეზე ამაყად გავიდა. ზე-
მოდან პირველ საფეხურზე დადგა.
თვალი მიმოავლო სოფელს, სახლ-
კარს და ფეხის გადადგმის წინ სახეზე
ჯვარი გამოისახა. მერე შეეხვეწა ნა-
ნიტოს — შენ გაზრდას, ბარეღამ მოკ-
ლე გზით მეჯუდის რიყეზე გადამიყ-
ვანე, ბაღების ბოლომდე გამაცილეო.
ნანიტომ მაშინვე გამოიხურა კარი.
თვითონაც, ბოსტნებისკენ მიმავალს,
გზა იქით ჰქონდა. ამიტომ თათია მის
საყვარელ სადარაჯო პოსტზე — სა-
ხურავზე შეაგდო, ხომ ხედავ, შინ მარ-
ტო შენა გტოვებო, და, როცა ძაღლი
ლავგარდნის კიდეზე გამოიჯგიმა, მი-
მავალთ გულდაწყვეტილი წკმუტუნი
გააყოლა, ნანიტოც ამოუდგა მხარდა-
მხარ ერმილეს. მალე გაიარეს რიყე,
გალიეს ფშატის ორღობეები. ზედ მია-
დგნენ თორების სასაფლაოს. ერმილე
ნიშთან მივიდა. ნანიტომ შენიშნა, რომ
მოხუცმა ჯიბიდან ერთი ციცქნა წმინ-
და სანთლის ნაჭერი ამოიღო, ნიშზე
დააკოსა. ამის შემდეგ საფლავის ქვებს
შორის აბორიალდა. ხან ერთ ქვას დაუ-
კაკუნებდა ჯოხის წვერს, ხან მეორეს.

— დაიხსომე, ვინ იცის, დაგვჭირდეს,
— უხსნიდა ახალგაზრდა ქალს. — აქ
მამაჩემია, აქ დედაჩემი. აქ ის საწყალი
ჩემი დედაკაცი, იმ შენი დის დედამთი-
ლი. იმ სამარალოს სამარე კი ვეღარ მი-
მიგნია. დროით ქვა ვერ დავადეთ. ასე
იცის მიტოვებულ, ბოლომდე მიუყ-
ვანელმა საქმემ, თორემ რა იქნებოდა
ერთი ლოდი დაგვედო ზედა?!

— ვისი სამარე, პაპა? — შეეკითხა
ნანიტო.

— ღილილოსი, — თქვა მოხუცმა, და
ერთის წუთით მის თვალებში ნაპერწ-
კალმა იფეთქა, ღაწვზე ცრემლიც კი
გადმოუგორდა. — ღილილოსი, ღილი-

ლოსი! მოგონებადაც კი არ ღირდა, მაგრამ იმ სულგანათლებულს კარგი ბიჭი გამოუვიდა. ახლა, გინდა არ გინდა, ღირსეული შვილის დამბადებელს, გამჩენს მოიგონებ. კაკლის ნერგის ძირას გაჩერდა, რამდენჯერმე შეათვალიერა ხე და ადგილი.

— რა ვქნა, მგონია აქ უნდა იყოს ლილილოს სამარე, — ხან იქით გადადგა ფეხი, ხან აქეთ. ჯოხი კი გარკვევით ვერსად დაჰკრა მიწას, რომ ეთქვა, ნამდვილად აქ არის მისი სამარეო.

— რევაზს უთუოდ ეცოდინება, — ჩაულაპარაკა ნანიტომ.

— ალბათ კაკლის ნერგიც მან დარგო, თორემ სხვა ვინ მოიფიქრებდა ამას, ან რად გაახსენდებოდა იმ საბრალოს საფლავი სხვა ვისმე? — ჩაიბურტყუნა მოხუცმა.

ახალგაზრდა ქალმა თვალი მოარიდა მას. მაგრამ მალე მოხუცმა რძლის სამარის ძებნას თავი დაანება. ნანიტოს მკლავში ხელი მოავლო, მიიყვანა ჯაპანაშვილების კერძ სამარხთან, თავისი მშობლების სამარის ქვების შუა გააჩერა, ხელები აღაპყრო.

— აქ მო, შვილო, ნანიტო. ჩემი მამაპაპის და ხვალ თუ ზეგა ჩემს საფლავთან დამილოცნიხარ ვისი შვილიცა ხარ და ვისი შვილების დედაც გახდები. წალმა და წალმართიანად გეწინამძღვროს შენი მომავლისათვის. თორმეტი ვაჟი და თორმეტი ქალი მოგცეს, ბედი და ბედნიერება არ მოგაკლოს ზენაარსმა. ჩემი რძალი მაიკოც დამილოცნია შენთან ერთადა. მოხუცი არ დამაგდო, გამიტანა, შვილზე ამაგი სიმწარედ არ მიქცია, სიცოცხლე სანანებლად არ გამიხადა. სამარის კარამდე შეურცხვენლად მიმიყვანა. ახლა გასწი საბოსტნეებში. იქ შენს ბრიგადას მოეხმარე. მე კი მშვიდობით, ერთი იმ ჩემს გოგოსაც ვნახავ და მეტიც ალბათ ალარა მიწერია რა...

ერმილემ საასფლაო გადაიარა. მინდვრების შუაგულზე ეულად, ალმართულ ჭადარს მიაშურა. იმ ხეს მახლობლად რუხრუხებდა ტრაქტორი. ნიკოლოზ ოზეროვი და რევაზი ჭარხალს თესდნენ. მაიკოს თავსაფარიც თეთრად იქ ფრიალებდა. მუშას სამხარზე მოუსწრო.

ჯერ გამოუსვლელ ჭადრის ქვეშ მაიკომ ბრეზენტი გაშალა ხალიჩასავით. გადააფარა შუაგულზე თეთრი სუფრა. დაარიგა შოთები, სუფრაზე დაყარა გაღოჯილი, მწვანეფოთოლგამოყრილი ხახვი. ქაშანურის ჯამებში მუშებს პური ჩააფამვრინა, ბოდიშ-ბოდიშით ჩამოარიგა ჩამჩით მახოხი.

— არა უშავს, — გამოყავდა ის ოზეროვს, — ქართული ანდაზაა: თუკი გშია ზაქარია, ცივი „ჩადი“ შაქარია. საღამოზე „გვაჩამე“ უკეთესი „სამასპინწლო“.

— მაშ რა ვქნა, გაზაფხულია, — კვლავ ბოდიშობდა მაიკო. — დედლები ზოგნი მოკრუხდნენ, ზოგნი კვერცხს დებენ, მამალი ბოტავს, არ იქმევა ახლა. ამჯერად სამწვნედ ისევ მახოხის წამოღება ვარჩიე. ჯერ ეგ მიირთვით, გემრიელსაც ახლავ გაქმევთ.

და როცა მუშებმა კოვზები აამუშავეს, მაიკომ აბგიდან კვამლზე საკმეველივით ჩაყვითლებული ლორი, მოხარშული კვერცხები, პილპილნიახურის სახურებელში დაწნილებული კომბოსტო და კიტრები ამოალაგა. მერე ვამლიც დაახვავა. მუშებთან ერთად სამხრის მიღება სცადა პაპა ერმილემაც. მან აქეთ ახრისში გზად მიმავალმა განგებ გამოიარა. ნამუშევარს ვნახავ, ყანის მუშის ხმას გავიგონებ, იქნება ლუკმაც გადავაგორო ყელშიო. უკანასკნელ დღეებში მოხუცი შიმშილობდა. საჭმელს თითქმის ვეღარ ჭამდა, ხშირ-ხშირად გული ერეოდა.

— ახირებული ხარ, ძალო მაიკო, — უსაყვედურა ქალს ოზეროვმა. — რასა

ჰგავს, არ მესმის, ამოდენა ხანი აქ თქვენს ფართობებში ვმუშაობ, ნანატრი ჯერი მოგაქვს ყოველთვის. მწარე არაყი კი ერთხელ არ დაგვანახვე, თუნდაც ლიმონათის ბოთლით. ღვინო ხომ ისე გააწყვე, თითქოს მისი დალევა თორეების საყანეებში ცას აეცრძალოს მუშისათვის. საღამოს კი, ვახშმად, როცა მიწასთან ნაომარ ხალხს არაქათი აღარა გვაქვს, თვალები გვეხუჭება, ერთი ძილი ერთ ლამაზ ცოლად ღირს, ერთსაც და მეორესაც გვაძალებ.

— ცომი ამოგეკრა შენა, კოლა, მაგ მალინდარა თვალებში, მაგისთვის გინდა დამზრახე, გინდა არა. ჩემთვის დიდი ფასი არც ერთს აქვს, არც მეორეს. ჩემს წესს ვერ გადავუხვევ. მაშინ მაგინე, თუ შენს ცოლს შინ ხორცდაკარგული, გამხდარი, არაქათგამოლეული მიუხვიდე და წიხლი გკრას, სად დაკარგე ჯანიო. სასმლით ატაცებული კაცის ნამუშევარი მძაგს. არაყით გაბრუებული მუშა სანადიროდ პურით გატყუებულ მწევარს მაგონებს. აბა, რა კურდღელს დაიჭერს? საღამოს კი რამდენიც გინდათ ინებეთ, მაიკო მოგიკვდეთ, თუ რამე დაგაკლოთ, ან სასმელი ან საჭმელი.

— იმ ქვიშხურის თეთრს როდისღა დაგვამთავრებინებ? — არ მოეშვა ტრაქტორისტი. — ჰაი, ჰაი, როგორ ნაპერწკლებს ისვრის. მოიყუდე, სვი და სვი... ვერ მოიცილებ პირიდან ჭურჭელს.

— იჰ, ერთი ფუთიც არ ჩამისხამს ქვევრში. ყურძნად გავუშვი ხელიდან.

— არა მჯერა, ძალო მაიკო. იქით ნანიტო გყავს დასაქორწინებელი, აქეთ მაზლისწული. მამამთილიც ძალზე დამწიფებულა. დავიჯერო, თადარიგი არ გაგიწევია?

— ახლის მოსვლამდე ყველამ მომიცადოს, — აიცილა თავიდან პირდაპირი პასუხი ქალმა, თანაც მოჭუტული თვალით ალმაცერად გახედა ტრაქტორისტს. — შენ რა არაკებს და ქარაგმებს მოჰყევი. აქ ხვნა-თესვას უყურებ, თუ ქორწილებზე გამთგიჭიმავთ თვალები?

— ამ შენმა მაზლისწულმა იკითხოს, თორემ მე რა მიჭირს! გვრიტებივით ცოლ-შვილი მყავს ქვემოთ რეჟებში. ქართველი გოგო მერგო, მაგრამ როგორი! ყველაზე უარესი კი არა, შავთვალა მშვენიერთა შორის.

— ძალო მაიკო, შემოდგომამდე გინდა მამარხულო? — ჩაურთო რევაზმა. — სიზმარი რომ არ აგიხდეს, მაშინ რას აპირებ? შორს სიარულით დაღლას, არ გერჩია, სამხარი ნანიტოსათვის გამოგეტანებია? ნაკლებ გემრიელი იქნებოდა თუ...

— ცხელი მახოხი პირს დაწვავდა. ის სირბილით გამოსწევდა თქვენკენ. მე კი აბა სადღა მიმეჩქარება ჩემი ყარაჩის პატრონ ქალსა. დინჯად დავდივარ. შინიდან წამოღებული ჯერი ბოსტნებზე გადმოვატარე, ბრიგადას დავხედე, მერე აქეთ შემოვუხვიე. ნანიტოსაც დაეხსენი. კბილი ნუ დაადგი იმ გოგოს. ამ საღამოს თავის ძმებთან მიდის ძევრში სამუდამოდ. ჩემი საშუალო ძმა, ვახტანგი, მოვა და წაიყვანს. თუ ბიჭი ხარ, გზაზე გადაუდექი. ვიყურებ შენს სეირს. აგერ ვახტანგიც მოდის.

ყველამ მიიხედა ძევრისაკენ. მართლაც, კირბის საბჭოთა მეურნეობის მხრიდან, აქეთ, თორეებისაკენ, შენიშნეს მომავალი კაცი, რომელიც სულ მალე თავზე დაადგა მუშებს.

— სიარულით გამოგიცანი, ბიჭო! — მიაგება ძმას სიტყვა მაიკომ.

— გაამოთ, გაამოთ! — იყო ვახტანგის სიტყვები.

წამოდგომა არავის აცალა, ხელი ჩამოართვა ყველას, სუფრას მიუჯდა.

— ულვინოდ მუშას პურს როგორ აჭმევ? — უსაყვედურა დას ვახტანგმა. — მთლად დედაჩემს დამსგავსებიხარ. იმ განსვენებულმაც აგრე

იცოდა. სადილ-სამხრად თუნდაც სამკალში შეწევნილ მუშას ლიახვს ასმევდა.

— მერე რა ცუდი სასმელია? — ჩაურთო მაიკომ.

— სამაგიეროდ, საღამოთი ყველა აზამბარში გამოჰყავდა. დაუთრობელს არავის გადააბიჯებინებდა გარეთ სახლიდან.

— მაგას მეც აგრე გიზამთ ამაღამ, — და თვალი გაჰკრა ტრაქტორისტს. ასე, უსიტყვოდ უთხრა, ახლა ნაღდია, ამაღამ გასმევ ქვიმხურის წვენსაო. ისევ ძმას გამოელაპარაკა. — მაშ იმ ხასიათით ის ნათელდამდგარი დედა-ჩემი არ ვარგოდა? ერთი სხვამაც მასავით დაიკვეხოს, თერთმეტი ქალ-ვაჟი გავაჩინე, ყველა შევინარჩუნე, დავბინავე და მშვიდად მძინავს სამარეშიო!

— ნანიტოზე კი აგვაღებინე ხელი! — თქვა ვახტანგმა.

— თუ არა მნდომბთ, ადექი და წაიყვანე ძევრში, ვითომ რაო, რომ საქმე გააჭირეთ მოციქულებით, არიქა გამოგზავნეთ, გამოგზავნეთო?

— შენა, დაო, — სიცილით უთხრა ვახტანგმა, — შინისაკენ გასწი მალე. ხომ ხედავ, სადაც არი, მზე ჩავა. ორი თვეა მიწას ვებრძვი ტრაქტორით. ერთი ყუათიანად გამოძინება მენატრება, ძარღვები შამხანას ზუმბასავით გამიხევდა. დღეს განთიადზე გავათავე მანქანით დასამუშავებელი საქმე. ტრაქტორი სადგურში ჩავაბარე შესაკეთებლად. საღამომდე აქ ბიჭებთან დავრჩები. დავისვენებ. იქ კი ვახშამი შენი ნამუსის საქმე იყოს. ოღონდაც ხორცზე კბილი დამადგმევინე და თუნდაც მამალ ინდაურს გააგდებინე თავი, მახოხი არ დამანახო. ხვალ დილით ავდგები, წავიყვან ნანიტოს, და ჰა და ჰა ძევრისაკენ!

მაიკომ მაზლისწულისაკენ გააპარა თვალი. რევაზს სასხლი ავარდნოდა სახეზე. თვალები ბუდეებიდან გადმოვარდნას უპირებდნენ. აღარ იყო ამ თავს ბიჭი.

— ნანიტოს ვერსადვერ გაგატანა — უჩვეულო მაღალი ხმით, მაზლისწულის გასაგონად უთხრა დამ ძმას. — ვახშამი და ხვალ საუზმე კი ჩემზე იყოს. ერთი ამას დამიხედეთ! მაიკოს თქვენზე ნაკლებად სტკივა გული იმ გოგოზე? ან თქვენზე ნაკლებ ნაამაგარია მასზე? ვიცი, ვიცი, შეგიჯდა მხარში ის ჩემი რძალი, შენი ცოლი, შემოგიკიდა წაჯექუკუჯექის ცეცხლი, ჰა? ხომ ასეა? ჩემმა იმხელმ, ჩამოვარდებოდი ძევრში, ერთი ჰაჰარას ავუტეხდი, მაგრამ იმ შენი პატარა გოგოს ხათრი შევინახე. ნათიანთ ქალების ჯიშზე მიდის. სიმალლით სულ შენა ხარ გამოცხადებული, თმა და თვალი ჩემი აქვს. ამიტომ მიყვარს, იმას დავნაცვლოს მამიდამისი. მაგრამ რად გინდათ თქვენ შვილი? მოვლა იცით განა? კინალამ ჩირს გააგუდვინა იმ დამწვარმა დედაიმისმა ის მარმარილოსაგან გამოთლილი ბავშვი. ახლა როგორ არის? დედა, დედა, თურმე რა ცოდოს უნდა შევსწრებოდი.

— მივუსწარით და ის იყო, თორემ ვაი ჩვენი ბრალი, კინალამ მართლა ხელიდან არ გამოგვეცალა გოგო?

— ჩირი როგორ ჩაუგდეთ ხელში ბავშვსა, ჰა? აწი მაინც დაიხსომეთ, გაფრთხილდით. ქალი ხომ არ მიზეზობს?

— რაღად გვინდა, — გაიცინა ვახტანგმა. — მე და იმ შენმა რძალმა ქარხანა დავკეტეთ. ბავშვი აღარ გაგვიჩნდება.

— მით უმეტეს, ფრთხილად უნდა ყოფილიყავით. დედაჩემის დარიჯაკში უნდა გაეცლო იმ ჩემს რძალს. კარგი მაშინ იქნებოდა. ბავშვი რომ დაღუპოდა, სად უნდა დამმალოდა, მიწაში მოვთხრიდი, თმიდან გავცლიდი, გაგყრიდით, გაგყრიდით!

— რა მიშავდა, ახალს, უფრო ახალ-

გაზრდას შეეცრთავდი, — გააცელა ვახტანგმა მაიკო.

— რაო, შენ იმ ჩემი რძლის ღირსიც არ იყავი, არა ხარ და ახალს ვინ მოგაქვავებს. იმას დაჰბერე კეთილი სული, თორემა...

მაიკომ სახრეს წამოუსვა ხელი. ვახტანგმა უგვერდა.

— ერიჰა, რძალო, მულო! — აყვირდა ძმა, — ვიხუმრე-მეთქი, მაიკო. ვიხუმრე!

მაიკომ ჭურჭელი აბგაში ჩაალაგა. ის-იყო წასვლას აპირებდა, რომ ვახტანგი მრისხანე სახით გამოელაპარაკა:

— მითხარი, ვინ არის და რა კაცია ის ცალთვალა?

— ერთი წყალწაღებული ვინმე.

— იცი თუ არა, რა დაუტრაბახია? იქ ძევრში ჩამოვიდა ხმა. კალიასავით გავგლეჯ.

— ვიცი, ვიცი, რა გაეწყობა. ჩემი და წმინდა არის ნამივითა.

— გინდა—მეორე თვალს მოვთხრი.

— შენ შენთვის იყავი, ჭკუიანად. გოგომ დაიწუნა, და რატომ მეტად არ გალანძღავს?

ვახტანგმა ბრეზენტი ოთხად დაკეცა. დააგო. სასთუმალთან რაღაც დაიდო, ოზეროვის და რევაზის მაზრები მიიფარა და მალე ხვრინვა ამოუშვა. ერმილე ახრისისაკენ წაჩოჩიალდა. მაიკომ ბრიგადას გამოუარა. შინ დაბრუნდა, ვახშმის სამზადისს შეუდგა. ნანიტო ეხმარებოდა.

შუალამემდე გასტანა ვახშამმა. სუფრას ყველა უჯდა, პაპა ერმილეს გარდა. რევაზის სახლში ისხდნენ.

დილით ძმას უარი უთხრა მაიკომ ნანიტოს წაყვანაზე. ცარიელი გაისტუმრა შინ.

— ეს გოგო ცოცხალიც ჩემია და მკვდარიც. მაგის გათხოვებაც ჩემია და დასახლებაც, — შეუთვალა დედულეთში ნათესავებს.

ნანიტო ამ უარმა ცას დასწია. მის აზრში თავისთვის რაღაც საიმედო მომავალს გრძნობდა. მაიკომაც ტყუილად ხომ არ გამართა ვახშმის ხუთრა რევაზის ლამის აგურით ნაგებ სახლში. ესეც ბევრ საიმედო რამეს ეუბნებოდა ახალგაზრდა ქალს.

VIII

დღითიდღე მკვიდრდებოდა მშვენიერი გაზაფხული. კოლმეურნეებმა საკარმიდამო ნაკვეთებშიც მოათავეს საბარავი. გაიღვიძეს შემოდგომის ნათესებმა. მიწაში თბილად გამოზამთრებულმა პურის მარცვალმა ერთბაშად ამოყარა ზემოთ წიწვისებური ნემსა ბუსუსები. დაკოჟრილ კვირტებს გარს შემოასკდა ზამთარში ბატის გერმისებრ რბილი და თეთრი, ხოლო გაზაფხულზე მიხაკისფერი ხოჭოჭა სუდარა. ჭალაკებში, ქარაფებზე, ბაღის საწაპიროებზე, ხურგებში ოქროსფრად აბრდღვინდნენ შვინდები, წითლად იწვოდნენ ატმები. ბუჩქის ძირებში, სტეებზე და ყველგან ხელუხლებ მიწაზე უხვად ამოქარგულიყვნენ ია, ფირსელა, ქორჩიოტა და ათასი სხვა ყვავილი, რომელთა სახელი ხშირად ცნობილი არ არის. მეჯუდის ფართო რიყეზე მღვრიე წყლის ტოტები ქმნიდნენ კუნძულებს, ნახევარკუნძულებს, ქაფქაფა ჩანჩქერებს, მორევებს, მაღლა მთებშიც იწყო თოვლმა დნობა, ხანდახან ცა მთლად გაიწმინდებოდა ღრუბლებისაგან. მაშინ თორებიდან პირდაპირ მოჩანდნენ კავკასიონის თეთრი მწვერვალები.

რევაზი და ნიკოლოზ ოზეროვი კიდევ ჭარხალს თესდნენ. როცა ამინდი ამ კულტურის თესვის ნებას არ იძლეოდა, ან მიწა ძალიან აზელილ და სველი იყო, ან წვიმდა, მაშინ მექანიზატორები სასიმინდე ყამირს ეცემოდნენ.

ეს დაგდებული მიწა, საკმაოდ დიდი ფართობი, თორების საყდრის გარ-

შემო რომ მდებარეობდა, სახატო იყო ოდესღაც. კოლმეურნეები, აქაო და სახატოზე სოფლის ნახირს, კოლმეურნეობის ფერმის პირუტყვს ვაძოვებთო, არ ხნავდნენ მას. ნამდვილად კი საძოვრად არ ვარგოდა. უწყლობისაგან გამხმარი მინდორი ბუჩქნარ-ძეძვით იყო გადავლილი.

ძალო მაიკომ შარშან, ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი წლის სექტემბრის ბოლოს დაადგა მას თვალი, როცა კოლმეურნეები ამ თვის პლენუმის დადგენილებას კითხულობდნენ. სანამ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე ამ მიწის დამუშავებაზე რამეს იტყოდა, შინ ქმარს მოეთათბირა.

— ხატის მიწის დამუშავება მინდა შევიტანო წინადადებად. შენ რას მირჩევ, ყარაჩა? — ჩამოუგდო თადეოზს სიტყვა.

— მხარს დაგიჭერ, — მოკლედ მოუჭრა მან. — ცდება მიწა და რა მიწა. აბა, ის გამოიღებს მოსავალს. არც მახსოვს, რამდენი წლის ნასვენებია. ოღონდაც არ ვიცი, დაგეთანხმებიან თუ არა კოლმეურნეები.

სწორად განჭვრიტა თადეოზმა. საუშაო გეგმის განხილვისას მაიკოს წინადადებას, ხატის მიწა მოვხნათო, ზოგიერთები წინააღუდგნენ, ერთმა შეშინებულმა წამოიძახა:

— აჰა, პა... პა... ხატის მიწაში როგორ შეიდეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა. მაიკომ მამამთილი ერმილე მოიშველია. მოხუცი კუთხეში იჯდა. მაიკომ ბევრი აღარ აცალა.

— სიტყვა ხატის მიწაზე ჩემს მამამთილს აქვს, — განაცხადა.

გადაჯდა კიდევაც მის გვერდით კუთხეში. რძლის მიერ სიტყვაში გამოწვევა მოხუცს ეუცხოვა, მაგრამ მიმოიხედა. კარგა ხანს ჭერს მისჩერებოდა, თითქოს ეუბნებაო ღმერთს, იქნებ მანდ, ცაში, გაიგონო, რასაც ვიტყვი. მაგრამ რა ვუყოთ, მე, აქ, მიწაზე, მაინც ჩემს საქნარს ვიზამ, რაც შენთან გეახლები, თუნდაც ცხელ კუპრში მომხარშეო.

— აბა, მოსავალი იქ მოვა! — თქვა ნელა. — მახსოვს, მე თვითონ მეხრედ ვყოფილვარ. მღვდელი, დიაკვანი და ბლაღოჩინი ხნავდნენ იმ მიწას. ეფისკოპოსის ნათესავებიც კი ეპოტინებოდნენ. მნათემაც აკი იმ მიწით წამოიდგა წელი. მოგეხსენებთ, ამით მათ შვილსა და შვილიშვილს ის „გაუჭირდათ“, რომ ზოგი მასწავლებელია, ზოგი „იჯინელი“, ზოგი მეტიცა, აი „პრაპისორს“ რომ იტყვიან.

— მართალია! — დააწიეს ბანი ერმილეს მოხუცებმა.

ახალგაზრდებმა ტაში შემოკრეს. გადაწყდა. გეგმაში მოექცა ხატის მიწის დამუშავება. იქვე დაადგინეს, ნასაყდრალის მიდამოში ამოსულ, ოდესღაც მნათის მიერ მოშენებულ თელიანს არ შეხებოდნენ. სექტემბრის გასულს კოლმეურნეებმა სახლტე გამოტყორეს. აგაზეს ძეძვი, ბუჩქნარი, საშეშე და საღობი წნელი გაიტანეს. დანარჩენი ჯელღი და წკირ-ქაცვი დაწვეს. ესიყო, ადრე დაზამთრების გამო მოხვნა ველარ მოესწრო. ახლა გაგანია გაზაფხულზე, იქ, ხატის მიწაში, მუშაობას ხელს ძრ უშლიდა ლაფი და წვიმა. ამიტომაც, როცა სხვაგან მუშაობა მოუხერხებელი იყო, რევაზი და ნიკოლოზ ოზეროვი სახატეში გადადიოდნენ. სამუშაო ძნელი გამოდგა. ძეძვის ბოლქვისებური, უფესვო ძირკვები კაცის სიმაღლეზე გარჭობილიყვნენ ქვესკნელში. ტრაქტორს საპლანტაჟე გუთნები მიუბეს. მოსდეს სახატეს ნასვენ ნიადაგს მძლავრი სახნელ-საკვეთლები. გასწია ტრაქტორმა, მაგრამ რა გასწია! ძაგძაგებდა ფოლადი, ცეცხლს ყრიდნენ მისაბმელის ღრიჭოები. ტრაქტორის უკანალზე წამომჯდარი რევაზი ერთი წამით არ აცილებდა თვალს კეტებს. საამური სანა-

ხავი ფყო მანქანის და ყამირის ჭიდილი. ძირკვები ყირამალა იპლაკებოდნენ. საფლავის ლოდის ოდენა შავი ბელტის გორებს მაღლა ისროდნენ გუთნის ფრთები.

— რევაზ, ჰა, ბიჭო, ოდნავ მაღლა აუწი კეტს. ხატის მიწისათვის მანქანა არ შემაწირვინო, — ეხვეწებოდა ტრაქტორისტი მიმბმელს,

— შენ მანდ მექანიზმს უგდე ყური, მანქანა მშვიდად, გუნებიერად მართე, ისე, თითქოს გემი მიცურავსო, ჩემკენ ნუ იხედები. აქ მე ვიცი. მე რომ მოსავალი მინდა ამ მიწაზე მოვიყვანო, მას ასე მოხვნა შვენის.

— ვიცი, განა შენზე ნაკლებ ვზრუნავ მაგისათვის? მანქანა არ მინდა დავამსხვრიო-მეთქი.

— გასწი, გასწი, დააწექ მუხლუხებს, გაუძლებს, თუ არა და კოკა წყლის გზაზე გატყდება. მის დიდებულებას ეგეც შეეფერება.

ბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი,
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას.

დასვენების დრო დადგა. ოზეროვი ძირს ჩამოვიდა. ხნულის ნაპირა კვალში ჩახტა. ვეება ტანის ვაჟკაცი მუხლებამდე დაიმალა თხრილში.

— მაგ ლექსს ვიცნობ, მიყვარს კიდევაც სწორედ ეგ სტრიქონები.

— საიდან! — გაიოცა რევაზმა, — შენ ხომ რუსი ხარ.

— ხანდახან ჩემი ცოლი იმეორებს ხოლმე. უთუოდ სკოლაში ისწავლა. მე ვუსმენ. კარგი ლექსია. ერთხელ მეც წავიკითხე წიგნში. თუმცა ასოების ამოთვლა ძალიან გამიჭირდა.

არ ვიცით, სად დაიბადა ნიკოლოზ ოზეროვი. მაგრამ ვიცით, რომ დავაჟკაცდა ის კახეთში. იქ ისწავლა ტრაქტორისტობაც. ორდენები, რომელთა მკერდზე გაკეთება ძალიან ეხალისებოდა და თორელებსაც მოსწონდათ, ომში ჰქონდა მიღებული. ოზეროვი ნოეროსიისკთან ბრძოლაში დაიჭრა. ცეცხლის მეგობარ ერთ რეხებელ ქართველ ვაჟკაცთან ერთად სოხუმში მკურნალობდა დიდხანს. კახეთში დაბრუნებისას სკრის სადგურზე ჩამოხტა. ამხანაგს გაჰყვა რეხებში. იქ ისვენებდა, იშუშებდა ჭრილობას. ძალიან მოუხდა ქართლის ჰაერი. რეხებელი ქალიც შეირთო, ბინა გაიჩინა. მერე ახალპირის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში დაიწყო მუშაობა. ქართული წინათაც, ომში წასვლამდეც, ეხერხებოდა. ახლა ხომ თითქმის ქართველივით თავისუფლად ლაპარაკობდა, გარდა იმისა, რომ წ-ს, ძ-ს, ჭ-ს ქართულად ვერ წარმოთქვამდა.

— მაშ ამაზე შევთანხმდეთ, — გააღვივა საუბარი მიმბმელმა. — ის მანქანა, ის გუთანი, ფესვის ამოგდებას რომ ვერ შეძლებს, სჯობს გატყდეს. ოღონდ ადამიანის დაუდევრობით არა უნდა მოეწიოს რა მანქანას.

— მართალს ამბობ, ძმობილო! — გაეცინა ოზეროვს. — ჩემმა მზემ, ამოდენა ხანია ტრაქტორისტი ვარ, ფრონტზე სატვირთო ავტომობილიც მიტარებია, სატანკო ატაკაზე დავჭრილვარ, ბევრი თავდადებული ამხანაგიც მყოლია, შენსავით კი, რევაზ, ბიჭი არ მომწონებია. დამასახლე შენს მახლობლად სადმე. ვერ გავძლებ აწ უშენოდ, მიმბმელო!

— დასახლებული ჯერ მე თვითონ არა ვარ. ირავოდ დავალ... — ჩაიბურტყუნა მიმბმელმა.

— ხა... ხა... ხა... ქალის შერთვა გწადია?

— მა რა, სულ ასე ცალუღელა ხომ არ დავრჩები!

— მერე ხელს ხომ არაფერი გიშლის? ერთ დასვენების დღეს ჩემთან ერთად წამო რეხებში. ჩემი ცოლის ბიძაშვილთა შორის რომელ გასათხოვარ ქალსაც გინდა, ხელი დაადე. წა-

მოგყვება უყოყმანოდ. შენი მეუარე არავინ იქნება.

— ეგ არ შემიძლია, თორემ გასათხოვარი ქალი სხვაგანაც ბევრია.

— გვიწუნებ რეხელებს?

— რა სათქმელია!

— მაშ რა გიდგას წინ?

— ეგ ძალო მაიკოს ჰკითხე.

— მივხვდი, — შეხტა ტრაქტორისტი. — ნანიტო ხომ არ გინდა, ბიჭო? „ბასტა“, ამორჩევა გცოდნია. მართლაც იმისთანა ქალი რეხებში არ მეგულება. მერე როგორი ნაზი გულის პატრონიც არის. სხვა მისთანას არ ვიცნობ.

— მისი გულისა შენ რა იცი?

— ვიცი, ვიცი, ამის მოწმე ჩემი ცოლი მყავს.

— თქვი, ბარემ ლა.

— არა, ძმობილო. როცა საქმე საქმეზე მოვა, მაშინ გავამხელთ შენს მტრედს, — თქვა ტრაქტორისტმა.

კაბინაში შევიდა. ამუშავა მანქანა, გასწია. რევაზიც დაუჯდა მისაბმელზე. კეტები დასწია, დაწვა გუთნებს გულს შემოწოლილი სიხარულნარევი სევდის გასაქარვებლად, გულში უფრო განსაცდელად დაიღიღინა: „აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი“. მალე თავის თავზე გული მოუვიდა, ასეთი მოსათვალავი სამღერლად აქამდე როგორ გამომეპარაო, როგორც კი შევხვდები ჩვენს მედოლეს, მაშინვე ზურნაზე გადავატანინებო.

IX

მოხუცმა ერმილემ გული იჯერა გათხოვილ ქალთან სტუმრობით. ერთ კვირას დარჩა ახრიხში. შვილიშვილებმა ურმით დაკბრუნეს თორებში. ძალო მაიკოს ჩაბარეს თავიანთი პაპა მულისწულებმა. ერმილე ურმიდან გადმოყვანისთანავე ჩაწვა ლოგინში. რამდენადაც სითბო მატულობდა, ბაღებში ხეები უფრო შლიდნენ ყვავილებს, ავადმყოფი იმდენად უფრო უძლურდებოდა. გარინდული იწვა გულაღმა. არც კვნესოდა, არც ოხრავდა. საჭმელს ხელს არ კიდებდა. ხილეული, შემწვარი, ქვიშხურის შუშხუნა ღვინო ხელადით, ქათმის მოხარშული ხორცი, შოთები ხელუხლებლად ეწყო. სასუმლის მახლობლად მიდგმულ მაგიდაზე. საოცარი იყო, რაღა აკავებდა ასე მიხრწნილ სხეულში სიცოცხლეს! მნახველებმაც მოუხშირეს მოსვლას ავადმყოფის სანახავად. ყველა გამოჯანმრთელების იმედს აძლევდა, არა გიშავს რაო. ავადმყოფს არც კი ესმოდა მათი ლაპარაკი. მაიკო ატყობდა, „სულისა და ხორცის გაყრის დღე“ მალე უნდა დამდგარიყო. დიდი დიდი ხეხილის მთლად დაყვავილებამდე თუ გაძლებდა ავადმყოფი. ხანდახან ერმილე თვითონაც გრძნობდა თავისი სიცოცხლის დასასრულს, მაშინ ის ჩონჩხადქცეულ მარჯვენა ხელს, საბნის ზემოთ, გულის სწორად დაიდებდა, თვალებს ჭერს მიაშტერებდა, ტუჩებს ააცმაცუნებდა, შიშინისმაგვარ ხმას გამოცემდა. არ შეიძლებოდა გაგება, ლოცულობდა თუ ანდერძს უბარებდა ვისმე.

შინ ასე შემოსული სიკვდილისაგან დატრიალებული სიცოცხლის დამლევი იდუმალება შიშის ზარს სცემდა მაიკოს. ქალი მთელი თავისი ძალღონით იბრძოდა მამამთილის გამოსაბრუნებლად, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. შეუბრალებელი, სულთამხუთავი სტუმარი მაგარი ბრჭყალებით ჩასჭიდებოდა მახვერპლს, არ ჩქარობდა თავისი საშინელი საქმის დამთავრებას. ნამეტნავად აუტანელი იყო ავადმყოფი ღამღამობით. გადაიხრებოდა თუ არა მზე, ერმილე თითებით ანიშნებდა რძალს, კარი მიჰკეტე და არ მომცილდეო. მაიკო მახლობლად იჯდა. ოთახში ჰაერი გუბდებოდა, სუნთქვა ძნელდებოდა. ყველაზე გულისმომკვლელი ის იყო, რომ ავადმყოფი ხანდახან შეუძლებელს მოისურვებდა. მაგალითად, მზე არ ჩასულიყო, არ დაღამებულიყო და მთვარე რად არ ამოდისო!

მაიკო გრძნობდა თავის უღონობას

და გული ელეოდა. ერთ ღამეს ერმილემ ჭოტის ხმას მოჰკრა ყური. როგორლაც ძალი მოიკრიბა, ხროტინით წამოიძახა, აჰა, მოვიდა, მოვიდა, მიმველეთო.

თვალხედითი ფრინველი სადღაც სულ ახლოს იჯდა. უჰ... უჰ...უჰ... გაჰკიოდა სიბნელეში. აბა რძალს რა ექნა, როცა მომაკვდავს სჯეროდა ამ გადმოძახილისა. მაგრამ მაინც შეეცადა ავადმყოფის დამშვიდებას. ახლავე გავრეკავო უთხრა და ეზოში გავიდა ქალი. ბნელოდა. შუკებით იმ მხრით გასწია, საიდანაც ბუბუნი ისმოდა. მალეც მიაგნო, ჭოტი გოდლის ქონგურზე შემომჯდარიყო. იქიდან ამბრიალებდა კატისებურად ანთებულ თვალებს. მაშინვე მეზობლის ეზოში დაყენებულ მანქანაზე ფარები აანთებინა შოფერს. მიანათებინა ზედ. ფრინველს თვალები დასჭრა. მერე ბიჭებიც შეგზავნა გოდოლზე. ისინი უკანიდან მიეპარნენ ფრინველს, ბრეზენტი გადააფარეს, შეიპყრეს, ფრთები შეუკრეს, უჩვენეს მომაკვდავს. ის დამშვიდდა, მაგრამ ამით ოდნავადაც არ ეფონა მაიკოს, რადგანაც ნაშუაღამევს ნაგაზი თათია ატყდა, ჭოტზე არანაკლები გულის მომწველი ღმუილი გაჰბა საბძლის ლაფარიში, სადაც ლეკვებს ზრდიდა ხოლმე. ვერავითარი მოფერებით და სასჯელით ვერ ჩაუკმინდა ხმა პირუტყვს. ხან დაუყვავა, ხან გაუჯავრდა, მერე ქვაც ესროლა, მაგრამ ძაღლი გაბმულ ღმუილს არ იშლიდა. მძაღე ერბოში დასველებულმა ხამმა ტყავმაც არ იმოქმედა. თათიამ პირი არ დააკარა სატყუარს. დილით კი მთლად გადაირია ძაღლი. ნანიტოს ჩაცივებით აედევნა. კუდამოძუებული, თავდახრილი ფეხებში უძვრებოდა. სადაც ახალგაზრდა ქალი შედგებოდა, დაჯდებოდა, ისიც იქ დაეგდებოდა მის ფეხებთან და დრუნჩის აწევით კვლავ დაიყმუვლებდა. უეცრად წამოვარდებოდა, მკერდზე შეახტებოდა, ულოკავდა ლოყებს, ყელს, ყურის ძირებს. კაბის ბოლოშიც ავლებდა პირს. საითკენაც ეწევოდა. ხოლო თუ ნანიტო ეზიდან გასვლას დააპირებდა, მაშინვე წინ გადაუდგებოდა, ცოფნარევ ღრენა-ღავღავით უკანვე აბრუნებდა.

აფორიაქებულად გატარებულმა ღამემ და კიდევ უფრო მოუსვენარმა დილამ მაიკო მოღალა, მოშალა, მოტეხა. განძრევა უჭირდა, შუბლზე სიმწარესისუსტის ცივი ოფლი ასხამდა. გარეთ საგაზაფხულო სამუშაოები, შინ ასეთი ზარიანი დაძაბულობა. გაბოროტდა ქალი.

— რა ვიღონო, ადამიანო, ხმა გამე! — წაეკიდა ქმარს.

თადეოზი, კისერზე ლურსმანა გაჩენილი კამეჩი, ყარაჩა, როგორც ხშირად, მაგრამ მოფერებით მას ცოლი ეძახდა და, რაც ყველაზე შეჩვეულ, ნაზ მოფერება-მოსიყვარულებაზე მეტად სიამოვნებდა ქმაოს, იმ დილით ურემს უტრიალებდა. საფენელ-ჭალა შეუსწორა ზესადგარს, უღელში თხის ბალნის ახალი აპეურებიანი ტაბიკები გაუყარა.

— დასაღონებელი ჰო, არის, საშიშარი კი არაფერია! — გამოეხმაურა ის ცოლს.

გასწორდა, თავი ასწია, პირდაპირ გახედა დაქანცულ, ღონეწაღალატევ მაიკოს.

— დამელაპარაკე, მითხარი რამე, კაცო, თორემ ლამის უცნაური რამ დამემართოს, —გატეხილი ხმით მიმართა მას მაიკომ.

თადეოზმა, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, მაიკოს ზედაც არ შეხედა. პალატის კარი შეაღო. გამოიტანა იქიდან ხორბლით სავსე ტომრები და ურემზე დააწყო. ამას მორჩა თუ არა, ცოლს ხელი დაუქნია პალატაში შემოდიო. იქ საწნახელის თავზე დალაგებული ხმელი ფიცრები გადაფერთხა და გადათვალა. სამოდე წლის წინათ

მოირჩინა ისინი თადეოზმა იატაკის დაგების დროს. ფუტკრის მოშენება უნდოდა, სკების შესაკრავად ინახავდა. შარშან ზაფხულზე ჩირის გასახმობადაც არ ათხოვა მაიკოს.

თადეოზმა ფიცრები ისევე თავის ალაგას დადო, საწნეხლის დასაყრდენ ძელის ქიმზე ჩამოჯდა, ამოიხვნეშა და თავი ჩაჰკიდა. მაიკომ შეხედა ქმარს და შეამჩნია, რომ კაცს თვალებიდან გადმოცვენილი ცრემლები ღაწვებზე ჩამოდიოდა და მიწაზე წვეთწვეთად ეცემოდა. გული დაეწვა. ქმრისათვის რომ მწუხარებასთან ბრძოლა შეემსუბუქებინა, თაღჩაში შედგმულ ბოთლზე მიუთითა და ნელი ხმით უთხრა:

— გადმოიღე, ბოთლში არაყი დგას, დალიე, გულს გიპოვნის.

— შენ გადმოიღე თვითონ, დამისხი კიდევაც. შენი ხელით მოწოდებული უფრო მეამება, თორემ ეგ ბოთლი დიდი ხანია მანდ დგას, ვხედავ, ხელი კი არ მიხლია.

მაიკომ ქმარს თხოვნა შეუსრულა. არაყით ჭიქა აუვსო.

— სიმწარე გაშოროს! — დალოცა თადეოზმა ცოლი. გადაჰკრა. თანდათან ამოიდგა ენა. — რას იზამ! შუაში გამოჩხერილები ვართ, ქალო, მე და შენა. მიმავალი ღირსეულად მიწის მიბარებას გვთხოვს, მორბედი—გაზრდადასახლებას. მაქოსავით წინდაუკან უნდა ვიომოთ. ეს არის ახლა მე და შენი ხვედრი. თუ ფრთხილად, გონიერად არ დავუარეთ საქმეს თავი, მომაკვდავი უპატივცემულოდ ჩაგვივა სამარეში, მოზარდიც უილაჯო ალმოგვაჩნდება.

— მესმის, მესმისო, — დაუქნია თავი მაიკომ.

—ეს ასე, ვთქვით, გავათავეთ. მე იმას ვდარდობ, რომ ერთი შენი უნებური რამე ჩავიდინე, არ კი გამიჯავრდე.

— არ შემინიშნავს. მაინც?

— გუშინწინ ქალაქში მიმავალ ბიჭებს დავაბარე შენს მაზლთან — იგანესთან, ერმილე თავდეტა-მეთქი — თუ გაჩნდეს სადმე ჩემი ძმა, შენ ბურუსურად თავს არ დააცხრე.

— ღიღილოსი, ცოლის იგეთ უსინდისოდ მოღალატეს წარბგახსნილი შეკვდე?

— ჰო, აბა რა ვქნათ, ქალო, ღვიძლზე ნადები ჩემი ძმა არის.

— მოვიდეს. ოლონდ შინ არ შემომეკაროს. აგერ მისი შვილის სახლი. იქ იყოს. მამის ნახვას და გამოთხოვებას კი ვერ დავუშლი.

— აგრე. შენ სიცოცხლეს. კიდევ ერთი სათხოვარიც.

— ესეო და, მაიკოს ქანჩი აქვს შემოჭერილი, ყველაფერზე დავითანხმებო. დრო დამახელთე, თუ... ბარემლა ეგეც მითხარი.

— ბარემლა ნანიტო და რევაზიც დავაბინაოთ. დაგვავსებს იმათი ცოდო, ქალო!

— რაც ნათიშვილებს ხეირიანი ქალი გააჩნიათ, ყველას ჯაპანაშვილებს ხომ არ გადაატანენ თანა?

— ჯაპანაანთ რა ღონე გვაქვს თუ უკეთესის ხილვად თვალი არ გვაბადია და თუ უკეთესნი მგონია არც უნდა იყვნენ სადმე.

— ყარაჩა, მომნუსხველი სიტყვა იცი. როცა ძევრიდან აქეთ, თორებისაკენ, უცხოდ მოგყავდი, ერთი ეგეთი თბილი სიტყვა მაშინაც დაგცდენოდა.

— მაშინ ჩემმა გულმა ამოდენა ენა არ იცოდა, თორემ რად არ გეტყოდი. ან მაშინ, ან წინ შენზე უკეთესი ვინ მყავდა, მყავს და მეყოლება?

— შეწყვიტე, გვეყოფა. თუ ბიჭსა და გოგოს დავაქორწინებთ, საკლავისა რა ვუყოთ? — შეუდგა ვარაუდს მაიკო.

— ბურვაკი გავიმეტოთ. აგერ შევიხედე საღორეში, კარგად შეუბამს ხორცი. მართალია, სხვარიგად ვფიქრობდი. გვიან დავკლავ, წვრილმანს იმ დღეებში

მოვიხმარ-მეთქი, თეძოებს, ბეჭებს, ნეკნებს კვამლზე დავკიდებდით, დავლორავდით, ჭარხლის მარგვლისა და კომბაინის ცხარე მუშაობის დროს გამოვიყენებდით... მაგრამა...

— არა უშავს, ვარიებით იოლად გაგიყვან მაგ ალოებზე. ინკუბატორიდან წიწილები მოსაყვანი მყავს, შინაც დავიჯენ კრუხებს.

— ღვინო მაქვს საფიქრალად.

— მაგასაც გავუვალთ, ყარაჩა. რვაფუთიანი ქვევრი მაქვს სავსედ გადამალული, ის, სოდითა და ცხელი წყლით რომ ამოგარეცხინე რთველობისას. მეც მქონდა ჩემი ვარაუდი. ხუთს გავყიდდი. სამს ალოებისათვის და ბიჭის იქნება ლენინგრადიდან დაბრუნებისათვის ვინახავდი. ახლა გამოჩნდა. თურმე სულ სხვა საქმისათვის და დღეებისათვის მოგპარე. აბა, შენაც მაპატიე. პირველი მოგვეწევა თუ მეორე (მაიკო მამამთილის გარდაცვალებას ელოდა პირველად) ორივე გადასახადი გვაქვს. ხუთიოდე ჩარექა თუთის არაყიც ძევს ოყაოში, შენაც იცი.

— ერთი არაყიც დამისხი და...

— ორიოდე ყლუპს მეც ვნახავ გემოდ. ბარემღა შევატანოთ რამე სასმელს. მგონია მეც მომშივდა, — თქვა მაიკომ და კიდობნიდან შოთი ამოიღო, კიტრისა და კომბოსტოს მწნილით თეფში აავსო, ნავის ინდურზე შემოდგა. თადევოზმა პური გატეხა, ნახევარი მაიკოს ძიაწოდა. წახემსება დიდხანს არ გაუგრძელებიათ. ვის ეცალა. თადევოზმა ხარი შეუბა ურემს, გაუდგა წისქვილის გზას. ძალო მაიკო ავადმყოფთან დარჩა.

— ქალო, რას მიიჩქარი ჰა. მეც მოვდივარ-მეთქი... არ გესმის... ღვინო... გერის წმინდა გიორგი... ქალო... მეც მოვდივარ... მო...—ბოდავდა ერმილე.

ძალო მაიკო საშინელმა სევდამ შეიპყრო. ნუთუ, ფიქრობდა ქალი, მისი ბოლოც ეს არის. ნუთუ მის უკან დარჩენილი თადევოზიც ასე წამოიბოდებს მაიკო, მოვალ, მოვალ, მომიცადეო.

X.

ნანიტო დილას მოგვიანებით გავიდა ბოსტანში სამუშაოდ. უგუნებოდ იყო. ნამეტნავად თათიას ჩაციებამ ააღელვა. ჩადგა ამხანაგებს შორის ბრიგადაში, რომელსაც ძალო მაიკოს ნაცვლად იმ დღეს პეპელო მეთაურობდა, მაგრამ ფეხზე ძლივს იდგა.

— რასა იქმ? — შეეკითხა მას პეპელო.

ნანიტომ თავი გადააქნია, ანიშნა ამხანაგს, ლაპარაკის ილაჯიც არა მაქვსო.

— კიდევ მოხდა რამე? — ჰკითხა ამაზე პეპელომ.

—პაპა ერმილე წუთით წუთზე არის... — მიუგო ნანიტომ და ამოიხვნეშა, მერე თავისთვის თქვა: — რა მეშველება!

— ეგრე რა გაწუხებს! ჯაპანაშვილებს მოუკვდებათ და ის არის. მაგის ხნოვანებისა ჩვენც მოგვყარა, —უთხრა პეპელომ და განაგრძო: — მე კი ის მაწუხებს, რაც შენს თავს ტრიალებს.

— კიდევ რაღა! — გაფითრდა ისედაც ფერწასული ნანიტო.

— გასაფრთხილებლად გეუბნები, სხვარიგად კი არ ჩამომართვა. ცალთვალა ჭიჭიას დაუკვეხნია, ნანიტო ხატის ჭალაში ვჯიჯგნე, ვაგორავეო.

— შენაც დაიჯერე? კაცის ხელი არ მომკარებია, არც გავიკარებ, სანამ ცოცხალი ვარ. რევაზი კი სხვა არის. მასთანაც ხელის ჩამორთმევის მეტი არა ვიცი რა.

ნანიტო განზე გავიდა. ბექობზე ჩამოჯდა. თავი მუხლზე დაიდო და ცხარე ცრემლები გადმოყარა. არანაკლებ დაღონებული იყო პეპელოც. ერთი მხრით, ის ნანიტოს წუხილს დარდობდა, მეორე მხრით, თავის თავისას: ხომ შეეძლო ვისმეს მისთვისაც გაეტეხა ასე სახელი, როგორც ეს გოზაშვილებმა ჩაიდინეს ნანიტოს მიმართ?

ჭკვიანმა პეპელომ იცოდა, თორეებში და მის მახლობელ სოფლებში ბევრი იყვნენ უზრდელი ბიჭები, რომელთა ერთადერთი ხელობა გოგოებში

ლაზღანდარობა იყო. და როცა ვერაფერს გახდებოდნენ, სახელის გატეხას, გაჭორვას კისრულობდნენ. ამით ან გულის ჯავრს იყრიდნენ ქალზე, ან გზას უკეტავდნენ ქალს, იმაზე გათხოვილიყო, ვინც სურდა.

ამ გაჭორვით ჭიჭია მიზნად ისახავდა, აეძულებინა ნანიტო მას გაჰყოლოდა, რომ გატეხილი სახელი თავიდან მოეშორებინა. ამას მიუხვდა ნანიტო ჭიჭიას.

— ერთი შევხვდე, გოგო, იმ ცალთვალას, ვეცემი, წიწილასავით გავგლეჯ. ისეთ დღეს დავაყრი, რომ თავისი გაჩენის საათი დასწყევლოს, — შესთავაზა პეპელომ ამხანაგს.

ნანიტომ არაფერი უპასუხა.

პეპელო თვითონ მიხვდა, რომ მისი მუქარის შესრულება არ შეიძლებოდა. გაჭორვა-ცილისწამების ამბავი უფრო მოედებოდა სოფელს და ნანიტოსათვის უფრო სანანებელი გახდებოდა. ამიტომაც, რაკი ვერ მოიგონა, როგორ და რა გზით გასწორებოდა ცილისმწამებელს, ხელები აღაპყრო: — მისმინეთ, მთელი ქვეყნის ქალებო, ვისაც ალალი გული სიყვარულით დაგწვიათ. მე გელაპარაკებით, პეპელო, თორების ბოსტნიდან. გაწყდნენ, გაიუჟონ ერთ დღეს ის ვაჟები, რომლებმაც თავიანთ კაცობას ჭიჭია გოზაშვილივით თვითონ აჰყარეს პატივი, მოხადეს ნამუსის ქუდი. საძულველ-საწუნებლად იქცნენ. დაე მოძებნონ მათ ისეთები, როგორებიც თვითონ არიან. ჩვენთან რა ესაქმებათ?

ნანიტო ქვითინებდა. პეპელომ წამოაყენა ის, შემოუძახა. შინისაკენ გაისტუმრა. ამაზე საყვედური არავის უთქვამს. ყველამ იცოდა, მაიკოს და ნანიტოს შინ მომაკვდავი ჰყავდათ. როცა ნანიტო მიეფარა, პეპელომ სხვა გზით გასწია ხატის მიწისაკენ, სადაც ტრაქტორისტი და მიმბმელი ყამირის მოხვნას ამთავრებდნენ. პეპელომ მაშინის ზეთი მოიმიზეზა სათხოვნელად. რევაზი გამოიხმო ცალკე.

— შენ რა კუდი ყავარზე გაგიდევს ძალიან გინდა ის ქალი მიწაში ჩადო?

— რა ვიცი, ამა, რა გითხრა. ან შენა, ან მას.

— ეგეთ ქალს კიდევ სად ნახავ?

— აგერ თუნდაც შენა. ამა, დამისახელე შენი ტოლი? — გადაიხარხარა რევაზმა.

— მე შენი სისხლი და ხორცი, ბიძათამვილი ვარ.

— ხარ და ეგ არის კიდევაც. სხვისი ნაცარი უნდა გახდე ჩვენს ფუძეში გაზრდილ-გამოტვიფრული მარგალიტის თვალი.

— სუ, შე ენაბალნიანო. ეშმაკის კერძო. სულ მაგნაირი ცალყბა სიტყვებით ღუპავ ნანიტოსაც. ნეტავი თქვენთვის არ მაკერინა. ეს ოხერი, რომ აღარ გამოჩნდა ერთი ვინმე ყელგადაგდებული, დამხვიოს ხელი, წამიყვანოს ამ ცოდვაკითხულ თორებიდანა და აქეთ ფეხი აღარ ვიბრუნო.

— თავს რად იკატუნებ, პეპელო, ქალაქიდან რომ ვბრუნდებოდი, ის შენი ვაჟკაცი მცხეთაში შემხვდა. შენ კი ამბობ, აღარავინ გამოჩნდაო... იცი, რა მითხრა, რა დამაბარა?

— დროით კი მეუბნები. რა? მოგიკვდეს თავი, მე შენთვის წამოველი აქეთ და არა ჩემთვის. მე წყალმა მზიდოს, ჩანს, ბედი არ მწერია.

— ის დამაბარა, რომ უყვარხარ, რა ვქნაო, შინ ვიყო, მე ვიცი.

— რა აშინებს იმ ჩემი ცოდვით სავსეს? მასთან ხის წვეროზე გავძლებ, ცულის ტარზე დავეტევი. ის კი სამი წელიწადია მაცდევინებს. ოღონდ წამიყვანოს, თქვენს თავს თორებს მომაცილოს, მეც ვისწავლი მასთან ერთად. მომბეზრდა თორები, მომბეზრდა. აღარ შემიძლია აქ ყოფნა, აღარა, აღარა!

— მაგასაც მოესწრები, აგერ არდადეგები მოდის. დაგიბრუნდება ახლა

შენი ვაჟკაცი სამუდამოდ და დაგოკებს, შე ალების და ქაჯების ჯიშისა.

— შენაც გაათავე ნანიტოს დატანჯვა, თორემ ჩემზე მეტი მტერი აღარ გინდა ქვეყანაზე.

— ის რომ არაფერს მეუბნება?

— ხედავთ, რა მოინდომა ამ მიწაგასაწყვეტმა? თვითონ მითხრასო. მე რომ გამომიტყდა, ქალისაგან ესეც დიდია.

— მაშ ვუყვარვარ?

— მერე როგორ, აწერაც ძნელია. ენას სადა აქვს იმდენი ძალა, ის გადმოგცეს, რაც შენ მისთვის ხარ.

— რა ხარ, იცი პეპელო, ის აბდღვრიალებული ტოტი. ჯაპანაშვილების სასახელოდ მალე გათხოვდი, გოგო. მერე, სადაც იქნები, მოგნახავ და შენს არემარეზე, იმ მიწას, სადაც ფეხი დაგიდგამს, მზესავით კრძალვით შევხედავ. არ ვიცი, ნანიტო უფრო მიყვარს, თუ შენა.

— სუ-მეთქი, ხომ იცი, უხერ‌ის სახელი მაქვს დავარდნილი თორეებში! ასე კი არ არის, ერთი ეგეთი სიტყვა მადნობს, მიწაში მდებს. შენ კი, შენ, ვისთვის ხარჯავ მაგას? გასწი, მას უთხარი, მას. ახლავე, დღესვე, სანამ არ დაგაგვიანდა, სანამ ქალს გული ლოდინით არ ჩასწყვეტია.

პეპელომ ზეთი გამოართვა მექანიზატორებს. ისევ ადგილზე დაბრუნდა. ნანიტო დალონებული მიდიოდა შინ. მუშაობის დროს აკი გულმა უსუსტა. წუხელ იმ ალიაქოთის დროს არც მას სძინებია. შევიდა ეზოში. მაშინვე თათია მოისაკლისა. ღმუილისათვის მაიკოს სალორეში დაემწყვდია ნაგაზი. გამოუშვა. მასთან ერთად შევიდა შინ. მინდვრის ყვავილებისაგან შეკონილი თაიგული მომაკვდავს თავთან დაუდო. მალე იქიდან შუშაბანდში გავიდა. იქ თვალმოხუჭული თავის ლოგინზე მიესვენა. დილით უზმო გასწია სამუშაოდ. მთელი ოფლის დარჩეული ქალ-რძალი შეყრილიყვნენ საბოსტნეებში. ბუდობრივად თესდნენ კარტოფილს. ქალების ნაწილი შემოდგომით მომზადებულ მიწაზე თოხებით ორმოებს აკეთებდა. მეორენი ორმოების ფსკერებზე სასუქებს აფრქვევდნენ. მესამენი, მათ შორის ნანიტო და პეპელო, სამ ცალ თესლს ყრიდნენ ორმოში და თოხითვე ზემოდან მიწით ფარავდნენ. ნანიტო კარგად იყო. ხელმარჯვედ მუშაობდა. მაგრამ უეცრად შეესმა მანქანის რახრახი. თვალი გააყოლა ხმაურის მხრით. ხატის მიწისა და სასაფლაოს მახლობლად შენიშნა ტრაქტორი. აქედან დაიწყო.

— რევაზი! — თქვა თავისთვის. გული შეეკუმშა, თითქოს ვიღაცამ ხელის მოვლებით დაიჭირაო. წაბორძიკდა. თოხზე დაყრდნობით ძლივს თავი შეიკავა. ყური მიუგდო ქალებს. ისინი უდარდელად მოუთხრობდნენ ერთმანეთს თავიანთ თავგადასავალს.

— ერთ წელიწადს სიცოცხლე გამიმწარეს, სანამ გამათხოვებდნენ,—ამბობდა საკმაოდ ხანში შესული ქალი. მეორე, როგორც მარწყვის ქურდი იანვარში, თავისთავს ამხელდა, სად და სად შეხვედროდა ქმარს ქორწინების დღემდე. მესამემ აწერა, როგორ მიეპარა ერთხელ საქმრო მას სატვირთო მანქანის გვერდით ბორტს მოფარებული. კისერზე კოცნა სილაქავით სტკიცა ძმებთან და ბიძებთან, რომლებიც იქვე ძარაზე ისხდნენ, მაგრამ ბიჭი არ გასცა. დაკადაკა ააცილა. ასეთ საუბარს პეპელომაც კი მხარი აუბა.

— ჩემი ბიჭი, — სახელი არ თქვა პეპელომ, — ინსტიტუტში სწავლობს. წერილს წერილზე მიგზავნის, კურსის დამთავრებამდე მომიცადეო. ვერა-მეთქი შევუთვალე, თუ შენ კეთილი სული ხარ, მეც მომიწყე ხელი, მეც ვისწავლი სადმე-მეთქი. მას, უთავოს, ჰგონია მინდა ავეკიდო. ნამდვილად, სწავლა მწყურია და არ სჯერა.

— მერე? — ეკითხებიან მას.

— რა გამეწყობა, ვიცდი. ერთხელ თავი დავუქნიე, ჰო, მიყვარხარ-მეთქი, და აბა რაღას ვიზამ, სიტყვა სიტყვა არის. ალა-ალა თქმა კარაბადინში არ მიწერია.

როსებაშვილების პატარძლები, ტყუპი ძმების ტყუპი ცოლები, მაინც სად შეხვდნენ ერთმანეთს ასე განგებ ერთმანეთისათვის გაჩენილები, ძალიან გაერთვნენ სამუშაოთი. აღარ ახსენდებოდათ შინ დატოვებული ძუძუთა ბავშვები. მზე კი საკმაოდ მაღლა ასულიყო ცაზე. პეპელომ შენიშნა ეს. წაართვა თოხები პატარძლებს, დაუტატანა, გასწით ბავშვებს ძუძუ მოაწოვეთ, მალე დაბრუნდითო. ნანიტოც დაითხოვა პეპელომ. ახლა, აგერ, ლოგინზე დაგდებულა. ვის ახსოვს? არავის უყვარს. მაიკოსაც, ღვიძლზე ნადებ დასაც არ ებრალება, თორემ როგორ ვერაფერს ეუბნება მაზლისწულს. ნანიტო მარტო თათიას ეცოდება. აგერ ფეხებთან ტახტის ბოლოს წამოწოლილა ნაგაზი. ხან მაიკოს შესჩერებია, ხან ნანიტოს, მაგრამ რად გინდა. მყეფარა არის. რაც არ უნდა გულით უყვარდეს, პატრონი აბა რას გახდება?

— ნანიტო, მანდ რას აკეთებ? — ესმის მაიკოს ძახილი სამზარეულოდან.

— ვისვენებ, ახლავე წამოვდგები, გავწევ ისევე საბოსტნეებში სამუშაოდ.

— ცოტა კი არა, სანამ ჯერს მოვამზადებ, კარგად დაისვენე. დღეს შენ წაუღე მუშებს ჯერი ტრაქტორზე, — ეუბნება მაიკო. — მე ავადმყოფთან დავრჩები. ყოველ წუთს არის მოსალოდნელი...

ძალო მაიკომ შინ შესვლის უმალ შეავლო თვალი უმცროს დას. ნანიტო ფერშემკრთალი ეჩვენა. არა უთხრა რა. არც საქმიანი სიტყვა დასცდა უფროს დას, არც საფერაო. ერთხელ გავიდა მხოლოდ შუშაბანდში. დახედა ტახტზე წამოწოლილ ნანიტოს. გაბრუნდა, გამოიჟანგე, გამოიწრთეო, ჩაილაპარაკა. ნეტავი რას ნიშნავს ეს სიტყვები? ახლა კიდევ სამზარეულოდან დაუძახა, ჯერი წაუღეო მუშებს. ნანიტოს საამურად ჩხვლეტა დაუწყო კანზე. სწორედ ამ დილით გადაწყვიტა, თუ რევაზს არ ვუყვარვარ, არ ვუნდივარ, მაშინ არც მე მინდა რევაზი, არც მე მიყვარსო. ძმებთან ძევრში წასვლა მოენატრა და წავა, სამუდამოდ წავა. აქეთ, თორებისაკენ, უკულმა მისი ფეხი! ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უეცრად ტრაქტორზე ჯერი მიაქვს. კიდევ შეხვდება რევაზს. ჰოდა, აკი აზრადაც ჰქონდა უკანასკნელად ნახვა. კარგი მიზეზი გამოუჩნდა. ჯერს მიუტანს, შეხედავს, ერთხელ უკანასკნელად შეხედავს, გამოემშვიდობება, იქიდან ღილილოს სამარესთან გამოივლის. გამოიტირებს ნერგთან გულში ამდენი ხნის ნატრიალევ ტრფობას, სიყვარულს. მერე გასწევს ძევრში. მისცემს აღთქმას თავის თავს, აღარავის შეხედოს ზედ, დარჩეს გაუთხოვრად მთელ თავის სიცოცხლეში. მაიკო, ყარაჩა, მათი შვილები — დისწულები ყველა შესძულდება. ერმილეც მალე გათავებულა, იქ კი წაწყმენდილა.

XI

საგაზაფხულო სამუშაოები ბოსტნებსა თუ მინდვრებში დასასრულს უახლოვდებოდა. დასათესი იყო მხოლოდ სასილოსე სიმინდი. ამისთვის ტრაქტორისტი და მიმბმელი ხატის მიწას ამზადებდნენ, სამსონ ბეროიძე ნამუშევრის დასათვალიერებლად გაემგზავრა. კარგა ხანს იყო მინდვრებსა და ბაღებში. ფიქრობდა. გზად, გამუდმებით ფიქრობდა. რაიკომის მდივანმა რამდენიმე თვის მერმე კვლავ გაუმეორა, როგორ არის საქმე, მოდიხარ თუ არა რაიონში სამუშაოდ, შეარჩიე თუ არა შენ მაგივრად თორე-

ბის კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ ასარჩევი პიროვნებაო. როგორღაც გზად ყარაჩა თადევოზ ჯაპანაშვილს გადაეყარა. თადევოზი რამდენიმე კაცით მაგისტრალური არხიდან სასოფლო არხებში წყლის გადმოსაშვებ ჭდულების შესაკეთებლად იყო, რაც პირუტყვს ფლოქვებით ჩაექელა აქა-იქ. სამსონს ჩვეულებად გადაქცეოდა, პირველად თადევოზისათვის გაემხილა მოსაფიქრებელ-გასავარაუდებელი საკითხები. უყვარდა კიდევაც ის იმიტომ, რომ მისი ნარჩევნი და მოწონებული ლონისძიება, სამუშაოს შეეხებოდა იგი თუ პიროვნებას, ყოველთვის სარფიანად ან კეთილად ბოლოვდებოდა. ახლაც სამსონი პირველად მას გაუტყდა რაიკომის მდივანთან მოლაპარაკების ამბავს.

— ცდება ის ჩვენი მდივანი, — პირდაპირ თქვა თადევოზმა. — განა შეიძლება გამოცდილი, დიდი ხნის ხელმძღვანელის ხელის ხლება? მაგრამ იქნებ თორების კოლმეურნეობასავით ყველა კოლმეურნეობის ამუშავება და მოწყობა უნდა. მაშინ სხვა საქმეა. ნუთუ ჩვენ სხვას ვჯობივართ?

— მაგისას ვერას გეტყვი, — ჩაილაპარაკა სამსონმა. — დაასახელე, ვინ ვურჩიო რაიკომს ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

— თქვენ დაასახელეთ, მე გაგიკრიტიკებთ, — არ დანებდა თადევოზი.

— მესაქონლეობის ფერმის გამგეზე რას იტყვი?

— საქმეს თითქოს კარგად უძღვის. ლანძღვა-გინება რომ იცის, არ მომწონს. სახედარსაც კი შერცხვებოდა იმ ენისა, მას რომ აქვს.

— მაიკო?

— არა უშავდა რა. ეგ არის, სწავლა არ შესწევს ჩემს მეუღლეს, თორემ ხალხის ერთგულებაში, საკოლმეურნეო საქმის ცოდნასა და სიყვარულში მას ვერავინ დაკრავს.

— სულ უცნაურად ახალი, რომ ვინმე დავასახელოთ, მაგალითად, პეპელო, თქვენი პაპის შვილობდა?

— პირში მთქმელი ქალია. მეტი არაფერი. ბოსტნეულის მოყვანა იცის. სხვა რა. გაუთხოვარია, მარტო ამ მიზეზით არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი. ის რა ქალია, რომელმაც მეოთხე საქმრო პირში ჩალაგამოვლებული გაისტუმრა.

— ეგრე ხომ შენი ცოლისდაც არის?

— ჰო, მაგრამ მისი მდგომარეობა სხვანაირია.

— რევაზზე რაღას იტყოდი?

— ჩემს ძმისწულს არა უშავს რა. მაგრამ აკი ეგეც უცოლოა, თუმცა... როგორც ვატყობ, დიდხანს არ მოიცდის.

— მოჰყავს ქალი?

— მამის გარდაცვალებას მოველი. თავდება მოხუცი, — აიცილა თადევოზმა პირდაპირი პასუხი.

— მეც დიდი ხნის, მთელი შემოდგომის, ზამთრის და საგაზაფხულო სამუშაოების მანძილზე მხოლოდ რევაზზე ვფიქრობ. ის გამოდგება-მეთქი. ოცდამეოთხეში ხომ გადადგა? დააჩქარეთ, შერთეთ ბარემღა ცოლი.

ამ ლაპარაკით ისინი მიუახლოვდნენ ხატის მიწას, თვალი მოავლეს ნამუშევარს და თავიანთი გზით გასწიეს.

ტრაქტორისტმა და მიმბმელმა მართლაც დაამთავრეს ხატის მიწის მოხვნა. მანქანა, გუთნები, დაკუმნული ბრეზენტები, სათესები და ბევრი სხვა აგრეგატი და ხელსაწყო სასაფლაოს ცარიელ არემარეზე დააგროვეს. ამ ფართობის მოხვნით, დათესვისათვის რომ მარტო დისკოებიანი ფარცხიღა სჭირდებოდა ზედ გადასატარებლად, მექანიზატორებმა საგაზაფხულო მანქანით დასამუშავებელი საქმე უკან მოიტოვეს. ოზეროვი ვარაუდობდა ახლა: დღეს ან ხვალ მთელ ინვენტარს ემტეესში ჩავაბარებ, გავსწევ რეხებ-

ში, ვახტანგ ნათიშვილისა არ იყოს, ცოლ-შვილს ვნახავ, დავისვენებ, საკარმიდამო მეც მაქვს და ცოტას იქ წავიმუშავებო. ასეთი საამური ფიქრებით მან საფლავის ქვასთან, შარშანდელი ხმელი ბალახის ნამჯაზე მაზარა გაშალა. ჯერის მოლოდინში მხართეძოზე წამოწვა. წაძინებაც კი დააპირა. მუშაობის დამთავრების დღის ჯერზე ძალო მაიკო დოქით ღვინის გამოგზავნასაც დაჰპირდა მუშებს. მინდვრად, ცის გუმბათის ქვეშ, გაზაფხულის თბილი მზის სხივებზე, ბალებში მთლად აყვავებული ხეხილის ყვავილთა სუნით გათანგულ ჰაერზე კარგი ღვინის გადაკვრა ნიკოლოზ ოზეროვს უამხანაგოდ როდი უნდოდა. ამიტომაც უჯავრდებოდა მიმბმელს:

— კაცო, რას დაეხეტები მაგ სასაფლაოზე, ვინც მოკვდა, წავიდა, აღარ გაცოცხლდა, აღარ დაბრუნდა. აქ მო, წამოწექი მაზარაზე, თვალი მოატყუე, სადაც არის, ჯერი გამოჩნდება. აგერ მზეც რა დღეშია, გადაიხარა.

რევაზს ხელში ბარი ეჭირა. წრიულად შემოუბარა კაკალს ძირი. მერე სარწყავი წყლის სადენი კვალის შესწორება-გაღრმავებას შეუდგა. ოზეროვს მოთმინება დაელია.

— შენ, ჰეი, მიმბმელო, რას გადაყევი თან მაგ კაკლის ნერგსა. მოდი წამოწექ-მეთქი!

— დამეხსენ, ნიკოლოზ, შენთვის დინჯად იყავი. წაიძინე. თუ მისაბმელზე გაგიძელი, ჯერის მირთმევას რაღა დამიშლის!

— მაინც რა ჩაგივარდა მაგ კაკლის ძირში?

— მის ქვეშ დედაჩემია დამარხული. ქვა ჯერ ვერ დავადე და... — მიუგო რევაზმა.

მერე შეხტა, კაკლის ტოტი მოიწია, დააკვირდა. გახსნილ კოკორში შენიშნა მატლისებური ყვავილი და კიდევ უთხრა ოზეროვს, რომელიც ღრმად დაფიქრებული, დარცხვენილი თვალებით მიწას მიჩერებული, ფეხზე იდგა.

— ნაყოფის ნიშანი გაუჩენია!

— ეგეთი ნერგი, რა თქმა უნდა, ნაყოფს გამოიღებდა. იცი ვინ დარგო ეგ მანდა, დედაშენის სამარეზე?

— ერმილემ, თადევოზმა, ძალო მაიკომ, სხვა ვინა.

— არც ერთმა. მე კი ვიცი, ვინაც დარგო. აკი გითხარი, გაგიმხელ-მეთქი. შემთხვევით შევიქენი მისი დარგვის მოწმე. შევიქენ და მას მერმე გულსა და გონებაში მიზის. შრომადღეებზე ნარგები ხორბალი მიმქონდა გაზაფხულზე თორებიდან. ურემი მება. ცოლ-შვილიც ზედ მეჯდა. როსებაანთას ვიყავით ძეობის ლხინში. დატვირთული ურემი აქეთ გამოვატარე. მოკლე გზით რეხებისაკენ მივერეკებოდით კამეჩებს. სასაფლაოსთან გამოვედით. ვხედავ, ის შენი ბიძის ცოლისდა, ნანიტო, — მაშინ ჯერ კიდევ დაქალებას ბევრი უკლდა, — ბარით მიწას ჩიჩქნიდა. რას აკეთებ-მეთქი მანდა? ვკითხე. ამ ნერგის დარგვა მინდა მიწამიო, მომიგო. აქ საფლავია, წამლა-დავიწყებისაგან მინდა დავიფაროო. სწორედ გითხრა, ამან შემძრა. დახე ამ გოგოს, როგორი გული ჰქონია-მეთქი. ურმიდან გადმოვხტი, ბარი გამოვართვი, ხელდახელ გავთხარე ორმო და გზას გავუდექი. შვიდიოდეწლიანი კაკლის ნერგი. მაჯის სიმსხო რომ იყო ძირთან მაშინ, ნანიტომ ჩასვა. ახლა ხედავ როგორია? ნაყოფიც კი გამოუღია. ვის სამარეზე ზრუნავდა ასე, ეს კი არ მიკითხავს. ან რად ვკითხავდი, მე მაშინ ამაზე გამეცინებოდა. არც შენ გიცნობდი. გოგოს საქციელი მომეწონა და იმიტომ მივეხმარე.

— ნანიტომ დარგო? — იკითხა რევაზმა, თითქოს არ გაუგონია კარგად, რა თქვა ტრაქტორისტმა.

— ჰო, ნანიტომ დარგო მანდ ეგ კაკალი. მერე, ალბათ, სარწყავი რუც მან მიუგდო ძირში.

მიმბმელმა ბარი გააგდო ხელიდან.

— ნიკოლოზ, წამოწექ, დაისვენე. მე შინ გავირბენ, ჯერსაც დავაჩქარებ, მოხუცსაც ვნახავ, წუხელ კინაღამ შემოგვაქრა ხელში. თუ დამაგვიანდეს, იცოდე, ჩემს თავს კარგი რამე არ არის.

— გაიქეცი, დღეს აღარსაით მეჩქარება. შაბაში მაქვს.

მიმბმელი გრიგალივით გაეკრა მინდორს. კი არ მირბოდა, მიჰქროდა იძახდა:

— ნანიტო! ნანიტო... ნანიტოო!.. შენკენ მოვდივარ! გასძახოდა აყვავებულ ვაშლის ხეებს.

ბაღების შუაგულს მიაღწია, როცა მის სმენას სოფლიდან მოვარდნილი კივილი შემოესმა.

— პაპა ერმილე გათავდა... ნანიტო!.. შენკენ მოვდივარ! — გასძახა კვლავ.

აგერ, მოულოდნელად მკერზე დაეტაკა მთლად გაწუწული თათია. ნაგაზი მაშინვე შეტრიალდა. ღრენა-ღმუილით მირბოდა პატრონის წინდაწინ. უკანაც იხედებოდა, თითქოს ეუბნებოდა, მომყევი, მოკლე აქით არისო.

სოფლის მიახლოებისას რატომღაც რევაზს, თმა ყალყზე დაუდგა, ტანში გაბუძგა, მერე კანიც აეწვა. იგრძნო, შინ რაღაცა უფრო დიდი უბედურება მოხდა, ვიდრე ცოცხლად გამოტირებული, ნახევრად მოქარვებული ერმილეს გარდაცვალება.

— ნანიტო... ნანიტო... ნანიტო... შენკენ მოვდივარ! — შემოესმა უკანასკნელად თავისი წამოძახილი და პეპელოსაც მოჰკრა თვალი.

— წყეული იყავით, წყეული! ნეტავი მალე მომაცილა ამ თორებს სიცოცხლით თუ სიკვდილით, არ ვინაღვლებდი! — ამბობდა გაცოფებული პეპელო და მკლავშიც წაავლო ხელი მთლად გადარეულ, თვალებდაბნელებულ რევაზს, რომელიც თათიას კვალდაკვალ მღვრიე მეჯუდაში შეთქაფუნდა და თან პეპელოც გაიტაცა.

XII

მუშებისათვის ხატის ბაღში წასაღები ჯერი ძალო მაიკომ ნანიტოს გაატანა. მამამთილი ძალიან ცუდად შეიქნა. მომაკვდავი ფილტვებიდან გამოსცემდა უცნაურ სტვენას, აბა თავს როგორღა დაანებებდა. მით უმეტეს, ახალგაზრდა ქალს, როგორ დატოვებდა სულთმობრძავთან. ნანიტომ მაშინვე აიკიდა ბაგა, ხელში ღვინით სავსე საკმაოდ დიდი დოქი დაიჭირა და გასწია ხატის მიწისაკენ. იქ ეგულებოდა რევაზი. ძევრში სამუდამოდ გამგზავრების წინ ხომ საჭირო იყო, ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი თავისი ქალიშვილის გულუბრყვილო სიყვარულისათვის, ქალიშვილისა, რომელიც ახლა მას ჭიჭია და ალფეზ გოზაშვილებისაგან შავად გამურული ეჩვენებოდა.

კანტორის აივანზე გადმომდგარ სამსონს არაფრად მოეწონა ნანიტოს სახის ცეცხლმოკიდებული იერი და საშინლად ამობურცული თვალები. ამასთან ქალმა ხიდისაკენაც არ გაუხვია. ტირიფთან, რომელსაც ახლა კვირტები გაეშალა, პირდაპირ რიყეზე ჩავიდა.

— დაბრუნდი, გოგო, მანდ ფონი არ არის! — მიაძახა, მაგრამ მდინარის შხუილში სამსონმა თვითონაც ვერ გაიგონა თავისი ძახილი. მაშინ ის აივნის შემოვლით, სხვა გზა არ იყო, მდინარისაკენ გაიქცა. გულმა უგრძნო უბედურება, განუსჯელობა იყო მდინარის პირდაპირ გადასვლა, როცა ხიდი შორს არ იყო.

რევაზთან მიდიოდა ნანიტო, მაშ რაღა დააბრკოლებდა? მეჯუდა? იგი არც ისე მოდიდებული ჩანდა. გუშინ თორებელი გოგო-ბიჭები ფეხით გადადიოდნენ მას, ტირიფთან. აგერ მდინარის ნაპირამდეც მივიდა. რად ირჯება თათია? წინ რად გადაუდგა, რად უყეფს?

— აზგამო, რა გინდა ჩემგან! —

უჯავრდებოდა ნანიტო ძაღლს. ის კი არ ეშვება, კაბის კალთით უკან ეწევა. — აზგამო, რევაზთან მიმეჩქარება! — კვლავ უჯავრდება ქალი და რიყის ქვას სცემს საბრალო, მაგრამ გონიერ ცხოველს. თათიაც ბრუნდება. შერბის შიფერის სახურავზე. მონუმენტივით უძრავად შეშდება იქ, საიდანაც მთელი თავისი ძაღლური ერთგულება პატრონებისათვის მსხვერპლად მიუტანია. ნანიტო წყალს მიუახლოვდა.

— ყმუუუ... ყმუუუ... — ღმუის ძაღლი.

— ღვთის ცეცხლი შენა! — წყევლის მას კარის ზღურბლზე გამოსული ძალო მაიკო. მაგრამ ძაღლი უეცრად სახლის სახურავიდან პირდაპირ რიყეზე ხტება. ამასთან მაიკოს სმენას წვდება ყვირილი: „უშველეთ, უშველეთ!“ ნანიტომ თითქმის მიაღწია სამშვიდობოს. როგორ მოხდა, რომ ფიქრობდა დილით: მძულს თორეები, ყარაჩა თადევოზი, მაიკო, დისწულები, პეპელო, მებოსტნე მეგობრები. როგორ მოხდა, რომ იფიქრა: გავსწევ ძევრში და რევაზის სახეს აღარ დავინახავო. არა, არა! პირიქით. აი მიდის რავაზთან. გამოუტყდება, პირდაპირ ეტყვის, აქა ვარ, უშენოდ ეს ქვეყანა ნიავის აფრიალებულ ბუმბულადაც არ მიღირს, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარო. რევაზმა კი ხელები მოხვია, გვერდით მოისვა ის. აი, ჩემო რევაზ, ასე, მიყვარხარ, მიყვარხარ, რევაზ!

ამ დროს გიჟი მდინარისაგან მოტანილი მანიულის ყვითელი, გაუსხიპავი რტო გამოედო ფეხებში. ნანიტომ უეცრად დოქს ხელი ვერ შეუშვა, რათა რტოს მოსაცილებლად მოეხმარა. შედგა. წყალმა ფეხის გულებში სილა-ხრეში გამოაცალა, წააქცია. შთანთქა.

— რეზო, მიყვა... — სხვა აღარ დასცალდა. კიდევ მოასწრო გაგონება:

— ნანიტო, ნანიტო, ნანიტოო, შენ-კენ მოვდივარ! — ნეტავი ვინ ეძახდა?! რავაზი ხომ არა? მისი ხმა არის, — მისი, ოღონდ გვიან...

ამ შემთხვევამ მთელი თორები შეძრა. საიდან არ გამორბოდა ხალხი საშველად. ყველას თათიამ მოასწრო. ქალს თმაში ჩაავლო პირი, ნაპირისაკენ გასწია, მაგრამ ამაოდ. ტვირთი მეტად მძიმე გამოდგა, წყალიც ძლიერი. მაშინ თავგამეტებული სამსონი გადაეშვა მდინარეში. მძლავრი ბარძაყებით გაარღვია ჭავლები და ნანიტო ნაპირზე გაიტანა. როგორც იქნა, მოასულიერეს. ძალო მაიკომ და სამსონმა ის ხელში აიყვანეს.

— სად დავაწვინოთ? — იკითხა სამსონმა.

— აქ, — უთხრა მას ძალო მაიკომ და უმცროსი და რევაზის სახლში შეიყვანა. ლოგინში ჩააწვინა. ჭაჭის წინწარაქით დაუზილა ნაზი სხეული, ანთება არ დაემართოსო. ორიოდე ყლუპი შეასვა კიდევაც. საშიშარი რომ აღარა იყო რა, სამსონი ეზოში გავიდა. რატომღაც გადაწყვიტა, დღესვე დაერეკა რაიკომის მდივნისათვის — კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე რევაზ ჯაპანაშვილს ვაყენებო, და ამ აზრის გაზიარება ალფეზისათვის დააპირა პირველად. ბუხჰალტერი ხალხში იდგა. „ჰო“-ო დაუდასტურა მან და იქვე ერთ-ერთ კოლმეურნეს გამოელაპარაკა:

— ამ ოჯახქორებს თურმე ქალი დასახრჩობად უნდოდათ. მე კი ვეხვეწებოდი მაიკოს, ჩემი ბიჭისათვის მომეცი-მეთქი.

სამსონმა ერთბაშად ვერ მოიფიქრა, რა პასუხი გაეცა ალფეზისათვის. იგრძნო მხოლოდ სულისა და გულის წყურვილი — ხელში ლოდი აეღო და წელზედ დაეკრა ამ ყვავილთან ერთად მზის გულზე გამოსულ და წამოდიცხეტულ ქვეწარმავლისათვის.

— შენი ცალთვალა, ნაჯიბგირალი

ჭიჭიას ცოლად წაყოლას თავის დალრჩობა მეჯუდაში ბევრად სჯობს, მაშინაც კი, როცა იგი ნახევრად გამშრალია და დახრჩობა მეტად ძნელია. რაც შეეხება ნანიტოს, ორივემ — მამამაც და შვილმაც — პირი გამოირეცხეთ ხოლმე და ისე ახსენეთ მისი სახელი. — მიახალა ალფეზს პირშიმთქმელმა პეპელომ.

ალფეზს ენა ჩაუწყდა. არ იცოდა, არ ეგონა, თუ ასე გამეტებით გადაუჭერდნენ მოქნილ და მაგარ სახრეს. თავი ჩაღუნა, შინისაკენ გაპარვა დააპირა და, რომ თავისი გესლით სავსე კაცთმოძულე სახე დაეფარა, დარდიანად ჩაილაპარაკა:

— რას ვერჩი ვისმე, იმ გოგომ მართალი წამომძახა. იმისთანა შვილის მამას, როგორიც ჩემი ჭიჭია არის, მერჩია, მე დამეღრჩო თავი მეჯუდაში.

სამსონმა ამასაც მოჰკრა ყური. ახლა მისი მოტყუება აღარ შეიძლებოდა. ამ სიტყვებით მცოცავმა, რომელმაც მსხვერპლი შხამიან კბილებში ვერ მოიგდო, გაუცდა ნადირობა, აქაო-და თავი არავინ გამიჭეჭყოსო, სხეულის ჭრელი მხარე ამოატრიალა ზემოთ — შეხედეთ, გველი კი არა ყვავილი ვარო. არა, ამ „ყვავილს“ არ დატოვებს სამსონი თორებში. იცნობს მას, ორჯერ ნახა — ერთხელ მაშინ, როცა წიწილა იყო, მეორედ დღეს.

— გასწი, გადააბარე ანგარიშები მოანგარიშეს, — უთხრა ბუხჰალტერს. — გადააბარე და გზაზედაც ნუღარ შემეყრები.

— გოგო, ხიდზე რად არ მოუარე! — უსაყვედურა მაიკომ დას, ახალგაზრდა ქალის სადარდელით და თავგადანახადით ფერწასულს, მაგრამ უფრო გამშვენიერებულს.

— გამგზავნე ძმებთან, ძევრში, მაიკო, გამგზავნე, — ეხვეწებოდა ის უფროს დას.

— იმას რაღას ეუბნები, ვისთვისაც ამოდენა სიმწარე განიცადე?

— ერთი იმასაც ჰკითხე. იქნება ჩირადაც არ ვუღირვარ, — ჩაილაპარაკა ნანიტომ და თან მწარედ გაიღიმა. ძალო მაიკო ზემოდან გადაემხო დას. დაუკოცნა შუბლი, ლოყები, ყელი.

— გოგო, ქაშანურის ჭურჭელივით გამოიწვი ტრფიალის ცეცხლში. მთელი გამოხველ ქურიდანაც. მაიკოს და ნათიანებს შენგან მეტი არა უნდათ რა. რევაზისა კი მე ვიცი. შენს მეტი გულში და გონებაში არავინ უზის.

— თუ აგრეა, სად არის, რატომ გაუჭირდა ჩემთვის ერთი მკურნალი სიტყვა?

ძალო მაიკომ კარი გაიღო. შეუშვა რევაზი, რომელსაც შინ თათიამ შეასწრო. თვითონ კი გარეთ გავიდა.

— რადა მღუპავდი! — უსაყვედურა მან ქალს.

წამოაყენა, მკერდზე მიიკრა. იმ მკერდზე, რომლის ქვეშაც გული მხოლოდ ნანიტოსათვის უცემდა. მათი მოწმე ახლა თათია იყო. ის ტახტზე შემხტარიყო, ფეხები დაებაჯაჯგინებია. ლაშებს მალიმალ ილოკავდა ენით. ჰამ, ჰამ, ორჯერ დაიყეფა, რითაც თითქოს განაცხადა: ღირს ადამიანის სამსახური და ერთგულება.

მაიკო ეზოში ქოშინით გულამოვარდნილ ნიკოლოზ ოზეროვს შეეფეთა. ტრაქტორისტს ყვირილი გაეგონა. გამოქცეულიყო. მასაც თავისი დიდი ჩექმებით პირდაპირ მეჯუდაში გამოეტოპა.

— დაგამშვიდეთ დღესა, თქვენი ჯერი მეჯუდამ წაიღო, — უთხრა მაიკომ.

— რას ამბობ, ძალო მაიკო, ოღონდ მშვიდობა იყოს. მაგ ზარალზე გადაუვლია თქვენ დარდს, — რუსული კილოთი მიუგო ოზეროვმა, რამაც მაიკო გააცინა კიდევაც, და გულწრფელობისათვის რომ დიდი ფასი დაედო, თითქმის უბრძანა:

— დანა მონახე, ბურვაკი გამოიყვანე, წააქციე! მერე ქვევრის ახდაზედაც

მომეხმარე, გასმევ ქვიშხურს. ღვინო როგორ არა მაქვს, შენც კარგად და ბედნიერად იყავი, შვილო, ძმაო, კეთილო რუსო.

— გათავებულა, ველარ მოვუსწარით. —გაიგონა მაიკომ ქმრის ხმა. შეხედა კიდევაც. თადევოზმა საფქვავით დატვირთული ურემი ეზოში შემოიყვანა. შენიშნა აგრეთვე ივანეც. შენიშნა და ჯოხისაკენ გადაიხარა, არ აილო ხელში, გაახსენდა ქმრის თხოვნა, — თავი შეეკავებინა, თუ მაზლი მამის სანახავად მოვიდოდა. პაპა ერმილე კი ცოცხალი იყო. ხმაურზე თავისთავისთვის ძალა დაეტანებინა. ლოგინზე წამომჯდარიყო. დიდხანს შესცქეროდა ხალხს — ნეტავი ისეთი რა მოხდა, რომ ნაყარი ფუტკარივით ირევიანო. როცა გაქსუებული შვილი ივანე დაინახა, დაასკვნა — მეზობლებმა უთუოდ ის მოაცილეს შინამდეო.

ამ დროს მაიკო დას შეეჭრა სახლში.

— გოგო, ის შენი მამამთილი „გეახლა“, როგორ მოვიქცეთ?

— მამა თავის შვილთან სახლში მივიდა, რაღა საკითხავია, როგორ მოვექცეთ. მარტო არის თუ... — უფლებამოსილად იკითხა ნანიტომ.

ძალო მაიკოს ახლა გადმოსცვივდა ცრემლები. ამ სიტყვებში კიდევ უფრო იცნო თავის ფეხზე შემდგარი ნათიანთ ქალი ნანიტო, მისი ღვიძლი და.

— ჰო, მარტო არის.

— შინ შემოიყვანე, შენი მაზლია, ჩემი — მამამთილი, რევაზის მამა. არც ორი მაზლის და ორი მულის დაკარგვა მაქვს გულში.

— აწ შენ იცოდე შენი საქმისა! — უთხრა მას ძალო მაიკომ. გვერდზე მიდგა, რადგანაც ლამის აგურით ნაგებ სახლში შეუშვა თადევოზი და ივანე.

ნანიტომ ღონე მოიკრიბა, წამოდგა, შემოსულთ ფიცრული სკამები დაუდგა. რევაზის გვერდით, ერთ ადგილას გაჩერდა ქვესკნელში ღრმად, მყარად ჩადგმულ, ლოპოტის ნათელი მარმარილოსაგან გამოკვეთილი დედაბოძივით.

ძალო მაიკო ჩუმად იდგა განზე. ამ სურათს შესცქეროდა. აგონდებოდა უდროოდ დამიწებული ლილილო, აგრეთვე სადა და სად მოახვედრა მაზლს ბურთისოდენა, მძიმე, სისხლივით წითელი კეხურები. კაცმა რომ თქვას, ძალო მაიკო თვითონ იყო ეს გამძლე ხილი, და ის მიწა, რომელსაც იგი მოჰყავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

ულელტეხილი

რომანი

★

თავი მეთერთმეტე *

ქმართან გაყრის შემდეგ ლილის საქმეები ცუდად წავიდა. მისი პირველი სატრფო, პროფესორ გავაშელის ვაჟი რევაზი, ანუ, როგორც შინაურებში ეძახდნენ, რეზო, რომელმაც ქმარი მიატოვებინა, არც კი ფიქრობდა ლილი ცოლად შეერთო. პირველად უნივერსიტეტის დამთავრების აუცილებლობა მოიმიზეზა, მაგრამ მალე მან ერთნაირად აიცრუა გული ამ ახალგაზრდა ქალზედაც და სწავლაზედაც. მესამე კურსიდან მიატოვა იურიდიული ფაკულტეტი და სამედიცინოზე მოახერხა შესვლა. ამგვარად, მან ქორწინების ვადა ლილის ექვსი წლით გადაუდო.

მაშინ თავგზადაბნეულმა ლილიმ მშობლებს დაუჯერა და გადაწყვიტა, თვითონაც დაუფლებოდა უმაღლეს ცოდნას. სწორედ ომის დაწყების წელს, როდესაც ვაჟთა აბსოლუტური უმეტესობა ჯარში გაიწვიეს, ლილიმ მოახერხა, უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო.

თუ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა ადვილი შეიქნა მისთვის, სამაგიეროდ, სწავლა საოცრად გაუძნელდა. მართალია, ლექციებზე დადიოდა, ყურადღებით უსმენდა ლექტორებს, გაფაციცებით იწერდა რვეულში ლექციებს, მაგრამ მის თავში არაფერი შედიოდა და იძულებული გახდა მასწავლებლად და რეპეტიტორად ახალგაზრდა ასპირანტი ქალი აეყვანა.

საქმეს ვერც ამან უშველა, რადგან ლილი კვლავ თავდავიწყებით განაგრძობდა რეზოსთან მიჯნურობას და საკმარისი იყო ამ ყმაწვილ კაცს უბრალოდ ხელი დაექნია მისთვის, რომ ახალგაზრდა ქალი მაშინვე მიატოვებდა ყოველგვარ საქმეს, მეცადინეობას, და დაუფიქრებლად გარბოდა მასთან.

მშობლებმა, მართალია, იცოდნენ, რომ ლილი რეზოსთან დადიოდა ხოლმე, მაგრამ მათი აზრით, ეს მათი შეხვედრები უმანკოების საზღვრებს არა სცდებოდა, და რადგან ეს ახალგაზრდა კაცი საბოლოოდ ჰყავდათ მიჩნეული თავისი ქალის საქმროდ, ამიტომ ლილის ასეთ ხშირ-ხშირ გავარდნებს სახლიდან და მეცადინეობაზე მოცდენაზე თვალმოხუჭული უცქეროდნენ.

მაგრამ ერთხელ ცოლსაც და ქმარსაც უნებურად აეხილათ თვალი.

დილის ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც კარებზე მორიდებულად დააკაკუნეს. მოსამსახურე ტანიამ კაკუნი გაიგონა, მაგრამ ადგომა დაეზარა და თავი მოიმძინარა. იქნებ პირველ კაკუნზე რომ ამდგარიყო, არაფერიც არ მოხდებოდა, მაგრამ მეორედ კარებზე უფრო გაბედულად დააკაკუნეს. ალექსანდრემ კაბინეტის კარები გააღო, დერეფანში გამოიხედა და, როდესაც დაინახა, რომ მოსამსახურე გაღვიძებას არ აპირებდა, თვითონ გაემართა წინაკა-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 6.

რისაკენ, გააღო და გაოცებული შედგა. კედელს თმაგაწეწილი და ტანისამოსდაჭმუჭნული მისი ქალიშვილი მიყრდნობოდა და თითქოს თვლემდა.

— ლილი! — გაოცებით წამოიძახა ალექსანდრემ.

მამის ხმის გაგონებაზე ლილი შეკრთა, შეეცადა წონასწორობა დაემყარებინა, მაგრამ ვერ შეძლო და კედელზე ცალი ხელის ბჯენით ბარბაცით შევიდა დერეფანში, იქედან სასადილო ოთახში, ძლივს მიაღწია რბილ ფართო ტახტამდე და ზედ მოსხლეტით გაიშხლართა.

ალექსანდრემ გაოცებით გააყოლა თვალი შვილს და პირველად ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა. ენა ჩაუვარდა. თვითონ წუხელ გვიან დაბრუნდა და, როდესაც ცოლს ჰკითხა ლილი სად არისო, მან მშვიდი ხმით უპასუხა — დღეს ბევრი იმეცადინა, დაიღალა და სძინავსო. ახლა კი მოულოდნელად გათენების ჟამს გალეშილი ქალიშვილი დაუბრუნდა სახლში.

ამასობაში ტანიამაც გამოიხედა და დაინახა თუ არა, რომ ლილის კარები მამამისმა გაულო, დაფეთებულმა ერთიკი იტკიცა ლოყაზე ხელი და მერე ისევ თავის პატარა ოთახში დაიმალა.

ალექსანდრემ ჯახუნით დახურა ბინის წინა კარი, სასადილო ოთახში გადახედა ტახტზე გაშხლართულ ქალიშვილს, რომელიც მკვდარივით ეგდო, კაბა ზევით გაქცეოდა და შიშველი მუხლები უჩანდა. ალექსანდრე საწოლ ოთახში შევარდა.

— ქალბატონო, აბრძანდი ზეზე, — მიაძახა ალექსანდრემ ცოლს.

— რა მოხდა, — ზანტი ხმორებით უპასუხა ოლგამ და ქმარს ახედა.

— ადე, შენს ქალიშვილს მიხედე. სასადილო ოთახში გდია გალეშილი მთვრალი ტახტზე.

— გაგიჟდი? — წამოიძახა ოლგამ და ფეხზე წამოიჭრა.

— ჰო, ბატონო, გავგიჟდი. მე გავგიჟდი, თქვენა ხართ მარტო სწორი ჭკუის! — იყვირა გაცეცხლებულმა ალექსანდრემ და თავისიჯიბიდან ბანკნოტებით მიანარცხა ტრელიაჟს. ოდეკოლონებით სავსე შუშები ჩხრიალით გადმოცვივდა ძირს. — ეგაა შენი სალონის ქალიშვილი? ჰა? ეგეო აკლდა ყოველ სიკეთესთან ერთად და ახლა სმაც დაუწყია.

ოლგამ უხმოდ გადახედა ქმარს და სასადილო ოთახში გავარდა, სხვა დროს არ შეარჩენდა ქმარს ასეთ ხმამაღლა ლაპარაკს და ძვირფასი შუშების დამსხვრევას, მაგრამ წინაღამის სიცრუის მოულოდნელმა გამომჟღავნებამ ველარ გააბედვინა, სიტყვა შეებრუნებინა ქმრისათვის, თუმცა იგი კვლავ განაგრძობდა ბობოქრობას და ერთი-ორი უშვერი სიტყვაც კი მიაყოლა მეუღლეს.

ალექსანდრე ერთხანს ფანჯარასთან იდგა გაფითრებული და ტუჩებს იკვნეტდა. ჯერ ვითომ ისევ უნდოდა დაწოლა, პიჟამაც იმისთვის გაიძრო, მაგრამ გადაავიწყდა და, ფიქრებში წასული, უაზროდ იცქირებოდა სივრცეში.

— რა ხდება ეს? — გაუელვა გუნებაში და ისე მიმოიხედა, თითქოს ამ კითხვით ვინმეს მიმართავდა. — გამაგებინეთ, რა ხდება ეს?

ალექსანდრეს ერთი თვისება ჰქონდა, ყოველგვარ, თუნდაც უმნიშვნელო მოვლენისათვის თავისებურად შეეხიდა და ასანთის კოლოფიც რომ დაჰკარგოდა, ეს შემთხვევა მორიგ საზოგადოებრივ უბედურებად მიეჩნია. ცხოვრებაც თითქოს განგებ უდებდა თავისებურ საოხუნჯო კვანტებს და ყოველგვარი უცნაური მოვლენა მაინცდამაინც მას უნდა დასტეხოდა თავზე.

ეს ჩვეულება, ასეთი გაოცებით შეგებებოდა ყოველ არაჩვეულებრივ მოვლენას, მას ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის თებერვლის რევოლუციის შემ-

დეგ მოსდევდა. პირველად მაშინ წამოიძახა ეს სამი სიტყვა „რა ხდება ეს?“, როდესაც მანიფესტაციებზე გამოსულ ხალხს მოჰკრა თვალი და გაიგო — ხელმწიფე გადადგაო. ასეთი წამოძახილით შეეგება ალექსანდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასაც და, აქედან მოყოლებული, ყოველ პოლიტიკურ მოვლენაზე გაოცებით იძახდა: „რა ხდება ეს?“ ბოლოს ისე შეეჩვია ამ თავის წამოძახილს, რომ ყოფაცხოვრებითს, ყოველ წვრილმან შემთხვევებსაც ასეთსავე შეკითხვებს ახლიდა. გაიგონებდა სადმე ქურდობის შესახებ, წააწყდებოდა ქუჩაში აყალმაყალს, წამოჰკრავდა ფეხს ფილაქანზე ოდნავ ამოშვერილ ქვას, მაშინვე შედგებოდა, გაკვირვებით გადახედავდა სამყაროს და გაოცებით ამოიხდებოდა: „რა ხდება ეს?“. ეს წამოძახილი თანამედროვე ცხოვრებისადმი უკმაყოფილების გამოხატულებას წარმოადგენდა და ერთგვარ საყვედურს გულისხმობდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

„რა ხდება ეს?“ — კვლავ ამოიხდა ალექსანდრეს.

„ნუთუ ვერ გავზარდე ქალიშვილი, — ფიქრობდა იგი. — არაფერი არ დამიკლია, არც სწავლა, არც განათლება?! წავიდა ხელიდან ყველა. პატრონი არ ჰყავს ჩვენ ახალგაზრდობას, პატრონი. მაგათ რომ ჰკითხოთ, ახალგაზრდობას ვზრდითო. სადაა მერე ეს გაზრდა? ეს ხომ არაა, — თავის ქალიშვილისაკენ უნებურად გადახარა თავი ალექსანდრემ. — სად გავამხილო ეს სირცხვილი და თავის მოჭრა“.

მართალია, ლილი მისი ერთადერთი შვილი იყო, მაგრამ ალექსანდრე არასოდეს არ დაფიქრებულა თავისი ქალიშვილის აღზრდაზე. ეგონა, ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა. პატარაობიდანვე მისი ლილი განსაკუთრებული მზრუნველობით იზრდებოდა. ცოლიც და ქმარიც ძალზე ანებივრებდნენ თავის ერთადერთს და არც მეცადინეობით აწუხებდნენ. იყო შემთხვევები, რომ ლილი მთელი კვირაობით არ დადიოდა სკოლაში და დღის თორმეტ საათამდე ლოგინიდან არ დგებოდა. არ შეიძლებოდა, რომ ოდესმე მის ხელს რაიმე საქმე გაეკეთებინა. იატაკის დაგვა, დარეცხა, დაწმენდა ან დალაგება ხომ მისთვის უჩვეულო რამ იყო, — უბრალოდ ღილსაც კი ვერ მიიკერებდა კაბაზე. ამავე დროს, ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ განსაკუთრებით მორთვა-მოკაზმვა დაიწყო და ქალაქში თუ რაიმე ახალი და ძვირფასი ტანსაცმელი მოიპოვებოდა, ის აუცილებლად ლილის უნდა ჰქონოდა. არც ერთ სპექტაკლს ან კინოსურათს არ გამოუშვებდა. საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა, ორი წელიწადი უქმად იარა და განუყრელად ეპროწიალებოდა პროფესორ გავაშელის ვაჟს, რეზოს, მერე მასთან ჩხუბი მოუვიდა, მოულოდნელად მისთხოვდა დავით ბექაიას და ასევე მოულოდნელად ერთი თვის შემდეგ გასცილდა.

ალექსანდრე მაშინ ფილოსოფიური სიმშვიდით შეხვდა ამ ამბავს და შვილი არც კი დაუტუქსავს. მით უმეტეს, რომ მას დავითზე უფრო რეზო გავაშელი მოსწონდა და პროფესორის ოჯახთან დამოყვრება ესახელებოდა. იმასაც ხედავდა ალექსანდრე, რომ ასეთი ნებივრობით გაზრდილი მისი ქალი დავითისთანა ადამიანთან ოჯახს ვერ შეჰქმნიდა. მამის ოჯახში ჩაბუდებულ ქალს არაფერი არ აკლდა. მდიდრულად მორთული ბინა, სადაც იატაკიდან დაწყებული ჭერამდე ყველაფერი ბრწყინავდა, ოქროთი მოვარაყებული ავეჯიც და წიგნებიც, ფაიფურიც და ბრილიანტიც, ყოველივე ეს თვალს ჭრიდა ყველას. ოჯახის დიასახლისი ოლღა, ანუ ოლიკო, როგორც მას საყო-

ველთაოდ ეძახდნენ, ბავშვობიდანვე ოცნებობდა, საკუთარი სალონი ჰქონოდა. მან რომანებში ამოიკითხა ფრანგული და რუსული სალონების შესახებ და მის წარმოდგენაში სალონი მხოლოდ და მხოლოდ კარგი ავეჯით მორთულ ბინას წარმოადგენდა. მართალია, შემდეგში ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობაც შეიგნო, მაგრამ ამ ბრეჯვიალა ბინის მეტი ვერაფერი ვერ შექმნა. ის არ იყო მაინცდამაინც დიდი ჭკუისა და ფართო გონების პატრონი ქალი. ულამაზესი გარეგნობით დაჯილდოებული, ის ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის ხანაში, მოწაფეობის დროს, ოცნებობდა მაინცდამაინც მინისტრის ცოლი გამხდარიყო. მართალია, მენშევიკებს ბევრი ვერაფერი შვილი საცოლო ბიჭები ჰყავდათ მინისტრებად, მაგრამ ოლიკო ამაზე სულაც არ ფიქრობდა. მამამისი დაბალი ფენებიდან გამოსული მდიდარი მრეწველი იყო და ამიტომ შვილის ოცნება მთლიანად ემთხვეოდა მამის სურვილებს. მინისტრის ცოლობა, ოლიკოს წარმოდგენით, იყო ბედნიერების ის უმაღლესი წერტილი, რომლის ზევით მისი ოცნება ვეღარ მიდიოდა. ოლიკო მშობლებთან ერთად ოცნებობდა საკუთარ სასახლეზე, ზღვისპირად წამოჭიმულ ვილებზე, საკუთარ ავტომანქანაზე, უცხოელებთან გამართულ რაუტებზე, საზღვარგარეთ მოგზაურობაზე და ათას ამგვარ დროსტარებაზე, რაც, მისი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ყოველი მინისტრის ცოლის ხვედრი იყო. ასეთმა ოცნებებმა ოლიკოს, ცხადია, თავისებური დაღი დაასვა. მართალია, თვითონ ეგონა, სატახტო ქალაქის სანიმუშო დამა ვარო, მაგრამ თავისი მიმზიდველი გარეგნობის გარდა მას არაფერი არ გააჩნდა არც გონებრივი, არც სულიერი, რითაც შეიძლებოდა ის მართლაც სანიმუშო გამხდარიყო.

ოცნება არ გაუმართლდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და მენშევიკები თავიანთი მინისტრებით სტამბოლისაკენ გაიქცნენ. ოლიკოს ისღა დარჩენოდა სანუგეშოდ, რომ ყველას გააფთრებით უმტკიცებდა: — გენაცვალეთ, როგორ, კომისრები რითი არიან ნაკლები მინისტრებზეო.

სცადა, სამსახურში მოწყობილიყო, რომ ამით უფრო გაეადვილებინა მიზნის მიღწევა და ისეთ კომისარიატს დაუწყო ძებნა, სადაც ან თვით კომისარი ან მისი მოადგილე მისთვის შესაფერი იქნებოდა.

სამსახურის ძებნაში ოლიკომ გაიცნო ალექსანდრე, რომელიც მაშინ ერთ-ერთ კომისარიატში რეფერენტად მუშაობდა და, როგორც ამბობდნენ, კომისრის შემდეგ პირველი კაცი იყო. ოლიკო მისთხოვდა ალექსანდრეს იმ იმედით, რომ ოდესმე მისი ქმარი კომისარი გახდებოდა. ეს იმედი, რასაკვირველია, არ გაუმართლდა, რადგან ალექსანდრე, ჯერ-ერთი, უპარტიო იყო და, მერე, ისეთ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთაც არც ხასიათი აქვთ და არც უნარი შეესწევთ, შეაბიჯონ თანამდებობის მაღალ საფეხურებზე.

გათხოვების შემდეგ ოლიკომ უფრო საღად შეხედა ცხოვრებას და ერთი ორი წლის შემდეგ უკვე სხვაგვარი შეხედულება ჰქონდა თავის მომავალზე. მამის დახმარებით, რომელიც ნეპის პერიოდში ჯერ კიდევ ახერხებდა მოზრდილ კომერციულ ოპერაციებს, დიდი, ხუთი თუ ექვსოთახიანი, ბინა შეიძინა, მდიდრულად მორთო და შეეცადა თბილისის მაშინდელ ქალთა წრეში პირველი ადგილი დაეჭირა. უპირველეს ყოვლისა, მას სურდა თავისი გარეგნობით მიექცია ყურადღება. ხშირად დადიოდა კლუბებსა და ბაღებში გამართულ საღამოებზე, სადაც თავისი მდიდრული ჩაცმულობით და ლამაზი გარეგნობით მართლაც იქცევ-

და ყურადღებას. ყოველდღე შუადღისას ლამაზად მორთული ოლიკო აუცილებლად ჩაივლიდა რუსთაველის პროსპექტზე თავის პატარა ლილისთან ერთად. მაშინ მოდაში იყო ბავშვიანი დედების სეირნობა შუადღისას, მაგრამ ერთი თავისებურება ახლდა ამ მოდას: სასეირნოდ გამოსულ დედებს ქალიშვილები გამოჰყავდათ თან. ბიჭების გამოსეირნება რატომღაც არ იყო მიღებული და ამის გამო ფეხმძიმობის დროს ოლიკო სულ ლოცულობდა: ღმერთო, ქალიშვილი შემძინეო. ნატვრა აუსრულდა ოლიკოს და აღარ უფიქრია, მეტი შვილი გაეჩინა. როგორც კი ლილი წამოიზარდა და ცუნცული შეიძლო, ოლიკო, რომელსაც ახლა ნაცნობები ოლგა დიმიტრიევნას უწოდებდნენ, ყოველდღე სეირნობდა პროსპექტზე და უალრეს სიამოვნებას განიცდიდა, რომ ამ სეირნობის დროს თითქმის ყოველი შამაკაცის ყურადღებას იპყრობდა. არასოდეს უკან არ მოიხედავდა, მაგრამ გრძნობდა, თვალს აყოლებდნენ და ხშირად საკმაოდ ხმამაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას. ეს იყო ოლიკოს უდიდესი ბედნიერების წლები. ერთადერთი, რაც ოლიკოს აწუხებდა, ის იყო, რომ ოდნავ სიმსუქნე მოერია და ვერ მოახერხა სავსებით დამგვანებოდა იმ ხანებში ცნობილ ამერიკელ კინომსახიობ ქალებს — პირლ უაიტსა და მერი პიკფორდს. ასეთ ტანწერწეტა და ლამაზფეხებიან ქალებს უფრო მეტი მოწონება ჰქონდათ. რა ხერხს არ მიმართა ოლიკომ, რომ ოდნავ მაინც გამხდარიყო, უზმოზე ძმარს სვამდა, შიმშილობდა, მაგრამ არაფერმა უშველა. ისეთივე სახესავსე და მკვრივი აგებულების დარჩა.

თაყვანისმცემლები მაინც ბევრი ჰყავდა და, მათ შორის, დიდი თანამდებობის პირებიც. ოლიკოს შესახებ ქალაქში საკმაოდ პიკანტური ჭორებიც კი იყო გავრცელებული. ამბობდნენ, რომ ერთი რომელიღაც ტრესტის დირექტორის ცოლმა კიდევაც [illegible] ცემა, რადგან ძალზე არასასურველ დროს წაასწრო თავის ქმართანო.

ოლიკოს ასეთი ჭორები არ აწუხებდა. პირიქით, უხაროდა კიდევაც, რომ იმის შესახებ ბევრს ლაპარაკობდნენ. ქმარი კი ისეთი ჰყავდა, საყვარელი სახლშიაც რომ მოეყვანა, ხმას არ ამოიღებდა.

ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ ნეპი ძალაში იყო და თბილისი სავსე იყო უცხოელი მრეწველებით, კაფერესტორანებით, ბანქოს სათამაშო კლუბებით, გაჩირაღდნებული სავაჭრო მაღაზიებით, ათასი ჯურის კომისიონერებით, ვაჭრებით და სხვადასხვა სახის გაიძვერებით. მაგრამ მალე დადგა ხუთწლედების მკაცრი, საქმიანი პერიოდი და თბილისი სწრაფად გაიწმინდა მთელი ამ ობივატელური ნაგავისაგან. ფინსახკომის საგადასახადო პრესმა უცბად მოუღო ბოლო უცხოეთიდან შემოსეულ ვაჭრებსა და მრეწველებს და ისინი თავიანთ ქვეყნებში გაიხვეტნენ, ბანქოს სათამაშო კლუბები და ფეშენებელური რესტორანები შეცვალეს მუშათა კლუბებმა და იაფფასიანმა მუშათა სასადილოებმა. კერძო სავაჭროთა შენობები დაიჭირეს ათასგვარმა საამშენებლო კანტორებმა და დაწესებულებებმა და ძველებური აბრების ნაცვლად, რომლებზედაც ეწერა — „ძმები რახმანოვების ვაჭრობა“ ან „თევზეულობა ძეგველოვებისა“, გაჩნდა ახალი წარწერები: „ჰიდროსადგურთა მშენებლობის ტრესტი“, „საამშენებლო მასალათა ტრესტი“ ან კიდევ „რაიონული საამშენებლო ბიურო“, „მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველო“, „გეოლოგიური ძიების საქართველოს კანტორა“ და სხვა ამგვარი წარწერა. მთელი სავაჭრო ქსელი ნორმირებულ მომარაგებაზე გადავიდა და სადღაც გაჰქრა წინანდელი უქმი ცხოვრების კვალი. თბილის-

ში დაიწყეს მთელი კვარტალების ნგრევა, ტრამვაის ძველი ლიანდაგის აყრა, ტროტუარებზე აიმართა ხარაჩოები, ფიცრული ტიხრები და მთელი ქალაქი მშენებლობის კორიანტელში გაეხვია. ქუჩები მტვერით დაიფარა, საბარგო მანქანების რახრახი სმენას აყრუებდა და სრულიად გადაიკარგა ძველებურ ვიზიტკიბსა და საზღვარგარეთულ შევიოტის კოსტუმებში გამოწყობილი საზოგადოება. რუსთაველის პროსპექტზე ახლა უფრო ხშირად დაინახავდით სამკერვალო ფაბრიკაში უშნოდ შეკერილ ბამბანარევ კოსტუმში გამოწყობილ სტუდენტებს, ზეთში გასვრილ მონტიორებს და მშენებლებს, მძიმეჩექმებიან, ტყავის ქურთუკიან წვერგაპარსულ ინჟინრებს.

ოლიკოსათვის ეს უჩვეულო ამბავი იყო. საშინელი ამბავი. მისი აზრით, თბილისში უცბად ჩაკვდა ცხოვრება. აღარსად წასვლა არ შეიძლებოდა. საზოგადოება აღარ ჩანდა და ოლიკოსათვის აუტანელი შეიქნა ცხოვრება. ბაზარზე საქონელი არ იშოვნებოდა. მომარაგებითაც პირველ რიგში მუშებს ამარაგებდნენ. აღარავის ეცალა ლხენისათვის და დროსტარებისათვის. ოლიკო უმეტეს დროს თავის ბინაში ატარებდა და არ იცოდა, მოწყენა რითი დაეძლია. შემოსავალმაც იკლო. ქმრის ჯამაგირი უკვე საკმარისი არ იყო და ძლივს ჰყოფნიდათ, რომ როგორმე თავი გაეტანათ.

მაშინ დაებადა ოლიკოს სურვილი, რომ რაიმე სპეციალობა შეესწავლა და უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო. ეს იმ დროს არ იყო ძნელი საქმე, რადგან, ჯერ-ერთი, თბილისში ნაცვლად ერთი უნივერსიტეტისა, ოცდახუთზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა და, გარდა ამისა, მაშინ უგამოცდოდ შეიძლებოდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. მართალია, ოლიკო წამოზრდილი შვილის პატრონი ქალი იყო, მაგრამ მაინც მოახერხა სპეციალობა შეეძინა და კბილის ექიმი გამხდარიყო. ერთხანს ოცდაოთხ სახლში საკუთარი საექიმო კაბინეტიც კი მოეწყო, მაგრამ ქალაქში იმდენი პოლიკლინიკა გაიხსნა, რომ კერძო პრაქტიკა არათუ ოლიკოს, სახელგანთქმულ ექიმებსაც კი აღარა ჰქონდათ.

ქალიშვილი ბევრად არ ჩამორჩებოდა დედას. ერთადერთი, რაც განასხვავებდა მას თავისი მშობლისაგან, ეს იყო ნებისყოფის ერთგვარი სისუსტე, რითაც ლილი მამას წააგავდა. დანარჩენში გარეგნობით, კოპწიაობით, ჩაცმა-დახურვის განუზომელი სიყვარულით და ნებივრობით ის განსახიერება იყო დედისა. „ყველაფერი ლამაზი მიყვარს და ბედნიერი ვარ, რომ ქალიშვილიც ლამაზი გამომივიდა“, — ამბობდა ოლიკო თავის ქალიშვილზე და ლილის თავიც კი ჰქონდა გაბეზრებული დედის ქათინაურებით: „აჰ, რა მშვენიერი იყავი დღეს ოპერაში, სუყველა შენ გიცქეროდა“, „ბოტიჩელის მადონაა, ამბობდა ყველა“, „ასეთი ვახშამი არ მოსწრებია თბილისს, ისე ანათებდი სუფრაზე, კაკ ბოგინია!“

ასეთი აღზრდის და დედობრივი მზრუნველობის შედეგად (ეს ალბათ ერთშვილიანი დედის განუყრელი ნაკლოვანებაა) ლილი ბევრი არასასიამოვნო თვისებით ალსავსე ადამიანად აღიზარდა და, მათ შორის, ყველაზე ცუდი — მისი სიზარმაცე იყო.

ქმართან გაყრის შემდეგ ლილის გადაჭრით უბრძანა მამამ, შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში. ახლა უკვე ისე ადვილი აღარ იყო უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში მოხვედრა, მაგრამ ლილის ბედმა გაუღიმა და ორმოცდაერთი წლის შემოდგომაზე ადვილად მოახერხა გამოცდების დაჭერა. მეცადინეობაზე მაინც ნაკლებად ფიქრობდა. ერთხანს ლექციებს თითქმის სისტემატურად ესწრებოდა, მაგრამ

შემდეგ და შემდეგ ადვილად შეძლო, დაახლოვებოდა ჯგუფხელებს და გასცნობოდა ლექტორებს. ამის წყალობით ხშირად მთელი კვირა გავიდოდა და ლექციებზე არ შეიხედავდა. მართალია, ომის დაწყების შემდეგ სტუდენტების დასწრების საქმეს მეტად მკაცრად მოჰკიდეს ხელი, მაგრამ ლილი მაინც უზრუნველად გრძნობდა თავს და, თუკი რამე ისწავლა ამ ხანებში, ეს იყო მართლაც უმაღლესი ხელოვნება საგნების მოუმზადებლად ჩაბარებისა და ლექციების ისე გაცდენისა, რომ ჟურნალში მუდამ ყოფილიყო მისი დასწრება აღნიშნული. ასეთი იყო ეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ახლა მთვრალი გაშხლართულიყო ლოგინზე.

„რა ხდება ეს? — კვლავ გაუელვა ალექსანდრეს გონებაში და სასადილო ოთახისაკენ გაიხედა. იქიდან კი მისი მეუღლის ხმა ისმოდა. ქალიშვილს ეხვეწებოდა — ამდგარიყო, რომ საწოლ ოთახში გაეყვანა. ოლიკოს ტანია მიეშველა და ორივემ სცადა ლილი ფეხზე წამოეყენებინა.

— დედა, დამანებე თავი, — ამოიკვნესა ლილიმ და ისევ ზღართანი მოადინა ტახტზე.

ალექსანდრე ისე სწრაფად წამოიჭრა ფეხზე, რომ სკამი წააქცია, სასადილო ოთახში გავიდა და ცოლს უთხრა:

— დაანებეთ თავი. ფეხზე გახადეთ და თავი თბილად შეუხვიეთ, თორემ გული აერევა.

ალექსანდრეს რატომღაც სრულიად გადაავიწყდა თავისი წინანდელი სიბრაზე და ჩვეული მამობრივი მზრუნველობით მივიდა შვილთან და ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი მოუსვა.

ოლიკო, პირიქით, ახლა გაბრაზდა. აქამდე თუ თავის ქალს მფარველობას უწევდა და მზად იყო, ყოველთვის თავის ქმარს შებმოდა, ამ სურათის დანახვამ ისე გააცეცხლა, რომ რამდენჯერმე მაგრად მიაწყევლა:

— სიკვდილი და არ გადარჩენა შენი. ღმერთო, რა უბედური ვარ, რათ ვარ ასე უბედური!

— ვაი, დედა, მოვკვდი, — ამოიგმინა ლილიმ.

— მოკვდი, თუ კვდები, მოკვდი! — არ ისვენებდა ოლიკო, — მაგ სიცოცხლეს მაინც სიკვდილი სჯობს.

— კარგია, ერთი! — შეუტია ცოლს ალექსანდრემ. — წადი, კარადაში ნიშადურის სპირტია, მოიტანე. როცა დროა, მაშინ არაფერს ეუბნები და ახლა შენი წყევლა-კრულვა რაღას უშველის!

— სად ეგდო, ის მაინც ვიცოდე, — ცხარობდა ოლიკო. — რა ხალხში იყო.

— არა, რას ბრძანებთ, — გაზვიადებულად და ოდნავ დამცინავად უთხრა ალექსანდრემ. — მეცადინეობდა და დაღლილს თავის ოთახში ეძინა.

— დიახ. ახლა მე დამაბრალე, — შეუტია ქმარს ოლიკომ. — აქამდე ერთხელაც არ გაგხსენებია, ყურადღება მიგექცია შენი ქალიშვილისთვის. წუხელ რაღაც შემთხვევით გაგახსენდა, იკითხე, სად არისო, და ახლა, ვითომც დიდი მზრუნველი მამა იყო, სხვებს დასცინი! შენთვის შეინახე ეგ შენი ირონია.

ალექსანდრემ ბრაზმორეულად ახედა ცოლს.

— თქვენი ჯილაგი კი გაწყდეს, თქვენი. შენ ამის საქციელს კი არა, თუ დარი დაგიდგა, გერმანიის თავდასხმასაც მე დამაბრალებ. კარგი, ბატონო, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. გელაპარაკები, წადი, ნიშადურის სპირტი მოიტანე, ბავშვს მივხედოთ.

— ბავშვი! ნამეტანი ბავშვია ერთჯერ ნაქმარევი გომბიო.

გაკაპასებული ოლიკო მეორე ოთახში გავიდა და, სანამ ნიშადურის სპირტს მოძებნიდა, ალექსანდრემ მისუსტებული ლილი ხელში აიყვანა და თავის საწოლ ოთახში ლოგინზე დააწ-

ვინა, მერე მოსამსახურე გოგოს დარიგება მისცა, როგორ მოქცეულიყო, თვითონ კი პირი დაიბანა, ტანსაცმელი ჩაიცვა და არც კი უსაუზმია, ისე წავიდა სახლიდან. მას სურდა განმარტოებით მოეფიქრებინა ყოველივე, რომ როგორმე ერთი დაკვრით აღეკვეთა მომავალში შვილის ასეთი უმსგავსო საქციელი.

„რა ხდება ეს?“ — კიდევ გაუელვა თავში ალექსანდრეს. მას ახლა კი არ აბრაზებდა, არამედ აკვირვებდა შვილის მოქმედება. ნუთუ ნებივრად აღზრდის მიზეზი იყო ყოველივე ეს? არაფერი არ აკლდა ლილის იმისთვის, რომ გონივრულად მოეწყო თავისი ცხოვრება, განა ლხენას უშლიდა ვინმე? რამდენჯერ გაუმართავს წვეულება, და დაბადების დღეს ხომ ყოველთვის უმართავდა შვილს! განა სანახაობანი აკლდა, ან ტანსაცმელი? ნუთუ სულიერი საზრდო აკლდა! მაშ ამოდენა ბიბლიოთეკა, მუსიკა... ტრფობა-სიყვარულსაც ხომ არავინ უშლიდა. თავისი ნებით გათხოვდა და თავისივე ნებით გაეყარა ქმარს, ისევ პირველი სატრფოს გულისთვის. ის ვაჟი ხომ დღემდე მის საქმროდ ითვლება. იქნებ იმისთვის, რომ არავითარი საქმით არ იყო გართული. ჰო, მაგრამ ხომ გამოუნახავ ეს ერთი წელიწადია საქმე, უმაღლეს სასწავლებელში აიძულა შესულიყო. თითქოს კიდევაც მეცადინეობდა და ბევრჯერ უნახავს ალექსანდრეს, როდესაც ის წიგნებს უჯდა თავის მეგობარ ახალგაზრდა ასპირანტ ქალთან — მაყვალასთან ერთად, და მისი დახმარებით საგნებს ამზადებდა.

ალექსანდრეს მოაგონდა ძველი დრო, როდესაც ქალიშვილებს თავიანთი სურვილის გარეშე ათხოვებდნენ, როდესაც ღარიბი, მაგრამ მშვენიერებით აღსავსე ქალიშვილი, უნდა მისთხოვებოდა ვინმე ბებერსა და მახინჯ მამაკაცს ლუკმა პურის გულისთვის. მოაგონდა ის სიმწარე და გაჭირვება, რაც ძველად ქალებს უნდა აეტანათ თავიანთი უუფლებობის გამო. თავის მოწამლვა, წყალში გადავარდნა, ვინ იცის, რა უბედურება არ ტრიალებდა მათ თავზე, მაგრამ კდემამოსილებას, სიფაქიზეს არცერთი ოჯახიშვილი არ კარგავდა. ძველად ერთადერთი ანჩაბაძის ქვრივი ეწეოდა პაპიროსს ქმრის დაკარგვის დარდით და ქვეყანას სალაპარაკოდ ჰქონდა ეს ამბავი. ახლა? ახლა მგონი მამაკაცთა უფრო ნაკლები რაოდენობა ეწევა პაპიროსს, ვიდრე ქალები. ამბობენ პაპიროსები არ იმოვებაო. რა თამბაქო გაუძლებს ამდენ მწეველს. საქმროა არჩევას ხომ ვიღა ეკითხება მშობელს.

ასეთ ფიქრებში გართული ალექსანდრე ნელი ნაბიჯით მიემართებოდა სამსახურისკენ. მაღლა სვეტზე დადგმული რადიორეპროდუქტორის გუგუნმა გამოიყვანა ფიქრებიდან. რეპროდუქტორის ქვეშ ტროტუარზე და ქუჩის მეორე მხარეზე ხალხი შეგროვილიყო და რადიოთი გადაცემას ყურს უგდებდა.

„....გაფთრებული ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქი...“ მოესმა ალექსანდრეს.

მსმენელებიც შეირხნენ. აქა-იქ რაღაც ჩაილაპარაკეს. ერთმა გულმოსულად ჩაიქნია ხელი და გზას გაუდგა.

„ჰმ! იქ ქვეყანა იქცევა, ქვეყნის საუკეთესო შვილები სისხლსა ღვრიან და აქ კი ჩემი ქალიშვილი...“ ფიქრიც კი ვეღარ დაამთავრა ალექსანდრემ და ნაბიჯებს მოუჩქარა. უნდოდა საქმით გართულიყო, რომ ცოტა ხნით მაინც დავიწყებოდა ყოველივე. გადაწყვიტა, სამსახურის შემდეგ, საღამოს, მოლაპარაკებოდა ქალიშვილს, მკაცრად დაეტუქსა და გადამჭრელი ზომები მიეღო მის სწორ გზაზე დასაყენებლად.

ასე ფიქრობდა ალექსანდრე, მაგრამ ლილისთან ლაპარაკი ვერ მოახერხა.

არათუ იმ დღეს, ლილი მეორე დღესაც არ ამდგარა ლოგინიდან, თავშეზვეული იწვა და კვნესოდა. ძლივს მეორე დღის ბოლოს ადგა და ცოტა საჭმელის ჭამა მოახერხა. მერე ცივი წყლით სახე გაიგრილა და ოდნავ გამოცოცხლდა, მაგრამ, როდესაც მაყვალასთან ერთად მაგიდას მიუჯდა და მეცადინეობა სცადა, თავბრუ დაეხვა, თვალები აუჭრელდა და წიგნი განზე ისროლა. მერე გაახსენდა, რომ საღამოს ერთი თავისი მეგობარი ქალის ბინაში რეზოს უნდა შეხვედროდა, ფუსფუსით ზეზე წამოიჭრა და ტანსაცმელის კარადაში კაბის არჩევას შეუდგა.

— მაყვალა, გენაცვალე, შენ დარჩი, თუ გინდა, მე უნდა წავიდე, საქმე მაქვს, — უთხრა მან თავის მეგობარ ქალს. გაიხადა სამინაო იაპონური ხალათი, რომელიც ნახევრად შიშველ ტანზე ეცვა, და ის იყო აბრეშუმის მოქარგული პერანგი უნდა ჩაეცვა, რომ მაყვალამ გაოცებით ანიშნა მკერდზე.

— უი, ეგ რა არი, დაია!

— რა იყო?! — გაოცდა ლილი და მკერდზე დაიხედა.

ბიუსტჰალტერის ზემოთ, მკერდზე, ორი კბილის ნაჭდევი აჩნდა ლურჯად. ლილიმ თითით მოისინჯა ნაკბენი ადგილი.

— მერზავეც, — ჩაილაპარაკა ვიღაცას მისამართით, ბიუსტჰალტერი მაღლა აიწია და პერანგი ჩაიცვა.

მაყვალა წასასვლელად მოემზადა.

— მიდიხარ, არ რჩები? — ჰკითხა ლილიმ, თან კაბა ჩაიცვა და სარკესთან შეისწორა. — მოიცა, ერთად წავიდეთ.

მაყვალა შეჩერდა.

ლილიმ კაბა კიდევ შეისწორა, წინდები უფრო აიჭიმა მაღლა და რეზინის ბაბთებით დაიმაგრა. მერე ბალიშისოდენა ბუმბული ანუ „პუხოვკა“ ამოიღო და სახე პუდრით შეიქინქლა. სხვადასხვა სახის ოდეკოლონები ისხურა, ტუჩები წითლად მოიხატა, პატარა კბილის საწმენდი ფუნჯარა ერისით წამწამებზე შავი საღებავი წაისვა და მაღლა აიგრიხა. შემდეგ მავთულის სარჭებით თმები ხელახლა ახალ მოდურად დაიმაგრა, სარკესთან ერთიორჯერ შეტრიალდა, ფოლაქისოდენა საათი მაჯაზე გაიკეთა, საოცრად მხრებაწეული საზაფხულო პალტო ჩაიცვა და თავის რედიკულს დაუწყო ძებნა.

„რა ლამაზია, — გაიფიქრა მაყვალამ. — ნეტავი მე ვიყო მაგისთანა, რაღა მიჭირს“.

მაყვალა თვალს ადევნებდა ლილის, რომელიც მოხდენილი რხევით დადიოდა ოთახში და ისე ადგამდა ფეხს, თითქოს ფეხსაცმელებში ზანბარები ჰქონდა ჩადგმული.

„რატომ არ უნდა იყოს ახლა ეგ ბედნიერი, — განაგრძობდა ფიქრს მაყვალა. — ამისთანა ბინაში მაცხოვრა ნეტავი და მერე მომკლა. ასე ჩამაცვა და დამახურა... ტყუილად დავამთავრე უმაღლესი. ამისთანა ბედნიერება როდის მეღირსება. ნეტავი ვინ უკბინა ძუძუზე. მთლად დაუკარგავს ნამუსი? ნამუსი თორემ... საზოგადოებას კარგს იცნობს. ყველა ხელზე კოცნის. თუ გათხოვება მოინდომა, დაერიდება ვინმე თუ? მე ვიშოვნი მაგისთანა საქმროს? მეტი არ გაიხარა ჩემმა პატრონმა“.

— მაყვალა!

— ჰა?

— რა მოგივიდა, გეკითხები, მოდიხარ თუ არა-მეთქი. წამოდი. სატრფოზე ფიქრობ?

— სატრფოზე კი არა, ეს საგნები თუ არ მოამზადე, გამოგაგდებენ უმაღლესიდან.

— წამოდი, ჩემო მაყვალა, ხვალ ვიმეცადინებ. დღეს გადაუდებელი საქმე მაქვს.

თავი მეთოთრმეტე

სამი მეგობარი — რეზო გავამელი, გრიშა ჯაგნიძე და ეორა ოგანოვი, რომელსაც ლუბნის ბიჭები მეტსახელად „ზაგრანიჩნის“ უწოდებდნენ — რუსთაველის თეატრის პირდაპირ ხესთან აყუდებულიყო და გამვლელებს თვალს ადევნებდა.

უკვე ბინდდებოდა და ჩაბნელებულ ქალაქში სწრაფად წვებოდა ღამე. შინისკენ მიმავალი ხალხი ფეხს უჩქარებდა, მხოლოდ ეს სამი მეგობარი არ აპირებდა წასვლას. ისინი ჩუმად იდგნენ, რადგან სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ. არც არაფერზე ფიქრობდნენ, იდგნენ და უცქეროდნენ გამვლელებს.

ყოველ ქალაქს, დიდი იქნება ის თუ პატარა, აუცილებლად აქვს თავისი მთავარი ქუჩა ან პროსპექტი, რომლის სახელი საყოველთაოდ ცნობილია. ასეთებია, მაგალითად ნევის პროსპექტი ლენინგრადში, გორკის ქუჩა მოსკოვში, კრეშჩატიკი კიევში და რუსთაველის პროსპექტი თბილისში. ასეთ ქუჩათა უკვდავი თვისება ისაა, რომ ყოველ დროსა და ყოველ ეპოქაში, ომი იქნება თუ მშვიდობა, აქ თქვენ მუდამ ნახავთ ქალაქის ნამდვილ სახეს, მის ავსა და კარგს, მოსახლეობის ყოველგვარ თვისებას, ბუნებას და ხასიათს. აქ ნახავთ ყველას — მეცნიერსა და მაწანწალას, მდიდარსა და ღარიბს, მშრომელსა და ზარმაცს, მახინჯსა და ლამაზს, უმანკო არსებასა და ცოდვათა მორევში ჩაძირულ ქმნილებას.

ვისაც ამ ოციოდე წლის წინათ გაუვლია რუსთაველის პროსპექტზე, მისთვის ცხადია, რომ ეს ქუჩა ახლა სულ აღარ ჰგავს წინანდელს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში იგივე დარჩა სახლები, თეატრები, სასტუმროს დიდი შენობა. ახლა თვალში აღარ გეცემათ ის კონტრასტები, რაც ასე მძაფრად იგრძნობოდა ძველად. თუ უწინ ადვილად შეგეძლოთ ამ პროსპექტზე მიმავალ ხალხში ერთიანეულ [illegible] რეგნობის მიხედვით გაგერჩიათ ჟუშა ინტელიგენტისაგან და ხელოსანი პროფესორისაგან, ახლა ეს უკვე შეუძლებელი იყო, რადგან თქვენ შეიძლება ადვილად მიგეჩნიათ საუცხოო კოსტუმში გამოწყობილი, ჰალსტუკიანი და ფეტრის ქუდიანი 'მოწინავე სტახანოველი ხარატი რომელიმე უნივერსიტეტის პროფესორად, ხოლო უბრალო თეთრბლუზიანი შავტუხა და ჯმუხა სახის მათემატიკის დოქტორი — რომელიმე მშენებლობის მუშად, ან, უკეთეს შემთხვევაში, მეექსკავატორედ.

ომმა თავისი დაღი დააჩნია პროსპექტს. პირველ რიგში თვალში გეცემოდათ ქალების სიმრავლე და მამაკაცთა სიმცირე. მამაკაცთა შორისაც უმეტესად ხანშიშესულებს ან ბავშვებს თუ მოჰკრავდით თვალს. ამიტომ ახლა ეს სამი ახალგაზრდა კაცი უნებლიეთ იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას. ყველანი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მათ და უმეტესობა, ცხადია, ასკვნიდა, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ, სტუდენტები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ უმაღლესი სასწავლებელი და ამიტომ არ იყვნენ ჯარში გაწვეულნი.

კომენდანტის პატრულმა ჩამოიარა და ახალგაზრდა ლეიტენანტმა სამივეს მოწმობა მოსთხოვა.

— ამისი... — შეუკურთხა ოგანოვმა და მოწმობა გაუწოდა. — გაცვდა ეს საბუთი რაღა. დღეში ასჯერ უნდა გასინჯონ.

ლეიტენანტმა მშვიდად და აუღელვებლად დაათვალიერა სამხედრო მოწმობები, სათითაოდ გადაფურცლა ყოველი გვერდი, შემდეგ უკანვე დაუბრუნა ყველას თავთავისი საბუთი და გზა განაგრძო.

ორმა მოხდენილმა ქალმა ახლო

ჩაუარა ახალგაზრდებს. ქორა უცბად მოსცილდა ხეს, ქალებს დაეწია და ერთ მათგანს ხელი სტაცა. ქალებმა მოიხედეს, ქორას მიესალმნენ და მუსაიფი გააბეს, ორივეს საოცრად მოკლე კაბა, შიშველ უწინდო ფეხებზე მყვირალა ფერის ახალთახალი ტუფლები ეცვათ. ოქროსფრად შეღებილი დახვეული თმები და ოსტატურად ამობნელებული თვალები ამ ქალებს ისეთ გამომწვევ იერს აძლევდა, რომელიც ბევრ მამაკაცთა ყურადღებას იპყრობს და გულში ცუდ განზრახვებს აღუძრავს. ზოგს სინანულით მოაგონებს, რომ სახლში ულამაზო ცოლი უზის, ზოგს თავის მცირეხელფასიან სამსახურს შეაძულებს.

— რას გვიშვება ეგ ციგანი, — ჩაულაპარაკა გრიშამ რეზოს და ქორაზე ანიშნა: — ხედავ?

ქალები გამოეთხოვნენ ქორას და მოხდენილი ნაბიჯებით ხელიხელგაყრილნი წავიდნენ. ქორა ისევ მივიდა მეგობრებთან.

— ვინ არიან, ბიჭო, ეგენი? — ჰკითხა გრიშამ.

— არიან რა!

— მაინც? — არ ეშვებოდა გრიშა.

— ბალერინები არიან. ხვალ მოვალთო.

— სად მოვალთო?

— ჩემთან. მაშ რეზოსთან ხომ არ მივლენ, მამამისს ეგზამენები ჩააბარონ.

— მოვლენ? — გრიშას ეეჭვებოდა, რომ ასეთი მიმზიდველი მოცეკვავე ქალები ასე ოლად დასთანხმებოდნენ სტუმრებოდნენ ქორას.

რეზო გულცივად უსმენდა მეგობრების საუბარს. მიმზიდველი ქალიშვილები მას აღარ აღელვებდა. ძალიან ბევრს იცნობდა და თითქმის ყველანი მისი თაყვანისმცემელნი იყვნენ. რეზოს ბევრი ხელსაყრელი თვისება გააჩნდა ქალთა გულის მოსაგებად. უპირველეს ყოვლისა მას ყოველთვის ეცვა ახალთახალი, საუკეთესო ოსტატის შეკერილი კოსტუმი. ფეხსაცმელიც ასეთივე თვალისმომჭრელი ჰქონდა, შავი ან ყავისფერი პრიალა სანდალოზის ტყავისა. ჰალსტუხსაც ახალმოდურად იკეთებდა, ფართო ნასკვით, ოდნავ უხეშად. ქუდს არ ატარებდა და სქელი, ტალღებივით ხვეული თმები უკან ჰქონდა გადავარცხნილი. მანერებიც ისეთი ჰქონდა, რომ მასთან საუბრის დროს გეგონებოდათ, ეს მიმზიდველი ახალგაზრდა მომავალი მეცნიერი იქნებაო, თუმცა რეზო შორს იყო მეცნიერებისაგან. მას არათუ მეცნიერული წიგნი, სათავგადასავლო რომანიც კი არ ჰქონდა წაკითხული.

ასეთ პირობებში რეზო მალე შეიპყრო სევდამ. ოცდაორი წლის ასაკში ყველაფერი მობეზრებული ჰქონდა. სიყვარული მან ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელში გამოსცადა, როდესაც ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობდნენ და თავისი სკოლის საუკეთესო გოგოებზე სათითაოდ იყო შეყვარებული. შემდეგ, როდესაც მას სატრფოდ ულამაზესი ქალიშვილი გაუჩნდა, რეზო სრულიად აღარ განიცდიდა ბედნიერ მღელვარებას. მისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, და არც მაშინ აღელვებულა, როდესაც ლილი წაეჩხუბა და გაგულისებული გაუთხოვდა. გაიგონა და ცინიკურად წამოიძახა: კიდევ უკეთესი, ლილი ახლა ჩემი საყვარელი გახდებაო.

ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელში ყოფნის დროს რამდენიმე თანატოლ გოგო-ბიჭთან ერთად პატარ-პატარა ოჯახური საღამოების მართვას შეუდგა. ახალგაზრდები ბედნიერი მშობლების თვალწინ ცეკვავდნენ ფოქსტროტს, მღეროდნენ არიებს და ვახშმებზე ცოტ-ცოტას სვამდნენ. მალე ასეთი საღამოების გამართვა მშობლების თანდასწრებით მოსაწყენი აღმოჩნდა და

იდუმლად შეუდგნენ დროსტარებას. ჯერ პიკნიკებიდან დაიწყეს, შემდეგ კი განმარტოებულ ბინებში აწყობდნენ ვახშმებს და გათენებამდე მხიარულობდნენ.

ასეთი ქეიფის მოწყობას ფული სჭირდებოდა და რეზო ხშირად მიმართავდა დედას, რომელიც თავისი შვილისათვის არაფერს არ იშურებდა. ამის გამო მას არასოდეს არ განუცდია უფულობა, მაგრამ, როდესაც ერთ სალამოზე პოკერის თამაშს შეუდგნენ და ჯიბეები მთლად დაუცარიელეს, რეზომ იგრძნო, რომ დედის მიერ მოცემული თანხები საკმარისი არ იყო და პირველად გაელვიძა საკუთარი ძალებით ფულის მოპოვების სურვილი. ეს მისთვის არც ისე ადვილი საქმე იყო, რომ ერთ შემთხვევას არ ეხსნა მდგომარეობიდან. ორი კოსტუმის შესაკერი ორდერი იშოვა. თავისი ერთ-ერთი მოძველებული კოსტუმი გაყიდა და ამ ფულით ორი ახალი კოსტუმი შეიკერა. ერთი დაიტოვა, ერთი კი გაცილებით ძვირად გაყიდა. ეს საქმე ისე მოეწონა, რომ ახლა გულდაგულ შეუდგა ორდერების შოვნას და ამ საქმეში მალე გაიწაფა. ქორას დახმარებით ადვილად ატარებდა თავისებურ კომერციულ ოპერაციებს და ფულიც გამოულევლად ექნებოდა ჯიბეში, რომ ხშირად პოკერის მსხვერპლი არ ყოფილიყო. ამ საქმეში მას ქორა სჯობნიდა.

ქორა ხელობით პარიკმახერი იყო და თეატრებში მუშაობდა გრიმიორად, ამიტომ თავისთავს მხატვარს უწოდებდა, თუმცა მხატვრობის არა გაეგებოდა-რა. რაკი ინტელიგენტი, მისი წარმოდგენით, კარგად ჩაცმულ კაცს ეწოდებოდა, ამიტომ კარგად იცვამდა და ყველაფერი საზღვარგარეთული ჰქონდა, — კოსტუმიც, პერანგიც, ფეხსაცმელებიც, ქუდიც, წინდებიცა და ჰალსტუხიც. ყველა ამას ადვილად შოულობდა, რადგან ხშირად ხედებოდა საგასტროლოდ ნამოგზაურებ მსახიობებს და მომღერლებს, რომელთაგანაც იძენდა ამ იშვიათ საქონელს. ამისთვის დაარქვეს მას უბნის ბიჭებმა „ზაგრანიჩნი“. ქორა მარტოხელა ახალგაზრდა იყო, არც მშობლები ჰყავდა, არც ნათესავები. თექვსმეტი წლის ასაკიდან ოცდაშვიდ წლამდე ოთხი ცოლი გამოეცვალა და ახლა ისევ ცალკე ცხოვრობდა, ოროთახიან მშვენიერ ბინაში. ეს ბინა მან ორდერით მიიღო ახლად აშენებულ სახლში.

არავინ იცოდა ქორას წარსული, ან სად დაიბადა ან სად გაიზარდა. მისი წარსული კი არც ისე რთული იყო. ხუთი წლისას მშობლები დაეხოცა და ცხრა წლის ასაკამდე ფეხშიშველა დატყლაპუნობდა რუსთაველის პროსპექტზე, დასდევდა ყოველ კარგად ჩაცმულ მამაკაცს ხელგაშვერილი და ეხვეწებოდა:

— დიადია, ტი კრასივი დიადია, დაი კაპეიკუ!

ბავშვობიდანვე ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, ოდესმე ჩაეცვა ისე, როგორც ამ ძიებს ეცვათ. ათი წლის რომ შესრულდა, საპარიკმახეროში მიიღეს შეგირდად და ხუთი წლის განმავლობაში საპნიანი ფუნჯებისა და ნიკელირებული ჯამების რეცხვის მეტი არა გაუკეთებია-რა. შემდეგ შეეჩვია სამართებლის აწყობას და საპარსავი კბილმაკრატლის ხმარებას. პირველად სოფლელ ბიჭებს პარსავდა თავს, მერე წვერის გაპარსვასაც შეეჩვია, შემდეგ ერთ ბედნიერ დღეს თეატრის კულისებში ამოჰყო თავი, აქ ჩოფურა ნიკომ მას გრიმის კეთება და პარიკების ქსოვა შეასწავლა.

თექვსმეტ წლამდე ქორა ერთ ქვრივ დედაკაცს ჰყავდა შეკედლებული და სარდაფში ცხოვრობდა მასთან ერთად. ყველას ეგონა, ქორა ამ დედაკაცის შვილი იყო, სანამ ამ ორმოცდახუთი

წლის სახეჩამომჭკნარ მახინჯ ქალს ჟორასაგან ისეთივე მახინჯი შვილი არ შეეძინა. ჟორამ, როგორც კი თვალში გამოიხედა და საპარიკმახეროში მომუშავე ახალგაზრდა დამლაგებელ გოგოს დაუახლოვდა, მაშინვე მიატოვა თავისი უნებური მეუღლე. მაგრამ არც ეს სიყვარული გამოდგა ხანგრძლივი, რადგან დამლაგებელ გოგოს ძველი თაყვანისმცემლები აღმოაჩნდა, ეს კი ჟორამ არ აპატია. თეატრში გადასვლის შემდეგ ჟორა ერთხანს ერთ ხანში შესულ მომღერალ ქალს დაუახლოვდა და მალე გადასახლდა მის ბინაში. ეს მომღერალი ქალი ორი თვისებით იყო ცნობილი: საოცრად სქელი დედაკაცი იყო და სულ შუდამ ახალგაზრდა ქმრები ჰყავდა. ამის შემდეგ ჟორამ საბოლოოდ შეაბიჯა ინტელიგენციის წრეში და, თუმცა ამ ქალთან სამი თუ ოთხი წელი იცხოვრა, მაგრამ ეს იყო მისთვის ნამდვილი სკოლა, სადაც ფაქიზი ცხოვრების და ნატიფი მანერების შესწავლის სრული კურსი გაიარა.

ამგვარად გაიზარდა ქუჩის პატარა ბიჭუნასაგან ის თავმომწონე დალაქი, რომელიც ახლა თამამად დაგიწყებდათ საუბარს ამა თუ იმ მსახიობის ღირსებაზე, ოპერა „ფაუსტზე“ გეტყოდათ ზორბა რამეაო, და ხანდახან მხატვრების ან მწერლების მიერ გამართულ დისპუტებსაც კი ესწრებოდა.

გრიშა ჯაგნიძე ორივესაგან ჩაცმულობითაც განსხვავდებოდა და ხასიათითაც. მან სოფლად დაამთავრა ათწლედი და მთელი კუთხე აკლებული ჰყავდა თავისი ანცი ხასიათით. ჩხუბისთავი იყო და თავისზე ღონიერი რომ ვინმე შეეგულებინა, გაულახავს არ გაუშვებდა. მოწაფეობიდანვე დიდებში ერეოდა და, თუ სადმე გაშლილ სუფრას დაიგულებდა, ისიც იქვე იყო. დიდებიც სიამოვნებით ეპატიჟებოდნენ სუფრაზე, რადგან მისი ზარივით წკრიალა ტენორი ცას სწვდებოდა.

გრიშა ადრე დაობლდა. მამამისი მენშევიკების დროს გვარდიაში მსახურობდა, გასაბჭოების შემდეგ ყაჩაღად გავარდა და პოლიტბანდიტებთან ერთად თავს ესხმოდა მატარებლებს, სანამ არ მოუღეს ბოლო და მილიციასთან შეტაკების დროს არ მოკლეს. გრიშა მაშინ სულ სამი წლის თუ იქნებოდა. დედა ლამაზი ქალი იყო და ადრე გათხოვდა. მამინაცვალი დიდად არ იწუხებდა თავს გერის აღზრდით, ნებაზე ჰყავდა მიშვებული, სულერთია, ყაჩაღის შვილისგან კაცი მაინც არ გამოვაო. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გრიშამ დაჰკრა ფეხი და თბილისში ამოჰყო თავი. უმაღლეს სასწავლებელში შესვლა სურდა. ჯიბეში ერთი კაპიკი არ გააჩნდა და არც იმედი ჰქონდა, რომ სახლიდან რაიმეს მოაწვდიდნენ. თბილისში კი მას არც ნაცნობები ეგულებოდა, არც ნათესავები, ამიტომ პირველ დღეს ღია ცის ქვეშ მოუხდა ღამის გათევა და შიმშილისაგან მგელივით აცეცებდა თვალებს. მეორე დღეს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე მოსულ ახალგაზრდებში გაერია და იქ გაიგო, რომ ახლავე შეეძლო სამსახურში მოწყობილიყო. ავტობუსებია სამმართველოში კონდუქტორებს დაეძებდნენ. მაშინვე გაქანდა და იმ დღესვე მუცელზე ჩანთააკრული უკვე ავტობუსში იდგა და ბილეთებს ჰყიდდა. მაშინ მოისაზრა, რომ ერთი და იმავე ბილეთის გაყიდვით საკუთარი ჯიბისათვის სასარგებლო თანხას შეაგროვებდა და ამიტომ ჩამომსვლელ მგზავრებს ხელიდან სტაცებდა გადასაგდებ ბილეთებს. ორი დღის განმავლობაში ასე უტიფრად ვაჭრობდა, სანამ კონტროლორმა არ დაიჭირა და სამსახურიდან კინწისკვრით არ გამოაგდეს.

გრიშა მაინც კმაყოფილი იყო თავისი ბედით. ჯიბეში ახლა მას ცოტოდენი ფული მოეპოვებოდა და ისევ უმაღლეს სასწავლებელს მიაშურა. ◆

პირველად ბედმა არ გაუღიმა, მერე ვილაცას რჩევით კონსერვატორიაში გაიქცა. ხმა გაუსინჯეს. მოუწონეს, მაგრამ მიღებით მაინც არ მიიღეს, ისევ უნივერსიტეტს ეცა და დაუსწრებელ სექტორზე მაინც ამოყო თავი. ბინა სტუდენტთა ქალაქში იშოვა, მაგრამ თავისი ხასიათის გამო არც იქ დააყენეს. რაიონიდან ჩამოსულ ბიჭებს მეცადინეობა სურდათ, გრიშამ კი ერთი კვირის განმავლობაში ათჯერ ატეხა ჩხუბი. ვინც არ მოეწონა, ყველას გაარტყა. ეს არ მოუთმინეს, არც უჩივლეს, გაიტყუეს მიყრუებულ ადგილას და მაგრად მიბეგვეს. მერე წინადადება მისცეს, ბარგი აეკრა და წასულიყო. დიდი ბარგი გრიშას არ გააჩნდა და ისევ ქალაქს მიაშურა, სადაც თავისი სოფლელი სტუდენტი ნახა და იმას შეუსახლდა. მაშინვე ისეთი სამსახურის ძებნას შეუდგა, სადაც რაიმე სარფას ნახავდა. ერთი წლის განმავლობაში ათიოდე ადგილი გამოიცვალა. მეორე წელიწადს გრიშამ შეძლო სამედიცინოზე გადასულიყო და, ამგვარად, მოახერხა სამხედრო სამსახურისათვის თავი აერიდებინა. თავის ნაკლოვანებათა მიუხედავად, მას ერთი ღირსება გააჩნდა. საოცრად ადვილად ითვისებდა იმ საგნებს, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიდნენ, და გამოცდებზე ყოველთვის არხეინად გადიოდა. მართალია, ფრიადებს ყოველთვის ვერ ღებულობდა, მაგრამ გამოცდებზე ერთხელაც არ ჩაჭრილა. რეზომ და გრიშამ სწორედ აქ გაიცნეს ერთმანეთი. გრიშამ რამდენჯერმე იხსნა რეზო გაჭირვებიდან და საგამოცდო ბილეთები თავისი ხელით დაუწერა. მალე ისე დამეგობრდნენ ორივენი, რომ ერთმანეთის გულის მესაიდუმლენი გახდნენ.

— რა ვქნათ, იმ გოგოებს არ ვცეთ პატივი? — ჰკითხა გრიშამ რეზოს. — ვერ ხედავ, რა ანგელოზები არიან?

— ხვალ?

— ჰო, ხვალ. ეორა, ხვალ მოვალთო? მოვალთ, ბიჭო, ჩვენც ისინი ორნი არიან, ჩვენ სამნი, [illegible]

— მაშ, მაშ!

— მე ფული არა მაქვს, — უგუნებოდ უპასუხა რეზომ. თქვენ გაუმასპინძლდით. ისინი მაინც ორნი არიან.

— ამის... — გრიშამ უცნაური გინება იცოდა, შემაძრწუნებელი. — როგორ გაძვირდა ყველაფერი, იშოვი ფულს და რად გინდა მერე.

— რას იზამ, ომია, — ზანტად ჩაილაპარაკა რეზომ. მას ახლა ლაპარაკიც კი ეზარებოდა.

— ეორა, ჯიბეზე როგორ ხარ? — ვერ ისვენებდა გრიშა ხვალინდელი შეხვედრის მოლოდინში.

— ერთი იმათი... იმათმა მზემ ბლამანჟეს მივართმევ. ერთი ბოთლი კონიაკი ან ლიქიორი, მეტი რა უნდათ. გუშინწინ რომ მოკოლადები გვქონდა, ის სხვა საქმე იყო. ახლა „სვეტსკი“ დამები და ეგენი ერთია?

— რა იყო, კაცო! — სიამოვნებით აღმოხდა გრიშას და მადიანად გაიზმორა, — ბიჭო, შენ მაინც რა დღე დააყარე იმ შენ... შე უსინდისო, საცოლეა შენი და ასე უნდა მოექცე? ქუჩის ქალი ხომ არაა? — მიუბრუნდა რეზოს გრიშა და სიცილით მუჯლუგუნი წაჰკრა.

— საცოლე კი არა და ის არ გინდა?

— რავა?

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია რეზომ, მიმოიხედა და მცირე ხნის დუმილის შემდეგ გრიშასაკენ მიუხედავად თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, — შინ არ წავიდეთ?

— წამოდი კინოში.

— მე თეატრში მივდივარ, — განაცხადა ეორამ.

ის-იყო მოსცილდნენ ხეს, რომ სიბნელეში გაისმა.

— რეზო!

რეზომ ხმაზე იცნო ლილი, რომელიც მაშინვე მიუახლოვდა სამივეს.

— რეზო, მე შენ გეძებდი. ესენი ვინ არინ. ოჰ, ეორა გამარჯობა. გამარჯობა, გრიშა. რეზო, მე შენთან საქმე მაქვს. მართლა, მაყვალა, მოდი აქ! გაიცანით ჩემი ამხანაგი. რეზო, შენ ხომ იცნობ? მაყვალა, მომიცადე, გენაცვალე.

სამივემ ხელი ჩამოარეა მაყვალას. ლილიმ რეზო გაიხმო და მასთან ჩურჩული გაბა. ახლადგაცნობილ ყმაწვილებთან დარჩენილი მაყვალა უხერხულად იდგა ჩუმად. სიბნელეში ერთმანეთს კარგად ვერ ხედავდნენ და არც იცოდნენ, რაზე ესაუბრათ.

მცირე დუმილის შემდეგ მაყვალამ მოიხედა და სიბნელეში გასძახა:

— ლილი, მე წავალ.

— მოიცადე, ერთად წავიდეთ. ან არა-და, იცი, რა, წამოდით ყველანი ჩემთან. გრიშა, თქვენ მაინც არ ყოფილხართ ჩვენთან, წავიდეთ, ეორა, წამოხვალთ?

— პეალსტა, სიამოვნებით.

მაყვალა შეყოყმანდა.

— ლილი, მე ვერ წამოვალ. სიბნელეში მარტო ვერ ვიარ.

— კარგი ერთი. ორი ვაჟკაცი გახლავს თან. ესენი გაგაცილებენ. ან არა-და, ჩემთან დარჩი ამაღამ. წავიდეთ.

მაყვალას უარი აღარ უთქვამს და ყველანი ნელი ნაბიჯით გზას გაუდგნენ. ეორა და გრიშა მაყვალას ამოუდგნენ მხარდამხარ და სცადეს, გასაუბრებოდნენ.

ლილი და რეზო ცოტა მოშორებით მოდიოდნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

„ ჰო, მაგრამ როდემდის გიცადო, — უთხრა ლილიმ რეზოს. — ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა დავიწყოთ ერთად ცხოვრება.

— რა გეჩქარება, ლილი.

— რამდენი ხანია, უკვე ხუთი წელიწადია, რაც შეყვარებულები ვართ. მამამ კატეგორიული წინადადება მომცა...

— ჰო, მაგრამ შენც სწავლობ და მეც. მამაჩემი სასტიკი წინააღმდეგია, რომ...

— რომ, რომ რა? დაამთავრებ თუ არა, მაშინვე ომში წაგიყვანენ. მე კი მინდა, რომ...

— არ წამიყვანენ.

— რატომ. ყველა მიჰყავთ, ვინც უმაღლესს ამთავრებს.

— მანამდე ომიც დამთავრდება.

— რეზო, ნუ მტანჯავ, გენაცვალე, შენი გულისთვის ხომ იცი, რაც ჩავიდინე, — ლილი ქმრის მიტოვებას გულისხმობდა, — შენ კი...

რეზოს კინაღამ წამოსცდა უკმეხი პასუხი, სისულელე ჰქენი, რომ ჩემს გამოსაჯავრებლად გათხოვდი და უფრო დიდი სისულელე, რომ ქმარს გაეყარეო, მაგრამ ასეთი პასუხი და ლილის ისტერიული კივილი ქვეყანას შესძრავდა. ამიტომ გაჩუმება არჩია.—

— მე ვიცი, შენ რატომაც აჭიანურებ, — უცბად თქვა ლილიმ.

— რატომ?

— ვიცი.

— მაინც?

— სულელი ვარ. ნამდვილი სულელი. მე მთელი ჩემი არსებით მოგენდე. ვსემი ფიბრამი სვოეი დუში. შენ კი... ყველა მამაკაცი ერთნაირი ხართ. უკვე მოგბეზრდი, ხომ?

— რა სისულელეა! — საოცრად ზარმაცად უთხრა რეზომ და თან გუნებაში გაიფიქრა: „სწორი ხარ, ჩემო კარგო, სწორი. მე ყველა მომბეზრდა. შენც... ყველა!“ — და მერე ისევ გაიმეორა, — რა სისულელეა!

კარები ტანიამ გააღო. ლილიმ, სახლშიაც რომ გაეგონათ, ხმამაღლა დაიძახა, მობრძანდითო. უნდოდა შინაურები გაეფრთხილებინა, რომ მარტო არ იყო. ტანიამ ყურში ჩასჩურჩულა:

— ჩვენთან სტუმარია.

— ვინ? — იკითხა ლილიმ.

— არ ვიცი. ვიღაც სამხედროა. მფრინავი. ისეთი ლამაზია... — ტანიამ ნეტარებით თვალები მაგრად მოხუჭა და ალტაცებით ამოიკვნესა.

— ნეტავი ვინაა? — თქვა ლილიმ და დარბაზში შეიჭყიტა და წამოიძახა: — უი, გოგიტა! შენა ხარ? კაკ ია რადა! ცოცხალი ხარ?

ლილიმ აღარ დაუცადა ყმაწვილებს, რომლებიც სარკესთან თმების ვარცხნას და პიჯაკების სწორებას შეუდგნენ, მაყვალას ხელი ჩაავლო და დარბაზში შევიდა, თავის ნათესავ ყმაწვილკაცს მოეხვია და კითხვები სეტყვასავით დააყარა:

— ერთი დამენახვე. კაკი ტი შიკარნი! ყველასთან სულ ვტრაბახობ, უ მენია როდსტვენიკ ლიოტჩიკ და თვალით არ მინახავხარ ამ ფორმაში. როდის ჩამოხვედი? დიდი ხნით? აქ რჩები? თუ ფრონტზე მიდიხარ? ბრძოლებში მიიღე მონაწილეობა? ვაბრაჟაიუ კაკ ეტო სტრაშნო. შენ თვითონ ფრინავ, თუ გაფრენენ? ია ნიკაგდა ნე ლეტალა. სკაჟი, ეტო ოჩენ სტრაშნო? რასკაჟი მნე ვსიო პადრობნო.

— შე დალოცვილო, თუ არ დააცლ გიპასუხოს, რად გინდა ეგ კითხვები, სეტყვასავით რომ დააყარე, — უთხრა ალექსანდრემ შვილს.

— მოიცა, ახლავე, სულ დაწვრილებით გამოგკითხავ, მანამდე, აი გაიცანი, ჩემი ამხანაგია, პაუხაჟივაი ზა ნეი! — უთხრა ლილიმ და თავის ოთახისკენ გაემართა.

მაყვალა საცოდავად აიწურა, ვერაფერი ვერ მოახერხა და ბოდიშის მოხდით ლილისთან შევარდა.

ამასობაში ლილის სტუმრებმაც მოიყვანეს წესრიგში თავისი გარეგნობა. გრიშამ სხვანაირად ახედ-დახედა ტანიას და რეზოს თვალი ჩაუკრა. ეტყობოდა, ტანმორჩილი და ჩამრგვალებული გოგო მოეწონა.

რეზომ ჩაიცინა და დარბაზში შევიდა. მას განსაკუთრებით ულერეზული, ოდნავ გადაბრინჯული [illegible] გრიშას, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა დარბაზში შესვლა. სარკეში რომ თავის თავს ათვალიერებდა, ახლა დაინახა, თუ როგორი მოთელილი და გაქონილი რუხი პიჯაკი ეცვა, აგრეთვე მუხლებამობურცული უშნო შარვალი და ძველი დაღრეცილი ფეხსაცმელი. ჯერ კიდევ დერეფნის ძვირფასმა მოხატულობამ და ორნამენტებმა ისე დააფრთხო, რომ თავბედს იწყევლიდა, აქ რად წამოვედიო, ხოლო დარბაზში რომ შევიდა, კინაღამ მუხლები მოეკვეთა. ასეთი გალაპლაპებული და გაკრიალებული ბინა მას თავის სიცოცხლეში არ ენახა. გარდა იმისა, რომ ძვირფასი პარკეტის იატაკიც, მოჩუქურთმებული ჭერიც და კარელიის არყის ხის მაღალი პანელით შემკული კედლებიც სარკესავით იყო გაბრწყინვებული, მთელი ავეჯიც ამგვარადვე ჭრიდა თვალს ადამიანს. მართალია, აქ ნახავდით ცნობილი ოსტატის ბულის დამზადებულ ბრინჯაოთი მორთულ შავი ხის კარადებს, რენესანსის და როკოკოს სტილის სავარძლებს, მოდერნისტულ განჯინას, ამპირის დიდ დივანს და ეს სასტუმრო-საჯადილო დარბაზი უფრო საკომისიო მაღაზიას წააგავდა, მაგრამ იგი არათუ გრიშასავით გამოუსვლელ ახალგაზრდაზე, ბევრად უფრო გამოქექილებზედაც ახდენდა სათანადო შთაბეჭდილებას. ამიტომ ახლა ეს ახალგაზრდა კაცი ნახევარ სიცოცხლეს დათმობდა, რომ ისე ყოფილიყო ჩაცმული, როგორც მისი ეს ორი მეგობარი.

ალექსანდრეს საშინაო პიჟამა ჩაეცვა და, სავარძელში ჩაფლული, გაზეთს ათვალიერებდა. უნდა ითქვას, რომ რატომღაც ზოგიერთებს დიდ არისტოკრატიზმად მიაჩნიათ, თუ სტუმრებს პიჟამით შეეგებნენ, როდესაც ეს, ჩვენს შორის რომ ვთქვათ, უზრდელობაა.

ახალგაზრდების შესვლისთანავე ალექსანდრემ გაზეთი განზე გადასდო და საერთოდ ყველას ხელი ჩამოართვა.

— გაიცანით, ეს არის ჩემი ცოლისძმის შვილი, — წარუდგინა ახალგაზრდებს მასპინძელმა მფრინავი მეთაური, შემდეგ სკამებზე მიუთითა: — დაბრძანდით.

— ვაი ჩემი ბრალი, — იხუმრა გრიშამ და ძვირფას სტავრაგადაკრულ სკამს დახედა. — ამაზე ჯდებით, ჩემო ბატონო?

გრიშამ სიტყვა „ჯდებით“ მკვეთრი კითხვითი ინტონაციით წარმოთქვა და ამ გულუბრყვილო ხუმრობამ საერთო სიცილი გამოიწვია, რითაც ამ ახალგაზრდამ უცბად მოიპოვა მასპინძლის კეთილი განწყობილება.

— სხვა, რას იტყვით ახალს, ყმაწვილებო? — შინაურულად მიმართა ალექსანდრემ სტუმრებს.

— ახალი თქვენ გეცოდინებათ, გაზეთს კითხულობთ, — უთხრა რეზომ.

ამ დროს მეორე ოთახიდან, სადაც ლილი და მაყვალა შევიდნენ, მოისმა დიასახლისის ხმა:

— ეგ ვინაა, რეზოა? აბა, ერთი, მობრძანდი აქ, ყმაწვილო. მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

რეზომ ღიმილით ბოდიში მოიხადა მასპინძელთან და მეორე ოთახისაკენ გაემართა.

ქორა და გრიშა ცოტა ხანს სდუმდნენ. არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ან რაზე ელაპარაკათ. ალექსანდრე ისევ მისწვდა გაზეთს, ხოლო მფრინავი რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში და თავისი საქმით იყო გართული.

— დღეს გაზეთში წერდნენ, აფრიკაში დიდი ამბებიაო, — დაარღვია სიჩუმე ქორამ. — ეგ რომელია, ცუდ დღეს რომ აყრის იმ ინგლისელ გენერალს, დაიცა, რა გვარია... ოკინლეკიო.

— ალექსანდრიას აიღებენ, — ჩაილაპარაკა ალექსანდრემ ისე, რომ გაზეთისათვის თვალი არ მოუშორებია.

— ეგ სადღაა? — იკითხა ქორამ, მაგრამ გრიშამ მალულად მუხლზე ხელი წაჰკრა და გაოცებულმა ქორამ თავის მეგობარს შეუბღვირა. — დაიცა და! იმ ქალაქს ჩვენი ლილის მამის სახელი რქმევია და არ უნდა ვიცოდე, სად არის?

— გეოგრაფია ახლანდელმა ახალგაზრდებმა ძალიან ცუდად იცით, — თქვა ალექსანდრემ და გაზეთი ძირს დაუშვა. — თუმცა თქვენ რა, ზოგიერთ ჩვენს დოცენტს რომ ჰკითხოთ, გონდურასი სამხრეთ ამერიკაშია, თუ ჩრდილოეთ ამერიკაში, ვერ გიპასუხებთ.

—მართალია, და! არცმე ვიცი, რომელშია? — გულუბრყვილოდ იკითხა ქორამ და შეხედა მფრინავს, რომელიც კვლავ თავისი საქმით იყო გართული, მერე ისევ ალექსანდრეს მოუბრუნდა და კითხვა გაიმეორა: — რომელშია?

ეს არც თვითონ ალექსანდრეს ახსოვდა, ამიტომ ოდნავ შედგა და ალალბედზე ჩაილაპარაკა:

— სამხრეთში.

მერე გუნებაში გაიფიქრა, „მგონია შევცდი; რა მრჯის ახლა, რომ ვმეტიჩრობ და ახალგაზრდებს ცოდნას ვუწუნებ; გონდურასი, მგონია, ჩრდილოეთში უნდა იყოს, თუ ავსტრალიასთანაა სადღაც. არა, ის გვინეა არის“.

მოულოდნელად მფრინავმა მეთაურმა აიხედა, წიგნაკი ჯიბეში შეინახა და ღიმილით თქვა:

— ძია ალექსანდრე, გონდურასი არც სამხრეთ ამერიკაშია, არც ჩრდილოეთში. ის ეგრეთწოდებულ ცენტრალურ ამერიკაშია, ეკვატორის ახლოს, და წარმოადგენს პატარა სახელმწიფოს.

— ეგ ვიცი, მაგრამ ნუთუ ცენტრალურშია? ჰო, ჰო! ახლა გამახსენდა, სწორი ხარ. ეჰ, რას ნიშნავს სიბერე. რა გასაკვირია, რომ ორმოცი წლის წინათ ნასწავლი დამავიწყდეს.

— ბატონო ალექსანდრე, დავამარ-

ცხებთ ვითომ გერმანელებს? — ჰკითხა გრიშამ.

— მე და შენ რა მოგახსენოთ და, წითელი არმია კი დაამარცხებს, — იხუმრა ალექსანდრემ და გრიშას ღიმილით გადახედა, თავისი ენამახვილობა მოეწონა,—შენ რას იტყვი, გოგიტა?

— განა ამაში ეჭვი ეპარება ვინმეს? — წარბშეკვრით იკითხა მფრინავმა.

— რა ვიცი, გენაცვალე, სულ უკან ვიხევთ და სტანცია აღარ უნდა ჰქონდეს ამას? — გადახედა ყველას გრიშამ და მერე მფრინავს თამამად შეაცქერდა.

— ომში დროებით უკანდახევა ან წინსვლა კი არ არის მთავარი, მთავარი ისაა, საბოლოო გამარჯვება მოიპოვო. — მფრინავმა ისეთი დამაჯერებელი სიმტკიცით წარმოთქვა ეს, რომ გრიშა უნებურად აიბუზა. მას წაუხდა შინაური და შეხუმრებული ლაპარაკის კილო, რითაც ასე წარმატებით დაიწყო თავიდანვე საუბარი და ახლა თვალების თამამი გამოხედვაც ერთბაშად ჩაუქრა.

— არა, ეგ სწორია, მაგრამ...

— თქვენ სტუდენტი ხართ? — ჰკითხა მფრინავმა.

— დ... დიახ. მე და რეზო ერთად ვსწავლობთ.

— მერე-და, თქვენ, პირიქით, უნდა უნერგავდეთ ხალხს გამარჯვების რწმენას და იმედს. არა გრცხვენიათ?

— ეს მართალია, ვერ გამომივიდა კარგად, მაგრამ ახლა მეც რომ შემაწუხოს ამდენმა უკანდახევამ, არ მაქვს, ბატონო, ამის უფლება? ბიძია ალექსანდრე, მითხარით, ტყუილს ვამბობ? არ მაქვს ამის უფლება? — მუდარით შეხედა გრიშამ მასპინძელს.

— შენ არა ხარ მართალი, გოგიტა, — თქვა ალექსანდრემ ისე, რომ მფრინავისთვის არ შეუხედავს. — ეს ერთგვარი სკეპსისი ბუნებრივია. ხომ ხედავ, როგორ მოგვაწვა მტერი. გერმანელები ახორციელებენ გიგანტური გაზის ოპერაციას, მაგათ სურთ მოსკოვთან დამარცხების შემდეგ, ერთი მხრივ, როსტოვ-ბაქოს ხაზზე გამოჭრით და, მეორე მხრივ, აფრიკის მხრიდან ალექსანდრიაზე გავლით სპარსეთის ტერიტორიაზე შეუკრავ ამ გაზს პირი, — ალექსანდრემ ხელები შეკრა, თითები ერთმანეთში ჩახლართა, თითქოს მართლა გაზი დაეკეტოს და განაგრძო: — მათთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაა და... თუ ბიჭი ხარ ნუ შეშინდები!

— შიშით საქმეს ვერ ვუშველით, — მოუჭრა მფრინავმა.

— ეგ სწორია, მაგრამ ყველა შენსავით ვაჟკაცი და გულადი ხომ არ იქნება! — შენიშნა ალექსანდრემ.

— გრიშა და შიში?!. — წამოიძახა ჟორამ. — ეგ ეხლა ტყუილად ლაპარაკობს. ეგ ისეთი ჩხუბისთავია, ჩვენს უბანში მაგის შიშით მილიციონერებსაც ვერ გაუვლია.

— იფ, რა კარგ რეკომენდაციას მიკეთებ! — წამოიძახა გრიშამ. — ტყუილი, ბატონო, ბავშვობის დროს მიყვარდა ყაილა და ეს ასე ყველგან მჭრის თავს. ერთხელ ამ ყმაწვილმა თავი გამალახვინა და ჩემზე ვაჟკაცი თუ დაიარება ქვეყნად, არ წარმოუდგენია.

ამ ხუმრობამ საერთო სიცილი გამოიწვია.

ალექსანდრეს რაღაც უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ამ დროს მეორე ოთახიდან დიასახლისი გამოვიდა, მას ლილი და რეზო გამოყვნენ.

— ალექსამ, ხედავ, ვინ ყოფილა დამნაშავე? — მიმართა ოლიკომ ქმარს. — არა, არა მე მას არაფრით არ ვაპატიებ, არაფრით...

ოლიკო ჟორას და გრიშას ოდნავ მედიდურად მიესალმა. ჟორას გაულიმა, გრიშას ალმაცერად და მოულოდნელად თავისებური ცნობისმოყვარეო-

ბით ახედ-დახედა, იქვე დივანის კუთხეში, გოგიტას გვერდით ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ლამაზად დახვეული თმები ოდნავ ხელის შეხებით შეისწორა. თავისი ქალიშვილივით მასაც ახალი მოდის მოკლე კაბა ეცვა. ფეხზე კი ისეთი ძვირფასი თხელი წინდები, რომ, გეგონებოდა, შიშველი ფეხი ჩაუდგამს მაღალქუსლიან ფეხსაცმელში.

— სულ რეზოს ბრალი ყოფილა ყველაფერი, — განაგრძო ოლიკომ. — და არც კი უარყოფს.

— ეგ რაო, რაზე ამბობ? — გაიკვირვა ალექსანდრემ.

— რაზე! არ გახსოვს, რა სახით მოვიდა... მოგონებაც კი არა მსურს.

— დედა, კარგი, ახლა გეყოფა, — ჩაერია ლაპარაკში ლილი. — მაინცდამაინც გინდა ისტერიკა მომივიდეს?

— თუ შეიძლებოდეს, შენი ისტერიკებით ტეროორს ნუ გვიკეთებ, — კაპასი, დამტუქსავი ხმით მიმართა ქალიშვილს ოლიკომ, შემდეგ გოგიტას კისერზე მისწვდა, თითქოს უნდოდა მოეზიდა და თმები შეუფორიაქა: — მოი მალჩიკ, კაკ ია რადა, ტებია ვიდეც! ეს არამზადა ჩემს ხელში გაიზარდა. ხელით მიტარებია, ახლა კი შეხედეთ ვაჟკაცს, მართლა, სკოლკო ტებე ლეტ?

— ოცდაშვიდისა ვარ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ამდენი დრო გავიდა, — საფეთქლებზე ნეკები მიიყრდნო ოლიკომ და ერთ წუთს ასე გაირინდა. — ასე მგონია, შენ რომ დაიბადე, გუშინ იყო-მეთქი.

— დედა, დაიცა, გვიამბოს, სად იყო, რომელ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, — მივარდა ლილი გოგიტასთან, მაჯაში ხელი წაავლო და თავისთან მეორე დივანზე დასვა. — მარტო მე მიამბე ყველაფერი, სულ, თავიდან ბოლომდე.

— მე საამბობი ბევრი არაფერი მაქვს, ჩემო ლილი. ბრძოლებში სულ ორჯერ ვიყავი, ერთხელ კიევთან და მეორედ კურსკთან. მერე ურალში ... ...

— რატომ აქვს სულელური? — ჰკითხა დედამ.

— არ უნდა დასცილებოდა შტრაუსი კარლა დონერს.

ამ მოსაზრებამ მხურვალე კამათი გამოიწვია. ლილი ამტკიცებდა, რომ შტრაუსს ცოლთან არაფერი არ აკავშირებდა, მაშინ როდესაც კარლა დონერი მომღერალი იყო და ისე გატაცებით უყვარდა იოჰანიო. ჟორა, პირიქით, ამართლებდა შტრაუსს. — ვაჰ, მაშ ცოლი უნდა დაეტოვებინა?!.

— თუკი უყვარდა, რატომ არ უნდა დაეტოვებინა! — შეედავა ლილი და მერე მაყვალას მიუბრუნდა: — ტყუილს ვამბობ?

მაყვალა მაგიდის კუთხეში იჯდა ჩუმად და კამათში მონაწილეობას არ იღებდა. ამ ადგილზე ის განგებ დაჯდა, რომ თავისი იაფფასიანი წინდები და ქუსლებმოცვეთილი ფეხსაცმელები არ გამოეჩინა.

— მე რომ შტრაუსის ცოლის ადგილზე ვყოფილიყავი, ისეთ ქმარს აღარ მივიღებდი, — თქვა მცირე დუმილის შემდეგ მაყვალამ.

— ყოჩაღ, მართალს ამბობ! — მოეწონა ალექსანდრეს ახალგაზრდა ქალის მოსაზრება.

— ეგ სხვა საქმეა, მე შტრაუსზე ვლაპარაკობ, თუკი ცოლი არ უყვარდა, იმასთან როგორ ცხოვრობდა. მე... — ცხარედ ჩაერია ლილი კამათში, მაგრამ უნებურად შედგა. უნდოდა ეთქვა, მე თუ კაცი არ მიყვარს, იმას ცოლად არ წავყვებიო, მაგრამ თავისი გათხოვება-განშორება მოაგონდა და ენა დაება.

— ახალი ხომ არაფერი მიდის კინოში? — იკითხა ოლიკომ, შემდეგ ქმარს მიუბრუნდა: — ალექსაშა, პაპიროსი მომაწოდე.

— რა ეშველება ჩვენს საქმეს. პაპიროსი აღარ იმოვება. დღეს ქუჩაში ბიჭებისაგან ვიყიდე ერთი კოლოფი. — თქვა ალექსანდრემ და თავის პორტსიგარს თვალით დაუწო ძებნა.

— თუ იკადრებთ, — მორიდებულად გაუწოდა გრიშამ დიასახლისს „თავწახსნილი „საბჭოთა" პაპიროსის თლაგ დასრესილი კოლოფი, რომელშიც რამდენიმე ღერი მოჩანდა. კოლოფი რამდენჯერმე შეარხია, პაპიროსის ღერი რომ გამოეწია.

— გმადლობთ, — უპასუხა ოლიკომ, წითლად შეღებილი ფრჩხილებით პაპიროსი კოლოფიდან გამოაძვრინა, გამოცდილად დასრისა, თავი წაუფშვნა, ღეროში ჩაბერა და ჟორას მოწოდებულ ასანთზე მოუკიდა.

— თქვენც თუ ინებებთ, — მიაწოდა გრიშამ ალექსანდრეს კოლოფი.

— გმადლობთ, მე აგერ...

— ინებეთ, ინებეთ.

ალექსანდრემაც აიღო. გრიშამ ლილის კითხვის თვალით შეხედა. იფიქრა, იქნებ მამის ერიდება და არ ამხელს, რომ პაპიროსს ეწევაო, მაგრამ ლილიმ დაუპატიჟებლად გაუწოდა ხელი. მაყვალამ და გოგიტამ უარი თქვეს. ისინი არ ეწეოდნენ.

— ნეტავი როდის გათავდება ეს ომი? — თქვა ალექსანდრემ. — ყველაფერი გაძვირდა და აღარაფერი იშოვება ბაზარზე.

— ამბობენ, ყველაფერზე წიგნაკები იქნება შემოღებულიო, — დასძინა დიასახლისმა და პაპიროსი მაღლა ააბოლა, მერე თავის ქალიშვილს გადახედა, ის ისევ განაგრძობდა საუბარს გოგიტასთან. — ლილი, საფერფლე მომაწოდე! ეს ჩაბნელება ხომ ძარღვებს მიშლის. ღამღამობით პირდაპირ შეუძლებელია გარეთ გასვლა. ამის გამო ველარსად ვერ დავდივარ. გუშინ სონიასთან ვიყავი და, სანამ სახლში მოვიდოდი, კინაღამ გული გამისკდა. ისე შეუძლიათ მოგიტაცონ, რომ კაცი ვერ გაიგებს.

— აღარავინ გიტაცებს, ქალო, აღარავინ, — ისეთი ხმით ჩასძახა ყურში ცოლს ალექსანდრემ, თითქოს ჩაჰყვი-

როდა. — ქირას მივცემ, რომ მოგიტაცებდეს ვინმე.

ოლიკომ ხუმრობით მოუქნია ხელი ქმარს, ვითომ სილა უნდოდა გაეწნა, და მერე გოგიტას მიუბრუნდა:

— დაუკარით პატეფონი. ვიცეკვოთ, თორემ, თითქოს კრებაზე ვისხდეთ. შენ ისე გიყვარს ცეკვა, რომ ალბათ სული მიგდის.

გოგიტა ადგა, პატეფონს თავი ახადა. ალექსანდრემ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა დროს ცეკვაა, ამ ომიანობის ხანაში. — ალექსანდრეს გული მოსდიოდა, რომ მისი ცოლი ქალიშვილობას არ იმლიდა და ახალგაზრდებთან ისე ეჭირა თავი, თითქოს მათი ტოლი ყოფილიყოს.

— პადუმაეშ, ომი. მერე რა. იქნებ ხვალ არც ჩვენ ვიყოთ ცოცხლები. ერთი გერმანული თვითმფრინავი მოფრინდეს, ერთი ბომბი ჩამოაგდოს?!

— დედა, ნუ ლაპარაკობ სისულელეს, — იკივლა ლილიმ.

ლილი ცრუმორწმუნე იყო და ამგვარი საუბრის ყოველთვის ეშინოდა.

— რა, განა ტყუილს ვლაპარაკობ? — მიმართა ოლიკომ გოგიტას. — სანამ ცოცხალი ხარ კაცი, ყველაფერი უნდა მოასწრო.

— ეგ ჩვენზეა ნათქვამი. ომში წასულ კაცზე, — თქვა გოგიტამ, — მაგრამ გადაჭარბება არც იქაა საჭირო. ცეკვაზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ მერე რა, რომ ომია! კაცი ისე უნდა ომობდე, რომ კიდევაც ცეკვავდე და კიდევაც იცინოდე, თორემ ყველაფერზე თუ თავპირი ჩამოგტირის, მაშინ არც შენს ბრძოლას აქვს ფასი და არც შენს გამარჯვებას.

— ჩემმა მზემ, მართალს ამბობს, — დაეთანხმა ჟორა. — ერთი, ლუნნი ვალსი დაუკარი.

გოგიტამ მომართა პატეფონი და ადაპტერი ატრიალებულ ფირფიტაზე ფრთხილად დააყრდნო. ოთახში ჯერ ხრიალი გაისმა, შემდეგ ჰავაიური გიტარის აკვნესებული ხმები. ... მაშინვე გაუწოდა ხელი დიასახლისს, მოხდენილად მოხვია წელზე ხელი და გაკრიალებულ იატაკზე განიერი ნაბიჯებით წაიყვანა. ოლიკოს მსუბუქად მიჰქონდა ტანი. პაპიროსი პირში გამოეჩარა, თვალები ნახევრად მილულა და სახეზე ოდნავი ნეტარების ღიმილი უკრთოდა.

რეზომ ზანტად გაუწოდა ხელი ლილის, თითქოს ცეკვაც კი ეზარებოდა. ლილიმ მარცხენა ხელი კისერზე მოხვია რეზოს. მან ერთხელ, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს, ნახა სურათი „პარიზის სხვენთა ქვეშ“, სადაც სურათის მთავარი გმირი ქალი სწორედ ასე ცეკვავდა. გოგოებმა მაშინვე გადაიღეს ცეკვის ეს მანერა.

— თქვენ რატომ არ ცეკვავთ? — ჰკითხა ალექსანდრემ გრიშას, რომელიც ისევე გაუნძრევლად იჯდა და მოცეკვავეებს გულდაწყვეტილი ადევნებდა თვალს. — მიიწვიეთ ქალიშვილი! — თვალით ანიშნა მაყვალაზე.

— არ ვიცი, ბატონო, ეს დასალუპავი... აქ მაგის სწავლისთვის არ მეცალა და ჩონთოში ბებიაჩემი მაკრინე ვერ მასწავლიდა მაგას.

ალექსანდრემ გულიანად გადაიხარხარა. მერე მაყვალას შეხედა და თითქოს შეეცოდა ახალგაზრდა გოგონა, რომ საცეკვაოდ არავინ მიიწვია, ფეხზე წამოიჭრა, ხელი ხელში მოჰკიდა და შემკრთალი ქალიშვილი ფეხზე წამოაყენა.

— უიმე, ჩემო ბატონო! — იუარა მაყვალამ. — არ ვიცი ცეკვა.

— კარგი ერთი. მოდი!

— არა, ბატონო, არ ვიცი.... არ მისწავლია...

— მოდი, ნუ გეშინია. ამას რა ცოდნა უნდა. მე წაგიყვან.

მაყვალამ ვეღარ გაბედა ალექსანდრესათვის უარი ეთქვა, თუმცა ერჩია ისევ მაგიდის კუთხეში მჯდარიყო,

დაემალა თავისი ექვსაბაზიანი აჩინჩული წინდები და ცხვირებმოხრული გაცვეთილი ფეხსაცმელები. ამისთვის იმიზეზებდა არცოდნას, თუმცა ევროპული ცეკვები კარგად იცოდა.

— ეგაა არ ვიცი?! — ჩასძახა ყურში ალექსანდრემ. — კარგად გცოდნია ცეკვა!

— არა, ბატონო, რას ბრძანებთ.

— ეგაა არ ვიცი?! გოგიტა! — შეაჩერა ცეკვა ალექსანდრემ და ქალიშვილი ახალგაზრდა კაცს გადაუსროლა. — აბა, შენ იცი. ჩამიბარებია.

გოგიტამ მოხდენილად მოხვია მაყვალას ხელი და ისე კოხტად წაიყვანა, რომ ახალგაზრდა ქალს სახე ნეტარების ლიმილმა გაუნათა.

სამივე წყვილი გულმოდგინედ ტრიალებდა დარბაზში, სანამ ფირფიტა არ ჩათავდა. კარებში შემოიჭყიტა ტანიამ, მერე ოთახში შემოვიდა, იქვე კარებთან აიტუზა და მოცეკვავეებს თვალყურს ადევნებდა.

— რაო, ტანია ცუდად ვცეკვავთ? — უთხრა ოლიკომ თავის შინამოსამსახურე გოგოს და სავარძელში მოსხლეტით ჩაჯდა. — ჟორა, მომაწოდეთ ცეცხლი, პაპიროსი ჩამიქრა.

— პჟალსტა, ინებეთ, — ჟორამ გაჰკრა ასანთი და დიასახლისს მიაწოდა.

ჟორამ პატეფონი მომართა, ფირფიტა გამოცვალა, მერე უცბად მობრუნდა და ტანიას გრიმაზე ანიშნა:

— ტანია, მოდი ერთი, ამ მორცხვ ყმაწვილს უკავალრე.

— თქვენ იცით, ტანია რა კარგად ცეკვავს? — წამოიძახა ლილიმ, — მამაკაცებზე უკეთესად იცის წაყვანა. მოდი, ტანია, მე და შენ ვიცეკვოთ.

— მე სუფრა უნდა გავშალო, — იუარა ტანიამ.

— მოდი. მერე მე მოგეხმარები. რეზო, შენ მაყვალა აცეკვე.

რეზომ ისევ ააატრიალა ფირფიტა. ლილიმ ჩაავლო ხელი ტანიას, რომელიც ჯერ კიდევ ისევ უარობდა, მაგრამ შემდეგ მოხვია ხელი წელზე ლილის და კოხტად წაიყვანა. ჟორამ ისევ გაუწოდა ხელი ოლიკოს, რომელიც ნელა წამოდგა, რამდენიმე წრე შემოარა და ცეკვას თავი ანება. ჟორამ ახლა მაყვალას გაუწოდა ხელი, შეთამამებული ქალიშვილი მიჰყვა და, სანამ ფირფიტა არ გათავდა, გულმოდგინედ ტრიალებდა. მერე, თითქოს სრულიად არ ეცეკვოს, წყნარად მივიდა მაგიდის კუთხესთან, დაჯდა და კაბა მუხლებს ქვემოთ დაიქაჩა, თითქოს მას სურდა, თავისი იაფფასიანი წინდები დაეფარა. თმები შეისწორა, მკლავი მაგიდაზე ჩამოაყრდნო, მაგრამ ეს უზრდელობად მოეჩვენა და შეშინებულმა ძირს ჩამოიღო. ყველაფერში უხერხულობას გრძნობდა და თავის თავზე გული მოსდიოდა.

გოგიტამ პატეფონის დისკოს შეუჩერებლად თავში გადააადგილა ადაპტერი და ახლა ლილის გაუწოდა ხელი, მაგრამ მან თვალით ანიშნა, ტანია აცეკვეო. როდესაც მფრინავმა ამ კეკლუცა შინამოსამსახურეს თავაზიანად სთხოვა საცეკვაოდ გაჰყოლოდა, ახალგაზრდა ქალი ისე აინთო, მგონი, სინათლე რომ ჩამქრალიყო, დარბაზს გააანათებდა.

— იცეკვე მაგასთან, — უთხრა ოლიკომ თავის ბიძაშვილს და თან ფილოსოფიურად დასძინა: — შინამოსამსახურეებს უყვართ სამხედრო პირები!

ყველანი ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს ამ წყვილის ცეკვას. იმდენი სიცოცხლე, გრაციოზულობა და სინარნარე გამოკრთომდა მათ ყოველ მოძრაობაში, რომ ყველას გული დაწყდა, როდესაც პატეფონის ფირფიტამ მოულოდნელად ხრიალი მორთო.

— გვეყოფა ცეკვა, ტანია, სუფრა გაშალე! — უბრძანა ოლიკომ მოსამსახურე გოგოს, რომელსაც, ცეკვით ნასიამოვნებს, ატლასივით ატკეცოდა სახე

და გულმკერდი მძიმედ აუდ-ჩაუდიოდა. იგი ფრთქიალით გაიქცა სასადილოსაკენ, საიდანაც მალე მოისმა დანა-ჩანგლის ჩხრიალი და ბროლის ჭიქების რაწკუნი.

გრიშამ უხერხულად ჩათვალა დარჩენა და რეზოს გადახედა.

— რეზო, არ წავიდეთ?

— სად უნდა წავიდეთ?! — გაუკვირდა რეზოს და გაეცინა.

— მე საქმე მაქვს, — თქვა გრიშამ და ფეხზე წამოდგა. — ახლა, სანამ მასპინძელი არ გეტყვის მიბრძანდიო, აღარ უნდა მოგაგონდეს წასვლა?

— გრიშა, რა მოგივიდა, გაგიჟდი? — სტაცა ხელი ლილიმ. — სად უნდა წახვიდე. რეზო, უთხარი რამე.

— ნუ ხარ, ბიჭო, ხიხო. მოიცადე და ერთად წავიდეთ,—ნაძალადევი ღიმილით უთხრა რეზომ თავის მეგობარს.

გრიშა იძულებული იყო დარჩენილიყო, თუმცა გარეთ გასვლა და თავისუფლად ამოსუნთქვა სიცოცხლეს ერჩია. ამ გაბრწყინებულსა და გაკრიალებულ დარბაზში ჯდომამ და დაძაბულობამ ისე დაღალა, რომ მუხლებში ტკივილი იგრძნო. მერე, როდესაც მიიწვიეს მაგიდასთან, რომელზედაც იმდენი ბროლისა და ფაიფურის ჭურჭელი ელაგა, რომ თავისუფალი ადგილი არც კი იყო, მთლად დაიბნა.

შიშით ხელი ვერაფერს ახლო, ან არ გავტეხო რამე, ან შეცდომით საწებელი კერძი არ მეგონოს და არ შევრცხვეო.. მის საინზე დადგმულ ყურაცქვეტილ ხელსახოცს კარგახანს მორიდებულად უცქეროდა, სანამ ლილიმ თავის ხელით არ გადაუდო ხელსახოცი განზე და საინზე საუზმე არ გადმოუღო. გრიშას აზრით, ჭურჭლეულის მსგავსად, ვახშამიც ძვირფასი იყო, თუმცა მაგიდაზე სახარბიელო ბევრი არა იყო რა: ყველი, ვინეგრეტი, კიბორჩხალას კონსერვი და ერთი ლანგარი მთლად გაშავებული საცივი. ღვინოსქელი, გათლილი ბროლის გრაფინებით იდგა მაგიდაზე.

ვახშამზე ლაპარაკი კანტრაკუნტად მიმდინარეობდა. ჟორა დაურიდებლად ათვალიერებდა ჭურჭელს და დიასახლისის სასიამოვნოდ ხმამაღლა ასახელებდა რომელი იყო სევრი, რომელი საქსი და რომელი გარდნერი. მათი გამოცნობა ჟორამ მესამე ცოლთან შეისწავლა და ახლა ცდილობდა ეს ცოდნა გამოეჩინა.

გრიშა შურით ადევნებდა თვალს ჟორას და გუნებაში ფიქრობდა: „საიდან იცის ამ ღდინძალლმა ამდენი. სად ხარ ჯერ, გრიშა, ამას როდის ისწავლი შენ!“.

თამადობდა ალექსანდრე. მას სუფრაზე, ცოტა არ იყოს, ალვირახსნილი ხუმრობა და უწმაწური ლაპარაკი უყვარდა, რისთვისაც მუდამ იმსახურებდა ცოლის მიერ დატუქსვას.

— იცოცხლე, ჩემო გოგიტა! —ასწია ჭიქა და წარმოთქვა პირველი სადღეგრძელო ალექსანდრემ. — გისურვებ...

გოგიტამ იუარა და მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი. პირველი სადღეგრძელო, ტრადიციის მიხედვით, დიასახლისს უნდა მიძღვნოდა.

— არა, არავითარ შემთხვევაში. მე პროტესტს ვაცხადებ, — წაავლო ხელი ჭიქას გოგიტამ და ოლიკოს მიუბრუნდა. — ამ ჭიქით ვადღეგრძელოთ დიასახლისი. იცოცხლე, ჩემო ძვირფასო ოლიკო.

ახალგაზრდებმა თავისი გაიტანეს და ალექსანდრე იძულებული იყო, მათ ნებას დაჰყოლოდა, მაგრამ მეორე სადღეგრძელო კი გოგიტას მიუძღვნა და აქ კი თავისი გაიტანა.

— იცოცხლე, ჩემო გოგიტა. გისურვებ ომიდან მშვიდობით დაბრუნებას, — უთხრა მან ახალგაზრდა კაცს, — გისურვებ გენახოს შენი შესაფერი მეუღლე. იმისთანა კი არა, რომელიც, გურამიშვილის სიტყვით, „ქმარს გაიხდის ჭირად...“

ღამის თორმეტ საათზე რეზომ შეხედა კუთხეში აყუდებულ უზარმაზარ კედლის საათს და ფეხზე წამოდგა.

— ახლა კი დროა, წავიდეთ, თორემ დაგვიგვიანდა.

ყველანი წამოიმალნენ და, თუმცა მასპინძელი კიდევ ეპატიჟებოდათ, მოითმინეთ, შინ მისვლას კიდევ მოასწრებთო, ოლიკომ ქმარს შეუტია, შენ რა, გინდა, რომ სამივემ ღამე კომისარიატში გაატაროსო.

მაყვალაც აპირებდა წასვლას, მაგრამ ლილიმ არ გაუშვა. რეზო, გრიშა და ეორა კიბეებამდე ლილიმ მიაცილა, ჩამორჩენილ რეზოს ცოტახანს ეჩურჩულა, შემდეგ სიბნელით ისარგებლა, ხელი მოხვია, სადღაც ყურთან აკოცა და ბინაში შევარდა.

სამივენი გამოვიდნენ ქუჩაში. სინათლეს შეჩვეული თვალით პირველად ისე ჩაბნელებულად მოეჩვენათ ყველაფერი, რომ ყოველ ნაბიჯს წინასწარ სინჯავდნენ ფეხით.

— დედა, დედა, დედა — ... შენ გაქვს ახლა ჭკუა? — შემოირტყა რამდენჯერმე მუხლზე ხელი გრიშამ და რეზოს მიუბრუნდა. — შენ გაქვს ჭკუა?

— რა იყო, ბიჭო?

— რა იყოო? მაგისთანა ქალი მყავდეს საცოლედ და მაგისთანა ბინაში შევდიოდე სიძედ, მინდა რამე მერე? რა ვნახე ეს, რა ვნახე. მაგისთანა რამე რომ მეღირსებოდეს, მე ვინ მაღირსებს, რამეს თორემ... შემიყვანე მაგისთანა ოჯახში, მაგისთანა ქალთან. სამოთხე რაღად მინდა. ბიჭო, რას უყურებ, დროზე მიხედე შენს საქმეს, თორემ...

— დამითმია შენთვის...

— კარგი ერთი, ნუ სულელობ! — მართლა გულმოსულად უთხრა გრიშამ რეზოს. — მასხარად შენი თავი აიგდე!

თავი მეცამეტე

დილის რვა საათზე მატარებელი თბილისის სადგურზე გაჩერდა. ბარგით დატვირთული მგზავრები გასასვლელებს მიაწყდნენ. ყველა ჩქარობდა, ფუსფუსებდა, თავგადაკრულ კალათებს, ხურჯინებს, ჩემოდნებს ეზიდებოდა და ერთი ყურისწამღები ერიამული იდგა. დავითს არავითარი ბარგი არ ჰქონდა, მაგრამ ვაგონის შუაგულში მოექცა და ადრე გასვლა მაინც ვერ მოახერხა. რამდენჯერაც არ სცადა ხელსაყრელ წუთებში ამ მჭიდროდ შეკრულ ბარგსა და ადამიანებს შორის გაჩენილ ღრიჭოებში გამძვრალიყო, წინ ყოველთვის მზიდავი მუშები ეღობებოდნენ. ისინი როგორღაც ახერხებდნენ მდინარების წინააღმდეგ სვლას და განუწყვეტლივ იძახოდნენ:

— ნასილჩიკ კამუ, ნასილჩიკ კამუ!

— ბატონო, დაგვაცათ ჩასვლა, — გაცხარდა ვიღაც ხანში შესული მგზავრი, — დაგვაცათ, ვისაც თქვენ სჭირდებით, სულ ერთია, უთქვენოთ მაინც ვერ ჩამოვა ვაგონიდან, და რა ვეჩქარებათ?

დავითს გაეცინა.

— მართალს არ ვამბობ? — მოუბრუნდა დავითს სიცილით გამხნევებული უცნობი. — შემოცვივდებიან ვაგონში, ძირს ჩასვლას არ გვაცლიან და აუცილებლად უნდა გადაგვთელონ, გადაგვჯეგონ.

მგზავრებს ქალაქში გასვლამდე სანიტარული შემოწმება უნდა გაევლოთ და ამისათვის ყველას საგარაჟო პავილიონზე გავლით ატარებდნენ, იქ თეთრხალათიანი სანიტარი ქალები მგზავრებს ხალათების საყელოებს უსინჯავდნენ. ამის გამო პერონზე ისედაც გრძელი რიგი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ვაგონებიდან გადმოსული მგზავრები სირბილით მოძუნძულებდნენ რიგში ჩასადგომად.

დავითს ქალაქში გასვლა ეჩქარებო-

და. მას მოუთმენლად უნდოდა დაენახა თბილისი, სადაც ის წელიწადნახევარზე მეტია არ ყოფილა. უნდოდა თავისი თვალით ენახა, თუ რა ცვლილებები მოხდა იმის შემდეგ, რაც ომი დაიწყო და როგორ გამოიყურებოდა ყველაფერი: ხალხი, ქუჩები, მოედნები, შენობები.

მას თბილისში სწორედ იმ წლებში მოუხდა ცხოვრება, როდესაც მშენებლობის დაძაბული პერიოდი უკან იყო მოტოვებული. ქალაქში აგებულ ახალ უზარმაზარ შენობებს ხარაჩოები მოაცილეს, ქუჩები და მოედნები ასფალტით დაიფარა, პროსპექტებსა და ახლად აგებულ სანაპიროზე აღვივდნენ თუჯის მაღალ სვეტებზე დაკიდებული ლამპიონები. ცნობილი მხატვრების ესკიზებით გაფორმებული მაღაზიები და კაფე-რესტორნები ბზინავდნენ ნიკელითა და აპრიალებული ძვირფასი ხის მასალისაგან გაკეთებული თახჩებით. ცხოვრება მაშინ შადრევანივით ჩქეფდა **თბილისში, იმ შადრევანივით**, რომელიც ერთი ქუხილით ამორბოდა პუშკინის სახელობის პატარა ბაღში და ათი თუ თხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე სვეტის სიმსხო ნაკადს სტყორცნიდა. ყველაფერი საოცარი ფართო გაქანებით ეწყობოდა. ხალხური შემოქმედების ოლიმპიადაზე ათასობით მონაწილენი ჩამოდიოდნენ, სტადიონზე გამართულ ფეხბურთის შეჯიბრებებს ოცდაათი და ორმოციათასი კაცი ესწრებოდა და ფიზკულტურელთა პარადებზე კოლონები რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ მიაბიჯებდნენ მთავრობის ტრიბუნის წინ.

ეს წლები დაუვიწყარი იყო დავითისათვის. განა შეეძლო დავიწყა ახალგაზრდა კაცს ის წუთები, როდესაც, ერთხელ, საგამოცდო სესიაზე საგნის ჩაბარების შემდეგ, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა სასპორტო დარბაზში, სადაც მას საკავშირო შეჯიბრებაზე მონაწილეობა უნდა მიეღო. კრივში? საშუალო წონის საკავშირო ჩემპიონთან ჰქონდა შეხვედრა და ისე ღელავდა, რომ რამდენჯერმე კინაღამ სულ უარი თქვა რინგზე გასვლაზე. გავიდა და პირველსავე რაუნდში მოხვდა ნოკდაუნში, მაგრამ ახლაც კი არ იცის, როგორ მოიკრიფა იმდენი ძალა, მეცხრე თვლაზე ადგა და მეორე რაუნდში თავისი მოწინააღმდეგე მოხდენილი აპერკოტით ძირს გაშალა.

სად არ იმოგზაურა იმ წელიწადში დავითმა. მოსკოვშიაც იყო, კიევშიც, ხარკოვშიც, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მონაწილეობდა ფიზკულტურელთა პარადზე. მავზოლეუმის ტრიბუნაზე ნახა მთელი მთავრობა. და, რაც მთავარი იყო, ნახა სტალინი.

ახლა უკვე თვითონვე უკვირდა, საიდან ახერხებდა მაშინ ერთსა და იმავე დროს კიდევაც ემაცადინა, ზაფხულობით პრაქტიკაზედაც წასულიყო და, ამავე დროს, ზურგჩანთაც აეკიდა და სხვებთან ერთად გამგზავრებულიყო კავკასიონის გიგანტებზე: შხარაზე, დიხთაუზე, უშბაზე და სხვა მწვერვალებზე საიერიშოდ, ზამთრობით კი გაეწყო თხილამურები და ბაკურიანის თოვლიან ფერდობებზე შურდულივით დასრიალებულიყო ან თავბრუდამხვევი ნახტომები გაეკეთებინა ტრამპლინიდან. მოზღვავებული ენერგია უხვად ჩქეფდა ახალი ცხოვრებით გატაცებულ ახალგაზრდობაში.

მოედანზე ჩვეულებრივი ხმაური იდგა. სხვადასხვა სახის მსუბუქი და საბარგო ავტომანქანები აქეთ-იქით გარბი-გამორბოდნენ და თითქოს კონცერტის დაწყების წინ სასულე ინსტრუმენტებს სინჯავდნენ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა მათი საყვირების ტუტუუ... დუდუუ... ტრამვაები კი ზარების გაბმული რეკვით თითქოს ამ კონცერტის დაწყებას ამცნობდა ყველას.

მატარებლიდან ჩამოსული მგზავრები განუწყვეტლად ფუსფუსებდნენ. ზოგი ტრამვაის გაჩერებისაკენ გარბოდა, ზოგი მეეტლეებს ევაჭრებოდა და თავის ბარგს კოფოზე აწყობდა.

უეცრად აღტაცებული ძახილი მოისმა:

— დათიკო, დათიკო!

მოიხედა, ვერ გაიგო ვინ უძახდა. მოულოდნელად სამხედრო ეცა, გადაეხვია და გადაკოცნა. დავითმა უკან დაიხია და სამხედროს სახეზე დააკვირდა.

— შაქრო! — წამოიძახა დავითმა და ახლა თვითონ ეცა თავის ძველ მეგობარს. ხელი მოხვია და მეორედ გადაკოცნა. — ბიჭო, დაიცა ერთი შეგხედო. საიდან სად?

— ეჰ, რა ვიცი, სად არ ვიყავი, — მხიარულად უპასუხა შაქრომ, — ყველა ფრონტი მოვიარე. შენ როგორ, სად ხარ? რატომ ჯარში არ ხარ აქამდე. მაღაროებში დაიმალე?

— არ გამიშვეს. დაიცა ერთი, შეგხედო. ფხუუ... — წასცდა სიცილი დავითს. — სამხედრო ფორმაში რომ გხედავ, მეცინება. ფრონტზე იყავი? სროლის ხმა თუ გესმოდა?

— სამჯერ ვიყავი დაჭრილი, მაგრამ, ხომ ხედავ, კენჭივით ვარ.

— ბიჭო, „პუგაჩის“ მეტი შენს ხელში იარაღი მე არ მინახავს, და როგორ ომობდი, არ ვიცი!

— დაიცა, ერთი, ალბათ მალე შენს ბიჭობასაც ვნახავთ. როდის ჩამოხვედი?

— ამ წუთში! დამიბარეს და არც ვიცი, ვინ მიბარებს.

— არ იცი? — შაქრომ რაღაც ეშმაკურად ჩაიცინა. — მიდი და ნახავ. მეც მაგისთვის გამომიძახეს, თორემ კალინინის ფრონტზე ვიყავი.

— არა, მართლა?

— დედას გეფიცები. ბელადმა იკითხა თურმე, სად არიან ალპინისტები. ხომ იცი, გერმანელებმა სპეციალური სამთო მსროლელი დივიზიები და იტალიელთა ბერსალიერები მოყვანეს კავკასიის მთებში საბრძოლველად. ბელადმა, ერთი სიტყვით, იკითხა თურმე, სად არიანო. აღმოჩნდა, რომ ხუთი კაცის გარდა ყველა ფრონტზე იყო, ზოგი სად და ზოგი სად. იცოცხლე, დატრიალდნენ, შეიქნა ერთი გამოძახება. მოგროვდა ხალხი. ხომ ხედავ, კალინინის ფრონტზე ვიყავი და შენ ჩამოგასწარი.

— გადმოფრინდი?

— ბომბდამშენით გლეჯა მოვადინე თბილისში. შენ კარგ დროს ჩამოხვედი, იცი? ახლა უკვე მზადაა ყველაფერი.

— როგორ ყველაფერი?

— ალპური ბატალიონები. სპეციალური ფორმა შეგვიკერეს, ჩვენებური, ალპური. ყველა ავტომატებითაა შეიარაღებული. ასეა საქმე, ა! — ასწია ცერი მაღლა შაქრომ. — ჯარასავით დატრიალდა ხალხი, თორემ ცუდად იყო საქმე. ჩემოდნები შეკრული ჰქონდათ თურმე ყველას. შენ სად მიდიხარ ახლა?

— ჯერ ბინაში მინდა მივიდე, პირი დავიბანო, მერე არც კი ვიცი, სად უნდა გამოვცხადდე.

— წამოდი, მეც გალმა მოვდივარ. მე გასწავლი, სად და როგორ, ვისთან უნდა მიხვიდე. წამოდი, დინამოს სტადიონთან ჩავიდეთ და ტროლეიბუსზე დავსხდეთ.

მოედანი გადაჭრეს და ტრამვაის პარკისაკენ ჩაუხვიეს. გზადაგზა საუბარს განაგრძობდნენ. დავითს თავისი ამხანაგები მოაგონდა და სათითაოდ ეკითხებოდა შაქროს, ვინ სად იყო ან როგორ იყო.

— მიტო სადღაა, არ იცი? — ჰკითხა დავითმა.

— მიტო ლენინგრადის ფრონტზეა. — უპასუხა შაქრომ. — ორი ორდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუღია. კოტე როსტოვთან იბრძოდა და იმის შესახებ არაფერი არ ვიცი. ოთარი დაღუპა.

— სად! — თითქოს ამოიკვნესა დავითმა.

— სევასტოპოლში. ის ხომ არტილერიაში იყო. მამამისი ვნახე. მიამბო ყველაფერი. ვაჟკაცურად კი დაღუპულა. ვიქტორი ტანკზე ზის და კალინინის ფრონტზე იბრძვის. იქ ვნახე შემთხვევით. რომ განახა, ვეღარ იცნობ, ამხელა ბეჭები აქვს, აი! როგორ ეტევა ტანკში! „კავეზე“ ვზივარო, სამჯერ გადამამტვრიეს თავზე ტანკი, მაგრამ მაინც ხომ მხედავო?!.

— ჩხუბი იმას მაინც უყვარდა და...

— ვუთხარი. გაიცინა. წავიდა ბავშვობის დროო, მითხრა. სიხარულზე ერთი ბოთლი სპირტი მივაწრუპეთ ორივემ. კარგი ბიჭია ის სახელაღლი. ლევანი...

— ლევანი ვიცი, ასპირანტურაშია.

— სადაო? არ გცოდნია. ლევანი მესანგრეთა ბატალიონის მეთაურია. ახლა მგონი მაიორია უკვე. ცოლი ვნახე მისი აქ. ერთი სიტყვით, ჩვენებიდან ვერავის ვერ ნახავ ახლა თბილისში. ფრონტზეა ყველა. ე, ბიჭო, სახინკლე აგერ! — წამოიძახა უცებ შაქრომ. — წამოდი ვისაუზმოთ, არ გშია?

— მშია მგელივით, მაგრამ მოიცა. არჩილი სადაა, არ იცი?

— არჩილი? რომელი? უი, მეტალურგიულზე რომ იყო, საგანელიძე? ფრონტზეა. მესანგრეთა ბატალიონში ყოფილა. ვინ იცის, იქნებ ცოცხალიც აღარაა, იმან ჩვენზე გვიან დაამთავრა უმაღლესი.

— ჰო, ორი წლით, სწორედ ომის დაწყების წინ. მე იმას ბავშვობიდანვე ვიცნობდი. მეზობელი იყო ჩემი. იმისი მშობლები ნეტა როგორ არიან, უნდა ვნახო.

— მამამისი კარგადაა. შენ ხომ იცი, არჩილს რომ ერთი გოგო მოსწონდა.

— როგორ არ ვიცი, მერე?

— გათხოვდა.

— ჰმ, — მწარედ ჩაიცინა დავითმა, თავისი უბედობა მოაგონდა.

— ვიღაც ცოლიან კაცს გაჰყოლია. ასეა, ძმაო, თურმე. თუ დროზე არ მიიღე ზომები, ქალი არ ყოფილა სანდო. როგორ იტყვი?

ორივემ სასაუზმეში შეუხვიეს. ქონით გალიფულ დახლთან ჭუჭყიან ხალათში ჩაცმული მეხინკლე იდგა და საანგარიშო კოჭებზე რაღაცას ანგარიშობდა. სახინკლეში იმის გარდა კაცი არ იყო. მაგიდების მაგიერ კედელზე მიმაგრებულ პატარა თაროებს უხვად ესია ბუზები. დახლის თახჩებზე მხოლოდ რამდენიმე ცარიელი ბორჯომის ბოთლი იდგა.

დავითმა გაოცებით მიმოიხედა, დახლის შიგნითაც კი გადაიჭყიტა და უკან გაბრუნება დააპირა. შაქრომ ხელით ანიშნა, მოიცაო, და მეხინკლეს ეკითხა:

— გვაჭმევ რამეს?

— ჯერ ადრეა, ბატონო, — თავაუღებლივ უპასუხა მეხინკლემ და კოჭების ჩხაკუნი განაგრძო.

— ჩვენი ბიჭი ხარ, გექნება რამე, — არ ეშვებოდა შაქრო.

— ათ საათამდე არაფერი გვექნება. თუ გვექნა, ისიც საკითხავია, ფქვილს ალარ გვაძლევენ და გავაკეთებთ თუ არა რამეს, არც ვიცი.

— აუჰ! ათ საათამდე ქვეყანა უნდა მოვიაროთ და ფრონტზედაც წავიდეთ.

მეხინკლემ მხოლოდ ახლა აიღო თავი და შემოსულებს ახედ-დახედა. თითქოს უნდოდა შეემოწმებინა, ღირდა თუ არა მათთვის თავის შეწუხება.

— რა ვქნა, რა გიყოთ ახლა თქვენ. პატიოსანი ხალხი ხართ, გეტყობათ, — შეწუხებულად ჩაილაპარაკა მეხინკლემ და შემდეგ დასძინა: — ოც წუთს თუ მოიცდით, თქვენთვის გავაკეთებინებ, ბატონო, ხინკალს ცალკე.

— არიქა, დატრიალდი, — აუცაცხანა შაქრომ, — დავიცდით, მეტი რა გზაა. სხვაგან მაინც ვერაფერს ვიშოვნით. დასალევი გაქვს?

— კი, ბატონო, ვიშოვი, — აფუსფუსდა მეხინკლე. — რამდენი ჩავაყრევინო ხინკალი?

— ჩაყარე ოცი ცალი. ათ-ათი გვეყოფა? — მიუბრუნდა დავითს შაქრო. მაგრამ პასუხს არ დაუცადა და მეხინკლეს მიაძახა: — ოცდაათი ჩაუშვი. აგერ, ერთი ტყიდან გამოსული კაცი მყავს და ამას რა გააძღებს.

— დიაკვანს მიჭმიეთო, ერთი მღვდელი რომ იძახოდა თურმე, ისეა შენი საქმე, — სიცილით უპასუხა დავითმა შაქროს. — შენ, ძმაო, ერთ ძროხას შეჭამ თუ დარი დაგიდგა. ფრონტზე ახლა შენ დაისვამდი ღარს.

— უჰ, ნუღა მკითხავ, თუ ძმა ხარ. ჭამა-სმა იქაა, თუა. შეხედე, სათადარიგო გაწვევის მებრძოლები მიდიან.

ორივემ გაიხედა ქუჩისაკენ. სათადარიგო ახალწვეულთა კოლონა კარგა გრძლად გადაჭიმულიყო ქუჩაზე. ისინი სადგურზე მიდიოდნენ. ყველას საკუთარი სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ზოგს უბრალო ბლუზა-შარვალი, ზოგს ძველი კოსტუმი. ყოველ მათგანს ხელში ეჭირა თავწაკრული ტომარა, რომელშიც საგზალი და სხვა რამ წვრილმანი ელაგა. თავი ყველასათვის გადაეპარასათ. ისინი არეული ნაბიჯით მიდიოდნენ და გზადაგზა ესაუბრებოდნენ თავიანთ გამცილებელ ცოლებს, დედებსა და ქალიშვილებს. გამცილებლები სულ ქალები იყვნენ და ტროტუარის გასწვრივ მოაბიჯებდნენ კოლონასთან ერთად. ყველას რაღაც დაძაბული, ოდნავ დაღვრემილი გამომეტყველება ჰქონდა. ერთი ქალი ტიროდა და, რომ არავის შეემჩნია, მალულად იწმენდდა ცრემლებს. ორი ქალიშვილი მხარში შესდგომოდა შუახნის მამაკაცს, ეტყობოდა, მამას, რომელსაც მათთვის ხელები გადაეხვია და ისე მიაბიჯებდა. ქალიშვილები ერთს და იმავე დროს განუწყვეტლად რაღაცას ელაპარაკებოდნენ მამას, ის კი ღიმილით უსმენდა ორივეს.

დავითი და შაქრო ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს ახალწვეულებს. ისინი მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ასევე განუწყვეტლად მოაცილებდნენ მათ გამცილებელი ქალები, ზოგი ტროტუარზე, ზოგი ქუჩაზე, კოლონის გასწვრივ. აქ იყვნენ უბრალოდ ჩაცმული შავთავმლიანი მოხუცი ქალები, ახალგაზრდა კეკლუცი ქალიშვილები, თვალისმომჭრელ წითელ-ყვითელ ნაოჭიან კაბებში მორთული ქურთის ქალები, ფეხზე სქელი წინდებით და კალოშებით. ისინი უცნაური ჯუგჯუგით მოაბიჯებდნენ და თავიანთ ენაზე ხმამაღლა ეყაყანებოდნენ სქელულვაშებიან გარუჯულ მამაკაცებს.

— რა გატირებს, ქალო, — შეუტია ვიღაც ახალგაზრდა ქალს შაქრომ და სახინკლედან ქუჩაზე გააბიჯა. — შენს მეტს არავის წასვლია ფრონტზე ან ქმარი ან ძმა? არა გრცხვენია?

ქალმა სწრაფად მოისვა თვალზე ცხვირსახოცი, მერე ცხვირი მოიწმინდა და შაქროს შეხედა. ეტყობოდა, მკვახე პასუხი სურდა გაეცა, მაგრამ სამხედრო რომ დაინახა, მოულოდნელად გაიღიმა და გზა განაგრძო.

— მე ქალო, მე სამჯერ დამჭრეს, მაგრამ, ხომ მხედავ, ჯერ ვარ ენერგიით, — მიაძახა შაქრომ ქალს.

— ღმერთმა კარგად გამყოფოს, შვილო, — მოესმა შაქროს უკანიდან ვიღაც ხნიერი ქალის ხმა.

შაქრომ მოიხედა.

— მართალს არ ვამბობ, დედა? — ღიმილით უთხრა შაქრომ ვარაუდით ვიღაც ხნიერ ქალს, რადგან ეგონა, ამ ქალმა დამლოცაო. მერე დავითს მიუბრუნდა და უთხრა: — ომში მიმა-

ვალ კაცს ცრემლი არ უნდა დაანახო. ტყუილია, დათიკო?

— სწორია, მაგრამ... თუმცა კაცია და გუნებაო. ზოგს შეიძლება გულიც დაწყდეს, ცოლმა ისე გამაცილა, ერთი ცრემლი არ გადმოვარდა, არ შეეცოდეო! გაუგებ ხალხს?

— მოლაპარაკი არ იყოს, შენც მართალი ხარ. ზოგ ქალს შეიძლება კიდევაც უხარია, ოღონდ ქმარს მომაცილებდნენ და ვიტირო კი არა, მგონია ლეკური ჩამოვუაროო.

ორივენი სახინკლეში შებრუნდნენ.

— როგორაა ჩვენი ხინკლის საქმე? — ჰკითხა შაქრომ მეხინკლეს. — ჯერ არ იქნება?

— კი, ბატონო. აქეთ მობრძანდით ოღონდ, უკანა ოთახში, აქ ხალხი შემოგვიცვივდება და ჩხუბს ამიტეხავს, ჩვენც მოგვიტანე ახლავეო. იმათთვის კი არა და ესეც თქვენი ხათრით, თორემ სადაა ყველას საყოფი.

დინამოს სტადიონთან, ტროლეიბუსების გაჩერების ადგილზე აუარება ხალხი იცდიდა. ტროლეიბუსში შესვლა წარმოუდგენლად ძნელი იყო. ყველანი ერთად აწყდებოდნენ ვაგონებს, კარებში იჭედებოდნენ და, თუ მაგარი მკლავები არ გქონდა, ისე შიგ ვერ შეხვიდოდი.

დავითმა და შაქრომ რამდენჯერმე სცადეს შესვლა, მაგრამ რაკი ძალადობას თავს არიდებდნენ, ორივენი სულ ბოლო რიგებში მოექცნენ. ხან აქედან უარეს კარებთან მისეულ ხალხს, ხან იქიდან, მაგრამ ასეთი თავაზიანი ცდა უნაყოფო გამოდგა. ორივენი გარეთ დარჩნენ, ვაგონი ნახევრად ცარიელი წავიდა და თან გაიყოლა კარებზე ჯაგნებივით დაკიდული ხალხი. დანარჩენები სირბილით დაედევნენ იმ იმედით, რომ გზაში მოახერხებდნენ შეხტომას.

— ფუტკარი კი ეხვევა თავის სკას, მაგრამ ჯერ არ მინახავს, ოდესმე კარებში გაჭედილიყვნენ, — წამოიძახა შაქრომ. — აბა შეხედეთ, ამ ბიჭს ჰგავს ეს, — მიუთითა მან ახლად მოსულ ტროლეიბუსის ვაგონზე, რომელსაც წინანდებურად მიაწყდა ხალხი. მგზავრები ვაგონს მოსახვევთან დაუხვდნენ და კარების გაღებას ლამობდნენ. რამდენიმე მათგანი მხრებით აწვებოდა კარებს, მუშტებს უხათქუნებდა. ერთს კარის კიდეში ორივე ხელი ჩაევლო და თავისკენ მიზიდვით ცდილობდა, როგორმე დაეძლია პნევმატური მექანიზმი და კარები მოეცვით გაეღო.

გაჩერდა თუ არა ტროლეიბუსი, ყველანი ისევ წინანდებურად მიაწყდნენ მას, თითქოს ამ ვეებერთელა ვაგონის გადაბრუნება უნდოდათ.

— შეხედეთ, შეხედეთ, რა არის ეს, შეხედეთ! — იძახდა უცნობი მამაკაცი.

წვილ-ჩხვილმა იმატა. თმაგაწეწილი ქალები, ქუდებმოღრეცილი მამაკაცები, დიდი და პატარა, ყველანი, ისეთი თავგამეტებით აწყდებოდნენ ვაგონს, ისე გაჰკიოდნენ, მუშტებს ატრიალებდნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებს სთავაზობდნენ, იგინებოდნენ, თითქოს მათი სიცოცხლის ბედი ვაგონში შესვლაზე ეკიდა.

— რა არის მართლა ეს? — წამოიძახა დავითმა და თავის მეგობარს გადახედა. — ბოლოსდაბოლოს ეს ტროლეიბუსი მოედნამდე მიდის, მეტი ხომ არა. ვითომ ახლა ყველას ისე ეჩქარება, რომ ფეხით არ შეუძლიათ წასვლა?

— ესაა სიგიჟე, მეტი არაფერი, — უპასუხა შაქრომ.—მოედნამდე გგონია მიდის ყველა? შენც არ მომიკვდე. ნახევარზე მეტი მარჯანიშვილის ქუჩის კუთხეს არ გასცდება. ორი ნაბიჯია იქამდე, მაგრამ აი, შეხედე! დაჩვეული იყო ერთი გაჩერებაც კი ტროლეიბუსით გაევლო და ახლა, რომ მოკლა, მაინც ვაგონში შესვლა ურჩევნია. გე-

ლაპარაკები, ნორმალურ ჭკუაზე არ არიან, თორემ რაც აქ გასაჭირი ადგიათ, ამაზე მეტს ფეხით სიარული რას უზამს.

— ჰო, მაგრამ ჩვენ რატომ არ გვემართება ეს სიგიჟე?

— ჩვენ სხვა ვართ, ჩემო დათიკო, ჩვენისთანები ფრონტზეა, ქარხნებშია, საკოლმეურნეო მინდვრებზეა. შენ რა, ესენი ხომ არ გგონია მთელი ჩვენი საზოგადოება. ესაა ჭაჭა, ღვინო სხვაგვარია. ღვინო არ ჩანს, რადგან მას ჭურჭელში ინახავენ. ჭაჭა ყველგანაა შობნეული. — შაქრომ მაჯის საათს დახედა და შეშფოთებულმა წამოიძახა: — ბიჭო, ათის ნახევარია, ათ საათზე შტაბში უნდა ვიყო. რა უცბად მირბის დრო, მოხედვას ვერ ასწრებ.

— რა ვქნათ? — ჰკითხა დავითმა შაქროს. — ჩვენ ამაში თუ მუშტებით არ დავტრიალდით, ისე ვერ დავჯდებით.

— წამოდი, მანქანა ვიშოვოთ, — უთხრა შაქრომ დავითს, სწრაფად გადაიარა ქუჩა და პირველ შეხვედრილ მანქანას დაუსტვინა. მანქანა მოწყვეტით გაჩერდა, შაქრომ მიირბინა, შოფერს რაღაც ჩაულაპარაკა, შემდეგ დავითს ხელი დაუქნია და ორივენი მანქანაში ჩასხდნენ. — ასე არ სჯობს? აბა სად ვუცადო, თუ ძმა ხარ, ტროლეიბუსს.

— ახლა ვხედავ, რომ დასტყობია თბილისს ომი, — ჩაფიქრებით წამოიძახა დავითმა და ქუჩას გახედა.

მანქანამ მოუხვია და პლეხანოვის პროსპექტზე გასრიალდა.

— ბიჭო, აბა როგორ გინდა. მტერს ისე ხომ ვერ ეომები, რომ ჩეჩჩიკი ცოტა მაინც არ მოგექცეს გვერდზე, — იხუმრა შაქრომ. — თუმცა, რა გითხრა, იცი? მოსკოვში უნდა გაჩვენა, ქალაქის ტრანსპორტი როგორ მუშაობს.

— მოსკოვში მეტროა...

— მეტრო რად გინდა, შენ ტრამვაი და ტროლეიბუსი თქვი, საათივით მუშაობს. ან წესრიგი როგორია! გაგეხარდება პირდაპირ. მიხვალ ტრამვაის გაჩერებასთან, არავინ არაა, ბოვა ვაცი, გეკითხება: თქვენ რიგში დგახართ? და გაჩერდება შენს უკან.

— მოსკოვი რად გინდათ, თქვენ ბაქო თქვით, — ჩაერია ლაპარაკში შოფერი. — მგონი ომამდე არ მუშაობდა ტრანსპორტი ისე კარგად იქ, ახლა რომ მუშაობს.

— არ მომწონს ეს ამბები, ძმაო, და თქვენ რაც გინდათ, ის თქვით, — წამოიძახა დავითმა. — თბილისს არ ეკადრება ასეთი უწესრიგობა.

— არაფერია, ჩემო დათიკო, ყველაფერი ეს სიძნელეებია, მეტი არაფერი. სიძნელეები, რომელიც უნდა გადავლახოთ.

— შენ ძველი ოპტიმისტი ხარ.

— ვარ, ძმაო, ვარ. უნდა გამოგიტყდე, რომ ვარ.

მანქანამ ჩელუსკინელების ხიდისაკენ გაუხვია. გამოჩნდა უზარმაზარი ცირკის შენობა და იმის მარჯვნივ, თითქოს მიწიდან დაიწყო ამოზრდა თერთმეტსართულიანი ახალი სახლის კოშკმა.

— იცი, რა! სანაპირო ქუჩით წადი, — უთხრა შაქრომ შოფერს და მერე დავითს მოუბრუნდა, — პირდაპირ ჩამწვარი ვარ ამ სანაპირო ქუჩაში, ამის მსგავსი არაფერი მოსწრებია თბილისს.

— გახსოვს, კარნავალი რომ გაიმართა პირველად, სანაპირო ქუჩა როდესაც გახსნეს?

— მახსოვსო! დედა, რა ამბავი იყო.

— ანთებული იყო მთელი ქალაქი.

— მაშხალებით ცეცხლი წაუკიდეს ზეცას.

— ეს ლამპიონები როგორ ლაპლაპებდნენ. დღესავით იყო განათებული. რა დრო გავატარეთ!

— რამდენი ნილბები იყო! — აღტაცებით წამოიძახა დავითმა.

— გახსოვს, სამი ნილბიანი გოგო

როგორ აგვეკვიატა? ერთს ვაკაცურად ეცვა, ერთი საბანაო კოსტუმში რომ იყო მორთული, დედა, რა ტანი ჰქონდა.

— მარინას ამბობ.

— ჰო, მაშინ რა ვიცოდი. კინაღამ ჭკუა დავკარგე. სულ დამავიწყდა ინტეგრალური აღრიცხვაც, მასალათა გამძლეობაც, სამთომადნო ხელოვნებაც. მესამე როგორ იყო გამოწყობილი...— დაფიქრდა შაქრო.

— თვითმფრინავად.

— ჰო, ჰო, მართლა. ახლა გამახსენდა. თავზე რომ პროპელერი დაემაგრებინა. გაშლილდა ხელებს და ნამდვილი მაისის პეპელა იყო, ტანწერწეტა. რაც ჩვენ იმ ღამეს იმ გოგოებს ვსდიეთ, გავიცანით, შენ რა ამბავში იყავი, — წასკდა სიცილი შაქროს. — ჩვენ გვეგონა, ვიღაც უცნობი ქალიშვილები გავიცანითო, თურმე ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტებია ყველა.

— ერთი მარტოხელა ნიღაბი რომ იყო, ალარ გახსოვს?

— ოჰ, რაც მე იმან იმ ღამეს მაწვალა, როგორ დამავიწყდება. მომწერს წერილს: „ჩამომეხსენით“, ვწერ: „ჩამოხსნილი ვარ, თავი დამანებეთ“, კიდევ მომწერს: „გთხოვთ თავი დამანებოთ“; ვწერ გაცეცხლებული: „რას გადამეკიდე, ვიღაცა ხარ, ძველი ხურჯინივით. მომეშვი“. ბოლოს მოსწერა: „არ ინანო“. მაშინ კი დამცეცხლა. მე ვთქვი, აქ რაღაც სხვაშია საქმე-მეთქი, მაგრამ აზრზე არა ვარ. მივედი, მინდა დაველაპარაკო, შებრუნდა. „შეიძლება თქვენი გაცნობა?“—ხმას არ იღებს. ვინ არის, ვერ ვიცანი, რომ ვუთხრა, ვინცა ხარ-მეთქი, და, ავახსნევინო ნიღაბი, -არა და არ იღებს ხმას, არ მიკარებს... ეჰ, კარგი დღეები მახსოვს თბილისში. — ამოიოხრა შაქრომ, — თუ კიდევ მოვესწარით მე და შენ! შეხედე, როგორ გაზრდილა ხეები. — გაიშვირა ხელი შაქრომ. — როგორ დამშვენებულა ეს სანაპირო!

მანქანა მსუბუქად მიჰქროდა გატეცილ ასფალტზე. ტროტუარების გასწვრივ ჩამწკრივებული ხეები, ახლადდაყრილი ტოტების რხევით, თითქოს ესალმებოდნენ მანქანას და ფანჯრებს მოახლოებულნი ნახტომებით იკარგებოდნენ თვალთაგან.

— მართლაც რომ ამის მსგავსი არაფერი არ გაკეთებულა, — განაგრძო შაქრომ. მერე მოულოდნელად დავითს დააკვირდა და უთხრა: — ბიჭო, მაგ ტანისამოსით აპირებ შტაბში მისვლას?

— რა უშავს. ცოტა მოთელილია, — უპასუხა დავითმა.

— ვისთან მიდიხარ ახლა შენ, თუ იცი? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა შაქრომ თავის მეგობარს, — თვითონ ფრონტის სარდალთან.

— არ გამაგიჟო! — საოცარი ფართო თვალებით შეხედა დავითმა შაქროს და უკან გადაიწია.

— ერთი ხუთჯერ მაინც გიკითხა, სად არისო.

— ბიჭო, შე უსინდისო, აქამდის ვერ მითხარი? — აწრიალდა დავითი და კინაღამ გაქანებულ ავტომანქანიდან არ გადახტა. — რას ვგავარ. წვერგაუპარსავი. ამ ტანსაცმელით...

— მოიცა. ყველაფერს მოასწრებ, — დაამშვიდა შაქრომ აფუსფუსებული დავითი, რომელიც ხან უაზროდ ეცა მანქანის კარებს, გააღო და ისევ მოხურა, ხან ჯიბეებში დაიწყო ფათური, თითქოს უბის ჯიბიდან ახალი კოსტუმის ამოღება უნდოდა.

— რა ვქნა ახლა მე, ბიჭო, შე უსინდისო, გეთქვა თავიდანვე. ან იქ მაინც მცოდნოდა.

აქამდე სანაპირო ქუჩის თვალიერებით გატაცებული დავითი ახლა ვერაფერს ვეღარ ხედავდა. მანქანა მოედანზე გაჩერდა თუ არა, მაშინვე გადმოხტა, გაბრუებულივით მიმოიხედა. მერე ისევ შაქროს ეცა:

— წამო, კაცო, ჩქარა.

მანქანა მსუბუქად მიჰქროდა გატეცილ ასფალტზე. ტროტუარების გასწვრივ ჩამწკრივებული ხეები, ახლადდაყრილი ტოტების რხევით, თითქოს ესალმებოდნენ მანქანას და ფანჯრებს მოახლოებულნი ნახტომებით იკარგებოდნენ თვალთაგან.

— მართლაც რომ ამის მსგავსი არაფერი არ გაკეთებულა, — განაგრძო შაქრომ. მერე მოულოდნელად დავითს დააკვირდა და უთხრა: — ბიჭო, მაგ ტანისამოსით აპირებ შტაბში მისვლას?

— რა უშავს. ცოტა მოთელილია, — უპასუხა დავითმა.

— ვისთან მიდიხარ ახლა შენ, თუ იცი? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა შაქრომ თავის მეგობარს, — თვითონ ფრონტის სარდალთან.

— არ გამაგიჟო! — საოცარი ფართო თვალებით შეხედა დავითმა შაქროს და უკან გადაიწია.

— ერთი ხუთჯერ მაინც გიკითხა, სად არისო.

— ბიჭო, შე უსინდისო, აქამდის ვერ მითხარი? — აწრიალდა დავითი და კინაღამ გაქანებულ ავტომანქანიდან არ გადახტა. — რას ვგავარ. წვერგაუპარსავი. ამ ტანსაცმელით...

— მოიცა. ყველაფერს მოასწრებ, — დაამშვიდა შაქრომ აფუსფუსებული დავითი, რომელიც ხან უაზროდ ეცა მანქანის კარებს, გააღო და ისევ მოხურა, ხან ჯიბეებში დაიწყო ფათური, თითქოს უბის ჯიბიდან ახალი კოსტუმის ამოღება უნდოდა.

— რა ვქნა ახლა მე, ბიჭო, შე უსინდისო, გეთქვა თავიდანვე. ან იქ მაინც მცოდნოდა.

აქამდე სანაპირო ქუჩის თვალიერებით გატაცებული დავითი ახლა ვერაფერს ვეღარ ხედავდა. მანქანა მოედანზე გაჩერდა თუ არა, მაშინვე გადმოხტა, გაბრუებულივით მიმოიხედა. მერე ისევ შაქროს ეცა:

— წამო, კაცო, ჩქარა.

— ჰა, რა იყო! — შეხედა შაქრომ.

— სად წავიდე, მითხარი, — ვერ ისვენებდა დავითი.

— წამოდი, ჯერ კომენდატურაში ვიკითხოთ, როდის მიგიღებს და მერე მიხედე მაგ შენს გაჩეჩილ თავს.

— ბიჭო, ახლავეო, რომ მითხრან, ხომ დავიღუპე.

—ახლავე არა. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ხარ, ახლავე! წამოდი. მე მგონია საღამოსათვის დაგიბარებს. მანამდე ყველაფერს მოასწრებ.

ორივენი აჩქარებული ნაბიჯით გაემართნენ არმიის შტაბის შენობისკენ. საკომენდანტოს წინ, ფართო ტროტუარი, მეზობელი შენობის ალაყაფი და ეზო სავსე იყო სხვადასხვა რანგის მეთაურებით. ლეიტენანტები, კაპიტნები, მაიორები და, მათ შორის, პოლკოვნიკებიც კი, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ზოგი ფილაქანზე ან საფეხურზე ჩამომჯდარიყო, ეტყობოდა, ყველანი მიღების რიგს ელოდნენ, მათი მოთელილი ტანსაცმელი ამქლავნებდა, რომ ისინი ახლად ჩამოსული იყვნენ ფრონტიდან. დავითს მოაგონდა ქვაბნარში გაცნობილი პოლკოვნიკი, რომელთანაც ერთად ჩაჯდა მატარებელში, მაგრამ შემდეგ აღარ უნახავს, რადგან ის სხვა ვაგონში მოხვდა. „ალბათ აქ იქნება“, გაიფიქრა მან და საკომენდანტოში შევიდა. შაქრომ მიუთითა მეორე სარკმელისაკენ, თვითონ კი პირველ სარკმელთან მივიდა.

დავითმა შეჰყო თავი სარკმელში, მაგიდასთან მჯდომი მორიგე ტელეფონით ელაპარაკებოდა ვიღაცას, შემდეგ ის-იყო დააპირა, დავითისკენ მოეხედა, მაგრამ ახლა შიგნითა კარებიდან თანამშრომელი შემოვიდა, მთელი დასტა ქაღალდები შემოიტანა, წინ დაუდო და ორივემ საუბარი გაბა. დავითს მოთმინება არ ჰყოფნიდა, მოუთმენლად ცმუკავდა ფანჯარასთან, ბოლოს ვეღარ მოითმინა და მორიგეს მიმართა:

— ამხანაგო!

მორიგემ მოუხედავად მოხურა ფანჯარა და სახტად დარჩენილმა დავითმა შაქროს გადახედა, მას ხელში უკვე ეჭირა საშვები.

— რა იყო? — ჰკითხა შაქრომ.

— ფანჯარა მომიხურა. რა ვქნა?

— მოიცადე, გააღებს, — ღიმილით უთხრა შაქრომ, მერე დავითს ხელი გაუწოდა. — მე ახლა წავედი. ალბათ გნახავ კიდევ. ამ საღამოს შევხვდეთ ერთმანეთს, მოხვალ ჩემთან?

— აუცილებლად.

— მოდი. გოგოები იქნებიან. შენ ახლა საცოლე კაცი ხარ. წარმატება დიდი გექნება. საქმროები აღარ იშოვება, იქნება ვინმეს შეასაღო თავი.

— კარგი, კარგი, — ჩაიცინა დავითმა, მერე პირველი სარკმლიდან სცადა გაეხედა იმ მორიგესაკენ, რომელთანაც საქმე ჰქონდა, მაგრამ ამ დროს მეორე სარკმელი ხმაურით გაიღო და დავითი მაშინვე გაექანა იქითკენ.

— რა გნებავთ? — ჰკითხა რაღაც გულმოსული ხმით მორიგემ.

— მე გამოძახებული ვიყავი.

— გვარი?

დავითმა უხმოდ გაუწოდა საბუთები, პასპორტი და სამხედრო წიგნაკი. მორიგემ ცალი თვალით დახედა წიგნაკს, შემდეგ უჯრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, ჩაათვალიერა, ტელეფონის მილი აიღო და ისევ გულმოსული ხმით ჩასძახა ნომერი.

— ამხანაგო გენერალ-მაიორო, გამოცხადდა ამხანაგი, პირველი სიიდან... ბექაია... დიახ... დიახ... არის! — დადო ტელეფონის მილი მორიგემ და დავითს ახლა უფრო ლმობიერი ხმით უთხრა: — მოდით ოთხ საათზე და თხუთმეტ წუთზე მოსკოვის დროით. ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ.

საბუთები უკანვე გაუწოდა და ფანჯარა მოხურა. დავითმა საბუთები

ჯიბეში ჩაიწყო და მიმოიხედა. შაქრო იქ უკვე აღარ იყო, პირველ ფანჯარასთან ახლა ვილაც წითელლამპასებიანი კაზაკი იდგა.

დავითმა გადაწყვიტა თავის ძველ ბინაზე წასულიყო, იქ ახლა მისი მამიდაშვილები ცხოვრობდნენ. ერთი მათგანი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მეორე გეოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა.

ორივე ქალიშვილი ბინაში დაუხვდა. უფროსი, ქეთო, თავს იბანდა, შუა ოთახში სკამზე ტაშტი დაედგა, გრძელი თმები შიგ ჩაეშვა და სარეცხივით ახანხალებდა. მაროს აბრეშუმის წინდა წამოეცვა ხელზე და ჩავარდნილ თვლებს იღებდა. დავითმა მოურიდებლად შეალო კარები და მხიარული ხმით დაიძახა:

— გამარჯობათ, გოგოებო, თქვენი.

კაცის ხმის გაგონებაზე ქეთომ შეჰკივლა, საპნიანი თვალების წმენდა დაიწყო, ცდილობდა შიშველი გულმკერდი რითიმე დაეფარა, მეორე ხელს კი ბრმად აფათურებდა და კაბას ეძებდა. მარომ აიხედა, წინდა განზე ისროლა და დავითისკენ კივილით გაეჭანა:

— დათიკო, ჩემო ძამიკო, შენ კი გენაცვალე.

— ვინ დათიკოა? — იკითხა ოდნავ დამშვიდებული ხმით და თმების წურვით ქეთომ. — ჩვენი დათიკო? მიშველეთ, დამეწვა თვალები, შენ კი გენაცვალე, როდის ჩამოხვედი? — ქეთომ სასწრაფოდ გადაივლო თავზე მომზადებული წყალი, თმები დაიწურა, საბელივით დაიხვია და რამდენიმე სარჭით სასაცილოდ დაიმაგრა. ორივენი დატრიალდნენ, ოთახი მიალაგ-მოალაგეს, შემდეგ დავითს იქითაქით მოუსხდნენ და პირდაპირ დაახრჩვეს გამოკითხვით და ხვევნა-კოცნით.

— დამაცათ, თქვე ოხრებო! მომათქმევინეთ სული, — სიცილით ეუბნებოდა მათ დავითი და ბოლოს, როდესაც დიდი გაჭირვებით თავისი თავგადასავალი უამბო, თვითონ ჰკითხა:

— თქვენ რასა იქთ, როგორა ხართ? სწავლობთ, არშიყობთ, ჭკუით ხართ? ცუდი არაფერი გავიგო, თორემ ხომ იცით ჩემი ამბავი.

— ჩვენ რა გვიშავს, ძმაო, — უპასუხა ქეთომ. — ახლა დავბრუნდით კოლმეურნეობიდან.

— კოლმეურნეობაში რა გინდოდათ?

— სამუშაოდ წაგვიყვანეს მობილიზაციით, — ჩაერია მარო.

— მოვკვდით პირდაპირ, დილიდან საღამომდე ვმუშაობდით.

— სიცხე, სიცხე იმისთანა, რომ სუნთქვა არ შეიძლებოდა.

— ღამე სკოლაში გვეძინა.

დავითი ორივეს ღიმილით უსმენდა: ქალიშვილები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უამბობდნენ, რომ კოლმეურნეობაში მათ თითო ლიტრ რძეს აძლევდნენ, რომ სწავლა ახლა უკვე დაეწყოთ, რომ თითომ ორმოცი შრომადღე გამოიმუშავა, რომ ახლა კინოებში ორი საზღვარგარეთული სურათი მიდის, რომ ამხანაგები სულ ეხვეწებიან, თქვენი ბიძაშვილი გაგვაცანითო. და დავითმა აღარ იცოდა, რომელი ერთისთვის მოესმინა. კისერი ეტკინა მიხედ-მოხედვით.

მერე გოგოები დაბალ კარადას ეცნენ, პატარა მაგიდა გადაასუფთავეს და სუფრის გაწყობას შეუდგნენ.

— მოიცათ, ეგ არ გინდათ, — უთხრა მათ დავითმა. — თქვენ ახლა სხვა რამეზე მჭირდებით.

— არ გშია? ნამგზავრი ხარ, — უთხრა ქეთომ. — ღვინოც მაქვს. შეკაცო.

— არა, დაიცათ. თქვენ ახლა მომეხმარეთ, პატარა წესრიგში მოვიდეიცით, ვისთან უნდა მივიდე ღეს?

— ვისთან, ვისთან? — მოუთმენელი ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ორივემ და, როდესაც გაიგეს, ერთი კი იტაცეს ლოყაზე ხელი, ხან დასხდნენ, ხან ზეზე წამოვარდნენ, აფუსფუსდნენ და მერე დავითს ეცნენ.

— ასე გინდა მიხვიდე? — სტაცა ხელი პერანგზე ქეთომ. — მარო, წადი, წყალი დადგი, მე უთოს გავახურებ. ჩქარა, უიმე, ღმერთო მომკალი, აქამდე რატომ არ გვითხარი. მოდი, თავი დაგაბანინო...

— მოიცათ, მაგას მოვასწრებთ. თქვენ ერთი საქმე გამიკეთეთ. ქეთო, შენ ახალი თავნაბანი ხარ, გარეთ ვერ გახვალ. მარო, შენ უნდა გამეგზავნო.

— სად გენაცვალე?

— ლილისთან. მაშინ რომ წამოვედი, კოსტუმი დამრჩა იქ. უთხარი, გამომიგზავნოს. ახალი კოსტუმია, იმას ჩავიცვამ.

ლილის ხსენებაზე დები მოიღრუბლნენ, მარომ მაშინვე დაიწყო მზადება წასასვლელად.

— არ წამოვიღებდი, — ჩაილაპარაკა მცირე დუმილის შემდეგ დავითმა. — არ წამოვიღებდი, მაგრამ ახლა მეტი გზა არა მაქვს...

— რატომ არ წამოიღებდი, — შეუტია ქეთომ, — აბა იმას დაუტოვე. ჩააცვას თავის ჯიბგირ საყვარლებს. ეგ კი არა, ისე გამოგატანინებს, მიუბრუნდა თავის დას ქეთო, ერთი ძაფი არ ჰქონდეს გახრული, თორემ მე მივალ და მოველაპარაკები. იმას ხომ არ ჰგონია, რომ არ ვიცი მისი ამბავი ვისთან დაეთრევა ღამღამობით და ხან ერთს უწვება ლოგინში და ხან მეორეს. სულ თავზე გადავამტვრევ იმ, საბურთალოს ბაზარზე ნაყიდ, ამბარცუმიანის ნაქონ ჯამ-ჭურჭელს.

დავითს არ ესიამოვნა ლილის შესახებ ასეთი ამბების მოსმენა და გულში მწვავედ გაჰკრა, მაგრამ ქეთოს უკანასკნელ სიტყვებზე გულიანად გადაიხარხარა:

— ჰა, ჰა, ჰა, რა მწარე ენა გაქვს, შენ გაქრი ბარემ, შენ. როგორაო, ამბარცუმიანის ნაქონ ჯამ-ჭურჭელსო? ჰა, ჰა, ჰა!...

— აბა რა, ტყუილს ვამბობ? — ღიმილით უთხრა ქეთომ და ბოთლს ხმაურით მოხადა თავი. — მოდი, ხუთი ნომერი ღვინო დაგალევინო. არ გინდა?

ერთი საათის შემდეგ მარო ხელცარიელი დაბრუნდა უკან და ამბავი მოიტანა, რომ ლილიმ გაკვირვებით აიბზუა ტუჩები და თქვა: დათიკოს აქ არავითარი კოსტუმი არ დაუტოვებია, საიდან გამოიგონეთ ეს ამბავიო!

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ჩეხოვი

ორი მოთხრობა

უახლესი ქართული ლიტერატურის რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელი ირ. ევდოშვილი ნაყოფიერად მუშაობდა რუსული და დასავლეთევროპული მწერლობის შემოქმედებითი ნიმუშების თარგმანებზე და ამით ხელს უწყობდა ქართველი მკითხველის გათვითცნობიერებას.

ირ. ევდოშვილმა რუსული და უკრაინული ლიტერატურიდან თარგმნა ნ. ნეკრასოვის, ა. ჩეხოვის, მაქსიმ გორკის, ივ. ფრანკოს, ლ. ანდრეევის, სკიტალეცის და ძველი მუშა-რევოლუციონერი პოეტების — ა. კოცის, გლებ კრჟიჟანოვსკისა და სხვათა თხზულებები.

ცხრაასიან წლებში ევდოშვილმა თარგმნა ჩეხოვის თორმეტამდე მოთხრობა.

ქვემოთ იბეჭდება ა. ჩეხოვის ორი მოთხრობის („ქამელეონი", „ჩინოვნიკის სიკვდილი") ევდოშვილისეული თარგმანები, რომლებიც დღემდის არ გამოქვეყნებულა. თარგმანები იბეჭდება უცვლელად.

ჩინოვნიკის სიკვდილი

★

ერთ მშვენიერ საღამოს, არა ნაკლებ მშვენიერი ეგზეკუტორი ივან დიმიტრის ძე ჩერვიაკოვი იჯდა პარტერის მეორე რიგში და დურბინდით „კორნევილის ზარების" წარმოდგენას უყურებდა. უყურებდა იგი და თავისთავს ნეტარების მწვერვალზე გრძნობდა. მაგრამ უცებ... მოთხრობებში ხშირათ შეგხვდებათ ეს „მაგრამ უცებ". არც გასამტყუნარი არიან ავტორები: ცხოვრება სავსეა უცაბედობით! მაგრამ უცებ მას სახე შეეჭმუხნა, თვალები დაეწკურა, სუნთქვა შეეკრა. მან თვალებიდან დურბინდი მოიშორა, დაიღუნა და... აცხინკ!!! როგორც ხედავთ ცხვირი დააცემინა. ცხვირის დაცემინება არავის და არსად არ ეძრახება. ცხვირს აცემინებენ გლეხებიც, პოლიციმეისტრებიც და ხანდახან ტაინი სოვეტნიკებიც-კი. ცხვირს ყველანი აცემინებენ. ჩერვიაკოვს ოდნავაც არ შერცხვენია, ცხვირი ხელსახოცით მოიხოცა და, როგორც ზრდილობიანმა კაცმა, გარშემო მიიხედ-მოიხედა: ჩემ ცხვირის დაცემინებას ხომ არავინ შეუწუხებიაო. მაგრამ აქ-კი მას დასჭირდა შერცხვენა. მან დაინახა, რომ მის წინ პირველ რიგში მჯდომი მოხუცი ხელთათმანით გულმოდგინეთ ბელატ თავს და კისერს იწმენდავდა და რაღაცას ბუტბუტებდა. ეს მოხუცი ჩერვიაკოვმა იცნო სტატსკი გენერალად ბრიზჟალოვად, რომელიც გზათა უწყებაში მსახურებდა.

„შხეფები მამიხვედრებია ამისთვის, — იფიქრა ჩერვიაკოვმა. — მართალია ჩემი უფროსი არ არის, სხვისია, მაგრამ მაინც არ ვარგა. ბოდიში უნდა მოვიხადო".

ჩერვიაკოვმა ჩაახველა, წინ გადაიხარა და გენერალს ყურში წაჩურჩულა:

— მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ! მე თქვენ შხეფები მოგახვედრეთ. მე უცაბედათ...

— არა უშავს, არა უშავს!

— ღვთის გულისათვის მაპატიეთ... მე ხომ... მე როდი მდომია!

— ეჰ, დაჯექით, თუ ღმერთი გწამთ! ყურისგდება მაცალეთ!..

ჩერვიაკოვს შერცხვა, ტუტუცურათ გაიღიმა და წარმოდგენას დაუწყო ყურება. უყურებდა იგი, მაგრამ ნეტარებას კი აღარ გრძნობდა. მან არ იქნა, ვერ მოისვენა და შფოთავდა. ანტრაქ-

ტის დროს ის ბრიზჟალოვს მიუახლოვდა, დაიწყო მის მახლობლათ ტრიალი და, დასძლია რა სიმხდალე, წაილუღლუღა:

— მე თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, შხეფები მოგახვედრეთ... მაპატიეთ... მე ხომ... ის ხომ არ მდომია...

— აჰ, ღმერთო ჩემო, მე სულ გადამავიწყდა და თქვენ კიდევ... — თქვა გენერალმა და ქვედა ტუჩი მოუთმენლათ შეითამაშა.

„გადამავიწყდაო და თვალები-კი ბრაზით სავსე აქვს, — ფიქრობდა ჩერვიაკოვი და გენერალს ეჭვის თვალით უცქეროდა.—ლაპარაკიც-კი არა სურს ჩემთან. საჭიროა კარგათ ავუხსნა, რომ მე სულაც არა მდომია... რომ ეს ბუნების კანონია, თორემ იფიქრებს განზრახ დამაფურთხაო. ახლა თუ არ იფიქრებს, შემდეგ იფიქრებს!..“

შინ რომ მივიდა, ჩერვიაკოვმა ცოლს თავისი უზრდელობა უამბო. ცოლმა, როგორც მას ეჩვენა, ძალიან ბრიყვულათ შეხედა ამ ამბავს; მას მხოლოთ შეეშინდა, მაგრამ როცა გაიგო, ბრიზჟალოვი „სხვისი ნაჩალნიკი“-აო, დამშვიდდა.

— მაგრამ შენ მაინც მიდი, ბოდიში მოიხადე, — თქვა მან. — იფიქრებს, რომ შენ საზოგადოებაში თავის დაჭერა არ იცი.

— ჰო-და, საქმეც ეგ არის. მე ბოდიში კიდეც მოვიხადე, მაგრამ ის რალაც უცნაურათ!.. არც ერთი ხეირიანი სიტყვა არ მითხრა. დროც არ იყო სალაპარაკოთ.

მეორე დღეს ჩერვიაკოვმა ახალი ვიცმუნდირი ჩაიცვა, თმა შეიკრიჭა და ბრიზჟალოვთან წავიდა ასახსნელად... მისაღებ ოთახში რომ შევიდა, მას იქ მრავალი მთხოვნელი დახვდა, და მთხოვნელთა შორის კი დაინახა თვით გენერალიც, რომელსაც უკვე თხოვნების მიღება დაეწყო. რამდენსამე მთხოვნელს რომ საქმე გამოკითხა, გენერალმა შემდეგ ჩერვიაკოვს შეხედა.

— გუშინ „არკადიაში“ გეხსომებათ, თქვენო აღმატებულებავ, — დაიწყო მოხსენება ეკზეკუტორმა: — მე ცხვირი დამაცემინა და... უცაბედათ შხეფები მოგახვედრეთ... მაპ...

— თქვენ საქმე ხომ არ შემოგლევიათ?! დალახვროს ღმერთმა!.. თქვენ რა გნებავთ? — მიუბრუნდა გენერალი შემდეგ მთხოვნელს.

„ლაპარაკიც არა სურს! — იფიქრა გაფითრებულმა ჩერვიაკოვმა. — ეტყობა გაჯავრებულია ჩემზე... არა, ამას ასე ვერ დავტოვებ... მე ავუხსნი მას“...

როცა გენერალმა უკანასკნელ მთხოვნელთან საუბარი გაათავა და თავის კაბინეტისაკენ გაემართა, ჩერვიაკოვი გამოუდგა მას და წაილუღლუღა:

— თქვენო აღმატებულებავ! თუ მე ვბედავ თქვენი აღმატებულების შეწუხებას, ამას მაიძულებს, შემიძლია ვთქვა, სინანულის გრძნობა!.. განზრახ არ მიქნია... თვითონ მოგეხსენებათ!..

გენერალმა სახე დაიღრიჯა და ხელი ჩაიქნია.

— თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, დამცინით მხოლოთ! — თქვა მან და კარებს მიეფარა.

„საიდან დავცინი? — იფიქრა ჩერვიაკოვმა. — დაცინვას აქ რა უნდა? გენერალია და ესეც არ ესმის! რაკი აგრეა, სულაც აღარ მოვიხდი ბოდიშს მაგისთანა ცეტთან! კისერი იტეხოს! წერილს მივწერ, მაგრამ თვითონ კი აღარ მივეკარები! ღმერთმანი აღარ მივეკარები!“

ასე ფიქრობდა ჩერვიაკოვი, როცა შინ მიდიოდა. წერილი გენერლისათვის მას არ მიუწერია. იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერას გზით ვერ მოიფიქრა ასეთი წერილი. იძულებული იყო მეორე დღეს თვითონ წასულიყო ასახსნელათ.

— მე გუშინ გიახელით თქვენი აღმატებულების შესაწუხებლათ, — წაილუღლუღა მან, როცა გენერალმა მას კითხვით შეხედა: — იმისათვის კი არა,

რომ დაცინვა დამეწყო, როგორც თქვენ ბრძანეთ. მე ბოდიშს ვიხდიდი ამიტომ, რომ ცხვირის დაცემინების დროს მე თქვენ შხეფები მოგახვედრეთ... დაცინვა-კი მე ფიქრათაც არ მომსვლია თავში. განა გავბედავ-კი თქვენს დაცინვას? თუ ჩვენ დაცინვა დავიწყეთ, მაშინ ხომ დიდ-კაცობის პატივისცემა... დაიკარგება...

— გაეთრიე აქედან!! — დაუღრიალა უეცრათ გალურჯებულმა და აცახცახებულმა გენერალმა.

— რა ბრძანეთ? — ჩურჩულით იკითხა შიშით გაპარულმა ჩერვიაკოვმა.

— გაეთრიე აქედან!! — გაუმეორა გენერალმა და ფეხები დაუბრახუნა. მუცელში ჩერვიაკოვს რაღაც ჩასწყდა. ის ვეღარაფერს ხედავდა, აღარა ესმოდარა და უკან-უკან წავიდა კარებისაკენ, გავიდა ქუჩაზე და ბარბაცით გაუდგა გზას. როცა თვის და გაუგებრათ შინ მივიდა, მიწვა დივანზე მუნდირგაუხდელი და... მოკვდა....

ᲥᲐᲛᲔᲚᲔᲝᲜᲘ

★

ბაზრის მოედანზე მიდის პოლიციის ნაწილის ზედამხედველი ოჩუმელოვი, რომელსაც ტანზე ახალი შინელი აცვია და ხელში რაღაც ბოხჩა უჭირავს. მას უკან მისდევს წითელი გოროდოვოი, რომელსაც მიაქვს მედუქნისაგან წართმეულ კრიჟოვნიკით სავსე თაბახი. გარშემო სიჩუმეა. მოედანზე ჭაჭანება არ არის... დუქნებისა და სამიკიტნოების ღია კარები სევდიანათ მშიერ დაღებულ პირებივით გამოიცქირებიან; მათ მახლობლათ მათხოვრებიც კი არსად ჩანან.

— იკბინები კიდეც, შე წუწკო, შენა! — მოესმის უცებ ოჩუმელოვს. — ბიჭებო, არ გაუშვათ! ახლა კბენა სასტიკათ აკრძალულია!.. დაიჭი! ჰო — აბა!..

გაისმის ძაღლის ყეფა-წკავილი. ოჩუმელოვი იცქირება განზე და აი რას ხედავს: ვაჭარ პიჩუგინის შეშის საწყობიდან მორბის ცალ-ფეხაკაუჭებით და უკან-უკან ცქერით ძაღლი. მას მოსდევს გახამებულ პერანგიანი და ჟილეტ-გახსნილი კაცი, — მოსდევს, მთელი ტანის გადახრით წვდება, წაიქცევა, მაგრამ ძაღლს მაინც ფეხებში ხელს წაავლებს. მოისმის კიდევ ძაღლის წკავილი და ყვირილი: „არ გაუშვათ!“ დუქნებიდან თვალების ფშვნეტით ნამძინარევ სახეებს გამოჰყოფენ და მალე შეშის საწყობთან, თითქო მიწიდან ამოძვრაო, მოგროვდება დიდძალი ხალხი.

— ნამდვილათ არეულობაა, თქვენო კეთილშობილებავ! — ამბობს გოროდოვოი.

ოჩუმელოვი გადაუხვევს მარცხნივ და მიასწორებს ხალხისაკენ. საწყობის ჭიშკართან, ხედავს ის, ზემოაწერილი ჟილეტ-გახსნილი კაცი დგას, მარჯვენა ხელი მაღლა აუშვერია და ხალხს გასისხლიანებულ თითს უჩვენებს; შეზარხოშებულ სახეზე თითქო ასე აწერია: „მოიცა, შე წუნკალავ, როგორ წაგაგლეჯო ეგ თავი“-ო და თითსაც თითქო გამარჯვების მომასწავებელი სახე ადევს. ამ კაცში ოჩუმელოვი ცნობს ოქრომჭედელ ხრიუკინს. ხალხის შუაგულ მიწაზე ზის წინ ფეხებ-გაშვერილი და მთელი სხეულით აკანკალებული თვით აყალ-მაყალის მიზეზი მწევრის თეთრი ლეკვი წვრილი ტუჩით და ზურგზე ყვითელი ნიშნით. მის ცრემლებიან თვალებში დარდი და შიში იხატება.

— რა ამბავია აქ? — კითხულობს

ოჩუმელოვი და შეიჭრება ხალხში. — რა გინდათ აქ? შენ თითს რასა შვებოდი?... ვინა ყვიროდა?

— ჩემთვის მივდიოდი, თქვენო კეთილშობილებავ, არავისთვის ხელი არ მიხლია, — დაიწყებს ხრიუკინი ჩახველებით: — შეშის თაობაზე გიახლებოდით მიტრი მატრიჩთან ერთათ, — და უცებ ეს წყეული ძაღლი ერთიც ვნახოთ თითზე მეცა... უკაცრავათ, ბატონო, მე ერთი მუშა-კაცი ვარ... ძლივ-ძლივობით ვირჩენ თავს. უბრძანეთ ფული მომცენ, თორემ მე ეს თითი შეიძლება ერთი კვირაც ვეღარ გავანძრიო. კანონიც-კი ნებას არ აძლევს, თქვენო კეთილშობილებავ, რომ ოთხფეხმა კაცს ზარალი მიაყენოს... თუ ყველამ კბენა დაიწყო, ამას ხომ სიკვდილი ჯობია.

— ჰმ! კეთილი... — ამბობს ოჩუმელოვი მკაცრათ, ჩახველებით და წარბების შეთამაშებით. — კეთილი... ვისია ეგ ძაღლი? მე ამას არ შევარჩენ მაგის პატრონს! მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ძაღლების თავისნებაზე გაშვება! დროა ყურადღება მიექცეთ იმ ვაებატონებს, რომლებსაც არა სურთ დადგენილებას დაემორჩილონ! სანამ ასეთ ოხრებს მაგრათ არ დააჯარიმებთ, მანამ ვერ შეიგნებენ, რას ნიშნავს ძაღლი და სხვა ასეთი მაწანწალა ოთხფეხი! მე მათ ვაყურებინებ სეირს!.. ელდირინო, — მიუბრუნდება ზედამხედველი გოროდოვოის: — შეიტყვე, ვისია ეს ძაღლი და ოქმი შეაყენე! ძაღლი-კი უნდა დაახრჩო. დაუყონებლივ! ეგ უთუოთ ცოფიანია... ვისია ეს ძაღლი, მე თქვენ გეკითხებით.

— ეგა, ბატონო, მგონი, გენერალ ჟიგალოვისაა! — ამბობს ვიღაცა ხალხიდან.

— გენერალ ჟიგალოვისაო? ჰმ! — ელდირინო, პალტო გამხადე... უჰ, რა საშინელი სიცხეა! ალბათ წვიმა მოვა... მხოლოდ ეს-კი ვერ გამიგია, როგორ შეეძლო მას ეკბინა შენთვის? — მიმართავს ოჩუმელოვი ხრიუკინს, — განა ეგ თითამდე კი შემოგწვდებოდა? ეგ მუჭისოდენაა, შენ-კი აგერ ამოდენა ხარ! შენ ალბათ თითში ლურსმანი შეგერჭო და მერე-კი მოიგონე ძაღლმა მიკბინაო. შენ ხომ... გიცნობთ, რაც ხალხი ხართ! გიცნობთ, რა შვილებიც ბრძანდებით!

— მაგან, თქვენო კეთილშობილებავ, ძაღლს ტუჩზე სასაცილოთ პაპიროსი მიადვა, იმანაც იწყინა და ეცა... ეგ დიდი მატყუარა კაცია, თქვენო კეთილშობილე...

— მიჰქარავ, ბრუტიანო! რაც არ დაგინახავს, აბა რას ტყუი? ეს ჩვენი ბატონი ჭკვიანი კაცია და ძალიან კარგათ მიხვდება, ვინ ცრუობს და ვინ სინდისქვეშ ლაპარაკობს... და თუ მე ვცრუობ, მოსამართლემ გადაწყვიტოს. მას კანონში უწერია... დღეს ყველა სწორია... თვითონ ჩემი ძმა ჟანდარმათაა... თუ არ დაგიშლიათ...

— ბევრს ნუ მიედ-მოედები!

— არა. ეს გენერლის არაა... — ღრმააზროვანათ შენიშნავს გოროდოვოი. — გენერალს ასეთი ძაღლები არა ყავს. მას სულ დიდ-დიდი მეძებრები ყავს...

— შენ ეგ ნამდვილათ იცი?

— ნამდვილათ, თქვენო კეთილშობილებავ!

— თვითონ მეც კარგათ ვიცი ეგ. გენერალს სულ ძვირფასი, ჯიშიანი ძაღლები ყავს, ეს-კი აბა რასა გავს! არც ბალანი უვარგა, არც შეხედულობა... ფინთი რამეა. და ასეთ ძაღლს აჭაჭანებენ! სადა გაქვთ ჭკუა? ასეთი ძაღლი რომ პეტერბურგში, ან მოსკოვში ნახონ, იცით, რას უზამენ? იქ კანონს კი არ მიხედავდენ, ერთი თვალის დახამხამებაზე სულს გააცხებინებდენ. შენ ხრიუკინის დაზარალებული ხარ და ეგ საქმე ეგრე არ დატოვო... საჭიროა ჭკუა ისწავლონ... დროა...

— მაგრამ შეიძლება გენერლისაც იყოს. — ბუტბუტებს თავისთვის გოროდოვი. — შუბლზე ხომ არ ეწერება... ამას წინათ მის ეზოში სწორეთ ასეთი ძაღლი დავინახე.

— რა თქმა უნდა, გენერლისაა! — მოისმის ხალხიდან.

— ჰმ!... ელდირინო, პალტო ჩამაცვი,.. როგორღაც სიცივე დამკრა, შემაცივა... წაიყვანე ეს ძაღლი გენერალთან და იკითხე იქ. ეტყვი, რომ მე ვნახე და გავუგზავნე. ისიც უთხარი — ქუჩაზე ნუ გამოუშვებ-თქო... ეგ, შეიძლება, ძვირფასი ძაღლია და თუ ყოველმა ოხერმა ცხვირში პაპიროსი უჩხიკინა, რა ხეირი დაეყრება. ძაღლი ნაზი ქმნილებაა... შენ-კი, შტერო, ხელი ჩამოუშვი!.. ნუ აშვერ მაგ ტუტუც თითს! თვითონ შენა ხარ დამნაშავე!..

— გენერლის მზარეული მოდის, მას ვკითხოთ... ჰეი, პროხორ! აქ მო, ძმობილო! დახედე ამ ძაღლს, თქვენი ხომ არაა?

— საქმე არა გაქვს! ასეთი ძაღლები ჩვენს დღეში არა გვყოლია.

— რა საკითხავია ან-კი, ამბობს ოჩუმელოვი. — ეს მაწანწალა ძაღლია! ბევრი ლაპარაკი არაფერი საჭიროა... რომ ვამბობ მაწანწალაა-მეთქი, მაშ მართლა მაწანწალაა. უნდა მოკლათ, მორჩა და გათავდა.

— ეგ ჩვენი არ არის, — განაგრძობს პროხორი. — ეს გენერლის ძმისაა, ახლა-ხან რომ ჩამოვიდა. ჩვენი ბატონი მწევრებს არაფრათ ეტანება. ძმას კი უყვარს.

— განა მათი ძმა ჩამობრძანდა? ვლადიმირ ივანიჩი? — ეკითხება ოჩუმელოვი და სახე ვითომ მთლათ სიხარულის ღიმილით გაუბრწყინდება. — ხედავ, ღმერთო ჩემო! მე კი როდი ვიცოდი! სტუმრათ ჩამობრძანდა?..

— დიახ...

— ხედავ, ღმერთო ჩემო! ძმის ნახვა მონატრებია. მე კი როდი ვიცოდი... მაშ ეს მათი ძაღლია განა? ძაან სასიხარულოა... წაიყვანე... ძაღლს არა უშავს რა... მარდი, მარჯვეა!.. თითზე ცემია აი ამას! ჰა, ჰა, ჰა... ჰაი, შე ეშმაკო, შენა! რას ცახცახებ? ررر-رر... ბრაზობს საძაგელი... ცუცქა, ცუცქა!..

პროხორი უძახის ძაღლს და მიჰყავს... ხალხი ხარხარებს და დასცინის ხრიუკინს.

— მოიცა, მე შენ გაყურებინებ სეირს! — ემუქრება მას ოჩუმელოვი, იცვამს შინელს და განაგრძობს გზას ბაზრის მოედანზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

★

დავბერდი, ველარ ველირსე
შავი დღე გადამელახა;
მე რაც ვინატრე ოცნებით,
აყვავებული მენახა.
შევესწარ ულირს თაობას,
შურიანს, ანგარებიანს;
ძმა ძმას ღალატობს, მამა—შვილს
და სიძულვილით ტკბებიან.

ჩემი მლიქვნელი უფროსი
ხელს მიყოფს ჯიბე-უბეში;
ძლიერს ემხრობა მსაჯული,
ჩავეფალ ტანჯვის გუბეში.
მეგობრად ვინც კი მიმაჩნდა,
თურმე ცბიერი გველია;
პირში თუ მაქებს, პირს უკან
ჩემთვის სამარის მთხრელია.

ნახეთ, მოყვარეც ქრთამს ითხოვს,
არ მისცემ — უკუღმართია;
თეთრს შავად აქცევს და ენა
ჩემ სამტროდ მოუმართია.
ცხვრის ფარას მგელი დარაჯობს,
საქათმეს — ქურდი მელია;
როგორ გაუძლოს ამ გულმა?
ყოფნა, ვაი, რა ძნელია!
რას იზამ? ამყოლს აჰყვები,
არა-და გარიყული ხარ;
თუ უღალატებ, ფიცს გასტეხ,
ცნობილი დიდებული ხარ.
თუ ყორნებს ლეშით გააძღებ,
ჩიტიც რომ იყო, ძერა ხარ;
პატივისცემაც დიდი გაქვს,
თუ დიდი გაიძვერა ხარ.

ცრუსა და მავნეს თუ ამხელ,
ისეთ ჭორს მოგიგონებენ,
არ შობილიყავ, გერჩია,
მიწასთან გაგასწორებენ.
აბა, ამ ძაღლურ ცხოვრებას,
ნეტა, შეხარის რომელი?
მდიდარი ვაჭრობს სინდისით,
გაქელილია მშრომელი!

გახრწნილა კაცის ბუნება
თვისი სურვილით და ნებით;
გარეშე, მტერი, მოყვარე
მომარჯვებულან დანებით.
მთლად ანგარებას მოუცავს
რაც კი არსებობს, რაც არი;
მე ამას ვჩივი და მოვთქვამ,
თავს წავიყარე ნაცარი!

გულო, ვერ გძლია სიცრუემ,
დამრჩი ცრემლშეუშრობელი;
თუ ბოროტება იმძლავრებს,
ბარემ დაინთქას ყოველი!
ეს რა ყოფილა კაცისთვის
ცრუ და ოხერი სოფელი?
ალლაჰ! რად შეჰქმენ ასეთი,
ან მე რად ვიქმენ მგმობელი?

1886 წ.

* * *

სად ხარ, ჩემო სიყმაწვილის გზნებავ?
გული ეშხით რად არ აღმენთება?
რად ვგონებდი, იყავ ჩაუქრობელი?
ამ ცხოვრების აზრს და სიბრძნეს
მივწვდი,
სილამაზე დამრჩა მიუწვდომელი.

რაკი იცან ცბიერების ფასი,
შეინახე სიყვარულის თასი.
ნუ ეცდები, იყო მუდამ კეთილი!
ძლიერებით შეიმოსე გული,
ბედი უნდა იქნეს გამოკვეთილი!

ტრფიალება თუ არ განგიცდია,
მაშ შენ როგორ შეაფასებ მას?
თუ ვაება უსაზღვროა, დიდი,
არა გზრახავ, რომ სწირავდე თავს.

მეგობარი არის ქების ღირსი,
თუკი შენთან იმყოფება ჭირში,
შენთან ერთად იბრძვის სიკვდილამდე;
შენს ნახირზე თვით გეჭიროს თვალი,
თუ გინდა, რომ რძეს სიამით სვამდე.

შენი ზედის გამომჭედი შენ ხარ,
შრომა გვატკბობს, სიზარმაცით მჭლე
ხარ!
არაფრად ღირს მჭევრმეტყველის
სიტყვა,
თუკი მასში აზრი არა ბრწყინავს,
ის ამაოდ ირჯება და ქშინავს.

დაიხსომე ჩემი მცნება კარგი:
ვინც უმიზნოდ, უზრუნველად
ცხოვრობს,
ის ამ ქვეყნად ზედმეტია ბარგი.
მას დარჩება სინანული ბოლოს,
მხოლოდ საზრდოდ კაეშანი, დარდი!
1889 წ.

* * *

სიყვარულისთვის, სულო ჩემო,
კიდევ ილოცე!
ძნელად დამშვიდდეს აღშფოთება და
მღელვარება!
გულისთვის მისგან საწამლავი
სასურველია
დარდი და ჭმუნვა სულის ცეცხლზე
ჩაიფერფლება!

სიყვარულია შენი ზღუდე და
საფარველი
და სიყვარულიც მხოლოდ შენთან
ერთად გაჭრება.

უსიყვარულოდ ვინც იცხოვრა, მას
არ ვთვლი კაცად...
ახალგაზრდობა მოკაზმული შენი
დრო არი;
დაე, შენ თუნდაც შიშველი და
ღარიბი იყო,
მაინც ხომ შეჰქმენ ოჯახი და გყავს
მეგობარი.

ხომ უნდა მევლო სიბნელეში, რომ არ
ამენთო
წმინდა ლამპარი მეგობრობის და
სიყვარულის?
კაცთა დიდება ჩრდილი არის,
სიმდიდრე — მტვერი,
ყველას გერჩიოს მეგობარი, მარად
ერთგული.
1890 წ.

* * *

სანამ კარგად არ გაიგებ — გაჩუმდი!
სანამ კიდევ რყევაში ხარ — იყუჩე!
ნუ დაეძებ უმიზნო რამ გართობას!
და თუ გინდა კაცად იხსენებოდე,
შენი დროის შვილად იწოდებოდე, —
ახალგაზრდამ ჩემი ალთქმა იცოდე:
ნუ იქნები ავი ენის პატრონი,
შეიძულე: სიცრუე და ქადილი,
უსაქმობა, ჭორი, ზედოვლათობა;
შეიყვარე: ჭკუა, შრომა, სიკეთე, —
მაშინ გეტყვი, რომ კაცი ხარ
ნამდვილი.
ბოროტება დაუნდობლად გაჭკვეთე,
სიკეთეზე დღე და ღამე იფიქრე,
ბრძენს უსმინე და ნათქვამი აწონე.
დახმარებას სხვა ვერავინ გაგიწევს,
შენს შეცდომას ძნელად გამოასწორებ!
წიგნს ჩაუჯექ, ცოდნა გამოიტანე,
ცოდნა შენთვის დუღაბისგან ხიდია.
ერთს ისწავლი, სხვა უცნობი კიდია.
სიმართლისთვის თავი დასდე
უშიშრად.
შეარცხვინე, ვინც იქცევა უტიფრად.
ნათქვამ სიტყვას ნუ ენდობი
უბრალოდ,
დაუფიქრდი, შინაარსი შეიცან.
შეიყვარე შენი მიწა, შენი ცა.
როს დარწმუნდე, იყავ შეუპოვარი.
არ დაჩაგრონ შენი ძმა-მეგობარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ძმა ტყუის, იყავ მამხილებელი,
იყავ მუდამ კეთილი გზის მრჩეველი.
იყავ სიტყვის შენ პასუხისმგებელი.

ერთი რამეც დაიხსომე, იცოდე:
იქონიე მოკრძალება, ზრდილობა!
იყავ მტკიცე, სიმართლეს არ
უმტყუნო,
სიღარიბის თუნდაც ცეცხლში
იწვოდე!
თუ დიდი ხარ, პატარა ძმას იცნობდე.
ძლიერი ხარ, იყავ სუსტის მფარველი.
გულზვიადი და პატივისმოყვარე
ბოლოს უნდა შერცხვეს ხალხში,
იცოდე!

მაინც ცოდნა ფუძე არის კაცობის,
ადამიანს მხოლოდ ცოდნა ამაღლებს;
ცოდნა ჩვენი საუკუნის ღერძია.
მხოლოდ ცოდნა დღეს ყველაფერს
განაგებს.
თვით სწავლობდე, სხვასაც სწავლა
მიეცი,
თუ გინდა, რომ კაცად იხსენებოდე
და ღირსეულ შვილად იწოდებოდე!
1886 წ.

* * *

გულო ჩემო!
ათას ნაჭრად ქცეული ხარ დარდისგან!
ამბა მითხარ, სადღა ჰპოვებ მშვიდობას,
როცა რწმენა ყოველგვარი დაკარგე?

ვინც გიყვარდა, ის ან მიწამ მიიღო,
ანდა მტრობით განგმირული დაეცა!
დღეს გარტყია ირგვლივ სიცალიერე...

აღმართულა შენს წინაშე სიბერე,
აღარ მოსჩანს ბნელში გამოსავალი;
ვიცი, გულგრილს ადვილად
ვანუგეშებთ,
მაგრამ ჩვენთვის ეს ნუგეში სად
არი?

გულო, რარიგ მწარე ბედი გქონია!
ჩვენ რომ ერთ დროს გვიტაცებდა
სიამით
ის ოცნება, ის იმედი სად არის?
1899 წ.

* * *

მთვარე ცურაობს წყალში სულ ნელა.
სიჩუმეა ღრმა.
შორს ხევში ბნელა.
ლამაზ ქალიშვილს ელოდება ყრმა.

ყვავილებში მთვარის შუქი ბრწყინავს.
რად არ მოდის?
იქნებ უკვე სძინავს?

რა შრიალი ისმის ნიავის, თუ კაბის?
თითქოს ვიღაც დადის.
ქალის ფეხის ხმა,
ვგონებ, ახლოვდება;
ღელვით სუნთქავს ყრმა,
მიჯნურს ელოდება.

ფოთლის ჩამოვარდნა
იწვევს ოდნავ ხმაურს;
ეს ხომ ქალის ხმაა:
— ახ, ისწრაფე ჩქარა!
აქ ვარ, სასურველო...

ანთებული გულით მოხვალ ჩემთან
მალე.
ახ, რამდენი ღელვა კიდევ გველის
ხვალე!
1898 წ.

თარგმანი **სანდრო შანშიაშვილისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეონა შენგელია

ანტონ ჩეხოვი

★

ძველი რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელურ-დერჟიმორდული ტაგანროგი, სადაც დაიბადა ჩეხოვი 1860 წელს, პოლიციურ-ჩინოვნიკური გიმნაზია, სადაც ჩეხოვი სწავლობდა, და პროვინციულ-მეშჩანური ცხოვრება, სადაც ჩეხოვი დავაკაცდა, ხუმრობის გუნებაზე კაცს, რა თქმა უნდა ვერ დააყენებდა; მაგრამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა სულით მაინც არ დაცემულა, თანდაყოლილი ჰუმორის გრძნობა ბოლომდე შერჩა. ჩეხოვის არც პირადი ცხოვრება ყოფილა მაინცდამაინც სახარბიელო. ყოფილი ყმისა და შემდეგ გაკოტრებული ვაჭარი მამის ხელმოკლეობა სწავლას მოწყურებულ ნიჭიერ ყმაწვილს გასაქანს არ აძლევდა.

ჩინოვნიკურ-ვაჭრუკანულად დაწვრილმანებული მგლური ინსტინქტები და პომეშჩიკურ-ბიუროკრატიული ვიწრო ინტერესები ახალგაზრდა ჩეხოვს, მართალია სახეზე ღიმილს ჰგვრიდა, მაგრამ დიდადაც აფიქრებდა. თავისი ნიჭის იმ დიდ მოწოდებას, რომელმაც ის შემდეგ ნამდვილ მწერლად, ნამდვილ ჩეხოვად აქცია, თავდაპირველად როდი გრძნობდა. მწერლობა მისთვის იმდენად დიდი მოვლენა იყო, მწერლის სახელი მის ოცნებაში შარავანდედის ისეთი ბრწყინვალებით იყო მოსილი, რომ ამ გზით სიარულს შეგნებულად ის ვერაოდეს ვერ გაბედავდა და სამწერლო მოღვაწეობაც ბაიბურში ამიტომაც არ მოსდიოდა. მისი მიზანი შედარებით უბრალო იყო: ხალხის ჩუმი მსახური ყოფილიყო. უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ამიტომაც გულმოდგინედ სწავლობდა, საექიმო ღვაწლისათვის ჩუმად ემზადებოდა. და თუ ოცი წლის მორცხვმა ჭაბუკმა მოთხრობების წერა მაინც დაიწყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უნდოდა, სანამ სწავლას დაასრულებდა, ლიტერატურული გასამრჯელოთი როგორმე ხელი გაემართა.

პირველი მოთხრობა მან 1880 წლის ერთ-ერთ უფერულ ჰუმორისტულ ჟურნალში ისეთი მოკრძალებით დაბეჭდა, რომ თავისი ვინაობა მკითხველისათვის არც კი გაუმჟღავნებია, მაგრამ თავისი ხალასი ნიჭით ყურადღება მაინც მაშინვე მიიქცია.

„კარგია. გილოცავთ გზას შემდგომი მოღვაწეობისათვის“, — სწერდნენ რედაქციიდან, მაგრამ ახალგაზრდა ჩეხოვი, როგორც უკვე ვთქვით, მწერლობაში „შემდგომ მოღვაწეობას“ სრულიადაც არ აპირებდა.

მისი სალიტერატურო სარბიელზე გამოსვლის დღიდან ჯერ წელიწადიც არ იყო გასული, რომ მოთმინებიდან გამოსული მასების წარმომადგენლის მიერ გასროლილმა ყუმბარამ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ბოლო მოუღო. ხოლო ორი წლის შემდეგ „შრომის განთავისუფლების“ პირველი მარქსისტული ჯგუფი შეიქმნა. ყოველივე ეს ჩეხოვს არც კი შეუტყვია.

პოლიტიკა მას ლიტერატურის საქმედ არ მიაჩნდა და ამ შეხედულებამ მიიყვანა ის გაქნილი რეაქციონერის — სუვორინის გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“, სადაც მან რამდენიმე მოთხრობა დაბეჭდა, რითაც მთელი მაშინდელი მოწინავე საზოგადოება აღაშფოთა.

მას, ცხოვრების ღრმა მცოდნეს, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელსა და რთულ სოციალურ კანონებში ჯერ გაურკვეველ ახალგაზრდას, როდი ეგონა, რომ ის დიდი საქმე, რომელსაც ასეთი მოკრძალებით მოეკიდა, შემდგომ მისი სიცოცხლის აზრად იქცეოდა, არ უფიქრია, რომ ეს გზა მას დიდ სოციალურ პრობლემებთან აუცილებლად მიიყვანდა და მისი აპოლიტიზმიც ნაცარ-ტუტად იქცეოდა.

ანტონ ჩეხოვის დიდი შემოქმედება ამ პრობლემებთან ახლოს მისვლისა და პასუხის გაცემის საჭიროებით იყო გამოწვეული. ის სოციალური ტკივილები შინაგანი დუღილით აღსავსე ოთხმოციანი წლებისა მის სულს თანდათან ეუფლებოდა და მოსვენებას უკარგავდა. მისი ჩუმი სიცილი ჩეხოვისებური ნაზი სევდით, ლირიზმით და ირონიით ამიტომაც თანდათან მძლავრად იმსჭვალებოდა, სოციალური ტკივილებით ვამოწვეული კვნესა თანდათან მძლავრად გაისმოდა. ეს ტკივილები მაშინდელი შავბნელი ეპოქის დიდი ტკივილები იყო და ჩეხოვიც ეპოქის დიდ მწერლად სწორედ ამ ტკივილების გამოხატვამ გადააქცია.

ჩეხოვი, როგორც მწერალი და მოქალაქე, შემოქმედების პროცესში იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა და თანდათან მწვავედ გრძნობდა, რომ დიდი მსოფლმხედველობის გარეშე წერა მისთვის შეუძლებელი იყო, თანდათან რწმუნდებოდა, რომ დიდი იდეების გარეშე ლიტერატურა მკვდარია და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

ამ დიდი ტკივილით გამოწვეული პირველი კვნესა ჯერ კიდევ 1885 წელს დაწერილ მოთხრობა „დარდში“ გაისმა, მოთხრობაში, სადაც ხელოვანის ტრაგედია აოწერილი.

ბრწყინვალე, მაგრამ ლოთსა და ზარმაც ოსტატს, ხარატ პეტროვს შუა ზამთრის ქარბუქში მძიმედ ავადმყოფი ცოლი შორს ექიმთან მარხილით მიჰყავს და თან თავისი მშვენიერი ნამუშევარი საოთუთუნე საჩუქრად მიაქვს, ჯაგლაგი ცხენი თოვლსა და ბუქში ძლივ-ძლივობით მიებოტება. ოსტატი პეტროვი კოფოზე ქანაობს და მარხილში ჩაწვენილ მომაკვდავ ცოლს ისე ალერსიანად ებუტბუტება, რომ მისკენ არც იხედება, თითქოს მისი დანახვის ეშინია. მომაკვდავ ცოლს, თავისი ცხოვრების გზის მეგობარს, მთელი გზა ისე ეალერსება, რომ ამ ალერსში ვერ გაიგებს ის, როგორ მოკვდა, ვერ გაიგებს, თოვლსა და ბუქში გზა როგორ აერია და როგორ ჩასთვლიმა. ჩასთვლიმა ისე ღრმად, რომ არ გაუგია, ხელ-ფეხი როგორ მოეყინა, ძილისაგან მხოლოდ საავადმყოფოში გამოარკვიეს. ექიმის დანახვაზე უნდა წამოხტეს, უნდა მხსნელს ფეხებში ჩაუვარდეს, მაგრამ ხელ-ფეხი აღარ ემორჩილება.

— თქვენო კეთილშობილებავ! — შესძახებს ექიმს ზარდაცემული. — ფეხებზე რაღაც დამემართა! ხელი სადაა?

ექიმი პასუხს არ იძლევა, რადგან იცის, ოსტატს რაც დაემართა. ქარბუქიანი ცხოვრების გზაზე მან, დიდმა ოსტატმა, ცოლი დაკარგა, ხელიც დაკარგა და ამიერიდან თავის ბრწყინვალე ნამუშევრებით თავს ვერ მოიწონებს.

ჩეხოვიც თავს ამ ოსტატივით გრძნობდა. დიდი იდეების გარეშე ხელი იმასაც ეყინებოდა, წერა უჭირდა.

„მე სულაც არ მომწონს ჩემი ასეთი წარმატება,“ — ამბობდა ის თავის ერთ-ერთ წერილში, ხოლო მეორე წერილში წერდა: „ასე მგონია, მკითხველს ვატყუებო“.

„ორი წელიწადია, რაც ჩემი ნაწერები მევე აღარ მახარებს, — წერდა ჩეხოვი შეშფოთებით ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულში. — რეცენზიები, საუბრები მწერლობაზე ჩემს გულს ახლოც არ ეკარება... სულში თითქოს რაღაც შეჩერდა... არავითარი იმედები არ გამცრუებია, არც არაფერი მომძულებია

და აი, ყველაფერი ჩემთვის როგორიღაც უცებ არასაინტერესოდ იქცა...“

„რად უნდა ვწერო? — ეკითხებოდა ის თავის თავს, — თუ მთავარ საკითხებს პასუხს ვეღარ გავცემ?“ ხოლო 1888 წლის ერთ წერილში აცხადებდა: „გარკვეული მსოფლმხედველობის გარეშე სიცოცხლე აუტანელია, საშინელებაა.“

თავისი ეს სულიერი ტკივილები მან მკაფიოდ გამოხატა მოთხრობაში: „მოსაწყენი ამბავი“, სადაც მოხუცი პროფესორი თავის აზრს ასე გამოხატავს: „რამდენიც არ უნდა ვიფიქრო და რასაც არ უნდა აწყდებოდეს ჩემი ფიქრები, ერთი რამ მაინც ნათელია, ჩემს სურვილებს არ გააჩნია რაღაც მთავარი, რაღაც მეტად მნიშვნელოვანი. არ გააჩნია ჩემს გატაცებას მეცნიერებით, ჩემს სურვილებს, რომ ვცოცხლობდე... და მისწრაფებას, რომ ჩემი თავი როგორმე მაინც შევიმცნო. ჩემს აზრს, ჩემს გრძნობებსა და შეგნებას არ გააჩნია რაღაც ზოგადი, რაც ყოველთვის ერთ მთლიან რამედ შეჰკრავდა... ყოველი გრძნობა, ყოველი აზრი ჩემში როგორღაც ცალკე სულდგმულობს და ჩემს მსჯელობაში მეცნიერებასა, თეატრსა, ლიტერატურასა, მოწაფეებსა და იმ სურათებზე, რომლებიც წინ ოცნების თვალით მეხატება, ასე გასინჯეთ, თვით გამოცდილი ანალიტიკოსიც ვერ იპოვის იმას, რასაც საერთო იდეა, ცოცხალი აზრი ეწოდება... და თუ ეს არ არის, არ არის მაშინ არაფერი.“

ასე შემაძრწუნებლად გამოხატავდა ჩეხოვი თავის სულისკვეთებას, სულისკვეთებას ბურჟუაზიული საზოგადოების მარწუხებში მოქცეულ ინტელიგენციისა. ამ საზოგადოებას არ შეეძლო აღეფრთოვანებინა ადამიანი ზოგადკაცობრიული იდეებით. მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია სასიკვდილოდ იყო განწირული და ჩეხოვმა ეს ტრაგედია თავისი ნიჭის მთელი შესაძლებლობით გამოხატა.

მიუხედავად ასეთი დიდი ტანჯვისა, ჩეხოვი პირადად რომ განიცდიდა, მწერალმა მაინც ვერ მიაგნო ამ გზას, რომელიც მას სოციალიზმის, პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობის შეგნებამდე მიიყვანდა და მას, ამ წამებისაგან ბოლოს იხსნიდა.

თავისი ასეთი მძიმე მდგომარეობა მან კიდევ უფრო მკაფიოდ შემდეგი სიტყვებისაგან ბოლოს იხსნიდა.

„არასოდეს ჩემი თავი მე არ მომწონდა. არ მიყვარს ჩემი თავი, როგორც მწერალი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ რაღაც ბურანში ვარ გახვეული და ხშირად თვითონაც არ მესმის ის, რასაც ვწერ... მე მიყვარს ეს წყალი, ხეები, ცა, ვგრძნობ ბუნებას, ის ჩემში აღძრავს დაუძლეველ სურვილს, რომ ვწერო. მაგრამ მე ხომ მხოლოდ პეიზაჟისტი არა ვარ! ამას გარდა, მე ხომ მოქალაქე ვარ. მე მიყვარს ჩემი სამშობლო, ჩემი ხალხი. მე ვგრძნობ, რომ, თუ მწერალი ვარ, მოვალე ვარ ვლაპარაკობდე ჩემს ხალხზე, მის ტკივილებზე, მის მომავალზე; მოვალე ვარ ვილაპარაკო მეცნიერებაზე, ადამიანის უფლებებზე და სხვა და სხვა. მეც ვლაპარაკობ ყოველივე ამას, ვჩქარობ, მაჩქარებენ, გული მოსდით და მეც იმ მელიასავით ვაწყდები აქეთ-იქით, ირგვლივ ძაღლები რომ შემორტყმია; ვხედავ, რომ ცხოვრება, მეცნიერება სულ წინ და წინ მიექანება, მე კი სულ უკან და უკან ვრჩები, ვრჩები ისე, როგორც ის გლეხი, რომელმაც მატარებელს ვეღარ მიუსწრო. ბოლოს და ბოლოს ვგრძნობ, რომ მხოლოდ პეიზაჟის ხატვა მეხერხება, ყველაფერ დანარჩენში ყალბი ვარ, ყალბი...“

და ამას ამბობდა ის ჩეხოვი, რომელსაც არაფერი ისე არ სძაგდა, როგორც სიყალბე. ამას ამბობდა ის ჩეხოვი, რომელმაც ადამიანის უფლებებს, მშრომელ ხალხს ასეთი წრფელი ხმით და ასეთი სიმართლით უმღერა. ამას ამბობდა ის ჩეხოვი, რომელიც ჩაგრულ ხალხს ნათელი მომავლისაკენ ასე მგზნვ-

ბარედ მოუწოდებდა და სამშობლოს სიყვარულით დაილია. ამას ამბობდა ის მწერალი, რომელიც იმდენად თავდაჭერილი და სათუთი იყო, რომ ხმის აწევა არ უყვარდა, — ხან ცრემლნარევად იცინოდა და ხან სიცილით ტიროდა. მისი ხმა მაინც მძლავრად, მრისხანედ გაისმოდა და ცარისტული დესპოტიზმით დამონებულ ხალხს თავისუფლებისაკენ ამაყად მოუწოდებდა. ჩეხოვის შემოქმედებითი ეშხი იმდენად ძალუმი და მომხიბლავი იყო, რომ მისი მოთხრობები ახლაც ცოცხლობენ, ყოველ მათგანში მისი ცხელი გული ახლაც ფართქალებს...

ამიტომ უყვარდა მისი მოთხრობების კითხვა ვ. ლენინსა და ი. სტალინს, ამიტომ მოელოდა ხოლმე ლევ ტოლსტოი მის ახალ მოთხრობას ჟურნალ-გაზეთებში ასე მოუთმენლად. უყვარდა ლევ ტოლსტოის მისი კითხვა, რადგან გენიოსმა მოხუცმა კარგად იცოდა მისი ფასი, იცოდა, რომ ჩეხოვი ნოველის ბრწყინვალე ოსტატი იყო.

რუსულ ლიტერატურაში ჩეხოვს ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ღრმა იდეით, რეალისტური ნამდვილი ხედვით, შთანაფიქრის ნათელი განსახიერებით და სევდიანი ლირიზმით მკითხველს ის ერთბაშად ხიბლავს. ნოველისტისათვის აუცილებელი თვისებით: ამბის პირდაპირი თხრობა, გმირის გარეგნობის კალმის ერთი მოსმით ცოცხლად დახატვა, სიტუაციათა ბუნებრივობა, ენის უაღრესი სისადავე, მოქმედებაში ხასიათის უეცარი გახსნა და პოეტურ გზნებასთან ერთად ხან მძვინვარე სარკაზმი და ხან ფაქიზი ირონია, — აი ყოველივე ის, რითაც ჩეხოვი, როგორც შემოქმედი, გამოირჩევა. ყოველივე ამას თუ დავსძენთ იმასაც, რომ ის რთულ კოლიზიებს და გმირთა სიმრავლეს განზრახ გაურბის, მისი სახე, როგორც დიდი შემოქმედისა, უფრო სრული იქნება. „მე ვწერ ისე, — ამბობდა ის, — როგორც ჩიტი გალობს. დავდები და ვწერ. არ ვფიქრობ ემას, რას ან როგორ ვწერ. ის თავისთავად იწერება“.

ჩეხოვის მოთხრობები მართლაც ასეა დაწერილი. ის მართლაც ჩიტივით გალობს და გალობაში არავითარი ძალდატანება ხმისა არ იგრძნობა, მისი მოთხრობები, როგორც ჩვენში იტყვიან, ჩანჩქერივით ლაღად მიედინება. განა „ტრამალი“, „მზეთუნახავი“, „სახლი მეზონინით“ და სხვა მრავალი გალობა არ არის? მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ის თავის შთაგონებას ჩიტივით ბრმად ენდობოდა. მისი სილაღე და ძალდაუტანებლობა ადამიანის სულის ღრმა ცოდნიდან, გულთამხილაობიდან მოედინებოდა.

„იცით, როგორ უნდა წეროთ, რომ მოთხრობა კარგი გამოვიდეს? — ეკითხებოდა ჩეხოვი ერთ ახალგაზრდა მწერალს და პასუხს თვითონვე იძლეოდა: — მოთხრობაში არაფერი ზედმეტი არ უნდა იყოს. ყველაფერი ისე უნდა იყოს გამოზომილი, როგორც სამხედრო გემზეა ხოლმე. არაფერი იქ ზედმეტი არ არის, აი, მოთხრობაც ასე უნდა იწერებოდეს“.

ჩეხოვი მართლაც ასე წერდა, მისი ყოველი მოთხრობა კონსტრუქციულად ზუსტად არის ჩამოქნილი და ამ მოთხრობაში არაფერი არასოდეს ზედმეტი არ არის ხოლმე, და რაც ყველაზე საკვირველია, ყოველივე ეს მის შთაგონებას როდი ზღუდავდა, პირიქით, ფრთას ასხამდა.

ჩეხოვი დაუშრეტელი ფანტაზიის მწერალი იყო, დიდი ოსტატი იყო გროტესკისა და კარიკატურისა. ეს უშრეტობა ფანტაზიისა ცხოვრების ღრმა ცოდნაზე იყო დამყარებული და სტალინის ფორმულა — „ადამიანის სულის ინჟინერი“ მისთვის ამიტომ ზედგამოჭრილია. ცხოვრების ყოველ წვრილმანში ის რაღაც მნიშვნელოვანს უსათუოდ დაინახავდა; ერთი შეხედვით უმნიშვნე-

ლო რაიმე მოვლენა მის ხელში ღრმა აზრს ჰპოვებდა, საგანს როგორღაც ისე შეატრიალებდა, იმნაირად გაანათებდა, რომ მის ფარულ აზრსა და ღრმა მიზეზობრივ კავშირს მთელ გარემყართან უცებ როგორღაც გამოაჩენდა. ჩეხოვი ცხოვრების წვრილმანთა განზოგადების უდიდესი ოსტატია და მას ამ მხრივ ბადალი იშვიათად მოეძებნება. ის თავისი თანადროულობის დიდი მემატიანეც ამიტომ იყო. მისი ფანტაზია იმდენად მდიდარი იყო, რომ ერთ ნაცნობ მწერალს გაკვირვებით ეკითხებოდა:

„როგორ თუ სიუჟეტები არ არსებობს! ყველაფერი სიუჟეტია, ყველაფერში სიუჟეტია. აი, ხედავთ ამ კედელს? თითქოს არაფრით საყურადღებო ეს კედელი არ არის, მაგრამ აბა ჩააკვირდით და დაინახეთ რამე „თავისი“, დაინახეთ ის, რაც „სხვას“ არ დაუნახავს და ასწერეთ. გარწმუნებთ, კარგი ძოთხრობა გამოგივათ. მთვარის შესახებაც კარგი რამის დაწერა შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა ერთობ გაცვეთილია. ოღონდ შიგ უნდა ჩაიხედო და რამე „თავისი“ და არა „სხვისი“ დაინახო“.

ჩეხოვი იმდენად ღრმა მწერალი იყო, რომ სიუჟეტების სიღარიბეზე ლაპარაკი მას გულწრფელად აკვირვებდა და ავიწყდებოდა, რომ ამის დანახვისათვის საჭირო იყო, რომ სხვაც ჩეხოვი ყოფილიყო, ხოლო ჩეხოვი ერთი იყო. ის მართლაც ყველაფერში და ყველგან სიუჟეტს პოულობდა, ყველაფერში „თავისას“ ხედავდა და ამიტომაც იყო, რომ ის არც ერთ მწერალს არ ჰგავდა. დიდ რუსულ ლიტერატურაში მას ამ მხრივ თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ეს ადგილი ერთადერთია, ჩეხოვისაა.

„თქვენ არ მუშაობთ ფრაზაზე, — სწერდა ის თავის ნაცნობ ქალს. — მას კეთება უნდა. ხელოვნება სწორედ ამაში მდგომარეობს“.

და მართლაც, ჩეხოვი რუსული ენის, რუსული ფრაზის ერთი უდიდესი ოსტატთაგანი იყო. ყოველ ფრაზაზე თავაუღებლად მუშაობდა, ყოველ სიტყვას ამოწმებდა, ყოველ მოთხრობას ზუსტად აშენებდა და დაღლა რა იყო, არ იცოდა. თავის ნაწერს ჯერ მელნით ასწორებდა, ისევ ასწორებდა და ნასწორები ადგილები ერთიმეორეში რომ არ არეულიყო, მოდგებოდა და ახლა წითელი ფანქრით ასწორებდა; გასწორების შემდეგ კვლავ ასწორებდა, ოღონდ ახლა ლურჯ ფანქარს მიმართავდა, ლურჯს სულ სხვა ფერი მოჰყვებოდა, და ყოველივე ამას დიდი ჩეხოვი წერას კი არა, ხატვას უწოდებდა.

„ბუნების აღწერილობა, — სწერდა ჩეხოვი თავის მწერალსავე ძმას, — ჩემის აზრით, მოკლე უნდა იყოს და ის **à propos** ხასიათს უნდა ატარებდეს... ბუნების აღწერისას ხელი უსათუოდ ისეთ დეტალს უნდა ჩასჭიდო, — წაკითხვის შემდეგ თვალს რომ დახუჭავ, სურათი ცოცხლად წარმოგიდგეს.“

განა ჩეხოვი ასე არ წერდა? წერდა ისე, რომ სურათი თვალწინ მართლაც ისე ცოცხლად გეხატება, თითქოს ნამდვილად ხედავდე. და ეს სურათი მხოლოდ სურათი როდია, ის უაღრესად ადამიანური იდეით, მაღალი მორალით, შემოქმედის უკვდავი აზრით არის სულადგმული, მისი მშვიდი, კეთილშობილური სუნთქვით არის გამთბარი. მის ნაწარმოებთა ყოველ სტრიქონში ჭკუა გამოკრთის, მისი ცხელი გული ძგერს, მისი სუნთქვა გესმის. მისი ყოველი მოთხრობა აღსავსეა მისივე პიროვნული ეშხით, ყოველ სიტყვაში ჩათესილია ჰუმანიზმის უაღრესი გრძნობა და თავშეკავებული პოეტური გზნება.

როგორც რეალისტი მწერალი, ის ვერ იტანს ნატურალიზმს, მას ღრმად სწამს ხელოვნების მაღალი დანიშნულება, და რეალიზმის ეს გრძნობა მის არსებაში უტყუარია; როდესაც მოსკოვის სამხატვრო თეატრში ის თავისი პიესის — „თოლიას“ რეპეტიციას დაესწრო, ერთ-

მა აქტიორთაგანმა განუმარტა, რომ წარმოდგენის მსვლელობის დროს ამ ადგილას სცენის უკან ბაყაყები იყიყინებენ, კუტკალიები იწრიპინებენ და ძაღლები ყეფას ასტეხენო.

„— ეს რისთვის? — იკითხა ანტონ პავლოვიჩმა უკმაყოფილოდ.

„— რეალობისათვის, — მიუგო აქტიორმა.

„— რეალობისათვის, — მიუგო აქ-ხოვმა ღიმილით და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: — იცით, სცენა ხელოვნებაა. კრამსკოის ერთი ჟანრული სურათი აქვს, ამ სურათზე ჩინებულად არის გამოხატული ათასნაირი სახეები. რა მოხდება, ერთ-ერთი სახიდან დახატული ცხვირი რომ ამოვჭრათ და მის მაგიერ ნამდვილი ცხვირი ჩავსვათ? ცხვირი რეალური იქნება, მაგრამ სურათი გაფუჭდება“.

არიან მწერლები, რომლებიც თავისი შთაგონებისათვის მძლავრ ვნებებსა და რთულ კოლიზიებს საჭიროებენ. ჩეხოვი, როგორც შემოქმედი, მათი საწინააღმდეგო მოვლენაა, ის საყოფაცხოვრებო მოვლენათა და წვრილმანების ინტეგრაციის უდიდესი ოსტატი იყო. ცხოვრების ღრმა აზრს, დიდ იდეას ის უბრალო ადამიანებში, უბრალო შემთხვევებში ჰპოვებდა და თავის უკვდავ ქმნილებებს საფუძვლად ხშირად ბანალურ ანეგდოტსაც უდებდა. არც ერთი მწერალი ისე არ ენდობოდა ანეგდოტს, როგორც ჩეხოვი. იმიტომ რომ ცხოვრება, რომელსაც ის შეესწრო და რომელსაც ის ასახავდა, ბანალური იყო და ანეგდოტური.

სულით დაცემული მოხელეები, შუახაუკუნეობრივი აზნაური-მემამულეები, შავბნელი სამღვდელოების ობსკურანტული წარმომადგენლები, იმედგაცრუებული და ნიადაგგამოცლილი ინტელიგენცია, ზნეობრივად გახრწნილი პოლიცია, დაშინებული ნოქრები და შმაგი ფულებით გაზულუქებული ვაჭრები, სულმდაბალი ქალები, სულმოკლე ობივატელები, სულით მახინჯი ჩინოვნიკები და ბრეყვიალა ვიცმენდარმის ფამთა პრანჭული მონები, — აი ჩეხოვის პერსონაჟები, აი ის საყრდენი, რომელსაც ალექსანდრე მესამისა და შავრაზმელი პობედონოსცევის სახელმწიფო იყო დაყრდნობილი. აი, ის ხალხი, რომელიც პატარა მისიუსს სულს უხუთავდა, ის ხალხი, სადაც სულიკო თავის განუსაზღვრელად მოსიყვარულე გულის შესაფერ ტოლს ვერ პოულობდა, სადაც სამი და იხუთებოდა, სადაც „მოსაწყენი ამბის“, „სევდისა“ და „დარდის“ გმირები იღუპებოდნენ, სადაც პრიშიბეევი წესრიგს ამყარებდა და კაცი ფუტლიარში ცოცხალ აზრს ებრძოდა.

სულით დამონებულმა ჩინოვნიკმა ჩერვიაკოვმა დაწესებულების უფროსის მელოტ თავთან თეატრში უცაბედად ცხვირს დააცემინა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მელოტი დაუწინწკლა. თავისი ამგვარი კადნიერებით ჩერვიაკოვს ისე შეეშინდა, რომ ავად გახდა და, ასე გასინჯეთ, სულიც განუტევა.

მოთხრობა „ძახილის ნიშნის“ გმირმა, სისხლგამშრალმა და გულგამოფიტულმა მოხელემ, ვინმე პერეკლადინმა, ათეული წლები იმსახურა მეფის რუსეთის კანცელარიაში, ათეული წლების მანძილზე წერა ოფიციალური ქაღალდები: რაღაც უშინაარსო მიმართვები, მოხსენებები, განკარგულებები, ცირკულარები და, ბოლოს, თვითონაც ამ უსიცოცხლო საკანცელარიო ქაღალდებივით გაშრა, გაყვითლდა და გამოიფიტა. ხანი კარგად რომ მოიყარა, სიცოცხლის დაისმაც რომ მოატანა, მაშინ დაინახა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ერთფეროვნად და უაზროდ უტარებია, ცხოვრება უმნიშვნელო არსებობით მოუჭამია; მაშინ დააკვირდა, რომ მას ამ თავის ქაღალდებში თურმე ყველა სასვენი ნიშნები უხმარია, ყველა, გარდა ერთისა: ძახილის ნიშნისა, იმ

ნიშნისა, რომელიც აღშფოთებას, სიხარულს, მწუხარების გრძნობასა და სულიერ მღელვარებას გამოხატავს. ათეული წლების მანძილზე თურმე ისე უცხოვრია, რომ ერთხელაც არ აღშფოთებულა, არავითარი ცოცხალი აზრი, არავითარი ვნებათა ღელვა მის გულს არასოდეს არ გაჰკარებია და ამიტომაც ეს ნიშანი მას არასოდეს არ დასჭირვებია.

ჩეხოვის დრო იმდენად საშინელი იყო, რომ აზრისა და ჭკუის ისეთმა გატაცებულმა თაყვანისმცემელმა, როგორიც მოთხრობა „პალატა № 6“-ს გმირი, ექიმი ანდრეი ეფიმოვიჩი იყო, თავი თვითონ საგიჟეთში ამოჰყო და თავისივე დარაჯისაგან ცემით სიკვდილის პირად იქმნა მიგდებული.

განა ქამელეონს, მისიუსის და ლიდას, იონიჩს, კინკრიჟიანი მამულის მეპატრონეს, პაჭანიგსა და სხვა მისთანებს თავისი ღატაკი სულით, შეზღუდული გონებითა და დაკნინებული ინტერესებით ანეგდოტს იქით წასვლა შეეძლოთ? არათუ მათი ცხოვრება, ასე გასინჯეთ, თვით მათი სიკვდილიც სასაცილოა, ანეგდოტურია. მკითხველის გულში მათი ბედი და მწუხარება თანაგრძნობას კი არა, მხოლოდ სიბრალულს, ხშირად ზიზღს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ნაღვლიან ღიმილს იწვევს.

დამახასიათებელია, რომ ჩეხოვის მოთხრობას ყველა სიამოვნებით ჰყვება ხოლმე. დამახასიათებელია ისიც, რომ მოყოლის შემდეგ სახტად რჩებიან, ხელში მხოლოდ უბრალო ანეგდოტი შერჩებათ ხოლმე. მოთხრობიდან მხოლოდ ის რჩება, რაც ჩეხოვს, როგორც შემოქმედს, ყველაზე ნაკლებ ახასიათებს და ყველაზე ნაკლებაც აინტერესებს. ჩეხოვი ისეთი მწერალია, რომელიც უსათუოდ თვითონ უნდა წაიკითხო, მის აზრს სხვაგვარად ვერ ჩასწვდები, მისი გულის ძგერას ისე ვერ გაიგონებ.

იბადება კითხვა: განა ყოველი მწერალი ასეთი არ არის? დიახ, არის, მაგრამ ჩეხოვი ამ მხრივ მაინც განსაკუთრებით გამოირჩევა. გამოირჩევა იმიტომ, რომ ის სიუჟეტს ყველაფერში [illegible] ჰპოვებდა, ესე იგი ხედავდა იმას, რასაც ყველა ხედავდა, მაგრამ შიგ მხოლოდ თავისას ჭვრეტდა, ჭვრეტდა იმას, რასაც აქამდე სხვა ვერავინ პოულობდა და, რაც მასში მხოლოდ ჩეხოვმა აღმოაჩინა. ჩეხოვის მოთხრობის ჩვეულებრივ მომყოლს ეს გარემოება მხედველობიდან ეპარება. მას ავიწყდება, რომ ყველაფერ იმას, რასაც ყველა ხედავს, ჩეხოვი მხოლოდ თავისად აქცევს, თავისებურად გაიაზრებს; ავიწყდება, რომ მნიშვნელოვანი და თვალსაცემი ესა თუ ის ჩვეულებრივი მოვლენა უჩვეულო მხოლოდ ჩეხოვის ჯადოსნურ ხელში ხდება. ამის გარეშე ის მხოლოდ უბრალო ამბავია და, არცთუ ისე იშვიათად, ბანალური ანეგდოტია, ანეგდოტი, რომელიც სოციალური აზრით, ირონიით, გულითადობით და ნაღვლიან ინტიმით მხოლოდ ჩეხოვმა გააცოცხლა.

თავის ჩინებულ მოთხრობაში „ღლაბუტა“ ჩეხოვმა წარმტაცად აღწერა სულ უბრალო ამბავი, ამბავი, — რა წვალებით, რა დიდი დავიდარაბის შემდეგ ამოათრიეს წყლიდან ჯილეში შემალული თევზი ღლაბუტა, მაგრამ მისმა შემპყრობელებმა ნანადირევით გახარებაც ვერ მოასწრეს, რომ ადლის ოდენა თევზმა ხოლო ერთბაშად მოიქნია, შემპყრობს ხელიდან გაუსხლტა და წყალში დგაფუნი მოადინა, — ამდენმა შრომამ, წვალებამ ამაოდ ჩაიარა. ეს მოთხრობა თავის აზრს, მართალია, მოყოლის შემდეგაც არ კარგავს, მაგრამ მთელი ის ჩეხოვური ეშხი, ლაზათი ამ აზრს იქით რომ იფარება, უსათუოდ იკარგება.

მოთხრობის გმირი ჩეხოვისათვის უპირველეს ყოვლისა ადამიანია და არა სქემა, რომელიც მხოლოდ ავტორის იდეურ ტვირთს უნდა ატარებდეს. ჩეხოვი ადამიანს, მის ღირსებასა და კაცურ კაცობას, ადამიანობასა და მის უფლებებს თავდავიწყებით უმღეროდა

და, როცა ეს ადამიანობა ილახებოდა, უსინდისოდ იბილწებოდა ბანალობით, როცა ის დამცირებული, დაქუცმაცებული იყო წვრილმესაკუთრული ინტერესებით და ღრმად ეფლობოდა ცხოვრების წუმპეში, რომელიც თვით მანვე დააყენა, ჩეხოვს გული სტკიოდა, მის გულს უსაზღვრო დარდი ეუფლებოდა.

აქ ჭაობში იხრჩობოდა ნაზი სულიკოც, ამ წუმპიდან ამოსვლას ლამობდა სამი და და გული მოსკოვისაკენ, ახალი ცხოვრებისაკენ, მიუწევდა; ამ შმორიან ცხოვრებას იცავენ, დარაჯობენ პრიშიბეევები და ბელიაკოვები. იცავენ და სულ იმის შიშში არიან, ვაითუ რამე მოხდესო. ამ შმორს შეურიგდა იონიჩი და იმ ბედნიერ სიძესავით, რომელიც საქორწინო მოგზაურობის დროს შეცდომით სხვა მატარებელში ჩაჯდა და კვლავ ძველი ცხოვრებისაკენ, ისევ წუმპესაკენ გაექანა. ლიბერალური ინტელიგენციის ერთი ნაწილი ამ ბედნიერ სიძესავით მიექანებოდა ჭაობისაკენ და ცარიზმს ურიგდებოდა. ამ შმორისთვის იბრძვიან კინკრიჟიანი მამულის მეპატრონენი და, როცა ისინი თავის მამულში მოწეულ მეავე და უნდილ კინკრიჟის ნაყოფს შეექცევიან, კმაყოფილნი არიან, არას დაგიდევენ, რომ მდიდარმა და ნამდვილმა ცხოვრებამ თვალწინ უაზროდ ჩაიარა. წვრილმან-მესაკუთრულ ინტერესებით ისე არიან დაბრმავებულნი, რომ ვერ ხედავენ, საავდროდ ცა როგორ მოღრუბლულა და საცაა ჭექა-ქუხილიც გაისმის.

ამ წუმპეში იხრჩობა ნაზი მისიუსი თავის მეგობარ მხატვართან ერთად, იმ მხატვართან, რომელმაც მას ახალი წარმტაცი ქვეყანა დაანახა და იქითკენ მოუწოდებდა.

მაგრამ მისიუსი სუსტი აღმოჩნდა, ის ვერ აღუდგა მის წინ კედლად ამართულ მკაცრ ცხოვრებას და აგვისტოს ერთ ღამეს, როცა ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მხატვარი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის ოცნებას, თავის აღმამფრენად წარმტაცსა და ფერმკრთალ მისიუსს. საქმიანმა და პრაქტიკულმა ადამ, ლიბერალმა ლიდამ გააცამტვერა, წაართვა ეს აღმაფრენა მისიუსს, აგვისტოს იმ ღამეს. როცა მხატვარს ეს გოგონა ასე მომხიბლავად და ელეგიურად ეხატებოდა.

— მისიუს, სად ხარ? სადა ხარ, მისიუს? — ამაოდ ეძახდა პეიზაჟისტი თავის ოცნებას. მისიუსი გაქრა. ოცნება გაქრა და ამის შემდეგ მას არც ერთი პეიზაჟი არ დაუხატავს, რადგან მისი შემოქმედება ადამიანის გარეშე, ოცნების გარეშე უაზრობად, შეუსაბამობად იქცა.

თუ გავიხსენებთ იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ჩეხოვი ერთ-ერთ წერილში თავის თავს მხოლოდ პეიზაჟისტს უწოდებდა და ამბობდა, რომ მატარებელს გლეხივით ჩამოვრჩი და ყალბი ვარ, მაშინ ეს მოთხრობა და ამ მოთხრობაში დახატული პეიზაჟისტი როგორღაც საყურადღებოდ ეხმაურება თვით ჩეხოვის განწყობილებას, ეს მოთხრობა თითქოს ბიოგრაფიული ნაწარმოებია.

ჩეხოვს უნებისყოფო ადამიანთა მწერალს უწოდებდნენ. და ეს უნებისყოფობა სოციალური შინაარსით იყო გაჯერებული. ჩეხოვის გმირები ვერ პოულობდნენ გამოსავალს იმ სოციალური უკუღმართობისაგან, რომელშიც ისინი იხრჩობოდნენ და მორჩილებით ელოდებოდნენ ისტორიის განაჩენს, ელოდნენ სიკვდილს და გადასარჩენად ხელს არ ანძრევდნენ, არ იბრძოდნენ, რადგან მათ არ იცოდნენ გზა საით იყო და ამიტომაც არ ძალედვათ ისტორიის ბორბლის წაღმა შეტრიალება.

22 აგვისტოს „ალუბლის ბაღი“ უნდა გაიყიდოს და ეს ბაღი უბრალო ბაღი როდია.

„მთელი რუსეთი ჩვენი ბაღია,“ ამბობს ტროფიმოვი პიესის მეორე მოქმედებაში, და მის სიტყვებს საგულისხმიერად ეხმაურება ამავე პიესის უკანასკ-

ნელ აქტში ნათქვამი ანიას სიტყვები: „ჩვენ გავაშენებთ ახალ ბაღს, გაცილებით უფრო დიდებულ ბაღსო“.

და აი, სანამ ეს ახალი ბაღი გაშენდებოდეს, ძველი ბაღი იყიდება და მას ახალი პატრონი გაუჩნდება. მისი ძველი მეპატრონენი კარგად ხედავენ ამას, ხედავენ, ბაღი ხელიდან როგორ ეცლებათ, მაგრამ ხელსაც არ ანძრევენ იმისთვის, რომ ეს საბედისწერო თარიღი, თარიღი ბაღის საჯაროდ გაყიდვისა, როგორმე თავიდან აიშორონ და მით სიცოცხლე გაიხანგრძლივონ. თუ ეს ძველი ბაღი მართლაც ძველი დრომოჭმული ცხოვრება მაშინ მის პატრონთა უნებისყოფობაც გასაგები ხდება. მათ იცოდნენ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, გრძნობდნენ, რომ მათი ბედი და მათთან ერთად ალუბლის ბაღიც ისტორიისაგან სასიკვდილოდ განწირული ბაღი იყო და, მის მეპატრონეებს რამდენიც არ უნდა ეფიქრათ, თავი რამდენიც არ უნდა ეტეხათ, ამ ბაღს არაფერი ეშველებოდა, „მოხუც ბაბუა“ ალუბლის ბაღი 22 აგვისტოს უსათუოდ გაიყიდებოდა და მას ახალი პატრონი გაუჩნდებოდა.

თუ ალუბლის ბაღის პატრონები ამ დღეს მშვიდად ელოდნენ, სამაგიეროდ ჩეხოვს არ შეეძლო მშვიდად ყოფნა, არ შეეძლო, რადგან თავისი შემოქმედებაც მას ალუბლის ბაღად ეჩვენებოდა, და ახალ მეპატრონეს, ახალ შემოქმედს, რომელსაც ის თავის თავში ასეთი ტანჯვით ეძებდა, მოუთმენლად ელოდა.

ჩეხოვმა დაჰკარგა სულის სიმშვიდე, მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა თავისი მოღვაწეობა და ეძახდა თავის ოცნებას, ეძახდა თავის აღმაფრენას:

— მისიუს, სადა ხარ? სადა ხარ, მისიუს?

ასევე მკაფიოდ გამოხატა ჩეხოვმა მაშინდელი სულისკვეთება კატიას მუდარით, რომლითაც ეს ქალი თავის აღმზრდელ მოხუცს, პროფესორ ნიკოლაი სტეპანიჩს, მიმართავდა მოთხრობა „მოსაწყენ ამბავში“.

— ნიკოლაი სტეპანიჩ, — ევედრებოდა კატია პროფესორს, — ასე ცხოვრება მეტი არ შემიძლია! არ შემიძლია! მითხარით, ღვთის გულისათვის, მითხარით ჩქარა, მითხარით ამ წუთს, რა გავაკეთო? თქვენ ხომ ჭკვიანი ხართ, განათლებული, ბევრი გიცხოვრიათ! თქვენ ხომ მასწავლებელი იყავით! მითხარით რაღა, რა ვაკეთო?

ნიკოლაი სტეპანიჩმა კარგად იცის, რა ცეცხლითაც არის დამწვარი კატიას გული და უპასუხებს:

— სინდისის ქვეშ გითხრა, კატია? არ ვიცი... მოდი, კატია, ვისაუზმოთ...

ნიკოლაი სტეპანიჩმა კითხვას თავი ამით აარიდა, მაგრამ გულში მაინც ფიქრობს: „უქონლობა იმისა, რასაც ამხანაგი-ფილოსოფოსები საერთო იდეას უწოდებენ, მხოლოდ სიკვდილის მოახლოების ჟამს შევამჩნიე. ყოველივე ეს მხოლოდ ჩემი სიცოცხლის დაისში დავინახე და საცოდავმა ჩემმა სულმა არ იცოდა და არც არასოდეს, არასოდეს ეცოდინება, რა არის მყუდროება“...

ნიკოლაი სტეპანიჩის პირით ამ შემთხვევაში თვითონ ჩეხოვი ლაპარაკობს. ამიერიდან მის შემოქმედებაში ახალი ხანა იწყება, ხანა სოციალური სიმართლის ძიებისა, ხანა საერთო იდეისა და დიდი მსოფლმხედველობის ძიებისა.

ჩეხოვმა გადაწყვიტა, ეძებოს იდეა არა ბურჟუაზიული საზოგადოების წუმპეში, არამედ იქ, სადაც ამ საზოგადოების მიერ ცხოვრებისაგან გარიყულნი იმყოფებიან; ეძებოს სიმართლე სახალინის საკატორღო ციხეებში.

ცბიერი რეაქციონერი სუვორინი მაშინვე მიხვდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, და უშლიდა ჩეხოვს, აშინებდა, რომ ის ამ მგზავრობას ვერ აიტანდა. ჩეხოვმა თავისი მაინც არ დაიშალა და ავადმყოფი სახალინისკენ გაემგზავრა, ნახა განკიცხულთა სამყარო. აქ, სახალინში, დაინახა მან შავრაზმული ბურჟუაზიული

რეჟიმისაგან დასახიჩრებულ ადამიანთა ის საშინელება, რამაც ის გულის სიღრმემდე შეეზარა. ჩეხოვმა აქ დაინახა თვალდათვალ ყოველივე ის, რამაც სახალინის საკატორღო საპატიმროთა კოშმარი შეჰქმნა და რაც რევოლუციას აახლოებდა.

სუვორინის შიში გამართლდა. სახალინმა დაანახა ჩეხოვს ის აუტანელი მდგომარეობა, ის სივიწროვე მაშინდელი ცხოვრებისა. და ეს ცხოვრება მას დიდ სახალინად, დიდ საპატიმროდ წარმოუდგა. მწერლის ამ განწყობილებამ წარმოშვა მოთხრობა „პალატა № 6“. მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩეხოვმა ამ მოთხრობაში ისე პირუთვნელად და ისე შემზარავად დახატა, რომ ახალგაზრდა ლენინი მეორე დილით თავის დას, ანა ილინიშნას, ეუბნებოდა: „გუშინღამ, როცა ეს მოთხრობა წავიკითხე, ისეთ საშინელ გუნებაზე დავდექი, რომ ოთახში ვერ მოვიცადე, ავდექი და გარეთ გამოვედი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს „პალატა № 6“-ში მე ვიჯექიო.“

ჩეხოვმა ამ მოთხრობით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა არა მხოლოდ მეფის თვითმპყრობელობას, არამედ იმ ინტელიგენტურ უნიათობასაც, რომელსაც რევოლუციის ცეცხლის გაჩენის ეშინოდა.

ჩეხოვი ყურმახვილი მწერალი იყო და რევოლუციის ქარიშხლის მოახლოებას ცოცხლად გრძნობდა. მასთან ერთად ყველა გრძნობდა, რომ ასე ცხოვრება ამას იქით არ შეიძლებოდა, მაგრამ როგორ უნდა ეცხოვრათ, რა უნდა ექნათ, ბევრმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რადგან მზარდ კლასს, ახალი ცხოვრების შემქმნელ კლასს, პროლეტარიატს, ისინი ვერ ხედავდნენ.

ეს ის დრო იყო, როცა გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვისა და ტურგენევის ზედმეტი ადამიანების ერთი ნაწილი თავისი არსებობის ახალ სტადიაში შევიდა, და მათი სული არა მსოფლიო სევდამ, არამედ სოციალურმა სევდამ მოიცვა. ჩატეხილ, ონეგინები, პეჩორინები და რუდინები გადაშენდნენ, მათი რომანტიკულ-ბუნტარული სული ასაკში შესულ ბურჟუაზიასთან შეგუებით დაშოშმინდა.

ჩეხოვის ზედმეტი ადამიანები სულ სხვა ყაიდის ადამიანებია, ისინი ახლა ცხოვრების დვრიტას როდი წარმოადგენენ, არამედ მართლაც ზედმეტი ბარგნი არიან და სოციალურ მძორად ქცეულან. ისეთ მძორად ქცეულან, რომ სიცოცხლეს ხრწნილების სუნით წამლავენ. ამ მძორის ცხოვრებიდან გატანისა და ისტორიის სანაგვეზე გადაგდების საჭიროებას ყველა გრძნობს, მაგრამ ეს მძორი ჯერჯერობით მაინც ვერ გაუტანიათ.

ამ საჭიროებას ჩეხოვი მტკივნეულად განიცდიდა.

1902 წელს ანტონ პავლოვიჩი დიდ მსახიობ ქალს, ვერა ფეოდოროვნა კომისარჟევსკაიას, მოსკოვში ესტუმრა.

— რამე ხომ არ დაგიწერიათ თეატრისთვის? — ჰკითხა მასპინძელმა.

— კი, ვწერ... — უხერხულად თქვა ანტონ პავლოვიჩმა და ოდნავ გაიღიმა. — ვწერ არა იმას, რაც უნდა ვწერო... არა იმას, რისი დაწერაც მინდა... როგორღაც მოსაწყენი გამოდის... ის არ არის, რაც საჭიროა...

— მაშ რაა საჭირო? — ეკითხება მას მასპინძელი.

— სულ სხვა რამეა საჭირო... გარწმუნებთ... — თქვა დაჯერებით ანტონ პავლოვიჩმა. — აქ, მოსკოვში, საერთოდ, სატახტო ქალაქში, შესამჩნევი ისე არ არის. ჩვენში, სამხრეთში, ზვირთი მძლავრად სცემს, ხალხში დიდი დუღილია... ამას წინათ ლევ ნიკოლაევიჩთან მქონდა საუბარი... ისიც ამასვე ამჩნევს... ტოლსტოი გამჭრიახი მოხუცია... მთელი რუსეთი სკასავით ზუზუნებს... აი, ნახავთ, ორ-სამ წელიწადში რა მოხდება... რუსეთს ვერ იცნობთ...

ჩეხოვი გრძნობდა, კარგად ხედავდა, რომ ცხოვრების ახალი მეპატრონენი

მოდიოდნენ, გრძნობდა, რომ ამიერიდან მას სულ სხვანაირად უნდა ეწერა, მაგრამ როგორ უნდა ეწერა, ჯერ კიდევ კარგად არ იცოდა.

ათეული წლების მანძილზე იხრჩობოდა, სუნთქვა ეხუთებოდა მას რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილთან ერთად თვითმპყრობელურ-პოლიციურ ჭაობში, მაგრამ აქამდე გამოსავალს ვერ ხედავდა. ახლა სიომ დაჰბერა და ამ მყაყე ჭაობს დიდი სახალხო მოძრაობის ზღვა წალეკვით ემუქრებოდა, გორკის გრიგალა მას წინ ყიჟინით მოუძღოდა. ამ ამობოქრებული ზღვის ტალღების ხმაურს ჩეხოვი ყურს უგდებდა და მის მოახლოვებას მოუთმენლად ელოდა. მაგრამ ჯანმა სწორედ აქ უღალატა. ჩეხოვი 1904 წელს გარდაიცვალა. იმ რევოლუციის წინა დღეს გარდაიცვალა, რომელსაც ლენინმა ოქტომბრის დიდი რევოლუციის გენერალური რეპეტიცია უწოდა. მაშინდელი ყოფა-ცხოვრების ამსახველი დიდი მწერალი და დრამატურგი, ჩეხოვი ამ დიდებულ რეპეტიციას, სამწუხაროდ, ვეღარ დაესწრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგალი თოდუა

დიდი ყაზახი პოეტი აბაი

★

შესრულდა 50 წელი დიდი ყაზახი პოეტისა და განმანათლებლის აბაი ყუნანბაევის გარდაცვალებიდან.

განუზომელია აბაის, როგორც პოეტისა და განმანათლებლის, დიდი ჰუმანისტისა და პატრიოტის, ორატორისა და კომპოზიტორის როლი ყაზახი ხალხის კულტურის ისტორიაში. თავისი პირადი ცხოვრებით, დიდი პოეტური ნიჭით, შემოქმედების თავისებურებითა და მიზნებით აბაის ღირსეული ადგილი უჭირავს მისი დიდი თანამედროვეების — აზერბაიჯანელი მწერლისა და განმანათლებლის მირზა ფატალი ახუნდოვის, ტაჯიკი პოეტისა და მეცნიერის აჰმედ დონიშისა და უზბეკი პოეტი-სატირიკოსის მუკიმის გვერდით.

აბაი (იბრაჰიმ) ყუნანბაევი დაიბადა 1845 წ. 10 აგვისტოს სტეპში, რომელიც ჩინგიზ-თაუს რაიონს ეკუთვნოდა და სემიპალატინსკის ოლქში შედიოდა. მეტად მძიმე და თავისებურ ხანაში მოუხდა აბაის ცხოვრება და მოღვაწეობა. აბაის დროს თითქმის მთელი ყაზახეთი ნომადურ ცხოვრებას ეწეოდა. მეურნეობის ძირითადი დარგი, მეცხოველეობა, მომთაბარულ ცხოვრებას მოითხოვდა. მთელი ყაზახეთი დაქუცმაცებული იყო გვარებად, რომლებსაც გაეჩნდათ თავიანთი ტერიტორია საკუთარი საძოვრებით. გვარები ჯგუფურად მომთაბარეობდნენ. აბაის დროს გვარებს შორის უფრო მწვავდება ბრძოლა კარგი საძოვრებისთვის. იალაღებისთვის ბრძოლა ხშირად ისეთ სერიოზულ ხასიათს ღებულობდა, რომ იგი შეიარაღებული შეტაკებებითა და სისხლისღვრით თავდებოდა.

აბაის გვარი ტობიყტი ერთ-ერთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო მთელს სტეპში. განსაკუთრებით აღზევდა იგი სწორედ აბაის დროს, როცა ამ გვარს თვითონ აბაის მამა ყუნანბაი მოექცა სათავეში. იგი სულ მოკლე ხანში მთელი ჩინგიზის სანახებს დაეპატრონა და მალე სულთანის თანამდებობასაც კი მიაღწია.

აბაის დედა ულჟანი, რომელიც ცნობილ გვარს ეკუთვნოდა, ყუნანბაის მეორე ცოლი იყო. ულჟანი ადრევე ამჩნევდა პატარა აბაის განსაკუთრებულ ნიჭსა და ფაქიზ ბუნებას. დედა მას სხვა შვილებში არჩევდა და საგანგებოდ უვლიდა. კეთილშობილმა და სათნო დედამ დიდი გავლენა იქონია შვილზე. აბაი გაურბოდა თავის ცრისხანე მამას და დედის აულში ეძიებდა სითბოსა და სიყვარულს. დედა ულჟანი და ბებია ზერე ყუნანბაის არ თანაუგრძნობდნენ მის მრუდ საქმეებში და პატარა აბაის ამიტომაც უფრო განსაკუთრებით უყვარდა ისინი. დედის მიერ შერქმეული საალერსო სახელი აბაი დიდმა მწერალმა ნამდვილ სახელად მიიჩნია და იგი სამუდამოდ დაუკავშირა ყაზახი ხალხის ისტორიას.

9 წლამდე აბაი თავის აულში იზრდებოდა, აქვე ასწავლეს მას წერა-კითხვა. გამჭრიახმა ყუნანბაიმ კარგად იცოდა, რომ დიდი სიმდიდრე, რომელსაც იგი ფლობდა, ენერგიულსა და ჭკვიან მემკვიდრეს მოითხოვდა. სემიპალატინსკის ბიუროკრატიულ წრეებთან დაახლოებული ყუნანბაი იმასაც კარგად ხედავდა, რომ მისი მემკვიდრეებისთვის ერთგვარი განათლების მიღება უსათუოდ საჭირო იყო. განათლებული შვილი უფრო ახლო იდგომებოდა მეფის ხელისუფლებასთან, რომელიც, როგორც ყუნანბაი ატყობდა, დღეს თუ ხვალ უფრო მაგრად მოიკიდებდა ფეხს სტეპში. მხოლოდ ასეთი ანგარიში ამოძრავებდა ყუნანბაის, აბაი სემიპალატინსკის მედრესეში რომ გაგზავნა სასწავლებლად: 9 წლის აბაიმ დატოვა მშობლიური აული, სტეპი და იძულებული გახდა ქალაქად, ისიც მედრესეში ცხოვრებას შეჩვეოდა.

ამ დროის სემიპალატინსკი, რუსეთის ერთ-ერთი მივარდნილი საოლქო ცენტრი, მეტად ჭრელი ქალაქი იყო. ერთდროულად ის რუსულსა და აღმოსავლურ იერს ატარებდა. ქალაქში ცხოვრობდნენ ყაზახები, თათრები, რუსები. არსებობდა რუსული სკოლა და აღმოსავლური ყაიდის მედრესე — შუასაუკუნეების აღმოსავლეთიდან ტრადიციულად შემორჩენილი სასულიერო სასწავლებელი. თუ როგორ იდგა ასეთ მედრესეებში სწავლების საქმე, ჩანს იქიდანაც, რომ, როგორც ამას დიდი ტაჯიკი მწერალი და მეცნიერი სადრიდდინ აინიც აღნიშნავს, სკოლა ექვემდებარებოდა კანონად ქცეულ აღმოსავლურ ანდაზას — „ისწავლე, მაგრამ ნუ წაიკითხავ“. მუსლიმანური ფანატიზმითა და შარიათით შემყრობილი აღმოსავლური ოფიციალური განათლება ძირითადად მხოლოდ ყურანის გაზეპირებას, ლოცვებისა და რიტუალური წესების დაუფლებას მოითხოვდა. სწავლას მოწყურებული შეგირდები იძულებულნი იყვნენ ნამდვილი ცოდნა დამოუკიდებლად შეეძინათ. იქნებ ამითაც აიხსნებოდეს ის, რომ აბაი ერთხანს მედრესედან რუსულ სკოლაში გარ-

ბოდა. მედრესეში აბაის ასწავლიდა ვინმე იმამი აჰმეტ-რიზა, ყუნანბაის ერთ-ერთი ქალაქელი მეგობარი და პროტექტორი. მედრესეები კლასიკოსთა შემოქმედებას პროგრამით არ გადიოდნენ და სხოლოდ აბაის ბეჯითობასა და ნიჭს უნდა მიეწეროს ის, რომ ხუთი წლის განმავლობაში, ე. ი. მედრესეში ყოფნის წლებში, მან მოასწრო სპარსულ-ტაჯიკური და უზბეკური ლიტერატურის გაცნობა. აბაიმ ისწავლა არაბული, სპარსული და ჩაღათაური (ძველი უზბეკური) ენები და ორიგინალში წაიკითხა ფირდოუსი, ავიცენა, ნიზამი, საადი, ნავოი, ბაბური, ფიზული.

დიდი ცოდნის შეძენას ყუნანბაი შვილისგან არ მოითხოვდა. ხუთი წელი სწავლა სავსებით საკმარისი იყო, რომ აბაი სტეპში განსწავლულ კაცად მიეჩნიათ. აბაი აულში დაბრუნეს. თოთხმეტი წლის აბაის აქ ახალი სარბიელი მოელოდა — მას ყუნანბაის სკოლა უნდა გაევლო. მამას უნდოდა შვილი ახლოს ჰყოლოდა, ესწავლებინა მისთვის ის საქმე, რომელიც ზრდიდა იალაღებს და ამრავლებდა ჯოგს.

აბაის პირველი მეგობრები დედა ულჯანი, ბებია ზერე და ღატაკი ჯიგიტები არიან. აბაი ისევ უსმენს ზერეს ზღაპრებს, მაგრამ უკვე არა ძილის წინ და არა გართობის მიზნით. დედას და ბებიას, მთელს სტეპში ჭკუითა და სათნოებით განთქმულ ქალებს, ახლო ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდათ ცნობილ ყაზახ აკინებთან. აბაის თავის აულში უნახავს პირველად ეს მოხეტიალე აკინები. აკინებმა დიდი გავლენა იქონიეს აბაიზე: მისი სათაყვანებელი აკინებიც კი ბაების ძალადობასა და უსამართლობას აუგად იხსენიებდნენ.

სემიპალატინსკში მეტი გავლენის მოპოვების მიზნით: ყუნანბაიმ აბაი ადრევე დაწინდა გავლენიანი და მდიდარი მოქალაქე ყაზახის ალშინბაის შვილიშვილზე. ალშინბაი ყუნანბაის მასპინძელი და მფარველი იყო სემიპალატინსკში. მას, როგორც მდიდარსა და გავლენიან ყაზახს, მეფის მოხელეები პატივს სცემდნენ და დიდ ანგარიშს უწევდნენ. აბაისთვის მისი ქორწილი არავის უკითხავს, ყუნანბაიმ დიდი ფეშქეში გაუგზავნა ალიშბაის და 16 წლის აბაის ზღაპრული ქორწილი გადაუხადა.

ყუნანბაის ოთხი ცოლი ჰყავდა და აბაის დედის აულში ათასში ერთხელ თუ გამოიცლიდა. აბაი იძულებული გახდა გაძღოლოდა ულჯანის აულს და ოჯახის მთელი სიმძიმე ეტვირთა. მეტად მძიმე იყო აბაისთვის ეს ტვირთი ორი მიზეზის გამო: სწორედ ამ დროს აბაი იყო შემოქმედებით სიმწიფეში, ცოდნის შეძენა და აკინობაში დაოსტატება დიდი დაბრკოლებების გადალახვას მოითხოვდა მაშინდელ პირობებში. ესეც არ იყოს, აბაის, როგორც ოჯახის უფროსისა და ჯიგიტის მიზნები და საქმიანობა აშკარად ეწინააღმდეგებოდა საკუთარი მამის გეგმებს. მამის ყურამდე მიდიოდა ხმები, რომ აბაი მფარველობდა და დახმარებას უწევდა ყუნანბაის მტრებს, მეგობრობდა კიდეეაც მათ. ყუნანბაიმ აგრძნობინა აბაისა, რომ იგი კმაყოფილი არ იყო შვილის საქციელით. აბაის ბოდიში არ მოუხდია მკაცრი მამის წინაშე. იწყებოდა განხეთქილება მამა-შვილს შორის.

მდიდარ ყაზახთა წრეებში აკინებს პატივს არ სცემდნენ. ამის მიზეზი ალბათ აკინური პოეზიის ხასიათია, მათში გაკიცხულია მდიდარი ბაები. „მადლობა ღმერთს, ჩვენს გვარში არც ბაკსი გვირევია და არც აკინიო", — გაიგონებდით ერთგვარ ასეთ თავისმართლებას თუ თავის „ქებას" ბაების წრეში. ყუნანბაის თვალში არ მოსდიოდა მისი შვილი იმიტომაც, რომ იგი ლექსებისა და სიმღერების შეგროვებაზე უფრო მეტს ზრუნავდა, ვიდრე ჯოგის გამრავლებაზე.

მოხუცმა ყუნანბაიმ ერთ დღეს თავის აულში დაიბარა აბაი და მისი ადგილი, მამასახლისობა, შესთავაზა. აბაიმ ცივი უარი უთხრა ყუნანბაის. უკანასკნელმა მამასახლისობა თავის მეორე ვაჟს თექეანს გადაულოცა და აბაიზე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი.

ამ დროისათვის აბაი თავგამოდებით მუშაობს საკუთარ თავზე. იახლოვებს და იმეგობრებს აკინებს, ხმას იწაფავს მათთან, ღრმად და საფუძვლიანად სწავლობს აღმოსავლურ ლიტერატურასა და ყაზახურ ფოლკლორს. ყუნანბაის მიერ შევიწროებულ ღარიბ ყაზახთა გამოსარჩლება აბაის იძულებულს ხდიდა ხშირად ევლო სემიპალატინსკში. აქ მოკალათებული ჩინოვნიკები უკვე იცნობდნენ აბაის, როგორც ღარიბთა მოსარჩლესა და თანამგრძნობს და საეჭვო პირად მიაჩნდათ იგი. აბაის, როგორც შეუპოვარი ჯიგიტის, სამართლიანი ბაის, ხალხის მასწავლებლისა და ორატორის სახელი უკვე მთელს ოლქს ეკერა პირზე. მასთან გარბოდნენ შევიწროებული ღარიბები და რჩევასა და დახმარებას თხოვდნენ.

სემიპალატინსკში, როგორც რუსეთის იმპერიის შორეულსა და მივარდნილ ქალაქში, მეფის მთავრობა პოლიტიკურად არასაიმედო პირებს ასახლებდა. აბაის დროს აქ გადმოსახლებული იყო ჩერნიშევსკის მოწაფე, ცნობილი რუსი რევოლუციონერი მიხაელისი, დოლგოპოლოვი, გროსსი, ლეონტიევი და სხვ. ზოგ მათგანს ჩინოვნიკის ადგილიც კი ეპირა ქალაქის ბიუროკრატიულ კანცელარიაში პოლიციის ფრთხილი მეთვალყურეობის ქვეშ. ღარიბი და შევიწროებული ყაზახების საქმეების მოსაგვარებლად წარამარა სემიპალატინსკში სიარულის წყალობით აბაი დაუახლოვდა და დაუმეგობრდა მიხაელისს. „მიხაელისი წარმოადგენდა მეტად დიდ პიროვნებას. ის იყო დიდი და დაუცხრომელი ჭკუა, შეუპოვრად მომუშავე მეცნიერების დარგში... რუსული საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზროვნებისა და თვითშეგნების განვითარების საქმეში მიხაელისმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშაო", — ახასიათებს მიხაელისს ერთ-ეთრი მისი თანამედროვე.

ამ დროიდან აბაი იწყებს, უფრო სწორად,

ანახლებს რუსული ენის შესწავლას. სულ ცოტა ხანში აბაიმ პუშკინი წაიკითხა. ამ პერიოდს აბაი ერთ-ერთ ბედნიერ ხანად თვლიდა თავის ცხოვრებაში. აბაი დარწმუნდა, რომ თანამოაზრე მას მარტო ლატაკ ყაზახებში როდი ჰყოლია, დიდი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაც თურმე იმისთვის იბრძვის, რისთვისაც აბაი და მისი მეზობლები იბრძვიან. მიხაელისი აბაის ამარაგებს რუსული პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით, ეხმარება მას როგორც ენის შესწავლაში, ისე მთელ რიგ სოციალური თუ პოლიტიკური საკითხების გარკვევაში. მიხაელისის რჩევითა და დახმარებით აბაი საფუძვლიანად გაეცნო პუშკინს, ლერმონტოვს, კრილოვს, ტოლსტოის, ნეკრასოვს, გოგოლს, შჩედრინს, ტურგენევს, დოსტოევსკის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს. „მიხაელისმა თვალები ამიხილა მეო“, — ხშირად იტყოდა ხოლმე აბაი. რუსულმა ლიტერატურამ დიდი გავლენა იქონია აბაის შემოქმედებაზე. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ამ დროს, 1886 წ. უკვე ორმოცი წლის ვაჟკაცი აბაი ხელახლა უბრუნდება პოეზიას, წერს თავის ერთ-ერთ შედევრს „ზაფხულს“ და პირველად აწერს მას ხელს.

როგორც პოეტმა და მოაზროვნემ, აბაიმ გაანალიზა მეტად რთული გზა, რომელმაც მდიდარი ყუნანბაის შვილი ყაზახი ხალხის დიდ განმანათლებლად და შუა აზიის ერთ-ერთ თვალსაჩინო პოეტად აქცია. აბაი თავიდანვე ამჩნევდა სოციალურ უკუღმართობას მის ირგვლივ. იგი საკუთარი თვალით ხედავდა იმ ზომ-ქანცველსა და გაუთავებელ კინკლაობას, რომელიც გვარებს შორის არსებობდა. აბაიმ კარგად იცოდა, რომ ეს ბრძოლები ხშირად შარიათის სამოსელში იყო გახვეული, მაგრამ სინამდვილეში იგი საძოვრებისა და ჯოგის გამრავლების მიზნით წარმოებდა. ახალგაზრდა აბაის ადრე ეგონა, რომ ამ წინააღმდეგობათა მოგვარება გვარების უხიაგი და გაქნილი მეთაურების გადარჩევითა და გვართა ურთიერთგაგებით შეიძლებოდა. მაგრამ აბაი მალე დარწმუნდა, რომ არა თუ გვარებს შორის, არამედ თვით ერთი გვარის ერთ აულშიაც კი არ არსებობდა ერთიანობა. ერთი მდიდარი იყო, მეორე ღარიბი. მაგრამ აბაიმ ვერც აქ გამოიტანა სწორი დასკვნა. იგი აქაც შესაძლებლად თვლიდა ურთიერთგაგებას, მხოლოდ ისევ და ისევ სამართლიან მეთაურს მოითხოვდა. რა თქმა უნდა, აბაი ამ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. მაშინ, როდესაც მას ყუნანბაიმ მამასახლისობა შესთავაზა, როგორც ჩანს, აბაი ამ თვალსაზრისზე უკვე არ იდგა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აბაის ხშირად უხდებოდა სემიპალატინსკის მმართველ წრეებში საქმეების მოგვარება. ოლქის მმართველ აპარატურაში ზოგი განათლებული და დემოკრატი რუსი მოხელის ჰუმანურმა მოპყრობამ, საქმისადმი მათმა ობიექტურმა მიდგომამ, განსაკუთრებით მისი რუსი მეგობრების საქმიანობამ ერთხანს აბაის განუმტკიცა რწმენა, რომ ამქვეყნიური უკუღმართობების მოგვარება ძირითადად განათლებულ ჩინოვნიკებზეა დამოკიდებული. მაგრამ აბაი მალე დარწმუნდა, რომ [illegible] საქმეს, რადგან „თეთრი ყვავიც ყვავია“. აბაი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამქვეყნად არსებობს ორი კატეგორიის ფენა, ორი კლასი, მდიდრები და ღარიბები, არსებობს ორი სულისკვეთება და მათი გაიგივება შეუძლებელია, ვინაიდან შეუძლებელია ამ ორი კლასის შერიგება.

როგორც აღვნიშნეთ, აბაი ამ დროისათვის უკვე მთელს სტეპში ცნობილი იყო როგორც ღარიბთა მოსარჩლე, გონებამახვილი ყაზახი და მგზნებარე ორატორი, როგორც აფორიზმების ავტორი. ახლა კი აბაი დაუბრუნდა პოეზიას, და სულ მალე მთელს ყაზახეთში თითით საჩვენებელი აკინი ხდება. აქვს თავისი მიზეზები აბაის, როგორც პოეტის, ასეთ უჩვეულო წარმატებას. ეს მიზეზები აბაის შემოქმედების თავისებურებებშია.

მრავალწახნაგოვანია აბაის, როგორც მწერლის, შემოქმედება, მეტად მდიდარია იგი თავისი ფორმით და შინაარსით.

ლექსების წერა აბაის ბავშვობაში უნდა დაეწყო, მედრესეში სწავლის დროს მომავალ პოეტს უწერია ლექსები სპარსულ ენაზე ტაჯიკურ-სპარსული ლიტერატურის გავლენით. რა თქმა უნდა, ეს ლექსები პირველი ვარჯიშობა, პოეტური ხმის ერთგვარი გასინჯვა იყო. ამ ლექსებში მომავალი პოეტი მიმართავს აღმოსავლური ლიტერატურის კლასიკოსებს, მათგან შემოწმებასა და კურთხევას მოითხოვს. ზოგი მათგანი სამიჯნურო ხასიათის უნდა ყოფილიყო, აღმოსავლური და კერძოდ ჰაფიზის პოეზიის გავლენით დაწერილი. პოეტი წინამორბედი აბაის არ ჰყოლია. აბაიმდე ყაზახი ხალხის სულიერი კულტურა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყაზახეთი ამ დროს მეფის რუსეთის ძლიერებას შეფარებული ერთ-ერთი სოციალურად ჩამორჩენილი და პოლიტიკურად უფლებაყრილი ქვეყანა იყო. თუ როგორი ყურადღება ექცეოდა ყაზახ ხალხსა და მის ეროვნულ კულტურას, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მას დიდ ოქტომბრამდე არ ჰქონია თავისი დამწერლობა. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება: თვით აბაის დროსაც კი ყაზახი ხალხი, როგორც ეთნოგრაფიული ერთეული, უგულვებელყოფილი იყო, მეფის რუსეთი ყაზახებს ყირგიზებისაგან ვერ არჩევდა ან არ არჩევდა. თვით აბაის მეგობარი ლეონტიევიც კი უკვე ჭარმაგ აბაის იხსენიებს, როგორც ყირგიზს. აბაის, როგორც მოქალაქეს, ყაზახი ხალხის მეტად დუხჭირ ხანაში მოუხდა ცხოვრება, ხოლო როგორც პოეტმა, მან მემკვიდრეობით მეტად მდიდარი ხალხური შემოქმედება მიიღო. როგორც ერთმა, ისე მეორემ განსაზღვრა აბაის შემოქმედების ხასიათი. პირველმა აბაის პოეზიას მისცა ღრმა შინაარსი, ხოლო მეორემ დახვეწილი პოეტური ფორმა. აბაი პოეზიას ხალხის სამსახურში აყე-

ნებდა. პოეტი, აბაის აზრით, ხალხის სულისკვეთებას უნდა გამოხატავდეს, მის ნაღველს უნდა გადმოგვცემდეს, მის სიხარულს უნდა გვაგრძნობინებდეს. აბაი ჭეშმარიტად რეალისტი მწერალი იყო და მისთვის, რა თქმა უნდა, უცხო იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის". ჭირსა და ლხინში თავის ხალხთან უნდა იდგნენ ისინი, — მოითხოვდა აბაი. ცნობილია, რომ აბაიმ თავიდან მოიშორა და შეიჯავრა მისი მოწაფე, პოეტი ყოყოფაი, ვინაიდან უკანასკნელმა თავისი დომბრა მთლიანად მდიდრების ქეიფებსა და ლხენას შესწირა. შემონახულია ორი ლექსი, სადაც აბაი კიცხავს ყოყოფაის: „ცრუპენტელავ, ვერ გიტანს შენო", — მიმართავს მას აბაი. ისე როგორც ილიამ და აკაკიმ, აბაიმ პოეტის დანიშნულებას საგანგებო ლექსი მიუძღვნა. საგულისხმოა ის, რომ აბაის აზრი პოეტის მოვალეობაზე ემთხვევა ილიას შეხედულებას. „მე ხალხის მსახურად ვარ გაჩენილი და არა ბაების გასართობადო", — აცხადებს აბაი ამ ლექსში. ბუნებრივია, აბაი განსაკუთრებულ ყურადღებას მხატვრული ნაწარმოების იდეურობას აქცევდა, მის აზრს უფრო მეტ როლს ანიჭებდა, ვიდრე ფორმას. „სახელი კი არა, აზრი დაიხსოვრე იმისა, ვინც ეს დაწერაო", — უყვარდა თქმა აბაის. თვითონ აბაიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და დიდი პოეტური შემოქმედება მისი ხალხის სამსხვერპლოზე მიიტანა.

აბაის მთელ შემოქმედებას სოციალური მოტივი უდევს სარჩულად. მისი ინტენსიური პოეტური მოღვაწეობა სულ ოც წელს გაგრძელდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე აბაიმ მოასწრო თავისი სოციალური შეხედულებანი, კეთილისა და ბოროტის ყრუ და ზოგადი საკითხი უფრო გაეღრმავებინა და მეტად მძაფრ პოლიტიკურ საკითხად მიეჩნია. მისი აზრით საზოგადოების როგორც ფორმის, ისე შინაარსის შესაცვლელად საჭიროა საყოველთაო განათლება და, მეორე, აქედან გამომდინარე, რომელიმე მოწინავე და დიდ ერთან, კერძოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება. როგორც ვხედავთ, აბაის აღმოაჩნდა დიდი გამჭრიახობა, როდესაც თავისი ხალხის ბედი დიდ რევოლუციურ ერს, რუს ხალხს დაუკავშირა. ამ მიზნით და ამ გზაზე აბაი თავს ესხმოდა როგორც მეფის რუსეთის ბიუროკრატიზმს, ისე ყაზახურ ნახევრად გვაროვნულ, ნახევრად ფეოდალურ სახელმწიფოებრივ სისტემას. ჩინოვნიკებს, ხოჯებს, ბაებს, მოლებს, მამასახლისებს აბაი ახლა უკვე ებრძვის არა როგორც თითო-ოროლა გაიძვერებს და პარაზიტებს, არამედ როგორც სოციალურ ინსტიტუტს, როგორც კლასს.

მეფის ოხრანკას მხედველობიდან არ გამორჩენია აბაი. პოლიცია მეთვალყურეობდა და აპატიმრებდა მას. მის მიმდევრებსა და თანამებრძოლებს სდევნიდნენ, აციმბირებდნენ. თვითონ ხან აბაის უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა ხტეპში და მეფის ხელისუფლებაც უფრო მეტი ზომების მიღებას თვითონ აბაის მიმართ ვერ ბედავდა.

აბაი კარგად ხედავდა, რომ ისლამი მდიდრთა კლასობრივი იარაღი იყო, ყაზახეთში მას თვით ცარიზმის ბიუროკრატიაც კი იყენებდა. როგორც ერთს, ისე მეორეს ეხმარებოდა მუსლიმანური რელიგია თავისი შარიათითა და ფანატიკური დოგმებით, ხელს უწყობდა მათ — სიბნელესა და უმეცრებაში ჰყოლოდათ დაბეჩავებული ხალხი. აბაის არც რელიგიისთვის დაუკლია ხელი. ერთ იგავში რელიგია პოეტმა შეადარა სვავს, რომლითაც ნადირობენ. მუსლიმანურ აღმოსავლეთში ისლამის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე დიდ დანაშაულად ითვლებოდა, მას თავისებური ინკვიზიციით პასუხობდნენ. თვითონ აბაი ყოფილა მოწმე ბევრი ასეთი უმართებულო ანგარიშსწორებისა, რომელსაც მისი მამა ყუნანბაი აწარმოებდა ისლამის სახელით. პოეტი არ მოერიდა რელიგიის მესვეურებს: ხოჯებს, მოლებს, ჰაჯუებს და გესლიანი სატირით გაუსწორდა მათ.

ებრძოდა რა ისლამს, როგორც გაბატონებული კლასის მტკიცე დასაყრდენსა და ერთგულ მსახურს, აბაი აბათილებდა მის დოგმებს, მის კანონთა კოდექსს—შარიათს. აქ აბაი ბარიათის სახით ებრძვის ფეოდალური აღმოსავლეთის გადმონაშთებს, საზოგადოებაში ქალის როლის უგულვებელყოფისა და მისი პიროვნების აბუჩად აგდების საეალალო ტრადიციას. აბაის მამას, ყუნანბაის, ოთხი ცოლი ჰყავდა. აბაი პოლიგამიის წინააღმდეგი იყო, რადგან რაყიფ ცოლებსა და მათ აულებს შორის მუდამ შუღლი და უკმაყოფილება სუფევდა. აბაი იბრძოდა თვით ტრადიციული მუსლიმანური ქორწინების წინააღმდეგაც. თვითონ მას არ ჰქონია ოჯახური ბედნიერება, რადგან იგი 16 წლისა დააქორწინეს ისეთ ადამიანთან, რომელიც მანამდე თვალითაც არ ენახა და, ბუნებრივია, რომელთანაც საერთო არა ჰქონია რა. აბაის დროს ყაზახებში იშვიათი როდი იყო ასაკობრივად შეუფერებელი ქორწინებაც. არა ერთი და ორი ლექსის თემა გამხდარა ეს აღმაშფოთებელი ადათი აბაის შემოქმედებაში. ერთ-ერთ ასეთ ლექსში აბაი კიცხავს და დასცინის მოხუცხანს, რომელმაც ახალგაზრდა ცოლი შეირთო. მოხუცმა ხანმა ცოლი ფარჩა-ატლასით შემოსა, იგი თვალმარგალიტით მორთო, ოქრო-ვერცხლში ჩასვა, მაგრამ მაინც ვერ მოინადირა მისი გული. „მე ჩერჩეტო მოხუცო, განა არ იცოდი, რომ ახალგაზრდობას ოქრო-ვერცხლით ვერ დაიბრუნებდიო", — მიმართავს პოეტი მოხუცხანს. აბაის აზრით ეს მოვლენა დიდი უბედურებაა იმიტომაც, რომ აქ უგულვებელყოფილი და შეურაცხყოფილია ადამიანის უსპეტაკესი გრძნობა — სიყვარული.

აბაი რეალისტი მწერალია. თავისი დროის ახლოაღმოსავლეთის ლიტერატურაში იგი შეიძლება ერთადერთი მწერალი იყოს, რომელ-

თანაც თითქმის ნულამდეა დაყვანილი აღმოსავლური პოეზიის შაბლონი, მიბაძვა და გადამღერება. აბაის შემოქმედებას ხალხის წიაღში უდგას ფესვები, იგი კვებავს და ახარებს მას, ამიტომაც, ბუნებრივია, აბაი მეტად ეროვნული პოეტიცაა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს აბაის ლექსებში, სადაც პოეტი საკუთარს ან თავისი ხალხის ცხოვრებასა და განცდებს აღწერს, მარტო ყაზახი ხალხის ვნებანი და მისწრაფებანი იყოს გადმოცემული. აბაი დიდია იმითაც, რომ მისი პოეზია ერთსა და მავე დროს ეროვნულიცაა და ზოგადკაცობრიულიც.

აბაის ბედმა არგუნა თავისი დაბეჩავებული და უფლებააყრილი ხალხის პირველი განათლებული მესაიდუმლე და ბაირახტარი ყოფილიყო და აბაი გრძნობდა ამას. იგი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მის ზოგ ღონისძიებებს, რომლებიც ათადან-ბაბადან მემკვიდრეობით მიღებულ ტრადიციებს რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა, ბუნებრივია, ერთბაშად ყველა როდი გაუგებდა და როდი დაუჭერდა მხარს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, აბაი სიკვდილამდე უჩიოდა იმას, რომ საბოლოოდ ყველა ვერ უგებდა მას. ამას აბაი მისი ხალხის ჩამორჩენით ხსნიდა და დიდ ყურადღებას აქცევდა ყაზახთა კულტურული დონის ამაღლების საქმეს, იგი განმანათლებლობას ანიჭებდა დიდ როლს. ბუნებრივია, უპირველესი განმანათლებელი თვითონ აბაი იყო. აბაის ასეთი მსოფლმხედველობით აიხსნება ის დიდაქტიკური ელემენტები თუ ტონი, რაც ასე შეიმჩნევა მის პოეზიაში. როგორც განათლებული და გამოცდილი მოქალაქე, აბაი თავისთავს ავალდებულებდა, როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში ბევრი რამ საყოველდღიურო და პრაქტიკული რჩევა-დარიგება მიეცა თავისი ხალხისთვის.

შრომა აბაის ადამიანის ღირსების საქმედ ნიაჩნდა. იგი, აბაის აზრით, ქმნის დოვლათს და აკეთილშობილებს ადამიანს, აყალიბებს მის ხასიათს და განსაზღვრავს მის მორალს. „სიმდიდრისა და ბედნიერების საფუძველი შრომაა“,— აცხადებს აბაი ერთ-ერთ ლექსში.

განსაკუთრებული ხმით უმღერა აბაიმ სიყვარულს. მის სამიჯნურო ლექსებში უკვე როდი იგრძნობა ის შაბლონი, რომელიც გვიანდელი ხანის სპარსულმა პოეზიამ დაამკვიდრა ახლო აღმოსავლეთში და რომლისაგანაც თვით აბაის წინამორბედი ყაზახი აკინებიც არ იყვნენ თავისუფალი.

მეტად საპატიო ადგილი უპირავს აბაის შემოქმედებაში დიდ რუს ხალხსა და მის მაღალ კულტურას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბაი თავისი ხალხის ბედს სამართლიანად უკავშირებდა რუს ხალხს. თვითონ აბაი რუსულ კულტურას ეზიარა. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი გავლენა იქონია ჩერნიშევსკიმ. აბაი, როგორც მწერალი, აღიზარდა მე-19 საუკუნის მოწინავე რუსული ლიტერატურის ტრადიციებზე. პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, გოგოლი, ნეკრასოვი, შჩედრინი, კრილოვი, დოსტოევსკი, ტურგენევი აბაის საყვარელი მწერლები და მასწავლებლები იყვნენ. [illegible] და რუსი ხალხი და პატივს სცემდა მას. იგი სწავლობდა და აფასებდა მოწინავე რუსულ აზროვნებას, მის მეცნიერებას. უკანასკნელს აბაი „საყაროს გასაღებს“ უწოდებდა. არაერთხელ გაულაშქრია აბაის იმათ წინააღმდეგ, რომლებიც რუსებში მხოლოდ მეფის ჩინოვნიკებს ხედავდნენ. ცუდებს კი ნუ უყურებთ რუსებისას, კარგი ნახეთ, იგი უფრო მეტიაო,—ასწავლიდა აბაი მათ. აბაი მოუწოდებდა ყაზახ ახალგაზრდობას მიეგებათ არა მექრთამე რუსი ჩინოვნიკებისთვის, არამედ რუსი ხალხის საუკეთესო შვილებისათვის — ტოლსტოისთვის, შჩედრინისთვის. ერთ თავის ლექსში, რომელიც აკაკის „აპელაციის მცოდნეს“ გვაგონებს, აბაი კიცხავს ახალგაზრდას, რომელსაც მიზნად ჩინ-მედლების შოვნა დაუსახავს.

იმ მიზნით, რომ თავისი ხალხი დიდ რუსულ კულტურას ეზიარებინა, აბაი შეუდგა რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციას — თარგმნა და გადმოაკეთა პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსები და პოემები, კრილოვის იგავ-არაკები. მათი აბაისეული თარგმანი დღემდე უბადლოა ყაზახურ ლიტერატურაში. 1887 წ. აბაიმ შექმნა სიმღერა „ტატიანას სიმღერა“ „ევგენი ონეგინის“ თემაზე. ეს სიმღერა დღემდეა შემონახული ყაზახ ხალხში, როგორც მისი მუსიკის ერთ-ერთი შედევრი. რუსული ენის საშუალებით აბაი გაეცნო დასავლეთ ევროპასა და მის კულტურას. რუსულის მეშვეობით აბაი თარგმნიდა გოეთესა და ბაირონს. თავისი შვილები დიდმა პოეტმა რუსულ სკოლაში მიაბარა. საგულისხმოა ისიც, რომ რუსულ სკოლაში ასწავლიდა აბაი თავის ქალიშვილს — გულ-ბადანს. „ბავშვი სკოლაში მივაბარე, რათა ისწავლოს და არა ჩინ-მედლები გაიკრასო“, — აღნიშნავს აბაი ერთ-ერთ ლექსში.

სამ ნაკადს არჩევენ აბაის შემოქმედებაში: ყაზახური ფოლკლორის, რუსული ლიტერატურისა და აღმოსავლური პოეზიის გავლენის ქვეშ. რა თქმა უნდა, ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს აბაის პოეზია ამ სამი ლიტერატურის ნაზავიდა იყოს და მეტი არაფერი. პირიქით, აბაის სიდიადე და თავისებურება იმაშია, რომ მან შეირგო ეს სამი ნაკადი და მოხდენილად შეუხამა იგი თავის დიდ ორიგინალურ ხმას. აბაი ჰგავს იმ დიდ მდინარეს, რომელმაც გზად ბევრი ნაკადული შეიერთა. მაგრამ ამით თავისი ხასიათი და სახელი მაინც არ დაუკარგავს და, რადგან იგი თავისთავად მეტად დიდი და თავისებურია, ეს ნაკადულები უკვე არც შეიმჩნევა მასში.

90-იანი წლებიდან აბაის ზოგ ლექსში იგრძნობა ერთგვარი ნაღველი და სიმძიმილი, თუმცა ჭებრძოლი სული აბაის სიკვდილამდე არ დაუ-

ეარგაგს. პოეტი ჩივის, რომ მას და მის ხალხს ავიწროებენ, გამოსავალი გზა კი ისევ და ისევ არა ჩანს, რომ ყველას არ ესმის მისი, რომ მას მეგობარი ვერ უპოვნია. ილია ჭავჭავაძის მსგავსად აბაი ნაღვლობს, რომ მის მამულში მან კაცი ვერ ნახა, გრძნობა ანდოს და ფიქრი მისი გაუზიაროს. იქნებ ინტერესს არ იყოს მოკლებული ისიც, რომ ილიასა და აბაის მესამე დიდი თანამედროვე უზბეკი პოეტი მუკიმიც ზუსტად ასე გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას თანამოსაგრის არყოლის გამო. თუ გავიხსენებთ ამ ერთნაირ ხანას და პირობებს, რაშიაც ამ სამი სხვადასხვა ხალხის საუკეთესო შვილებს უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა, აქ საოცარი არაფერია. თავისი სიცოცხლის მიწურულში აბაი წერს თავის შედეგრებს: „განა მეც არ უნდა მოვკვდე, მიწად არ უნდა ვიქცე?", „რა იქნა შენი ოცნებანი", „დღითიდღე იწურება სიცოცხლე" და სხვ., სადაც პოეტი ხშირად ახსენებს სიცოცხლეს, სიკვდილს, სიბერეს, ჯალგაზრდობას, გამოთქვამს გულის ნაღველსა და უკმაყოფილებას. მაგრამ აბაი ხალხის მომავალს სკეპტიკურად არ უყურებს, ის მხოლოდ იმას ჩივის, რომ თვითონ ის ვერ გახდა ვერაფერს. აბაის ნაღველი ისევ და ისევ ბედნიერების ძიებისა და მომავლისაკენ ლტოლვის მოთხოვნაა.

„აჰ, ვერ ვხედავ ჩემთა საქმეთა ნაყოფსო", — ჩივის პოეტი და ამ ჩივილში ფარხმალის დაყრას კი არ მოითხოვს, არამედ ბრძოლის გაგრძელებას. სწორედ ამ ხანებში მეფის ხელისუფლება სდევნიდა და ავიწროებდა აბაის. მათგან მოსყიდული ვინმე ორაზბაი 1897 წ. თავს ესხმის აბაის, როგორც „თეთრი მეფის მტერს", „ხალხის ამჯანყებელს", „ძველი ადათ-წესების უდიერად დამრღვევს". აბაის მეგობრებს მიხაელისსა და დოლგოპოლოვს სემიპალატინსკიდან ასახლებენ. აბაის ისევ და ისევ უგზავნიან ჯაშუშებსა და მკვლელებს. მის წინააღმდეგ ათას ყალბ ცნობებს თითხნიან და ჭორებს თხზავენ. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ ემოქმედა აბაის განწყობაზე. „მე თქვენ წამართვით რაც გამაჩნდა. ახლა ამასაც არ ჯერდებით და გინდათ ოჯახი შემიგინოთ, ცოლი წამართვათ და შვილები დამიწიოკოთ. დამანებეთ თავი, ნუ მიშხამავთ ამ წუთისოფელს, მე ისედაც არა ვარ მითი კმაყოფილი", — მიმართავდა აბაი თავის მტრებს. ერთხანს, როგორც ჩანს, აბაის სამშობლოდან გარდახვეწაც კი უფიქრია. მაგრამ მაინც ვერ შელევია მას. „გამძვინვარებული მგლის ხროვა ნიყმუის მე. მათი ალაგმვა მე ვერ შეგძელი. აუტანელია ჩემი სამშობლო, მაგრამ რა ვქნა. მისგან გაქცევა ნე არ შემიძლია", — ჩივის პოეტი.

ცხოვლა სიკვდილამდე არ შეუწყვეტია აბაის. მთელი ყაზახეთის მოსარჩლე აბაი მაინც შოულობდა დროს თავისი ცოდნის გასაღრმავებლად. უკანასკნელ წლებში იგი ფილოსოფიურ ლიტერატურას ეტანებოდა. ამერიკელი ჟურნალისტი და მოგზაური ჯორჯ კენნანი თავის წიგნში გადმოგვცემს, რომ მისთვის სემიპალატინსკის საქალაქო ბიბლიოთეკის [illegible] ხშირ სტუმარს უთქვამს: „მე [illegible] ყირგიზს იბრაჰიმ ყუნანბაევს, რომელიც დადის ბიბლიოთეკაში და კითხულობს, ასე გასინჯეთ, ისეთ ავტორებსაც კი, როგორიცაა დრეპერი, ემილი... მე გავიგე, რომ იგი გულმოდგინედ სწავლობს ინგლისურ ფილოსოფიას და, რა თქმა უნდა, რუსულ თარგმანებში კითხულობს ამ ავტორებს... ერთხელ მე მთელი საღამო ვესაუბრებოდი მას დრეპერის „ევროპის გონებრივი განვითარების შესახებ" და აღმოჩნდა, რომ მას საგნებზე საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვსო". აბაის სათანადოდ შეუსწავლია სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, სპენსერი, ლუისი, დრეპერი.

აბაის დრომდე ყაზახური ლიტერატურა ჟანრებითა და ლექსის ფორმებით ღარიბი იყო. შემოქმედების თავისებურება აბაის მესაძლებლობას აძლევდა შეექმნა ზოგი ახალი ჟანრი და ლექსის ზოგი ახალი ფორმა. აბაი არის ყაზახურ ლიტერატურაში პოემის, მოთხრობისა და ნოველის პირველი ავტორი. აბაის კალამს ეკუთვნის სამი პოემა, მათ შორის ერთი ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ბევრჯერ გამოყენებულ თემაზეა გაშლილი. აბაის ეს პოემა მეტად თავისებური მოვლენაა არა მარტო ყაზახურ, არამედ საერთოდ აღმოსავლურ პოეზიაში. აბაიმ პირველმა დაარღვია აღმოსავლეთის ფართო წრეებსა და ლიტერატურაში მანამდე გაბატონებული ტრადიცია, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებლად სახავდა. აბაი კიცხავს მაკედონელს, როგორც დამპყრობელს და ხალხთა მშვიდობის დამრღვევს. „მშვიდობა ქვეყნის უმაღლესი ბედნიერებაა", — აცხადებს აბაი.

ზღაპრული პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა აბაი თავის ხალხში. მისი აული ყაზახი ხალხის კულტურის კერად იქცა. აქ თავს იყრიდნენ ყაზახეთის საუკეთესო შვილები, სწავლულები, პოეტები, დემოკრატიულად თუ რევოლუციურად განწყობილი პატრიოტები. აბაი მეთაურობდა მათ, რჩევას აძლევდა, არიგებდა. აბაის აულში თავს იყრიან და ერთმანეთს ხვდებიან ცნობილი ყაზახი აკინები: ბირჟანი, შორთანბაი, ყემპირბაი, ეუსუპბეგ შეიხულისლამი, მაშურ ეუსუპ-ყოპაევი, ნარმამბეტი, პოეტი ქალები: აჟარი, ყუანდიყი, სარა და სხვ. აბაის აულში კავკასიიდან, კერძოდ, დაღესტნიდანაც კი მოსულან. აბაის ყველა ლექსს ხალხი მღეროდა და მღერის დღესაც.

„უბადრუკია გული, რომელიც არ ღელავს", „საცოდავია სული, რომელიც არ იწვისო", — იტყოდა ხოლმე აბაი და ამ გულის ღელვასა და გულის წვაში თავისი ხალხის სადარაჯოზე მდგარ პოეტსა და განმანათლებელს არც გაუგია, ისე მოეპარა სიბერე. 1904 წ. აბაის მოუკვდა შვილი აბდრაჰმანი, პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებული,

ეტად განათლებული ახალგაზრდა. სულ მალე აბაის მეორე უბედურება დაატყდა თავს, მოუკვდა მეორე შვილი — მისი ნიჭიერი მოწაფე და პოეტი მაღავია. აბაიმ მხოლოდ ორმოცი დღე გაუძლო ამ მეორე უბედურებას, 1904 წ. 6 ივლისს აბაი გარდაიცვალა, დაბადებიდან 60 წლისა. დასაფლავებულია აბაი თავის ზამთრის საძოვარზე, ქიდებაის ველზე, ჩინგიზის შთების ახლოს.

* * *

განუზომელია აბაის როლი და მნიშვნელობა ყაზახი ხალხის კულტურის ისტორიაში. აბაი იყო დიდი ჰუმანისტი, პატრიოტი, პოეტი და განმანათლებელი. როგორი წინამორბედიც არ უნდა ჰყავდეს მას აკინების სახით, ყაზახური ლიტერატურის ფუძემდებელი და პირველი კლასიკოსი მაინც აბაია.

აბაი იყო ნიჭიერი კომპოზიტორიც. პოეტობა, აკინობა, აბაის დროს მოითხოვდა დიდ მუსიკალურ ნიჭს, სათანადო ვოკალურ მონაცემებს და ინსტრუმენტზე დაკვრის ოსტატობას. აბაის ეკუთვნის ოცამდე სიმღერა. ყველა ისინი აბაის სიცოცხლეშივე გადავიდა ხალხში. ყაზახეთში დღესაც პოპულარულია აბაის სიმღერები.

მთელს ყაზახეთში გავრცელებულია აბაის აფორიზმები. ისინი თავისი სიმართლითა და ორიგინალობით გვაოცებენ. მოგვაქვს ზოგი მათგანი: „ცუდი მეგობარი შენი ლანდია; მზიან დღეს, თუნდაც რომ გაექცე, თავიდან ვერ მოიშორებ, ღრუბლიან დღეს კი, ბევრიც ეძიო — ვერ იპოვნი“, „ის, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის შრომობს, საქონელს ჰგავს, ღირსეული კაცი მუდამ ხალხისთვის იღწვის“, „დიდება მალალი კლდეა, გველი მასზე მიცოცავს, ხოლო არწივი ძლიერი ფრთებით ეუფლება მას“.

აბაი ხშირად იტყოდა: მოვესწრები კია ჩემი ხალხის ბედნიერებასო? ამ ბედნიერებას თვითონ აბაი ვერ მოესწრო, მაგრამ [illegible] ლობა დიდ პოეტს სჯეროდა, [illegible] ბედნიერი ყაზახი ხალხი დიდ პატივს სცემს თავის დიდ პოეტსა და განმანათლებელს, თვალის ჩინივით უყვარს მის სახელს. მაგრამ აბაის უკვდავი შემოქმედება მარტო პატივისცემის საგანი როდია, იგი დღესაც ცხოველმყოფელია, იგი დღესაც შველის ყაზახ ხალხს ჭირსა და ლხინში, შრომასა და ბრძოლაში.

აბაის ცხოვრება და შემოქმედება თვითონ პოეტის სიცოცხლეშივე გახდა ლექსებისა და სიმღერების საგანი. საბჭოთა ხელისუფლების ხანაში აბაისადმი სიყვარული და ინტერესი უფრო გაძლიერდა, დიდი მუშაობა წარმოებს აბაის ცხოვრებისა და შემოქმედების უფრო ღრმად შესწავლისა და უფრო ფართოდ გავრცელებისათვის. აბაიზე დაწერილია ოპერა, პიესა, დადგმულია ფილმი. ცნობილმა ყაზახმა საბჭოთა მწერალმა და მეცნიერმა მუხთარ აუეზოვმა აბაის უძღვნა საბჭოთა მკითხველებში მეტად პოპულარული ორი რომანი — „აბაი“ და „აბაის გზა“.

ყაზახეთში დღესაც მღერიან აკინ ბირჟანსალის ლექსს აბაიზე:

„აბაი ვეფხვივით შეუპოვარია,
მტრებს იგი არ უდრკება.
იგი ჯიგიტთა გზის მაჩვენებელი
შუქურ-ვარსკვლავია.
შეხვდები კი ვინმეს მასზე უკეთესს?
მთელს ყაზახეთს ანცვიფრებს
მისი ოსტატობა და სამართლიანობა
....იგი ცოდნის ოკეანეს იტევდა,
მტარვალებს ვერ იტანდა იგი
და მუდამ ებრძოდა მათ“.

ეს ლექსი აბაის ეპიტაფიად გამოდგებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. თავაძე

ესთეტიკურისა და ეთიკურის ერთიანობის საკითხისათვის

★

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებები ხელოვნების შესახებ იმაზე მიუთითებენ, რომ ხელოვნებამ ასახოს „საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება მის შეუწყვეტელ განვითარებაში, ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო მხარეების შემდგომ განვითარებას", იყოს პოლიტიკის, „კულტურის, მოწინავე საბჭოთა იდეოლოგიისა და მორალის დამნერგავი" საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში.

ვ. ლენინი და ი. სტალინი ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. დიდ ლენინს არაერთხელ მიუთითებია მხატვრული ლიტერატურის დიდ მორალურ ისტორიულ მოძრაობასთან აუცილებელ კავშირზე. ტოლსტოის გენიალური მხატვრული მოღვაწეობის შეფასებასთან დაკავშირებით ის ამ პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ი. სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხელოვნებისა და მორალური აღზრდის ერთიანობის საკითხს გორკისადმი მიწერილ წერილში.

ესთეტიკურისა და ეთიკურის ერთიანობისა და ურთიერთობის საკითხი ნამდვილ, ჭეშმარიტ მეცნიერულ ნიადაგზე მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ დააყენა. პროლეტარიატამდე ვერც ერთმა კლასმა ვერ შეძლო თავის ფილოსოფიაში ამ საკითხის თანმიმდევარი და ჭეშმარიტი გადაწყვეტა.

მარქსამდელი ფილოსოფია ამ საკითხის გადაწყვეტის დროს (ისე როგორც ესთეტიკის სხვა ძირეული საკითხების გადაწყვეტისას) მცდარ იდეალისტურ პრინციპს ემყარებოდა. იგი მორალს სიკეთის თანდათანობით განხორციელებად თვლიდა. თვით სიკეთე კი მხოლოდ იდეად მიაჩნდა. ხელოვნების განვითარებაც ასე იყო გაგებული. ხელოვნების განვითარება მხოლოდ მშვენიერების იდეის განვითარების შედეგად იყო მიჩნეული. არც იდეალიზმი და არც მატერიალიზმი კითხვას არ სვამდა იმის შესახებ, თუ რა ობიექტური მატერიალური მამოძრავებელი ძალები იმალებიან სიკეთისა და მშვენიერების უკან.

ამ საკითხის გადაწყვეტის ცდის დროს პრინციპული ხასიათის ბევრი შეცდომა იყო დაშვებული მარქსამდელ ფილოსოფიაში. მარქსისტულ ფილოსოფიას ისტორიული დამსახურება მიუძღვის მისი მეცნიერული კვლევის საქმეში.

მარქსამდელმა ფილოსოფიამ ამ საკითხის კვლევის გრძელი და რთული გზა განვლო. მან აღნიშნული პრობლემის ხუთგვარი გადაწყვეტის ცდა იცის: ესაა ესთეტიკურისა და ეთიკურის მეტაფიზიკური ერთიანობის (პლატონი და სხვები), ეკლექტიკური ერთიანობის (ჰეგელი), ორგანული ერთიანობის (დიდი რუსი მატერიალისტები — ბელინსკი, ჩერნიშევსკი და სხვ.), ესთეტიკურისა და ეთიკურის მეტაფიზიკური გათიშვის (კანტი) და ესთეტიკურის ამორალურთან ერთიანობის (ნიცშე და სხვ.) თვალსაზრისები.

მარქსამდელ ფილოსოფიაში რეაქციული კლასების ინტერესების დამცველი ფილოსოფოსები, რომლებიც ესთეტიკურისა და ეთიკურის ერთიანობის პრინციპს იცავდნენ, ეთიკურის ცნების ქვეშ რეაქციული კლასების შეგნებულ და ნებაყოფლობითს მოქმედებას გულისხმობდნენ და არა რევოლუციურ და პროგრესულ მორალს, პროგრესულ და რევოლუციურ ეთიკურ მოქმედებას. ასეთია, მაგალითად, არისტოკრატიულ, რეაქციულ მონათმფლობელთა ინტერესების დამცველი ფილოსოფოსის — პლატონის თვალსაზრისი.

პლატონის პრინციპული შეცდომა იმაშია, რომ ის მხატვრულ ასახვას მხოლოდ ეთიკურით ფარგლავს. ნამდვილად კი ხელოვნება მხოლოდ მორალურის ასახვით არ კმაყოფილდება. პროგრესული და რევოლუციური მორალის განხორციელებით დაინტერესებული ხელოვნებაც კი არ იფარგლება მხოლოდ კეთილის გამოსახვით. ყოველ ჯანსაღი და ჭეშმარიტი ხელოვნება საზოგადოებაში სიკეთის დანერგვის მიზნით და ბოროტების უარყოფის თვალსაზრისით, ამორალურსაც ასახავდა. ასე იქცევა ჩვენი, საბჭოთა, სოციალისტური, ყველაზე იდეური და მორალური ხელოვნება. მწერალი ა. ფადეევი რომან „ახალგაზრდა გვარდიაში“ სოციალისტურ სამშობლოს თავდადებულ, პატრიოტ ახალგაზრდების კეთილ საქმეთა გვერდით, ესესელ პეტერ ფენბონგის საზიზღარ მოქმედებას გვიხატავს. პოეტი ი. აბაშიძე ლექსში „ბუხაიძე“ „სისხლის მსმელებს“, „გააფთრებულ, ყვითელ გველებს“ — ფაშისტებსაც ასახავს. მორალური აუცილებელ წინააღმდეგობაშია ამორალურთან და პირველის სიყვარული აუცილებლობით მოითხოვს მეორის ზიზღს.

მარქსამდელ ესთეტიკაში ამ საკითხის გადაჭრის მეორე სახესხვაობას ფორმალიზმი წარმოადგენს. ბურჟუაზიული რევოლუციით შეშინებული და რეაქციულ ფეოდალურ არისტოკრატიასთან კომპრომისის თვალსაზრისზე მდგომი კანტი ხელოვნების ფორმალისტურ თეორიას ქმნის. კანტის ფორმალისტური ხელოვნების თეორია ესთეტიკურს აბსოლუტურად წყვეტს ეთიკურისაგან. მშვენიერება, მისი გაგებით, მხოლოდ ფორმაა და მას ეთიკურთან საერთო არაფერი აქვს. „მშვენიერება, — ამბობს კანტი, — არის საგნის მიზანშეწონილების ფორმა, რომელიც მიზნის გარეშე აღიქმება“. მშვენიერება უმიზნო მიზანშეწონილებაა. „ყვავილი ტულიპი, — ამბობს ის, — მშვენიერია იმისათვის, რომ მის აღქმაში მის მიზანშეწონილებას არავითარ მიზანთან დამოკიდებულება არა აქვს“.

კანტისათვის ფორმა მხოლოდ ფორმაა და არა შინაარსის ფორმა. სინამდვილეში კი წმინდა ფორმის, მორალური თუ ამორალური შინაარსისაგან დაცლილი ხელოვნება არ არსებობს. დეკადენტურმა და თანამედროვე გახრწნილი ბურჟუაზიის გახრწნილმა ხელოვნებამაც კი არ იცის აბსოლუტურად უშინაარსო და უმიზნო ხელოვნება.

როდესაც ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში უშინაარსო, „ცარიელ უიდეო პოეზიაზეა“ ლაპარაკი, ნაგულისხმევია არა აბსოლუტური უშინაარსობა (რომელზედაც კანტის ფორმალისტური ესთეტიკა ლაპარაკობს), არამედ მუშათა კლასისათვის უსარგებლო და მავნე შინაარსი. დადგენილებაში ნათქვამია: ახმატოვას „ცარიელი უიდეო პოეზია“ გამსჭვალულია პესიმიზმითა და დაცემულობის სულით“ (იხ. დადგენილებანი, 1950 წ. რუსული გამოცემა, გვ. 4).

იმპერიალისტური ეპოქის ბურჟუაზიის ხელოვნების დეკადენტი თეორეტიკოსები კანტის ფორმალისტურ ესთეტიკას უკიდურესობამდე ავითარებენ.

კანტი ხელოვნებისა და მშვენიერების ავტონომიის პრინციპს აყენებდა და ამბობდა: „ხელოვნება ხელოვნებისათვის", „მშვენიერება მშვენიერებისათვის". იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგი, მუშათა კლასის დაუძინებელი და დაუზოგავი მტერი ფრიდრიხ ნიცშე ქადაგებდა: „ქვეყნის არსებობა შეიძლება გამართლებული იქნეს მხოლოდ როგორც ესთეტიკური ფენომენი... ადამიანი მეტაფიზიკური საქმიანობა ხელოვნებაა და არა მორალი... სიცოცხლე თავის არსებით ამორალურია"... „მორალი სიცოცხლის უარყოფაა". დეკადენტური ხელოვნების თეორიამ კანტის ფორმალისტური თვალსაზრისი უკიდურესობამდე მიიყვანა, მაგრამ შინაარსისაგან, მორალური ღირებულებისაგან მისი აბსოლუტური დაცლა ვერ შეძლო. ეს არც შეიძლება. ხელოვნებას ბაზისი იმიტომ წარმოშობს, რომ მას ემსახუროს, ხოლო ბაზისს რომ ემსახუროს, საჭიროა ხელოვნებას რაიმე ღირებულება, რაიმე შინაარსი და მნიშვნელობა ჰქონდეს. გახრწნილი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელოვნების შინაარსს ამორალიზმი წარმოადგენს. გამხეცებულ იმპერიალისტურ ბურჟუაზიასაც თავისი „მორალი" აქვს, ეს მორალი წინააღმდეგ კაცთმოყვარეობისა, არის კაცთმოძულეობის მორალი, ან, როგორც ი. სტალინი უწოდებს, „ცხოველების მორალი".

ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკაც პრინციპშივე ყალბია ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთობის გაგების საკითხში. ჰეგელის თანახმად, ხელოვნებას თავის ამოცანად აქვს ჭეშმარიტების გამოაშკარავება გრძნობიერ ფორმაში, მხატვრულ გაფორმებაში, მაგრამ მისივე თქმით, ხელოვნებას თავისი საბოლოო მიზანი თავის თავში, თვით გამოსახვაში აქვს. სხვა მიზნები, როგორიცაა, მაგალითად, ჭკუის სწავლება, განწმენდა, გამოსწორება ხელოვნების ცნებას არ განსაზღვრავენ.

ვერც მარქსამდელმა მატერიალიზმმა შეძლო ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთობის ჭეშმარიტი, თანმიმდევარი მეცნიერული გადაწყვეტა. მეტაფიზიკურ მატერიალიზმს, მე-17 და მე-18 საუკუნის ბურჟუაზიულ მატერიალიზმს, არ შეეძლო ამ პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა მცდარი მეთოდოლოგიური თვალსაზრისისა და არათანმიმდევარი მატერიალისტური თეორიის გამო. ლიუდვიგ ფოიერბახის ფილოსოფიის განსაზღვრულობაც ამაში მდგომარეობდა.

რაც შეეხება დიდ რუს მატერიალისტებს — ბელინსკის, გერცენს, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს—ისინი იცავდნენ ესთეტიკურისა და ეთიკურის ორგანული ერთიანობის პრინციპს და მათ, მსოფლიო ესთეტიკური აზროვნების წინაშე საზოგადოდ, კერძოდ ამ პრობლემის მეცნიერულ დამუშავებაში დიდი საქმე გააკეთეს, მაგრამ რამდენადაც ისინი ისტორიულ მატერიალიზმამდე ვერ ამაღლდნენ, ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთობის საკითხი მეცნიერულად ვერ დაასაბუთეს. ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთობის თანმიმდევრული მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ნიადაგზე.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია წინა პერიოდის ფილოსოფიის განვითარების შედეგია. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია გამოიყენებს და აითვისებს ყოველივე იმას, რაც ჯანსაღი და რაციონალური იყო წინა ეპოქების ფილოსოფიაში.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია თავისი ჭეშმარიტი დიალექტიკური ბუნებით მეცნიერულ ახსნას აძლევს მარქსამდე არსებულ ხელოვნების ყველა თეორიას და ყველა ეპოქის ხელოვნების ხასიათსა და მიზანდასახულობას. ის შორსაა მარქსამდელი ესთეტიკის მეტაფიზიკური განსაზღვრულობისაგან. ასე-

თი თვალსაზრისის შექმნის საშუალებას იძლევა ბოლომდე თანმიმდევრული მატერიალისტური თეორია და მატერიალისტური დიალექტიკა.

რაში მდგომარეობს ის დიდი რევოლუცია, რომელიც [illegible] ლენინურმა ფილოსოფიამ მოახდინა იდეოლოგიის გაგების სფეროში საზოგადოდ, კერძოდ კი ესთეტიკური აზროვნების დარგში? წინააღმდეგ მარქსამდელი ფილოსოფიისა, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას ხელოვნება და მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების ბაზისიდან გამოჰყავს და მათ ზედნაშენებად თვლის.

ბაზისი საზოგადოების ეკონომიკური წყობილებაა მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე. ზედნაშენი — საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, მორალური და სხვა შეხედულებანია მათი შესაბამისი დაწესებულებებით. ბაზისი ზედნაშენის წარმომშობი მიზეზიც არის და საზრუნავი მიზანიც. როგორია მარქსისტული ესთეტიკის თვალსაზრისი ამ საკითხზე? რას ეწოდება ესთეტიკური? რას ეწოდება ეთიკური მოქმედება?

ეთიკური ყოფა-ქცევა ადამიანის იმ შეგნებულ, ნებაყოფლობით, შინაგანი დარწმუნებით აღძრულ უანგარო მოქმედებას ეწოდება, რომელიც საზოგადოების, კლასის ან პიროვნების საკეთილდღეოდ არის გამიზნული. იურიდიულ ნორმას გარეგანი იძულების, ბრძანების ხასიათი აქვს. მორალურ ნორმას კი — ნებაყოფლობითი, შინაგანი დარწმუნებისა და შეგნების ხასიათი. იურიდიული ნორმების სანქცირებას და მბრძანებლურ ხასიათს სახელმწიფო ხელისუფლება განსაზღვრავს. მორალური ნორმები კი საზოგადოებრივ აზრსა და შინაგან დარწმუნებას ემყარება.

დიდი ლენინი მორალურ ყოფა-ქცევას საზოგადოების საკეთილდღეოდ გაწეულ უსასყიდლო, თავისუფალ, შეგნებულ, ნებაყოფლობით, ბრძანების გარეშე ჩატარებულ მოქმედებას უწოდებდა. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა მორალურ მოქმედებას, „ბრძანების“ გარეშე მოქმედებას, საზოგადოების საკეთილდღეოდ გაწეულს. ამასთან დაკავშირებით, ის თავის სიტყვაში რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 2 ოქტომბერს ამბობდა: „არ კმარა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძანოს...“, „საჭიროა, რათა თვით ახალმა თაობამ მოკიდოს ამ საქმეს (წერა-კითხვის ლიკვიდაციის საქმეს, — ა. თ.) ხელი“ (ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 357, 358).

მაღალი მორალი მთელი საზოგადოების ან კლასის კეთილდღეობას პირად კეთილდღეობაზე მაღლა აყენებს და საჭიროების შემთხვევაში მათთვის თავგანწირვას მოითხოვს.

როგორც ყოველი იდეოლოგია, მორალიც ვითარდება. კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში მორალიც კლასობრივია. პროლეტარიატის მორალი ყველა სხვა კლასის მორალურ შეგნებაზე მაღალია. კომუნისტური მორალი უმაღლესია და მის პრინციპს წარმოადგენს შეგნებული, ნებაყოფლობითი, უანგარო და თავდადებული ზრუნვა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ეთიკური ყოფა-ქცევა ადამიანის შეგნებაში პრინციპების, ნორმებისა და წესების სახით ჩამოყალიბდება და შემდგომი მორალური მოქმედების პრინციპებად, ნორმებად და წესებად იქცევა. მორალური პრინციპები და ნორმები საზოგადოების წინაშე მორალური მოვალეობის მოხდის პრინციპები და ნორმებია. მორალურ პრინციპებსა და ნორმებს კლასის მოწინავე ნაწილი მასის

შეგნებაში ნერგავს იმისათვის, რომ საზოგადოებაში მორალური მოქმედების საქმე უზრუნველყოს.

კომუნისტური მორალის პრინციპების, ნორმების, წესების შეგნება და შეთვისება, ამ პრინციპების თანახმად საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, აღზრდა ხდება მეცნიერული და მხატვრული შემეცნების გზით. ვ. ი. ლენინის შრომები „დიადი თაოსნობა" და „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები" მეცნიერულ ნაშრომებს წარმოადგენენ და მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით საბჭოთა ახალგაზრდობის, მორალურად აღზრდის საქმეში.

კომუნისტური მორალის პრინციპების, ნორმებისა და წესების შეგნებათვისებას და საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა ახალგაზრდობის მორალურად აღზრდის საქმეს განსაკუთრებული, სპეციფიკური წესით ხელოვნებაც ემსახურება.

კითხვა იბადება: რა არის ხელოვნება და რაში მდგომარეობს მისი სპეციფიკა მასების მორალურად აღზრდის საქმეში? რა მნიშვნელობა აქვს მორალს ხელოვნებისათვის და ხელოვნებას მორალისათვის?

ხელოვნება მხატვრული სახეებით აზროვნებაა, საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური ინტერესის საფუძველზეა წარმოშობილი და მას ემყარება. ხელოვნების ნააზრები თვალნათლივი, სურათოვანი და მხატვრულია. მხატვრული აზროვნების სპეციფიკურობა კი იმაშია, რომ ის სინამდვილის ფორმასა და შინაარსს, არსებასა და გამოვლენას, ზოგადსა და ინდივიდუალურს, მთელსა და ნაწილს, სარგებლიან და მოსაწონ მხარეებს ერთიანობაში, თანხმობაში, ჰარმონიულობაში ცოცხლად, სურათოვნად და თვალსაჩინოდ ასახავს.

ხელოვნება „მშვენიერების კანონების თანახმად" (მარქსი) ქვეყნების შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეს ემსახურება.

მორალსა და ხელოვნებას, როგორც აღნიშნული იყო, ერთი და იგივე წარმომშობი მიზეზი და ერთი და იგივე საზრუნავი მიზანი — ბაზისი აქვთ. ბაზისი მათი შინაარსია, რადგან ზედნაშენი ბაზისს ასახავს.

ხელოვნება და მორალი ორივე საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური საჭიროების ნიადაგზე არის წარმოშობილი და მათი მიზანია საზოგადოებას ემსახურონ იდეოლოგიურად.

სოციალისტური მორალი და სოციალისტური ხელოვნება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს ემსახურებიან იდეოლოგიურად. როგორც სოციალისტური მორალის, ისე სოციალისტური ხელოვნების მიზანია, აღმოფხვრას კერძომესაკუთრული მისწრაფებანი ადამიანის შეგნებაში, განამტკიცოს სიყვარული საერთო, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი და ღრმად ჩანერგოს მის გულში კომუნისტური საზოგადოებისათვის თავდადების გრძნობა.

მაგრამ ხელოვნებასა და მორალს ამ საერთო ნიშნებთან ერთად სპეციფიკური ნიშნებიც ახასიათებთ და მათი ჩვენება აუცილებელია, რადგან მათ (სპეციფიკურ ნიშნებს), როგორც ი. სტალინი აღნიშნავს, მეცნიერებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვთ.

მორალი საზოგადოების წინაშე მოვალეობის მოხდის შეგნებას ემყარება. მაღალი მორალი მსხვერპლის გაღებას, თავდადებას მოითხოვს და ამდენად მისი დანერგვა საზოგადოებაში იოლი როდია. ხანგრძლივი ზემოქმედებით მის დანერგვასა და განმტკიცებას ემსახურებიან ოჯახი, სკოლა, თეატრი, კინო და სხვა კულტურულ-აღმზრდელობითი დაწესებულებანი. მორალური შეგნების

განმტკიცებაზე კიდევ უფრო მძიმე და ძნელია მორალური შეგნების განხორციელება. შეიძლება ადამიანს შეგნებული ჰქონდეს სოციალისტური საზოგადოებისათვის თავდადება რომ მაღალი და სასახელო საქმეა, მაგრამ განხორციელების ძალა არ შესწევდეს, მოქმედებაში მისი გადატანა უმძიმდეს.

ხელოვნება განსაკუთრებულ როლს ასრულებს როგორც მორალური შეგნების დანერგვის, ისე მორალური შეგნების მოქმედებაში გადატანის, მორალური ნორმების განხორციელების დროს. ხელოვნება, როგორც ზედნაშენი, საერთო იდეოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად სპეციფიკური ნიშნითაც ხასიათდება. ეს სპეციფიკური ნიშანი მის მხატვრულობაში მდგომარეობს. მხატვრულობა კი მოწონებისა და გემოვნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება და ზრდის. ამასთან დაკავშირებით ამხანაგი გ. მალენკოვი თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის მე-19 ყრილობაზე ამბობდა: პარტია საბჭოთა ადამიანის გემოვნებას ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებზე ზრდის.

ხელოვნება თავისი მხატვრული სახეებით მოწონების გრძნობაზე და გემოვნებაზე ზემოქმედებას ახდენს და ამით მძიმე მორალურ მოვალეობას ამსუბუქებს. ხელოვნება მორალურს მხატვრულ სახეში ასახავს და ამით მას მშვენივრად, მხატვრულად წარმოგვიდგენს.

მოვლენის მხატვრულ, მშვენიერ სახეში წარმოსახვა მოვლენას მოსაწონს, აღმაფრთოვანებელსა და აღმაფრენს ხდის. ასე ხდება ეს, როდესაც მოვლენა დადებითია, სასარგებლოა, მორალურია. ხოლო როდესაც მოვლენა საზიანოა, უარყოფითი და ამორალურია, მაშინ მისი მხატვრული ასახვა აღფრთოვანებისა და აღმაფრენის ნაცვლად გამძაფრებულ, ძლიერ ზიზღსა და მძულვარებას ბადებს.

ხელოვნება მორალის აღმაფრენი და წარმტაცი ფორმით ასახვაა. კ. მარქსი პოეტური, მხატვრული ასახვის შესახებ ამბობდა: „პოეტური აღმაფრენა არის ფორმა, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი ენერგია იდეალობამდე მაღლდება და კი არ ქრება, არამედ გადამუშავდება, რომლის დროს მთელი ბუნებრივობის განსაზღვრულობა არ ირღვევა“.

მორალური და მხატვრული ურთიერთს არ ფარავენ. მორალური და მხატვრული ურთიერთისაგან განსხვავდებიან. მორალი სოციალურად საჭირო და სასარგებლო მოვლენაა. მშვენიერი შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რაც სასარგებლოც არის. მშვენიერი სასარგებლოს გარეშე არ არსებობს. ამასთან დაკავშირებით გ. პლეხანოვი სამართლიანად აღნიშნავდა: უეჭველია, რომ საზოგადოებრივ ადამიანს მშვენიერად მხოლოდ ის შეიძლება მოეჩვენოს, რაც მისთვის სასარგებლოა, ე. ი. რასაც მნიშვნელობა აქვს მისთვის არსებობისათვის ბრძოლაში ბუნებასთან ან სხვა საზოგადოებრივ ადამიანთან. პლეხანოვის აზრით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებრივი ადამიანისათვის უტილიტარული თვალსაზრისი ესთეტიკურ თვალსაზრისს ემთხვევა. მისი სამართლიანი თქმით, არა ყოველი სასარგებლო საგანი ევლინება საზოგადოებრივ ადამიანს მშვენივრად.

მხატვრულობის ცნება მშვენიერის ცნებაზე ფართოა. მხატვრულად ასახული, მხატვრულად გამოვლენილი შეიძლება იყოს არა მარტო ჯანსაღი, დადებითი, სასარგებლო, კეთილი, არამედ უარყოფითიც, ავადმყოფურიც, ბოროტიც. ამასთან დაკავშირებით ამხანაგი გ. მალენკოვი სამართლიანად ამბობდა:

მწერლები და მხატვრები თავიანთ ნაწარმოებებში უნდა ამათრახებდნენ მანკიერებას, ნაკლოვანებებს, ავადმყოფურ მოვლენებს.

მხატვრულად ასახული გამფლანგველი და ბოროტმოქმედი მშვენიერი არ არის, მხატვრულად ასახული სოციალისტური შრომის გმირი კი მშვენიერია. რამდენადაც ესთეტიკურის სპეციფიკურ დამახასიათებელ ნიშანს ფორმისა და შინაარსის, ზოგადისა და ინდივიდუალურის ერთიანობა, თანხმობა და ჰარმონია წარმოადგენს, ხელოვნებას ევალება ის გამოავლინოს. ხელოვნება „მშვენიერების კანონების თანახმად" (მარქსი) ქვეყნის შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეს ემსახურება.

სინამდვილეში დადებითი და კეთილი, სასარგებლო და გამოსაყენებელი გმირი და თავდადებული ყოველთვის როდია „მკაფიო" სახეში, „ჭარბ ფერებში", ნათელ, თვალსაჩინო და „გამოვლენილ" მდგომარეობაში. ამიტომ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას ევალება კომუნიზმისათვის სასარგებლო და კეთილი, გმირი და თავდადებული გამოავლინოს, ნათელი, თვალსაჩინო, მახვილი, მძაფრი და მკაფიო გახადოს, ჭარბ ფერებში მოგვცეს. ამასთან დაკავშირებით გ. მალენკოვი სამართლიანად ამბობდა: რეალისტურმა ხელოვნებამ უნდა გამოავლინოს და გვიჩვენოს რიგითი ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები და მისი ხასიათის ტიპიური დადებითი ნიშნები, მან უნდა შექმნას მკაფიო მხატვრული სახე, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იქნება ადამიანებისათვის.

ის, რაც სინამდვილეში თავის არსებით მოცემულია, მაგრამ სრულიად გამოვლენილი არ არის, მკაფიოდ არ მოჩანს, ჭარბ ფერებში და მახვილად არ გამოიცქირება, რომლის განვითარება და მომავალი ახლა ისახება და ამიტომ საკმაოდ თვალსაჩინოდ გამომჟღავნებული არ არის, სოციალისტურმა რეალისტურმა ხელოვნებამ ასეთი არსება სრულიად უნდა გამოავლინოს და ჭარბი ფერებით დაგვიხატოს. ტიპიური — გ. მალენკოვის მართებული დახასიათებით — მოცემული სოციალურ-ისტორიული მოვლენის არსს შეესაბამება, მაგრამ მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს, რაც ყველაზე გავრცელებულია, ხშირად მეორდება, ჩვეულებრივია. სახის შეგნებულად ჭარბი ფერებით დახატვა, გამახვილება არ გამორიცხავს ტიპიურობას; ჭარბი ფერები მას მხოლოდ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება სოციალისტური სინამდვილისადმი მკრთალი ფოტოგრაფია, დაგეროტიპი და კუდში მაჩანჩალა კი არ უნდა იყოს, არამედ „გამომვლენი", „სისრულით", „მახვილად" და „ჭარბი ფერებით" ამსახველი. სოციალისტურმა ხელოვნებამ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება შეუჩერებელ განვითარებაში უნდა ასახოს.

საზოგადოებაში მორალური შეგნების დანერგვა და განმტკიცება მეცნიერული და მხატვრული გზით ხორციელდება. მეცნიერული გზა არის ლოგიკური დაჯერების, ლოგიკური დარწმუნების გზა. მხატვრული ფორმა არ გამორიცხავს ლოგიკური დაჯერების გზას, მაგრამ მეცნიერულისაგან განსხვავებით სპეციფიკურ ნიშანსაც ატარებს.

ხელოვნების სპეციფიკა სინამდვილის მეცნიერული ასახვის მიმართ იმაშია, რომ ის, წინააღმდეგ ცნებით, აბსტრაქტულად ასახვისა, სინამდვილის სახეებით, სინამდვილის კონკრეტულ ასახვას აწარმოებს. გრამატიკა, გეომეტრია, ყოველი მეცნიერება და მეცნიერული აზროვნება — ი. სტალინის დახასიათების თანახმად — აბსტრაქციას ახდენს კერძოსა და კონკრეტულისაგან,

აბსტრაქციას ახდენს კონკრეტული საგნებისაგან, განიხილავს საგნებს, როგორც კონკრეტულობას მოკლებულ სხეულებს, და მათ შორის ურთიერთობას განსაზღვრავს არა როგორც ამა და ამ კონკრეტული საგნების კონკრეტულ ურთიერთობებს, არამედ როგორც საერთოდ სხეულთა, ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულ სხეულთა ურთიერთობას.

ხელოვნება კი საგნებისა და მოვლენების არსებას ცოცხალ, კონკრეტულ, ინდივიდუალიზირებულ სახეებში ასახავს. ხელოვნებაში ხასიათები ასახული უნდა იყოს „ინდივიდუალიზების მკაფიობით; ყოველი პირი ტიპი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს სავსებით განსაზღვრული პიროვნებაც, „ეს", როგორც მოხუცი ჰეგელი იტყოდა" (ფ. ენგელსი. იხ. Маркс и Энгельс об искусстве, стр. 161).

ხელოვნება თავისი სპეციფიკური ნიშნებით — კონკრეტულობით, თვალსაჩინო ინდივიდუალური ნიშნებით, ფორმისა და შინაარსის, არსებისა და გამოვლენის ჰარმონიული შერწყმით, ცოცხალი სახეებით—ასახავს რა მორალურ ყოფაქცევას და უკავშირდება რა მორალური ყოფაქცევის აბსტრაქტულ, მეცნიერულ ასახვას, აღფრთოვანებას ბადებს, გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას აღაგზნებს, თავისი უღრმესი ფესვებით მორალურად მოქმედი სუბიექტის შუაგულში იჭრება, მასში ღრმა მორალურ განწყობილებას ნერგავს და მძიმე ეთიკურ მოქმედებას ამსუბუქებს. მძიმე მდგომარეობის დროს გამხნევება, აღგზნება და აღფრთოვანება ხელოვნების სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნებია. ამასთან დაკავშირებით ამბობდა კარლ მარქსი: პოეტური აღფრთოვანება ის ფორმა არის, რომლის დროს ბუნებრივი ენერგია იდეალობამდე მაღლდება და კი არ ქრება, არამედ გადამუშავდება, ამასთან ბუნებრივი მთლიანობა არ ირღვევა. დიდი ლენინი კი ხელოვნების აღნიშნული სპეციფიკური ნიშნის შესახებ მისთვის ჩვეული გენიალური სიღრმით ამბობდა: „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულში უნდა მიდიოდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის, იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაგზნებდეს მათ" (იხ. ლენინი ლიტერატურის შესახებ, გვ. 223, 1945 წ. სახელგამი). ხოლო ლ. ტოლსტოის მხატვრული შემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით ხელოვნების ამავე სპეციფიკური ნიშნის შესახებ ლენინი წერდა: ტოლსტოის კრიტიკის თავისებურება და მისი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ „იგი მხოლოდ გენიალური მხატვრისათვის დამახასიათებელი ძლიერებით გამოხატავს ხალხის უფართოესი მასების შეხედულებათა მსხვრევას აღნიშნული პერიოდის რუსეთში. ტოლსტოის კრიტიკა ხასიათდება სიძლიერით, გატაცებით, დამაჯერებლობით, უშიშროებით, ღრმად ჩანერგილი „ფესვების მიგნებით".

როდესაც ხელოვნებასა და რევოლუციურ მორალს შორის მჭიდრო კავშირია დამყარებული, მაშინ მორალის თანაგრძნობა და მორალის მოვალეობის შეგნება ისე იზრდება, როგორც ხელოვნების მოწონებისა და გატაცების პათოსი. ხელოვნება და მორალი ურთიერთს აძლიერებენ და ამაღლებენ.

მორალური მოქმედების დროს ესთეტიკური შთაგონება და აღტყინება ეგოისტური მიდრეკილების მსხვრევას ხელს უწყობს და სოციალური ინტერესებისათვის თავდადების განწყობილებას აძლიერებს. ჭეშმარიტი ხელოვნება ვნებებისა და გრძნობების დაბალ ეგოისტურ მიდრეკილებებს ამაღლებს, მათ გონების მაღალ ზნეობრივ მიდრეკილებებთან არიგებს და ამით ზნეობრივ

მოქმედებას აძლიერებს. ხელოვნება თავისი სპეციფიკური ხასიათით ყველა ჩვენს სულიერ ძალებზე — გრძნობებზე, ვნებებზე და გონებაზე ახდენს ზემოქმედებას და ამ ძალების ჰარმონიაში მოყვანის საუკეთესო საშუალებაა.

მრისხანების, მძიმე გაჭირვებისა და დიდი სევდის დროს ესთეტიკურ განწყობილებაში გადასვლის წყურვილი ესთეტიკური განცდის შთამაგონებელი, გამძლეობისა და ამტანობის გრძნობის მომგვრელი თვისებითაა გამოწვეული. მოთქმის, სამგლოვიარო და სალაშქრო მუსიკის აზრი და გამართლება ამაში მდგომარეობს. ამ საკითხის საინტერესო საილუსტრაციო მომენტს აგვიწერს მწერალი ფადეევი თავის ცნობილ რომანში „ახალგაზრდა გვარდია“: მათე შულგა, ანდრეი ვალკო და სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადებული მთელი რიგი სხვა პატრიოტები ფაშისტმა კაციჭამიებმა ორმოში ჩაყარეს. ორმო ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ მობრუნებაც არ შეიძლებოდა. დადგა სულიერი დაძაბულობის უკანასკნელი წუთი. ყველა მათგანი ტყვიის შესაგებებლად ემზადებოდა, მაგრამ ასეთ სიკვდილსაც კი არ იმეტებდნენ მათთვის. როცა მიწა დააყარეს თავზე, მხრებზე, ხალათის საყელოებზე, პირსა და თვალებში, პატრიოტები მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ ცოცხლად მარხავდნენ.

შულგამ ხმა აღიმაღლა და დაიწყო: აღსდექ, ბედშავო შრომის შვილო, ქვეყანავ მშიერ მონების. ვალკომ დაბალი ხმით ბანი მისცა. სულ ახალ ახალი ხმები, ჯერ მახლობელნი, მერე უფრო შორეულნი შეუერთდნენ მათ და „ინტერნაციონალის“ ნელა დარხეული ტალღები ამოიჭრნენ მიწის წიაღიდან, ამ მოძრავი ლეგა ღრუბლებით მოფენილი ჩამობნელებული ცისაკენ.

ხელოვნება თავის „შეტყუებით“, მიმზიდველი, მომხიბლავი და აღმაფრთოვანებელი ბუნებით მორალურ შეგნებაზე გარდამქმნელ ზეგავლენას ახდენს.

ი. სტალინმა ხელოვანს სულის ინჟინერი უწოდა. ეს ბევრის მთქმელი დებულება იმასაც ნიშნავს, რომ ხელოვნება სულის დიდი გარდამქმნელი ძალაა. შემთხვევითი როდია ხელოვანის ინჟინერთან შედარება! ისე როგორც ინჟინერი სხვადასხვა მასალისაგან — სილის, ქვიშის, ტალახის, კირისა და რკინისაგან სახეცვლის გზით დიდებულ სასახლეს აგებს, ასევე ხელოვანი, მხატვრული ზემოქმედებით ადამიანის სულს სახეს უცვლის, გარდაქმნის, აამაღლებს, მორალს შთაუნერგავს.

მორალურის მხატვრულ სახეში გაშლა, მორალურს სასიყვარულოდ და მოსაწონად აქცევს და ამით განსახორციელებლად მძიმე მორალურ გადაწყვეტილებას ამსუბუქებს და აღმაფრთოვანებელს ხდის. ესთეტიკურის მეშვეობით მორალურად მოქმედის სული მაღლდება, პიროვნული იწყებს აღტყინებასა და აღმაფრენას საზოგადოების კეთილდღეობისათვის სამსხვერპლოდ. ესთეტიკური აღფრთოვანება, პათოსი და აღმაფრენა ინდივიდის ვიწრო პიროვნული და ეგოისტური ჩარჩოებიდან გასვლაა საზოგადოების უსაზღვროდ გაშლილ ალტრუიზმის არეში. ამის პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენს სამხედრო მუსიკა საომრად მზადების, ომის დაწყებისა და ფრონტზე გასვლის დროს.

მორალი თავის მხრივ მხატვრულ ქმნილებას მაღალი შინაარსით სიდიადეს აძლევს. მორალისაგან დაცლილი მხატვრული ნაწარმოები უძლური, ფუქსავატური და უშინაარსოა. ამორალური შინაარსი კი ხელოვნების მიმზიდველ, სასიყვარულო და მოსაწონ ბუნებას უარყოფით ღირებულებად აქცევს.

ამორალური შინაარსის ნამდვილი მხატვრული ასახვა მხოლოდ ზიზღსა და

მძულვარებას წარმოშობს. გამხეცებული ფაშისტების მიერ ჩვენი სოფლებისა და ქალაქების ნგრევის მხატვრული ასახვა მხოლოდ ზიზღსა და მძულვარებას ბადებს ფაშისტი ბარბაროსებისადმი. მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის ზრუნვა და მოქმედებაა და საზოგადოება, ხალხი, მასა სწორედ ამიტომ შეჰყურებს მას დიდი პატივით, მოწიწებითა და სიყვარულით. ამიტომაა, რომ ხალხი, მასა, იმ მხატვრულ ნაწარმოებს იღებს და აფასებს, რომელიც დიდ მორალურ შინაარსს ასახავს. საზოგადოებას, მასას, ხალხს, ბუნებრივია, ის მიიზიდავს და მას გაიხდის მოწონებისა და დიდი პატივის საგნად, რაც მის კეთილდღეობას ამაღლებს და წარმატების გზაზე აყენებს. დიდი მორალური შინაარსი ამიტომ იყო ყოველთვის დიდ მხატვრულ ქმნილებათა დიდი ღირსება, ხოლო ის ხელოვნება, რომელიც მორალისაგან პირს იბრუნებდა, ყოველთვის გადაგვარებისა და სიკვდილის გზით მიემართებოდა. ასე მოუვიდა დეკადენტურ ხელოვნებას, ასე მოსდის დღეს გამხეცებული იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელოვნებასაც.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მიერ აღმოჩენილი კანონზომიერების თანახმად, ყოველი სახის ხელოვნება, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების გზას ასცდება და თავის შინაარსად ამორალურს გაიხდის, ან ფუქსავატურ, წვრილმან, თავშესაქცევ შინაარსს დაეწაფება, კვდება. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები ამ მდგომარეობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და სოციალისტური ქვეყნის ხელოვნების მუშაკებს იმაზე მიუთითებს, რომ მათ თავისი მოქმედების საგნად დიდი მორალური მოვლენები გაიხადონ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში ნათქვამია: „ახმატოვას ცარიელი უიდეო ლექსები... გამსჭვალულნი პესიმიზმისა და დაცემულობის სულით, იმ ძველი სალონური პოეზიის გემოვნებებს გამოსახავენ, რომელიც ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ ესთეტურობაზე და დეკადენტობაზე, — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — იყო გაყინული“ (იხ. დადგენილებანი, გვ. 4). ცენტრალურ კომიტეტს ხელოვნების ასეთი ქმნილებები საბჭოთა ხალხისათვის მიუღებლად მიაჩნია.

ესთეტიკურისა და ეთიკურის ერთიანობის პრინციპი ჰქონდა ყოველთვის საფუძვლად მსოფლიო ისტორიის დიდი აღმავალი ეპოქების დიდ და ამაღლებულ ხელოვნებას, ესთეტიკურის მოწყვეტა ეთიკურისაგან კი ყოველთვის ხელოვნების დაცემისა და სიკვდილის მომასწავებელი იყო. ასე იყო, მაგალითად, ძველი საბერძნეთის მონათმფლობელური კულტურის დაცემის პერიოდში და ასეა დღეს, კაპიტალიზმის გახრწნისა და კვდომის დროს.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა, გამდიდრებული საკაცობრიო ესთეტიკური ნაზრევის დადებითი მონაპოვარით, მეცნიერულ ახსნას აძლევს დაცემის გზაზე დამდგარ მონათმფლობელურ ფილოსოფიაში ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთობას. მონათმფლობელი არისტოკრატიის ესთეტიკას (პლატონი) ხელოვნების რეაქციულ მონათმფლობელურ მორალთან განუყოფელი ერთიანობით ნგრევის გზაზე დამდგარი სოციალური ბატონობა უნდოდა შეენარჩუნებინა.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ასეთ მეცნიერულ ახსნას აძლევს ფორმალისტურ ესთეტიკას (კანტი) ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეში. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია დეკადენტური ხელოვნებისა და მისი ესთეტიკის ამომწურავ მეცნიერულ ახსნასაც იძლევა.

კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში ი. სტალინი ამომწურავ პასუხს იძლევა გახრწნილი ბურჟუაზიის ხელოვნების მიზანდასახულობის, ხასიათისა და ამოცანების შესახებ.

როგორც ცნობილია, ი. სტალინის ნაშრომის — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ეკონომიკის ძირითადი კანონების აღმოჩენა. ამ კანონების აღმოჩენით ნათელი ხდება როგორც სოციალიზმის, ისე თანამედროვე გახრწნილი კაპიტალიზმის ხელოვნების კლასობრივი აზრი, მიზანდასახულება, ხასიათი და ბუნება.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის თანახმად, დღევანდელი იმპერიალისტური ბურჟუაზია იბრძვის მოგების უზრუნველყოფისათვის მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების, ხალხთა სისტემატური გაძარცვის გზით, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით.

თანამედროვე გახრწნილი კაპიტალიზმის ეკონომიკის ეს ძირითადი კანონი განსაზღვრავს თანამედროვე ბურჟუაზიის ხელოვნებისა და „მორალური“ მოქმედების კლასობრივ მიზანდასახულებას. თანამედროვე ბურჟუაზიის ხელოვნება და „მორალი“ ამ ეკონომიკურ წყობას ასახავენ და მისი დაცვის საქმეს ემსახურებიან. აქედან ცხადია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება მორალური ვერ იქნება. ცხადია, რომ ის ამორალური უნდა იყოს თავისი შინაარსით, და ასეთიც არის სინამდვილეში. თავისი ხალხის გაჩანაგება და გაღატაკება, ომები, ხოცვა და ჟლეტა, წაგლეჯა და ქურდობა, კრიმინალისტური მოქმედება საზოგადოდ, ასეთია თანამედროვე ბურჟუაზიის მხეცური „მორალი“ და ეს წარმოადგენს მისი ხელოვნების შინაარსს.

დღევანდელ ბურჟუაზიულ ქვეყნებში რომანები და პიესები კრიმინალისტური შინაარსის საფუძველზე იწერება. მაგალითად, ფრანგი მწერალი ჟან ჟენე აქვეყნებს რომანს „ქურდის დღიური“. რომანი შემდეგი სიტყვებით იწყება: „გამცემლობა, ქურდობა და ჰომოსექსუალიზმი — ასეთი იქნება ჩემი ძირითადი თემები. ორგანული კავშირი არსებობს გამცემლობისადმი ჩემს მისწრაფებასა, ჩემს ქურდულ საქმეებსა და ჩემს სასიყვარულო თავგადასავალთა შორის“. ჟან ჟენეს ამორალური პიესები დღეს დიდის ამბით იდგმება პარიზის თეატრებში, ხოლო თვით მას, დიდი მოწიწებით ეპატიჟებიან ამერიკელი იმპერიალისტები.

დღევანდელი ამერიკისა და ინგლისის ბურჟუაზიული მწერლები ხელოვნებისა და მორალის ერთიანობის წმინდა საქმეს კი არ ემსახურებიან, არამედ „ფულის ქისას“. ერთი რომანისტი დამწყებ მწერლებს ურჩევს, დეტექტიური რომანები წერონ, რადგან ისინი კარგ შემოსავალს იძლევიან. ის წერს: „სათაკილო არ არის მისალოცი ლექსების წერა... მაგრამ დეტექტივის სიდიადეს რა შეედრება! აქაა აწერილი მკვლელობანი, თავდასხმა, სიყალბენი, მტვრევა და მსხვრევა და სხვა გასართობი ამბები. აი პირველ რიგში რით ჯობს დაწყება!“

ამერიკული ჟურნალი „ხარპერზ მეგეზინ“ (1948 წ. ივლისი) ერთ რომანს აქებს იმისათვის, რომ ის „შეიცავს ყველა იმ ელემენტს, რომლებიც აუცილებელია წარმატების, ძალადობის, გარყვნილების, სისხლის შერევისა და მკვლელობისათვის“.

მწერალი და კრიტიკოსი ვ. ოდენი ამავე ჟურნალში წერს: „ჩემთვის, ისე

როგორც მრავალთათვის, დეტექტიური რომანების კითხვა ისევე დაუძლეველი ჩვევაა, როგორც თამბაქოს წევა ან ალკოჰოლის სმა". იგივე მწერალი ამბობს: „მკვლელობა არის მხოლოდ და მხოლოდ ნეგაციური შემოქმედების ... ...

ამერიკული ჟურნალი „სატერ დეი რევიუ ოფ ლიტერაჩიურ" ქებათა ქებას მიუძღვნის ისეთ რომანებს, რომლებიც პირატობას, მკვლელობას და წამებას ასახავენ, რადგან ასეთი რომანები მკითხველების სულსა და გულს ომის ჟინით ავსებენ.

ამერიკელი მწერალი ჩარლზ ჯეკსონი, სახელმოხვეჭილი ალკოჰოლისა და სექსუალიზმის ამსახველი რომანებით, უკანასკნელად აქვეყნებს რომანს, რომელიც მიძღვნილია ნამუსის ახდის, სადიზმისა და მკვლელობისადმი.

ამერიკელი მწერალი ჰოვარდ ფასტი წერს: დღეს ამერიკაში გამომცემლობები ხელს უწყობენ „ხალტურული" და უხამსი ისტორიების გამოქვეყნებას მკვლელობაზე, გარყვნილებასა და პორნოგრაფიაზე იაფფასიანი გამოცემებით, რათა ასეთები მილიონობით გასაღდეს. კლასიკური მხატვრული ქმნილებები კი, — წერს ფასტი, — სიძვირის გამო წელიწადში რამდენიმე ათასი თუ გასაღდება. მკვალითისათვის ის სტენდალსა და ბალზაკს ასახელებს (იხ. Говард Фаст, избранное, стр. 599, 1952 г.).

გახრწნილი, მორალურად დაცემული და გამხეცებული იმპერიალისტური ბურჟუაზია ახალი იმპერიალისტური ომებისათვის ემზადება და, გასაგებია, მისი ხელოვნებაც მის პოლიტიკას უნდა ემსახურებოდეს. მისი პოლიტიკა ამორალურია და ამიტომ ბურჟუაზიული ლიტერატურის „წარჩინებულ ადამიანებს" ამჟამად ქურდები, პოლიციის მაძებრები, როსკიპი ქალები, ხულიგნები წარმოადგენენ. ხოლო რაც შეეხება დღევანდელი ბურჟუაზიული ხელოვნების თეორიას, მას იმპერიალიზმის ფილოსოფოსის, დეკადენტური და ამორალისტური ესთეტიკის ფუძემდებლის ფრიდრიხ ნიცშეს ერთგული დამცველნი დიუი, რასელი და სხვები აგრძელებენ. დღევანდელი იმპერიალისტური ბურჟუაზიის დეკადენტური ესთეტიკა იცავს ესთეტიკურის ეთიკურისაგან მოწყვეტისა და მის ამორალურთან შეერთების პრინციპს. მისი ამორალისტური ესთეტიკა მისი გამხეცებული იმპერიალისტური პოლიტიკის ანარეკლია, ის ამ პოლიტიკის ამსახველი ხელოვნების თეორიაა.

აუცილებელი დაღუპვის გზაზე დამდგარი დღევანდელი ბურჟუაზია, ერთი მხრივ, მისტიკურ ობიექტურ იდეალისტური ესთეტიკითა და ხელოვნებით ცდილობს იმპერიალისტური ბაზისისადმი სამსახურის გაწევას, ხოლო, მეორე მხრივ, სუბიექტურ-იდეალისტური, ვოლუნტარისტული მხატვრული სახეებითა და ასეთივე ხელოვნების თეორიით.

ასეთი მდგომარეობა გასაგებია: როდესაც განწირულ კლასს საარსებო რეალური ნიადაგი ეცლება, ის შველას მისტიკაში, რეალობის მიღმა მითური ღვთაების ქვეყანაში ეძებს. მისი ხელოვნება აქეთკენაა მიმართული და ამ ხელოვნების მხატვრული მისწრაფებაა მისტიკური სახეების შექმნა. მისტიკური ხელოვნების საფუძველზე კი მისტიკური ხელოვნების თეორია წარმოიქმნება.

თანამედროვე ბურჟუაზიის ობიექტურ-იდეალისტური, მისტიკური, თეოლოგიური სამყარო განწირული ბურჟუაზიის სუბიექტური სამყაროა; მას ობიექტურ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. თანამედროვე ობიექტური იდეალიზმი თანამედროვე განწირული ბურჟუაზიის უნიადაგო, განუხორციელებელი მისწრაფებების ჰიპოსტაზირებაა და ამდენად არსებითად სუბიექტიზმია. ობიექტური იდეალიზმი შენიღბული სუბიექტური იდეალიზმია. თანა-

მედროვე სუბიექტური იდეალიზმი და მის ნიადაგზე მდგომი სუბიექტური ეთეტიკა კი აშკარაა, შეუნიღბავი დაცვაა აღვირაწყვეტილი ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმისა. განწირული ბურჟუაზიის იდეოლოგიას დღეს სუბიექტივიზმი წარმოადგენს.

განწირულ ბურჟუაზიას ერთი რამ დარჩენია მხოლოდ: აიმედოს თავისი თავი იმით, რომ „მისთვის ყველაფერი იოლია", რომ მას „ყველაფერი შეუძლია".

პრინციპულად სულ სხვაა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, ამ კანონით განსაზღვრული სოციალისტური ხელოვნება და მისი თეორია, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და მით განსაზღვრული სოციალისტური რეალიზმისა და მისი თეორიის ძირითადი ხასიათის შესახებაც ამომწურავ პასუხს იძლევა ი. სტალინის ნაშრომი.

როგორია ი. სტალინის მიერ აღმოჩენილი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და როგორ არის ამ კანონით განსაზღვრული სოციალისტური რეალიზმი და სოციალისტური ესთეტიკა?

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის თანახმად, დღეს ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში არსებობს მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

სოციალიზმის ეკონომიკის ძირითადი კანონი პირდაპირ საწინააღმდეგოა კაპიტალიზმის ეკონომიკის ძირითადი კანონისა და მათგან საწინააღმდეგო შედეგები გამომდინარეობენ.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონიდან ბურჟუაზიის კაცთმოძულეობა, „მხეცური მორალი" გამომდინარეობს. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი კაცთმოყვარეობას, ჰუმანიზმს ბადებს.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის საფუძველზე წარმოშობილი ხელოვნების შინაარსი არ შეიძლება ამორალიზმი იყოს, ამ ხელოვნების არსებას ჰუმანიზმი უნდა წარმოადგენდეს. ეს ასეც არის.

საბჭოთა ხალხის პოლიტიკა და მორალი კომუნიზმის მშენებლობის პოლიტიკა და მორალია. სოციალიზმის ქვეყნის ხალხს მშვიდობა სწყურია და ბურჟუაზიის იმპერიალისტური ომის სამზადისის წინააღმდეგ იბრძვის. მისი ხელოვნება მის პოლიტიკასა და მორალთან განუყრელ ორგანულ ერთიანობაშია. ამიტომ დღეს საბჭოთა მწერლები — რომანისტები, დრამატურგები, პოეტები და ხელოვნების სხვა დარგთა მუშაკები თავისი მხატვრული შემოქმედების საგნად კომუნისტური მშენებლობის დიდ სამეურნეო, პოლიტიკურ და მორალურ მოვლენებს იხდიან; ამასთან ერთად ისინი ერთა შორის მშვიდობას, ძმობასა და სიყვარულს ასახიერებენ.

იმპერიალისტურ ბურჟუაზიასა და მის ხელოვნებას დღეს ომი, მსოფლიოს ნგრევა და რღვევა სწყურია — ამის საწინააღმდეგოდ, საბჭოთა ხალხისა და მისი ხელოვნების ინტერესი დღეს კომუნიზმის მშენებლობისა და მშვიდობიანობისაკენაა მიპყრობილი.

საბჭოთა პროზაში დღეს თვალწინ გეშლებათ სოციალისტური სოფლის ზრდა და განვითარება, კოლმეურნეების ამაღლება და გაკეთილშობილება (ლ. ჭიაჩელი, „გვადი ბიგვა"), დიდ სამამულო ომში თავდადებულ პატრიოტთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირული თავგადასავალი („ახალგაზრდა გვარდია“ ფადეევისა), დიდი სტალინის მიერ უკვდავი ლენინისადმი მიძღვნილი ისტორიული სიტყვის მხატვრული განსახიერება („ფიცი“ დ. შენგელაიასი) და სხვ.

საბჭოთა დრამატურგია და თეატრი ასახიერებენ ბლეხების მრისხანე ბრძოლას ფეოდალური ბატონობის წინააღმდეგ („არსენა“ ს. შანშიაშვილისა), საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებას („კოლმეურნის ქორწინება“ პ. კაკაბაძისა), სოციალისტური ცხოვრების საქმიანობას („სამნი“, „ფოლადაური“ ს. შანშიაშვილისა), საბჭოთა პატრიოტების თავდადებას („შური“ ი. ვაკელისა), ფაშისტურ ურდოების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას („სადგურის უფროსი“ ი. მოსაშვილისა), ჩვენი მეცნიერების ზრდას („მისი ვარსკვლავი“ ი. მოსაშვილისა), ახალგაზრდა სტალინს და მის დაუცხრომელ ბრძოლას მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, მისდამი მასების განუსაზღვრელ სიყვარულს („ნაპერწკლიდან“ შ. დადიანისა) და სხვა.

სოციალისტური პოეზიაც პრინციპულად უპირისპირდება თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინდივიდუალისტურ, ფუქსავატურ, უშინაარსო და უიდეო პოეზიას. იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოეზია დაცემულობისა და პესიმიზმის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ის გამსჭვალულია უიმედობით, ბურჟუაზიულ-არისტოკრატული ესთეტიზმითა და ფორმალიზმით. მისი პრინციპია „პოეზია პოეზიისათვის“ და არა ცხოვრებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური პოეზია უაღრესად იდეური, შინაარსიანი, ოპტიმისტური და გმირულია. მის პრინციპს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის თავდადებული და გმირული ბრძოლა წარმოადგენს. მისი პათოსი, აღმაფრენა, გატაცება, ოცნება და აღფრთოვანება აქეთკენაა მიმართული. საბჭოთა ლირიკა უაღრესად სოციალური შინაარსისაა, ის შორსაა ბურჟუაზიულ-არისტოკრატული ინდივიდუალიზმისაგან. მისი თემატიკა კომუნისტური მშენებლობაა. დიდი სოციალური და ისტორიულ-ეპოქალური განცდები ჩვენი ლირიკოსების პირადი ლირიკული განცდებია.

გალაკტიონ ტაბიძე სოციალისტურ რევოლუციას, დიდ სამამულო ომის გამარჯვებასა და სამშობლოს კეთილდღეობას უმღერის („ჯონ რიდი“, „მშობლიურო ჩემო მხარეო“, „ვისი არის ეს გუგუნი“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „მწვერვალები ახალი მთების“ და სხვა).

ირაკლი აბაშიძის ლირიკული განცდების საგანს სოციალისტური ცხოვრების დიდი მოვლენები წარმოადგენენ. ის უმღერის კომუნისტური პარტიის გმირულ ბრძოლებს წარსულში და აწმყოში, დიდი სამამულო ომის გმირებს. სოციალისტურ საქართველოს, კომუნიზმის მშენებლობას, მშობლიურ სიყვარულს და სხვა („წულუკიძის სიკვდილი“, „ლესელიძის ხსოვნას“, „კაპიტანი ბუხაიძე“, „ქართველო, სანამ გქვიან ქართველი“, „მამა“ და სხვა).

ალიო მირცხულავა უმღერის საბჭოთა საქართველოს, სოციალიზმის ქვეყნის სახელმოხვეჭილ ქალაქებს, დიდ სამამულო ომში გამარჯვებულ დიდ ბელადს („სამშობლო ბელადისა“, „დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი“, „ძველი მაზარა“ და სხვ.).

გიორგი ლეონიძე ასახავს აღორძინებულ და გაძლიერებულ საბჭოთა სამშობლოს დამახასიათებელ მოვლენებს, საბჭოთა ხალხის ბელადის ბავშვობასა და ყრმობას („სტალინი“).

საბჭოთა ხელოვნების თემატიკას საფუძვლად უძევს საბჭოთა ხალხის შრომა და ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ის იცავს

მშვიდობიანობას მთელ მსოფლიოში და მომხრეა ყველა ერის მშრომელთა თანასწორუფლებიანობისა. საბჭოთა ხელოვნება ემსახურება „არა სალონებში მიყრჭებულ „გმირ ქალს“, არა სიმსუქნისაგან მოწყენილსა და შეწუხებულ „ზედა ათიათასებს, არამედ მშრომელ მილიონებს, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მშვენებას, მის ძალას, მის მომავალს“ (ლენინი).

სოციალიზმის ქვეყნის ხალხებისათვის მიუღებელია ფორმალისტური, ამორალური ხელოვნება. საბჭოთა ხალხები ვერ ითმენენ უშინაარსო, უიდეო, ფორმალისტურ ხელოვნებას. საბჭოთა ხალხები ბრძოლას უცხადებენ ნაციონალიზმისა და დეკადენტობის რეციდივებს ხელოვნებაში. საბჭოთა ერები მოითხოვენ ფორმით ნაციონალურ და შინაარსით ინტერნაციონალურ ხელოვნებას. ხელოვნება საზოგადოდ, ხოლო ლიტერატურა კერძოდ, ხალხს უნდა ემსახურებოდეს. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი კომუნისტური პარტია დაუზოგავ კრიტიკას აწარმოებს უიდეო, ფორმალისტური და ამორალისტური ხელოვნების წინააღმდეგ. ამიტომაა, რომ კომუნისტური პარტია შეურიგებელია ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, დეკადენტობის, ანტიხალხური მხატვრული ქმნილების წინააღმდეგ.

რაც შეეხება სოციალისტური რეალიზმის თეორიას, მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას, ის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მისტიკური, დეკადენტური, ნიცშეანური ესთეტიკის პრინციპული წინააღმდეგობაა. კერძოდ ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთობის საკითხში ის თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის პრინციპის პირდაპირ უარყოფას წარმოადგენს. თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ესთეტიკა, როგორც აღნიშნული იყო, ესთეტიკურს წყვეტს ეთიკურისაგან, ესთეტიკური დაჰყავს ან წმინდა ფორმამდე, ან ამორალურთან, მის აუცილებელ კავშირს აღიარებს. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავს. მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი ეთიკურისა და ესთეტიკურის განუყოფელი ერთიანობის პრინციპს იცავენ.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა და მასზე დამყარებული მხატვრული კრიტიკა საბჭოთა ხალხის და მისი რევოლუციური პარტიის დიდი ყურადღებისა და ზრუნვის საგანს წარმოადგენს. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის დიდი მეცნიერული ღირსება და სიწმინდე ჩვენი პარტიის ყრილობების გამახვილებული ყურადღების საგანია. როგორც ცნობილია, მე-19 პარტიულმა ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირეული საკითხების ჭეშმარიტ მეცნიერულ გადაწყვეტას.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა საზოგადოდ, მისი მოძღვრება ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთობის შესახებ მტკიცე მეცნიერულ საფუძველზეა აგებული და მთელი თავისი მიზანდასახულებით უპირისპირდება თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიის არამეცნიერულ, იდეალისტურ და მისტიკურ ესთეტიკას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ. ჯიელ კვანჭილაშვილი

ისტორიული თემა სოციალისტურ რეალიზმში

★

საბჭოთა ლიტერატურის წინაშე პარტიისა და ხალხის მიერ საპატიო და კეთილშობილური ამოცანებია დასახული. ეს ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ ლიტერატურას ხალხის აღმზრდელის როლი აქვს დაკისრებული. ჩვენი ლიტერატურა გამსჭვალულია ხალხის ინტერესებით, სახელმწიფოს ინტერესებით, რაც კომუნიზმის მშენებლობას ემსახურება.

პარტიამ თავის არაერთ დოკუმენტში, და, კერძოდ, ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს ცნობილ დადგენილებაში ჟურნალების „ზვეზდასა" და „ლენინგრადის" შესახებ მკაფიოდ ჩამოაყალიბა ლიტერატურის წინაშე დასმული ამოცანები. ამ დადგენილებაში წერია: „საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორად აღზრდაში, უპასუხოს ახალგაზრდობის საჭიროებას, აღზარდოს მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება".

როგორ უნდა შეასრულოს ეს ამოცანა ჩვენმა ლიტერატურამ? რა საშუალებებით შეძლებს იგი შეასრულოს ახალგაზრდობის სულიერი ჩამოყალიბების საქმე? როგორ მიაღწევს იმას, რომ იგი ახალგაზრდობის მასწავლებლის როლში გამოვიდეს?

ამ ამოცანის შესრულებას ჩვენი ლიტერატურა ახორციელებს ცხოვრების რთული პროცესების ღრმა ცოდნის საფუძველზე. ეს ცოდნა ჩვენი ცხოვრებისა საბჭოთა მწერლის მიერ უნდა იყოს არა ზერელე, საერთო, არამედ უნდა წვდებოდეს მის ყველა წვრილმანს, მის ყველა დეტალს; ცხოვრების განვითარების კანონების დაუფლება, ცოდნა გუშინდელისა, იმ მიზეზებისა, რომელთაც წარმოშვეს დღევანდელი, და განჭვრეტა ხვალინდელი დღისა, რის შესახებაც დამაჯერებლად უნდა ესაუბრებოდეს მწერალი მკითხველს — აი ის ძირითადი პირობა, რომელიც მწერალს ცხოვრებას ასახვისას მოეთხოვება.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, როგორც ცნობილია, ასრულებს რა აღმზრდელის როლს, ძირითადად ორიენტაციას იღებს თანამედროვე ცხოვრების ასახვაზე. ეს ლიტერატურა ასახავს იმ გმირულ და თავდადებულ შრომას, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ეწევიან კომუნიზმის ასაშენებლად. ეს ლიტერატურა ასახავს ბრძოლებს, რომლებსაც საბჭოთა ადამიანები ეწევიან დაბრკოლებათა გადასალახავად კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ეს ლიტერატურა ასახავს ჩვენი ადამიანების კეთილშობილურ თვისებებს — მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმს, ჰუმანურობას, თავდადებას პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საქმისათვის, მათს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა აგრეთვე ასახავს ჩვენი ცხოვ-

რების იმ მანკიერ მხარეებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს საზოგადოებაში და რომელთა აღმოსაფხვრელადაც საჭიროა ბრძოლა.

ცხადია, თანამედროვეობის თემების ასახვით ჩვენი ლიტერატურა მართლაც აღმზრდელობითად მოქმედებს ჩვენს ადამიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე.

ზოია კოსმოდემიანსკაია, ახალგაზრდა კრასნოდონელები, პავკა კორჩაგინი, ალექსი კოვშოვი და სხვა მრავალზე მრავალი ლიტერატურული გმირი ჩვენი მილიონობით ახალგაზრდისათვის მისაბაძი მაგალითი გახდა.

საინტერესოა ვიკითხოთ: ხომ არ შეიძლება ლიტერატურის წინაშე დასმული აღმზრდელობითი ამოცანის გადაწყვეტაში გამოვიყენოთ არა მარტო თანამედროვე თემები, არამედ ისტორიული თემაც?

თუ თვალს გადავავლებთ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას, დავინახავთ, რა ოსტატურად იყენებდნენ ჩვენი კლასიკოსები ისტორიულ თემას მათი თანამედროვე ცხოვრების ინტერესებისათვის. რა იყო ეს ინტერესები? მაგალითად, თერგდალეულებს მიაჩნდათ, რომ საჭიროა ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება, გამოცოცხლება, ამაღლება. ამ მიზნით ისინი მიმართავდნენ ისტორიულ თემებს და დიმიტრი თავდადებულის, თორნიკე ერისთავისა და სხვათა მხატვრული ასახვის საშუალებით, მათზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების მეშვეობით მართლაც დიდ გავლენას ახდენდნენ ხალხზე, ზრდიდნენ მათ ამ სულისკვეთებით.

უფრო მეტიც: თუ გადავხედავთ თანამედროვე რუსულ ლიტერატურას და ხელოვნებას, დავინახავთ, რომ ჩვენი რუსი ამხანაგები სრულიად სამართლიანად და სწორად იყენებენ ისტორიულ თემას თანამედროვეობის სამსახურში. აქ ცოტა როდი შეიქმნა ისტორიულ თემაზე ისეთი ნაწარმოებები, რომელმაც სტალინური პრემია დაიმსახურა. ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ალ. ტოლსტოის ტრილოგია „პეტრე I“, ს. ზლობინის „სტეფანე რაზინი“, ლ. ნიკულინის „რუსეთის ერთგული შვილები“, ნოვიკოვ-პრიბოის „ცუსიმა“, მარიჩის „ჩრდილოეთის ციალი“, ნიკიტინის „ჩრდილოეთის ავრორა“, ნოვაკოვის „პუშკინი გადასახლებაში“, გოლუბევის „ბაგრატიონი“ და გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების სერიაში შეტანილი მრავალი ნაწარმოები, ანდა მრავალი კინოსურათი — „ადმირალი უშაკოვი“, „გლინკა“, „პეტრე პირველი“, „ალექსანდრე ნეველი“, „სუვოროვი“, „კუტუზოვი“, „აკადემიკოსი პავლოვი“, „მიჩურინი“, „ჩაპაევი“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, „პრჟევალსკი“, „მოგზაურობა არზრუმს“, „პოეტი და მეფე“ და სხვა მრავალი ამშვენებს თანამედროვე რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებას.

ამ ნაწარმოებებს რუსი საბჭოთა მწერლები და ხელოვნების მუშაკები თანამედროვეობის ინტერესებისათვის ორი მხრივ იყენებენ: ერთი მხრივ, პატრიოტიზმის, სამშობლოსათვის თავდადების გრძნობის აღსაზრდელად ახალგაზრდობაში და, მეორე მხრივ, გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების ჩვენებით მისაბაძი ჩვევების, არჩეული საქმისათვის თავდადების უნარის აღძვრა-აღზრდისათვის ჩვენს ახალგაზრდობაში.

უნდა გავიხსენოთ ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც. დიდი სამამულო ომის დღეებში, სამშობლოსათვის ესოდენი გაჭირვებისა და განსაცდელის წლებში, დიდმა სტალინმა ჩვენს არმიასა და საბჭოთა ხალხს, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ეწეოდა პირსისხლიან ფაშიზმთან, გაახსენა ქვეყნისათვის თავდადებული სახელოვანი ადა-

მიანების სახელები: „დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე! დაე, გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!“

უდავოა, რომ ამ მამაც და ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანთა სახელების გახსენება დიდად მოქმედებდა მებრძოლებზე, აღაფრთოვანებდა მათ გამარჯვებისათვის.

უნდა გავიხსენოთ, რომ რუსმა მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა ი. სტალინის მიერ აქ ჩამოთვლილი ადამიანების ცხოვრების შესახებ შექმნეს მხატვრული ნაწარმოებები და კინოფილმები, რომლებიც ხალხში დიდი მოწონებით და პოპულარობით სარგებლობენ.

სოციალისტური რეალიზმის თემები ძირითადად თანამედროვე ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ისტორიული თემის გამოყენებასაც.

მაგალითად, განა რუსი და უკრაინელი ხალხების, ისე როგორც ყველა საბჭოთა ხალხის, ძმური კავშირის უფრო გაძლიერებისათვის მცირე მნიშვნელობა აქვს ისეთ ისტორიულ თემას, როგორიცაა ბოგდან ხმელნიცკის თემა? ასეთი თემები ერის ისტორიაში ცოტა როდია.

ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია ცოტა შესაძლებლობას როდი იძლევა, რომ შევარჩიოთ თანამედროვე ცხოვრების სამსახურში გამოსაყენებელი თემები. ეს თემები დაგვეხმარება ხალხის, ახალგაზრდობის აღზრდაში სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლის მზადყოფნის გრძნობით, დიდი საქმეების კეთებისადმი სიყვარულის გამომუშავებაში.

ისე როგორც რუსი ამხანაგები, ქართველი მწერლებიც ისტორიულ თემას ორი თვალსაზრისით უნდა იყენებდნენ: ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანთა, სახელოვან წინაპართა ცხოვრების ჩვენებით ახალგაზრდობაში პატრიოტიზმის გრძნობის აღსაზრდელად, ერთი მხრივ, და მეცნიერების, კულტურის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ჩვენებით, მეორე მხრივ, ახალგაზრდობაში შრომის სიყვარულის, დიდ საქმეთა კეთების სურვილის გასაღვივებლად.

ისტორიული თემის თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენებაზე რომ ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა თემის მკაცრი შერჩევა.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა შეარჩევს მხოლოდ ისეთ ისტორიულ თემას, რომელიც გამოდგება ხალხის, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანამედროვეობის სამსახურში. მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდია ცუდად არ მოიქცა, როდესაც რომანის თემად დავით ალმაშენებლის ცხოვრება აიღო. ეს იმიტომ, რომ დავით ალმაშენებელი თავისი დროის პროგრესული მოღვაწეა (ისევე, როგორც პეტრე პირველი თავისი დროის რუსეთისათვის), ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირია. სხვა საკითხია, რომ კ. გამსახურდია რომანში მარტოოდენ ამ გმირის იდეალიზაციით კმაყოფილდება, სამოქმედოდ არ გამოჰყავს ხალხი, არ ხსნის კლასობრივ დიფერენციაციას და ამით გამოწვეულ სიდუხჭირეს მშრომელი ხალხისათვის, და ა. შ. ამ კუთხით რომ ავიღოთ ა. ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“, უნდა ითქვას, აქ საკითხი შედარებით კარგადაა დაყენებული და გადაჭრილიც. რომანის მთავარი გმირი ერეკლე მეორე დახატულია, როგორც

პროგრესული მოღვაწე და ნიჭიერი სარდალი. რომანში ხაზგასმითაა ნაჩვენები რომ რუსი და ქართველი ხალხების წარმომადგენლები სიყვარულით, მეგობრობით არიან გამსჭვალულნი ერთმანეთის მიმართ, რომ რიგითს ადამიანებს, ხალხის შვილებს ერთმანეთთან არაფერი აქვთ სამტრო, რომ რუსი ხალხის შვილები ცდილობენ გაჭირვებაში მყოფ ქართველებს დახმარება აღმოუჩინონ, და წინააღუდგებიან კიდეც ვერაგი ტოტლებენის ზრახვებს, ტოტლებენისა, რომელიც ცარისტული პოლიტიკის აღმასრულებელი იყო. რომანში ხაზგასმით იგრძნობა ორი რუსეთის არსებობა — მშრომელი ხალხის რუსეთისა და ტოტლებენების რუსეთისა. ერეკლეს ისტორიული მისია — საქართველოს ბედის დაკავშირება დიდი რუსი ხალხის ბედთან — რომანში კარგადაა ნაჩვენები.

ასეთი ისტორიული თემა, მისი განხორციელება მხატვრულ ნაწარმოებში ხელს უწყობს ჩვენს ხალხს კომუნიზმის მშენებლობაში. ამიტომაა, რომ ასეთი თემა თანამედროვეობის სამსახურში დგას.

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი ტენდენციის შესახებ.

უდავოა, რომ ჩვენს ლიტერატურაში არ უარვყოფთ ტენდენციურობას. პირიქით, ლენინი მთელი სიმკაცრით ესხმოდა თავს იმათ, ვინც უპარტიო ლიტერატურის მქადაგებლის როლში გამოდიოდა. თავის ცნობილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ლენინმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. ეს პრინციპი კი ტენდენციურობას გულისხმობს. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში ისეთი ტენდენცია უნდა იყოს გატარებული, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებას შეუწყობს ხელს, დაეხმარება პარტიისა და მთავრობის ლონისძიებების გატარების საქმეს, ხალხის ინტერესების სამსახურში იქნება ჩაყენებული.

ჯერ კიდევ ენგელსმა შენიშნა, რომ ტენდენციურობა ერთ-ერთი დამახასიათებელია ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. მაგალითად, მ. კაუცკისადმი მიწერილ წერილში ენგელსი წერდა: „მე არავითარ შემთხვევაში არ ვარ ტენდენციური პოეზიის, როგორც ასეთის, წინააღმდეგი. ტრაგედიის მამამთავარი ესქილე და კომედიის მამამთავარი არისტოფანე ორივენი მკვეთრად გამოვლინებული ტენდენციური პოეტები იყვნენ; სწორედ ასევე, დანტეცა და სერვანტესიც, ხოლო შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“ უმთავრესი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის პირველი გერმანული პოლიტიკური ტენდენციური დრამაა. თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც ჩინებულ რომანებს წერენ, ყველანი მთლიანად ტენდენციურები არიან“.

ეს ასეა საერთოდ, და. მით უმეტეს, ისტორიული თემის შერჩევის დროსაც.

უნდა შევნიშნოთ, რომ ტენდენცია ვლინდება არა მარტო თემის შერჩევაში, არამედ იდეის გადაწყვეტაშიც. ეს მთავარია. იდეის გადაწყვეტის ტენდენციურობაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმისდამიხედვით, თუ რა გავლენას ახდენს ნაწარმოები მკითხველზე, რა სულისკვეთებით ზრდის ნაწარმოები მკითხველს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხატვრულ ქმნილებაში ტენდენცია აშკარად კი არ უნდა ჩანდეს, არამედ ბუნებრივად გამოდიოდეს იმ მოქმედებიდან, რომელიც ნაწარმოებში არის ნაჩვენები. ენგელსი ამ საკითხზე მიუთითებს: „მე ვფიქრობ, რომ ტენდენცია თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს მდგომარეობიდან და მოქმედებიდან, მასზე საგანგებო მითითების გარეშე, და რომ მწერალი ვალდებული არ არის მკითხველს მზა სახით მისცეს მის მიერ გამო-

სახული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტა". ანდა: „რაც უფრო დაფარულია ავტორის შეხედულებები, მით უმჯობესია მხატვრული ნაწარმოებებისათვის".

ეს დებულება აშკარად ჩანს ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა" მაგალითიდან. როგორც ცნობილია, ბარათაშვილის ეს შესანიშნავი პოემა მკვლევარებს დიდი ხნის განმავლობაში საჭოჭმანო მდგომარეობაში ამყოფებდა იმ საკითხის გარკვევისას, თუ ვის მხარეზე დგას ავტორი — ერეკლეს თუ ლეონიძის მხარეზე. ავტორი პოემაში არსად არ ამჟღავნებს თავის აზრს. ჩვენ ამას მხოლოდ მოვლენათა განვითარების მიხედვით ვსაზღვრავთ და იმ ლექსს მოვიშველიებთ („საფლავი მეფის ირაკლისა"), რომელიც აშკარად გამოხატავს ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულებას ერეკლეს მიერ გადადგმული ნაბიჯის შეფასებისადმი.

ისტორიულ თემაზე, როცა ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ცნობა არ გულისხმობს მხოლოდ ძველი საუკუნეების მოვლენებსა და ფაქტებს, გმირებსა და პიროვნებებს, არამედ გულისხმობს ახლო წარსულის ამბებსა და მოვლენებსაც. მაგალითად, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამოტ კურაპალატის ცხოვრების შესახებ დაწერილი რომანი ისტორიულია, ხოლო ილია ჭავჭავაძის შესახებ თუ დავწერთ, ისტორიული არ არის? ანდა, გიორგი საკაძის შესახებ დაწერილი რომანი ისტორიულია, ვამბობთ, ხოლო ლადო კეცხოველის შესახებ დაწერილი კი არ არის ისტორიული. ეს ანალოგიები ზუსტი არაა, მაგრამ, ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ კმარა. თუმცა არსებობს შორეულისტორიული და ახლოისტორიული თემები.

დასასრულ, ვიმეორებთ, რომ საბჭოთა ლიტერატურის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრაში — თანამედროვე თემების, თანამედროვე ცხოვრების ასახვის გვერდით, შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიული თემაც, როცა მას სწორად შევარჩევთ და სწორი კონცეფციის მომარჯვებით გადავწყვეტთ მხატვრულ ნაწარმოებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე ბახტურიძე

მარიამ გარათაშვილის „მარინე“

★

სისხლჭარბი და ბედნიერი სიცოცხლით ცხოვრობს საბჭოთა ქვეყანა, კომუნიზმის მშენებელი სახელმწიფო, მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენს დიად სამშობლოში ყოველდღიურად ხდება ფრიად საყურადღებო ახალი რამ, რასაც განუწყვეტლივ წინ მიჰყავს ჩვენი ცხოვრება, კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული მნიშვნელობის საქმე. თვითეული ჩვენგანის თვალწინ, ჩვენი უშუალო მონაწილეობით სახეს იცვლის ცხოვრება, ილუპება ძველი და დრომოჭმული, მის ადგილს იკავებს ახალი, სიცოცხლის უნარმქონე, პროგრესული, დინამიკური ფაქტორი, ქვეყნის შეუფერხებელი განვითარების ხელისშემწყობი მოვლენა.

ბუნებრივია, რომ ყველაფერი ეს ჩვენი ყურადღების ცენტრში დგას, თვითეული ჩვენგანის რეაგირებას იწვევს, ჩვენგან გარკვეული მოვალეობის შესრულებას მოითხოვს, ჩვენს წინაშე ამა თუ იმ მოთხოვნილებას და საბრძოლო ამოცანას აყენებს. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია იდგეს თავისი მოქალაქეობრივი დანიშნულების სიმაღლეზე, აკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვს სოციალისტური სამშობლო, კომუნიზმის დიადი მშენებლობა.

საბჭოთა მწერალი, როგორც მოწინავე მოქალაქე მოწინავეთა შორის, როგორც „ადამიანის სულის ინჟინერი“, პირველ რიგში უნდა ეხმარებოდეს ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას, და არა მარტო მნიშვნელოვანს, არამედ მის ყოველგვარ „წვრილმანსაც“, ვინაიდან ცხოვრების უაღრესად რთული მექანიზმისათვის წვრილმანი მოვლენები არ არსებობენ. თვითეულ ფაქტს, რაოდენ უბრალოდაც არ უნდა გეეჩვენებოდნენ ისინი ერთი შეხედვით, მეტად საჭირო ფუნქცია აქვს დაკისრებული. განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესო არიან ასეთი ხასიათის მოვლენები მწერლისათვის, თვითეული შემოქმედისათვის, ვინაიდან ესენი არიან სწორედ ის შტრიხები, ჩვენ რომ „ცხოვრების დეტალს“ ვეძახით.

ამრიგად, საბჭოთა მწერლის უპირველესი მოვალეობაა, ღრმად ჩაწვდეს ჩვენი მჩქეფარე ცხოვრების სიღრმეს, მისი განვითარების მამოძრავებელ ძალებს, ასახოს ისინი მხატვრულ ტილოზე, დაგვიხატოს საბჭოთა ქვეყნის ადამიანი მთელი მისი სულიერი სიმდიდრით, ხასიათის კეთილშობილებით, მომავლისადმი ღრმა რწმენით, დაბრკოლებებთან ბრძოლაში უშიშროებით, მტკიცე ნებისყოფით, გმირული პატრიოტული სულისკვეთებით.

ა. ჟდანოვი თავის მოხსენებაში ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ამბობდა: „ჩვენ უნდა გამოვარჩიოთ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო გრძნობები და თვისებები, გადავუშალოთ მას მისი ხვალინდელი დღე და ამავე დროს ვაჩვენოთ ჩვენს ადამიანებს, თუ როგორი არ უნდა იყვნენ ისინი, უნდა ვამათრახებდეთ გუშინდელი დღის გადმონაშთებს, რომლებიც წინსვლას უშლიან საბჭოთა ადამიანებს“.

ა. ჟდანოვის ეს სახელმძღვანელო მითითება საფუძვლად დაედო თვითეული ნამდვილი საბჭოთა შემოქმედის მუშაობას. ჩვენი ქვეყნის ადამიანის ზნეობრივი სიმდიდრე, მისი სულიერი სილამაზე გახდა უპირველესი თემა და საგანი ნამდვილი საბჭოთა შემოქმედის მხატვრული პრაქტიკისა. საბჭოთა შემოქმედი მოვლენებს გვიხსნის, წარმოგვიდგენს ჭეშმარიტების ასპექტში, აშუქებს მათ ბოლშევიზმის პრინციპთა მაღალი პოზიციებიდან. საბჭოთა შემოქმედი თავისი მუშაობის ამ ძირითად პრინციპს მუდამ ათავსებს ცხოვრების ღრმა ცოდნასთან, მისი მოვლენების ორგანულად განცდასთან.

ასეთია ძირითადში საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. ასეთია საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — დრამატურგიის განვითარების გზაც. რა თქმა უნდა, ყველა მიღწევა და წარმატება, რაც კი ამ მხრივ მოპოვებულია ჩვენი თეატრების მიერ, შედეგია პარტიის ღონისძიებათა მტკიცედ განხორციელებისა. ეს ღონისძიებანი საფუძვლად დაედო საბჭოთა დრამატურგიის გარდაქმნისა და შემდგომი გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვან საქმეს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 26 აგვისტოს დადგენილება დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ:

მასში აღნიშნულია, რომ დრამატულ თეატრებს თავიანთ რეპერტუარში არა აქვთ გათვალისწინებული თანამედროვე თემებზე საბჭოთა ავტორების მიერ დაწერილი პიესები; თეატრების მიერ დადგმულ თანამედროვე თემაზე დაწერილ მცირე რაოდენობის პიესათა შორის მოიპოვებიან სუსტი და უიდეო პიესები; მათში

საბჭოთა ადამიანები ასახული არიან დამახინჯებულ-კარიკატურული ფორმით, უარყოფითი პერსონაჟები კი ნაჩვენები არიან ხასიათის მკაფიო თვისებებით, ძლიერ, მტკიცე ნებისყოფიან ადამიანებად; ასეთ პიესებში ამბები წარმოდგენილია ცილისმწამებლურად და ყალბად, ისინი დამახინჯებულად გვიხატავენ საბჭოთა ცხოვრებას; ისინი ანტიმხატვრული და პრიმიტიული არიან; მათი ავტორები საკმარისად არ იცნობენ ლიტერატურულ და ხალხურ ენას; ბევრი თეატრი უპასუხისმგებლოდ ეკიდება სპექტაკლების დადგმას საბჭოთა ცხოვრების შესახებ; მათი დადგმა მინდობილი აქვთ მეორეხარისხოვან რეჟისორებს, მათში მონაწილეობენ სუსტი და გამოუცდელი მსახიობები, სათანადოდ არ აფორმებენ მხატვრულად.

ამიტომ „საქმით ბევრი დრამატული თეატრი არ არის კულტურის, მოწინავე საბჭოთა იდეოლოგიისა და მორალის დამნერგავი“, — აღნიშნულია დადგენილებაში.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ გარემოების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს დრამატურგთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა; ბევრი დრამატურგი არ იცნობს ცხოვრებას და ხალხის მოთხოვნილებას; დრამატურგთა მუშაობაში არ არსებობს მჭიდრო კავშირი და შემოქმედებითი თანამშრომლობა თეატრებთან.

დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე მწერალთა კავშირის, თეატრალური კრიტიკის, ჟურნალ-გაზეთების სუსტი მუშაობა ამ მხრივ.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის ისტორიულ დადგენილებაში სახავს შემდეგ საბრძოლო ამოცანას:

„დრამატურგებმა და თეატრის მუშაკებმა შექმნან მკაფიო და მხატვრულად სრულფასოვანი ნაწარმოებნი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების შესახებ, საბჭოთა ადამიანის შესახებ. დრამატურგებმა და თეატრებმა პიესებსა და სპექტაკლებში უნდა ასახონ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება მისი განუწყვეტელი წინსვლის თვალსაზრისით, ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა ადამიანის ხასიათის იმ საუკეთესო თვისებათა შემდგომ განვითარებას, რომლებიც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდნენ დიდი სამამულო ომის დროს. ჩვენი დრამატურგები და რეჟისორები მოწოდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა ადამიანების აღზრდის საქმეში, უპასუხონ მათს მაღალ კულტურულ მოთხოვნებს, აღზარდონ საბჭოთა ახალგაზრდობა ისე, რომ იგი იყოს მხნე, ხალისიანი, სამშობლოს ერთგული და სწამდეს ჩვენი საქმის გამარჯვება, რომ მას არ ეშინოდეს დაბრკოლებისა და უნარი შესწევდეს გადალახონ ყოველგვარი სიძნელენი; ამასთან ერთად საბჭოთა თეატრი მოწოდებულია აჩვენოს, რომ ეს თვისებები დამახასიათებელია არა მარტო ცალკეული რჩეული ადამიანების, გმირებისა, არამედ ჩვეულებრივ მილიონ საბჭოთა ადამიანისა.

საჭიროა, რომ ყველა ის მწერლები, რომელთაც უნარი შესწევთ დრამატურგიულ ნაწარმოებთა შექმნისა, აქტიურად შემოქმედებითად ჩაებნენ თეატრების ისეთი რეპერტუარის შექმნის სასიცოცხლო საქმეში, რომელიც თავისი ხარისხით თანამედროვე მაყურებლის შესაფერი იქნება“.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს ბევრი საყურადღებო დრამატული ნაწარმოები შეიქმნა როგორც რუსულ, ისე ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. ეს პიესები ასახავენ ჩვენი დროის მოწინავე ადამიანთა ცხოვრებას, მათ შრომას ხალხის საკეთილდღეოდ.

თანამედროვეობის თემაზე დაწერილ პიესებს შორის აღსანიშნავია მარიამ ბარათაშვილის პიესა „მარინე“. მარიამ ბარათაშვილს აქამდე ჩვენ ვიცნობდით როგორც პოეტს. „მარინე“ მის დებიუტად უნდა ჩაითვალოს დრამატურგიაში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ დებიუტს გარკვეული წარმატება ხვდა წილად. ეს წარმატება, რა თქმა უნდა, შეპირობებულია მთელი რიგი ღირსებებით, რაც აღნიშნულ პიესას გააჩნია. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნაწარმოების თემის აქტუალობა. მასში ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის დღევანდელობაა აღწერილი. საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი 1934 წელს საბჭოთა მწერლების I საკავშირო ყრილობაზე ამბობდა: „ჩვენი წიგნების ძირითად გმირად ჩვენ უნდა შევარჩიოთ შრომა, ე. ი. შრომის პროცესებით ორგანიზებული ადამიანი... ჩვენ უნდა ვისწავლოთ შრომის, როგორც შემოქმედების გაგება“. მაშასადამე, შრომის პროცესი აქ ნაგულისხმევია, როგორც ადამიანის ფსიქიურ-ფიზიოლოგიური სამყაროს გარდამქმნელი ლაბორატორია. მარიამ ბარათაშვილის პიესაში ამ მომენტისადმი უთუოდ მიზანშეწონილად არის გამახვილებული ყურადღება, იგი სათანადო მხატვრული საშუალებებითაც არის დასაბუთებული და გადაწყვეტილი. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი მარინე ფერაძე — ზედმეტ სახელად ჭრიჭინა — საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდა ადამიანია. მაგრამ კონფლიქტი არსებობს მის პირად თვისებებსა და კოლექტიური ცხოვრების პრინციპებს შორის. ჭრიჭინა უდარდელი და ფუქსავატი ქალიშვილია. იგი გიტარას და სიმღერებს არის გადაყოლილი. შრომა და სერიოზული საქმე არ იტაცებს. ეს ხდება მაშინ, როცა მის გვერდით ყველანი შრომის ფერხულში არიან ჩაბმული, ყველას გულწრფელად სურს, რომ თავისი შრომით ასახელოს კოლექტივი, თავისი გარჯით გარკვეული წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. ჭრიჭინას ბებია, მოხუცი ეფროსინეც კ ესაქმოდ ვერ ძლებს, ისიც შრომობს, ისიც აღფრთოვანებია და ახალგაზრდული ხალისით გაუტაცია ახალ ცხოვრებას, საკოლმეურნეო კეთილდღეობას, შეერთებული ძალებით გაჩაღებულ შრომას. იმავე სოფელში მცხოვრები, კოლმეურნეობა „ნათელი გზის“

ახალგაზრდა წევრი, ისიც მარინე ფერაძე, თავისი შრომით დაწინაურდა, სრულიად ახალგაზრდა ქალს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. ერთი სიტყვით, ირგვლივ შრომის სამეფო დამკვიდრებულა და ყველა მის ძალას დაუმორჩილებია. ჭრიჭინა კი გამოთიშულია საერთო მდინარებიდან. ასე წარმოიშვა კონფლიქტი პიროვნების ხასიათსა და საზოგადოებრივ ატმოსფეროს შორის. მაგრამ ჭრიჭინა ხომ ჩვენი სინამდვილის პირმშოა. იგი ჩვენი ცხოვრების წიაღში დაიბადა და აღიზარდა. ბუნებრივია, რომ დიდხანს არ შეეძლებოდა ჭრიჭინას დარჩენა ცხოვრებისაგან, ყოველდღიურობისაგან, მისი საჭირბოროტო საკითხებისაგან შორს მდგომად. ადრე თუ გვიან, მისი პირადი განწყობილება და თვისებები უნდა შესჯახებოდა საზოგადოებრივ ატმოსფეროსა და ვითარებას. ასეც მოხდა. ჭრიჭინამ იგრძნო უდიდესი უხერხულობა და ეს უხერხულობა მარტო პირადული ხასიათის როდი იყო. ეს უხერხულობა გასცდა ინდივიდუალობის ფარგლებს, ინტიმურობას და საზოგადოებრივ სფეროში გადაიზარდა. ჭრიჭინას აღმოაჩნდა ხასიათის ის თვისებები, რაც ჩვენი დროის ადამიანისათვის განმასხვავებელ ნიშანდობლიობას წარმოადგენს: ხასიათის სიმტკიცე, დასახული მიზნისაკენ მთელი ნებისყოფით სწრაფვა, სერიოზული პასუხისმგებლობის გრძნობა ხალხის წინაშე, საქვეყნო საქმის წინაშე, მეზობლების, ტოლ-ამხანაგების, მთელი კოლექტივის წინაშე. უდარდელი, უქნარა და ფუქსავატი ქალიშვილიდან ჭრიჭინა გადაიქცა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ მოწინავე ადამიანად. მან მაღალი მორალური თვისებანი გამოამჟღავნა. იგი სანიმუშო ადამიანად იქცა როგორც პირადს ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჭრიჭინა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების ღირსი გახდა. მისი ბუნება დახვეწა და განასპეტაკა სოციალისტურმა შრომამ. თავის პანუკვარ მდგომარეობას მან მიაღწია ენერგიული, თავდადებული შრომით. შრომის მაღალი ნაყოფიერება გახდა წყარო მისი სულიერი და მატერიალური ძალების აღორძინებისა, ამ ძალთა დახვეწისა და გამდიდრებისა. ჭრიჭინა გახდა ნამდვილად ახალი ფორმაციის ადამიანი. ამ მდგომარეობას მან მიაღწია თავდადებული შრომით, რაც ესოდენ დიდი პატივისცემისა და დაფასების საგანია ჩვენში, სოციალისტური ქვეყნის სინამდვილეში. ამ მდგომარეობას მან მიაღწია კოლექტიური შრომის კეთილისმყოფელი გავლენით, სოციალისტური გარემოს ნაყოფიერი ზეგავლენით.

ავტორმა თავის პიესაში დაგვიხატა ძლიერი და ჯანსაღი ბუნების, მტკიცე ნებისყოფის საბჭოთა ადამიანები. მან მხატვრული საშუალებებით გვიჩვენა საკოლმეურნეო სოფლის ნათელი დღეები, ჩვენი ცხოვრების ნიშანდობლივი თვისება — კოლექტივის ზრუნვა პიროვნების საკეთილდღეოდ, საზოგადოების ზრუნვა პიროვნების წინსვლასა და ბედნიერებაზე.

პიესის ავტორის მიერ მწერლის დაკვირვებული თვალით არის დანახული კოლმეურნეობის მშენებელი ხალხის მაღალი მორალური თვისებანი; დრამატურგის ნამუშევარში სჩანს ახლის გრძნობა, მისი დროულად შემჩნევა და მხატვრულ ნაწარმოებში გადმოცემა.

პიესის დრამატული კონფლიქტი ბუნებრივად ისახება და ასევე ბუნებრივი, დამაჯერებელი გზით ვითარდება. მოქმედ პირთა საქციელი, მათი ურთიერთობა, სიტყვიერი მასალა, ხასიათთა დაპირისპირება, ჯანსაღი ჰუმორი, სატირული ნაკადი, ფსიქოლოგიური მომენტები ერთ მიზანს ემსახურებიან — წარმოგვიდგინონ მხატვრული სახეები მათი სოციალური დახასიათებით, მათ ერთიანობაში ცხოვრებასთან, მის მოთხოვნილებებთან. აქ ჩანს ლიტერატურული ოსტატობის მხატვრული სიმართლე.

ნაწარმოების სიუჟეტური ხაზი კომედიურ სიტუაციებზეა აგებული. ამიტომ უწოდა ავტორმა თავის პიესას კომედია. საერთოდ ცნობილია, რომ შემოქმედების ამ ჟანრმა განვითარების დიდი გზა განვლო.

როგორც ვიცით, კომედია დრამის ერთ-ერთი სახეა, რომლის დამახასიათებელ ნიშანდობლიობას წარმოადგენს გამოსახატავ სიტუაციათა და ხასიათების კომიზმი.

ასეთი ნაწარმოების მიზანია ცხოვრების უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ ბრძოლა, მისი მთავარი იარაღია სიცილი. ამით განსხვავდება იგი ტრაგედიისაგან. საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ პერიოდში, ამ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ტრაგიკული, შეურიგებელი წინააღმდეგობანი შეიძლება იქცნენ კომიკურ, სასაცილო მოვლენებად. კარლ მარქსი თავის ცნობილ სტატიაში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“ ასეთ ურთიერთობას გვისახავს ტრაგიკულსა და კომიკურს შორის: „ისტორია საფუძვლიანად მოქმედებს და მრავალ ფაზას გაივლის, როცა საფლავს მიაბარებს ხოლმე ცხოვრების მოძველებულ ფორმას. მსოფლიო-ისტორიული ფორმის უკანასკნელი ფაზაა მისი კომედია. საბერძნეთის ღმერთებს, რომლებიც ერთხელ უკვე ტრაგიკულად დაიჭრნენ სასიკვდილოდ ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეოსში“, მოუხდათ ერთხელ კიდევ კომიკურად გარდაცვლილიყვნენ ლუკიანეს „საუბრებში“. რისთვის მოძრაობს ასე ისტორია? იმისათვის, რომ კაცობრიობა სიცილით გამოეთხოვოს თავის წარსულს“.

ცხოვრების მოძველებული ფორმები, ე. ი. პროგრესულ ისტორიულ შინაარსს მოკლებულნი, ხდებიან კომიკური გამოხატვის საგნად ხელოვნებაში. მოლიერი, მაგალითად, თავის კომედიებში ამათრახებდა თავადაზნაურულ კულტურას, ამასთან ის ბურჟუებსაც, რომლებიც ქედს იხრიდნენ აღნიშნული კულტურის წინაშე.

გოგოლი თავის „რევიზორში“ დასცინოდა მეფის მოხელეებს, ვაჭრებს, მემამულეებს.

კომედიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იარაღად იყენებს რა სიცილს, ანადგურებს და სპობს ყველაფერს, რაც კი ხელს უშლის ცხოვრების განვითარებას, მის წინსვლას.

ამიტომ კომედიოგრაფი ხშირად მიმართავს ხოლმე ჰიპერბოლას, ფანტასტიკას, პირობითობას, კარიკატურულ, სატირულ ელემენტებს. ამ საშუალებებით იგი უფრო თვალსაჩინოს ხდის დასაგმობი მოვლენის, ხასიათის უარყოფითი თვისებების მავნეობას, თვალსაჩინოს ხდის მოვლენათა შინაგანი მიზანშეწონილობის დარღვევას.

კომედიურობა მეღავნდება მოქმედ პირთა ლაპარაკში (დიალოგის კომიზმი), მათ საქციელში (მოქმედების კომიზმი), მდგომარეობაში (სიტუაციის კომიზმი).

საბჭოთა კომედია მიზნად ისახავს, დაგვიხატოს ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. ამაში სატირულ ნაკადს შეემატა კომუნიზმის მშენებლობის ჰეროიკის პათოსით გამოხატვა. ჰეროიკა შეიჭრა საბჭოთა კომედიაში, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. ამით დაირღვა არისტოტელეს მიერ მოცემული განმარტება კომედიისა („უცუდესი ადამიანების წარმოსახვა“). საბჭოთა კომედიაში კომიკური ელემენტი გახდა ფორმა კრიტიკისა, რაც მიმართულია ადამიანთა შეგნებაში ძველი ეპოქის ნაშთთა აღმოფხვრისაკენ. საბჭოთა კომედიაში მწარე დაცინვით, სატირული მახვილით გასანადგურებელ მოვლენასთან, ტიპთან, ხასიათთან დაპირისპირებულია ჯანსაღი საბჭოთა ლირიკა, კომუნიზმის მშენებლობის პათოსი, შემოქმედებითი ოპტიმიზმი.

საბჭოთა კომედიის დამახასიათებელი ნიშნებია: უბრალო ყოველდღიურობაში საგმირო მოვლენების დანახვა, მკაცრი, ჯანსაღი, ნათელი მიდგომა მოვლენებისადმი, ფსიქოლოგიური სიღრმე, სიხარულის, სილამაზის, სიცოცხლის სიყვარული. ამ მოვლენების შინაარსი ორგანულ მთლიანობაში უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოების ფორმასთან, ვინაიდან „...როცა ფორმა არის შინაარსის გამომხატველი, იგი მასთან ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მისი ჩამოცილება შინაარსისაგან — ეს იმას ნიშნავს — თვით შინაარსი მოსპო; და პირიქით: შინაარსის ჩამოცილება ფორმისაგან ნიშნავს ფორმის მოსპობას“ (ბ. ბელინსკი).

მარიამ ბარათაშვილის პიესაში მკვეთრად იგრძნობა შინაარსისა და ფორმის ერთიანობა. კარგი ლიტერატურული ტექსტი მკაფიოდ გამოხატავს ნაწარმოებში აღწერილ მოვლენებს, მოქმედ პირთა ხასიათს. პიესაში ვერ შეეხვედებით მძიმე და ყალბ ფრაზებს. ყველაზე უფრო ეს შეცოდება იმ ადგილებში იყო მოსალოდნელი, სადაც პიესის გმირები თავიანთ მონოლოგებში წარსულს იგონებენ, ან კიდევ მომავალზე ოცნებობენ.

პიესაში ბევრია საყურადღებო მხატვრული დეტალი. მაგალითად, გმირის სახელწოდება ეწინააღმდეგება მის გარეგნობას: მაყვალა ჰქვია ქერათმიან, ცისფერთვალა ქალიშვილს, კოხტა —მოუხეშავ და გარეგნობით ულამაზო შესახედაობის ვაჟს, ცქრიალა — ზარობა-ტიტის ქალს ზანტი მოძრაობით. ან და კიდევ ერთი საგულისხმო წვრილმანი: პიესაში ხაზი აქვს გასმული ბებიასადმი სიყვარულს იმით, რომ ამხანაგები ჭრიჭინას ბებიას დააფიცებენ ხოლმე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ავტორის მიერ ჭრიჭინას ხასიათის თავისებურება მოტივირებულია შემდეგი ვითარებით: იგი აღზრდილია უდედოდ, ბებიის მიერ. ოჯახში ერთადერთ ბავშვს ანებივრებენ, ეფერებიან, აჩვენენ უდარდელობას, ერთგვარ ფუქსავატობას, სიგიჟმაჟეს. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ზედმეტად უსვამს ხაზს ჭრიჭინას მდგომარეობის დრამატიზმს, როცა იგი ნათლად შეიგნებს თავისი ხასიათის უადგილობას საერთო შემოქმედებითს შრომასა და მშენებლობის პათოსში.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს პიესის ზოგიერთ ნაკლოვანებას.

ის ერთ-ერთი მთავარი ხერხი, რომელიც ავტორს გამოყენებული აქვს ნაწარმოების კვანძისათვის — სხვადასხვა პიროვნების არევა ერთმანეთში — ძველისძველი ხერხია (ფრანგული კომედიები, „რევიზორი“). ჭრიჭინას ხასიათში მომხდარი გარდატეხის მომენტი შესრულებულია ვოდევილური მანერით. ძლიერად იგრძნობა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის სუსტი მონაწილეობა ჭრიჭინას ბუნების გარდაქმნაში. პიესის ზოგიერთი პერსონაჟი სქემატურად არის მოხაზული (სოციალისტური შრომის გმირი მარინე ფერაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტორგანიზაციის მდივანი).

განუზომლად დიდია საერთოდ კომედიის მამხილებელი, აღმზრდელობითი ძალა. იგი ამათრახებს საზოგადოებრივი თვალსაზრისით უარყოფითად მიჩნეულ მოვლენებს. კომედიას თავის იარაღად მომარჯვებული აქვს სიცილი, რომლის ძალითაც იგი აღმზრდელობითს გავლენას ახდენს მკითხველსა და მაყურებელზე, ზრდის მის ხასიათში დასაგმობი მოვლენებისადმი უარყოფითს დამოკიდებულებას, წარმართავს ადამიანის ქცევასა და ხასიათს საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით სასურველი მიმართულებით. თუ რა უდიდესი რეზონანსი ჰქონდა საერთოდ კომედიას, ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს „რევიზორის“ ავტორის, ნ. გოგოლის, წერილი გამოჩენილი რუსი მსახიობის მ. ს. შჩეპკინისადმი. აი ერთი ამონაწერი ამ წერილიდან:

„მან (ნაგულისხმევია პიესა „რევიზორი“ — პ. ბ.) დიდად და მღელვარედ იმოქმედა. ყველანი ჩემს წინააღმდეგ არიან. ხნიერი და პატივმოსილი მოხელეები გაჰყვირიან, რომ ჩემთვის არაფერი წმიდა არ არსებობს, როცა მე გავკადნიერდი ასე მელაპარაკნა მოსამსახურე ადამიანთა შესახებ. პოლიციელები ჩემს წინააღმდეგ არიან, ვაჭრები ჩემს წინააღმდეგ არიან, ლიტერატორები ჩემს წინააღმდეგ არიან. მაგინებენ და ეცინრებიან პიესას; მეოთხე წარმოდგენაზე ბილეთე-

ბის შოვნა აღარ შეიძლება... ახლა ვხედავ, თუ რას ნიშნავს იყო კომედიური მწერალი. ოდნავი აჩრდილი ჭეშმარიტებისა — და შენს წინააღმდეგ ადგებიან, და არა ერთი ადამიანი, არამედ მთელი წოდებანი".

თუ რევოლუციამდელ კომედიაში ფონს წარმოადგენდა ცხოვრების უარყოფითი სურათები და ამ საერთო ფონზე მხოლოდ გაიელვებდა ნათელი აზრი, დადებითი პერსონაჟი, საბჭოთა კომედიის ძირითადი ფონი არის ცხოვრების წარმტაცი სურათები, ლაღი, მიმზიდველი, შეძლებული, აზრიანი ცხოვრების სილამაზე, ამ ფონზე წარსულის მახინჯი გადმონაშთების გამოვლინება და ბრძოლა მათ აღმოსაფხვრელად.

„მარინეს" ავტორმა გამოაჩინა და პირველ რიგში წამოსწია მთავარი მოვლენები შემთხვევითისაგან, წამყვანი ხაზი მეორეხარისხოვანისაგან, დიდმნიშვნელოვანი ფაქტი უმნიშვნელოსაგან და მეტყველი მხატვრული სამუალებებით მოგვცა იდეურად და მხატვრულად გამართლებული, საყურადღებო პიესა. ეს ნაწარმოები ნერგავს ხალხში ჩვენი ცხოვრების მომხიბვლელობისადმი პატივისცემას, სიხარულის მღელვარე გრძნობას, სიცოცხლისადმი ძლიერ სიყვარულს. პიესის მთელი კომპოზიციური აღნაგობა ამ საერთო მიზანს ემორჩილება. ნაწარმოების ავტორს ცდა არ დაუკლია იმისათვის, რომ ეჩვენებინა ჩვენი ქვეყნის ადამიანების ზნეობრივი სიმდიდრე, მათი სულიერი სილამაზე. პიესაში კარგად არის ნაჩვენები ნაწარმოების მთავარი გმირის მანკიერი პირადი სამყაროს რღვევა, მისი გადასვლა ცხოვრების ახალ პოზიციაზე, ბრძოლა დასახული მიზნის მისაღწევად.

მარიამ ბარათაშვილის დრამატიული ნაწარმოები „მარინე" არა მარტო თანამედროვე ქართული, არამედ მთელი საბჭოთა დრამატურგიის თვალსაჩინო შენაძენად არის მიჩნეული. ამიტომ მოეკიდნენ ამ ნაწარმოებს ასეთი გულისყურით მთელ საბჭოთა კავშირში. და ბევრმა თეატრმა თავის რეპერტუარში შეიტანა იგი. შეიქმნა აგრეთვე საყურადღებო მხატვრული ფილმი.

ეს რეზონანსი უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ პიესა სატირის მომარჯვებით ასათრახებს ჩვენი ეპოქისათვის მიუღებელ და შეუფერებელ თვისებებს, იმ მანკიერებას, რაც უცხოა საბჭოთა ადამიანისა და სოციალისტური სინამდვილისათვის, ვინაიდან, როგორც ამბ. გ. მ. მალენკოვი მიუთითებს, „სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი საბჭოთა სინამდვილე არ იძლევა მასალას სატირისათვის. ჩვენ გვესაჭიროებიან საბჭოთა გოგოლები და შჩედრინები, რომლებიც სატირის ცეცხლით ამოსწვავდნენ ცხოვრებაში ყოველივე უარყოფითს, დამპალს, მკვდარს, ყოველივე იმას, რაც აფერხებს წინსვლას".

ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო ლექსების კარგი კრებული

★

ნიკოლოზ ჩაჩავას საბავშვო ლექსების კრებული თემატურად მრავალფეროვანი წიგნია. აქ ვკითხულობთ ლექსებს იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ხალხისაა, საზოგადოებრივია და ამიტომ გვიყვარს ჩვენი ქარხანა, სკოლა, ქალაქი, სოფელი, რომ ჩვენი ქუჩა ფართოა, რადგან პატარა ქუჩაზე ვერ დაეტევა ჩვენი დიდი ცხოვრება. წიგნში არის კარგი ლექსები შრომაზე, ბუნების შესახებ, მეგობრობაზე და ყველა ამ ლექსში ჩანს ადამიანი, — ბედნიერი საბჭოთა ბავშვი, რომლისთვისაც ანათებს მზე...

აი, წიგნში მოთავსებული ლექსები: „ყველაფერი ხალხისაა“, „ჩემი ხომ არ არის“, „კარგი ამხანაგი“, „ჩვენ ყველანი ვაშენებთ“, „დარაჯობენ სისუფთავეს“, „ნერგი უნდა მოირწყას“, „ხეა ჩვენი მეგობარი“, „ჩვენ ხომ ომი არ გვინდა“... როდესაც ამ სათაურებს თვალს გადაავლებთ, უნებლიეთ გაიფიქრებთ, რომ პოეტი ამ ლექსებში ნორჩ მკითხველს გალიტერატურებული დიდაქტიკის სახით გამზადებულ მორალს უქადაგებს, რაც, სამწუხაროდ, ავრე ხშირია ჩვენს საბავშვო ლიტერატურაში. ამიტომაა, რომ ჩვენში ბევრი იწერება სქემატური საბავშვო ლექსები და მოთხრობები.

ასეთ ლექსებში და მოთხრობებში მორალი არ გამომდინარეობს გმირის, პერსონაჟის ხასიათის განვითარებიდან, არამედ მოცემულია დეკლარაციული სახით. ნაწარმოების გმირს მწერალი მხოლოდ ამა თუ იმ სენტენციის ქადაგებას აკისრებს.

ასეთი ნაწარმოები ბავშვის გულამდე ვერ აღწევს, ვერ ხდება მის საყვარელ წიგნად. ნიკოლოზ ჩაჩავას წიგნში ასეთ ხასიათის ლექსებს ნაკლებად შეხვდებით.

ლექსში „ჩემი ხომ არ არის“ ბავშვებს სკოლაში გამოუცხადეს, რომ ხვალ კინოში წაიყვანენ და ბილეთების ფული უნდა მოიტანონ. ლილის დავიწყებია ფულის წამოღება. ბავშვებს გაახსენდებათ, რომ დილით თინამ „კლასში აკრიფა ფული“ და სთხოვენ თინას, ასესხოს ბილეთის ფული ლილის, მაგრამ თინა უარს ამბობს: „—ვერ დავხარჯავ კლასის ფულს. ნუ მიწყალებ, გოგოვ, გულს. ჩემი ხომ არ არის, კლასმა მომაბარა. როგორ შემიძლია, გავცე წარამარა?“ აი, ამ სტრიქონებისათვისაა დაწერილი ლექსი. როგორც ეს სტრიქონები, ისე მთელი ლექსი სქემატური და უფერულია. ასეთი ლექსები კიდევ არის კრებულში, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ წიგნის კარგ მხარეზე, რადგან წიგნში ბევრია კარგი და საყურადღებო.

ლექსები უმცროსი ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. წერალი ცდილა მიეღწია ენის სისადავისთვის. წიგნში იშვიათად ნახავთ ხელოვნურ და ბუნდოვან სახეებს, ზოგიერთი ლექსი კი ჰეშმარიტ პოეტურ ეფექტებსაც ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნი პატარებისათვის არის დაწერილი, აქ ბევრ ლექსს უფროსი ასაკის ბავშვებიც სიამოვნებით წაიკითხავენ და სათანადო დასკვნებს გააკეთებენ.

ლექსში „ხეა ჩვენი მეგობარი“ პოეტი სულ რამდენიმე სტრიქონში ბავშვს ნათელ წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ რა დიდ სამსახურს უწევს ხე ადამიანს. ხე რომ არ იყოს, არ იქნება გრილი სიო, სუფთა ჰაერი, ცივი წყარო, ვერც ყანები იშრიალებდნენ და ვერც კარგ მოსავალს მოვიწევდით.

კარგია ლექსი „ყველაფერი ხალხის არის“. ეს ლექსი ბავშვს უნერგავს კოლექტიურ გრძნობას და საზოგადოების ქონებისადმი პატივისცემასა და სიყვარულს. რაც სახელმწიფოსია, ამავე დროს,

შენიც არის,
ჩემიც არის,
უფრო მეტი მოვლა უნდა,
არის უფრო სანუკვარი,
რადგან ყველას ჩვენ გვეკუთვნის,
რადგან მთელი ხალხის არის.

კრებულში მოთავსებული ზოგი ლექსი უსათუოდ ხელს შეუწყობს, აღუძრას ბავშვს ცოდნისადმი სიყვარული, ინტერესი, დახვეწავს მის გემოვნებას, დაეხმარება სასკოლო საგნების გაგებასა და ათვისებაში.

„მშიშარა ფიდოში“ მშვენივრადაა დახატული ერთი ციცქნა ფიდოს ცოცხალი სახე. ფიდომ გადაწყვიტა აღიჭურვოს თოფით და სანადიროდ წავიდეს, რათა ამოწყვიტოს მგლები და მელიები:

რომ ბაჭიებს თავისუფლად
დარჩეს ტყე და ველი სულ მთლად.
მაგრამ მარტო რომ ვერ დადის?
— ეშინია თურმე კატის.

---

*) ნ. ჩაჩავა, „ციალას მეზობლები“. საბლიტგამი, 1954 წ.

ლექსში „თანდილა“ ნაჩვენებია ბეჯითი, დაუზარელი და მხიარული ბავშვი თანდილა. არდადეგების დაწყებისთანავე თანდილა კოლმეურნეობაში მივიდა და სამუშაო ითხოვა. „ჩაბარეს ხბოები, ჩაბარეს ზაქები, კოლექტივში ნაქები, უთხრეს მოუარეო. მწყემსი გახდა თანდილა, მართლაც დიდი გაზრდილა!“... თანდილა ხნით კი არ გაიზარდა, არამედ თავისი საქმით. ცნობილია, რომ თავისი საქმით ბევრმა პიონერმა და მოსწავლემ მოიხვეჭა სახელი და განდიდდა ხალხის თვალში.

ჩვენი ბავშვები დიდ სამსახურს უწევენ კოლმეურნეობებს მოსავლის აღებისას. საქონლის ნამატის მოვლასა და გაზრდაში და მრავალ სხვა საქმეში. ამ თემაზე არაერთი კარგი მოთხრობა და ლექსი დაწერილა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურაში. ასეთი მოთხრობები და ლექსები საჭიროა. მათ შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

გადაფურცლავთ წიგნის გვერდებს და კვლავ კითხულობთ ლექსებს ბეჯით ბავშვებზე, რომლებმაც თავისი საქმის კარგად გაკეთება იციან და სხვასაც ეხმარებიან, სკოლაშიაც პირველნი არიან და მეზობლებშიც თავისი შრომით, თავაზიანობით და დაუზარებლობით სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს.

ლექსში „ზეინკალი მამია“ ნათელი და კეთილშობილური სახეა მოცემული კომკავშირელი ყმაწვილისა. მამია სახელოსნო სკოლაში სწავლობს, მაგრამ მან უკვე იმდენი იცის, რომ მეზობლები მუშაკაცს ეძახიან. მამიამ ერთ მეზობელს ვარცლი შეუკეთა და ისე კარგად; „თითქოს ხელით დახატა, სულ ახალი გახადა“. მეორე მეზობელს ჭურჭელი შეუკეთა, მესამეს ნავთქურა და საკეტი. უხარია მამიას პატარა ძმას, რომ ასეთი სასახელოა მისი მამია და აღტაცებით ამბობს:

მალე სწავლას მორჩება,
აუხდება ოცნება:
ქარხანაში გადავა,
ზეინკალი გახდება,
ისეთ სახელს გაითქვამს,
ყველას გაგეხარდებათ.

სახელოსნო სკოლის რამდენმა მოსწავლემ გაითქვა სახელი თავისი შრომით, ოსტატობითა და საქმისადმი სიყვარულით. სახელოსნო სკოლადამთავრებული რამდენი ათასი სტახანოველი და ნოვატორი ჰყავს დღეს ჩვენს ქარხნებს, მშენებლობებს, მტს-ებს. რა ცოტა იწერება ქართულ საბავშვო ლიტერატურაში სახელოსნო სკოლებზე. რა დიდი საქმის გაკეთება შეუძლია კარგ ლექსსა და მოთხრობას, რომ შეაყვარონ ჩვენს ბავშვებს სკოლები, სადაც ყალიბდებიან ახალი ცხოვრების ოსტატები, რომლებიც ასე ძლიერ სჭირდება დღეს ხარაჩოებში ჩამჯდარ ჩვენს დიდ ქვეყანას.

წიგნი „ციალას მეზობლები“ დაყოფილია რამდენიმე თავად. პირველი თავის საერთო სათაურია „ყველაფერი ხალხის არის“, შემდეგ — „ფართო ქუჩაზე“, „ბუნების წიაღში“, „ჩვენ ხომ ომი არ გვინდა“, „მხიარული ლექსები“ და „იყო და არა იყო რა“.

წიგნის ყველა თავის სათაური ვერ ამართლებს თემატიკურად თავის დანიშნულებას. თავში „ბუნების წიაღში“ თითქმის არ არის ლექსი ბუნების სიმდიდრეზე, აღამიანზე, რომელიც მუშაობს, ბუნების დამორჩილებაზე, მის ვარდაქმნასა და ათვისებაზე. იგივე ითქმის თავზე — „ჩვენ ხომ ომი არ გვინდა“. ამ განყოფილებაში ერთადერთი ლექსია მშვიდობაზე და ისიც მკრთალი და დეკლარაციული ხასიათისა. ბავშვი მამიდას ეუბნება, ჩვენ ომი არ გვინდაო, ჩვენ სახლებს და ბაღებს ვაშენებთ და ამ სახლებზე წითელ ბაირაღებს ვკიდებთო (!).

ნიკოლოზ ჩაჩავა ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლექსებზე. იგი რამდენიმე საბავშვო წიგნის ავტორია და ყველა მის წიგნში ლექსების მეტი ნაწილი ნორჩი მკითხველის სიყვარულსა და ყურადღებას იმსახურებს.

გრ. ჩიქოვანი

ანდრია სინაურის ლექსები

*

ანდრია სინაური (სინაურიძე) სამოქალაქო ომის ინვალიდია. წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს მიღებულმა დაავადებამ იგი სამუდამოდ სარეცელს მიაჯაჭვა. მაგრამ ამან ვერ გააწყვეტინა მას კავშირი ხალხთან, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ამ განუკურნებელმა სენმა ვერ გასტეხა სულიერად მზნე და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი. უკრაინელი პოეტი გენადი ბრეჟნიოვი მისდამი მიძღვნილ ლექსში წერს: „მაგრამ სული არ ბერდება და არც გრძნობა დაცხრალა, მასში იგი ისევ ცოცხლობს, ისევ უნთებს თაკარას“.

ა. სინაურის ლექსთა კრებული იხსნება პატრიოტული ლექსით „შენი ბაღი ბინად ამირჩეია“. ამ ლექსში სამშობლო წარმოდგენილია ბარადუკნობ და აყვავებულ ბაღნარად. თვითონ პოეტი ამ ბაღის მეხოტბეა, მასზე მეოცნებე:

მე ამ ბაღში მღერით არ დავიღლები,
ჩემს ოცნებას შენს ყვავილებს გავანდობ,
შენს უბეში მხოლოდ გარდავიცვლები,
სიკვდილით კი არ მოვკვდები არასდროს.

ა. სინაური ადიდებს ამ უჭკნობ ბაღს — ნაშ-

* ანდრია სინაური, ლექსები. საბჭოთა მწერალი, 1954 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ საბჭოურ ცხოვრებას, რომელმაც ასე ოპტიმისტურად ააღერა მისი ჩანგი.

ცხოვრების განახლებამ ახალი შინაარსი და განწყობილება შესძინა პოეტურ სიტყვას. თუ ოქტომბრის რევოლუციამდე დედის ნანასა და სიმღერაში ჩაქსოვილი იყო უნაპირო სევდა, ამიერიდან, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, „მაშულში გულის კვნესა, მწუხარება მიწყდა". ამ მხრით საყურადღებოა ლექსი „საოქტომბრო ნანა". საბჭოთა დედა ჯერ კიდევ აკვანში სიმღერით შთააგონებს თავის პირმშოს, რომ ქვეყნად მზიური ცხოვრების შემოქმედია დიადი კომუნისტური პარტია და მისი უკვდავი ბელადები — ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. ეს აზრი უაღრესად სადად და ხალხური სტილითაა გამოხატული ლექსის შემდეგ სტრიქონებში:

ხომ გითხარი, თოში იყო,
ღამე ფარფაშობდა...
ორი შვილი ორმა დედამ
ქარიშხალში შობა.
ერთი ვოლგის სანაპიროს,
ერთიც ქართლის ველზე
და ორივემ მოგვიტანა
ეს ცხოვრება, ეს მზე.

ლექსში „ჩვენ მშვიდობა გვინდა" პოეტი გვიხატავს ხალხის მშვიდობიან შრომასა და განწყობილებას. მაგრამ არ ისვენებს ომის გამჩაღებელთა ბანაკი. ვაშინგტონის „თეთრი სახლის აფთარს" სურს გააჩაღოს ახალი ომი, გაზაფხულის ნაცვლად „ქვეყანაზე გაამეფოს მონობა და ზამთარი". საბჭოთა ადამიანებს არ უნდათ კვლავ განმეორდეს ომი და სისხლისღვრა, ცრემლი და გლოვის თალხები:

შვილს, ძმის თუ საკუთარ მკერდს
ვუშინ ხიშტზე ვახვევდით,
მშვიდობისთვის ვკვდებოდით და
თვალებს მაინც ვახელდით...
არა, არა, ხელმეორედ
არ გვსურს გლოვის თალხები.

ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნასა და მშვიდობიან მშენებლობას ეხება ლექსები: „სტალინის ხიდი", „მაღლაკის ტაშირზე", „ახალ ხიდთან", „ინჟინერი ქაშაკაშვილი" და სხვ.

განახლებული სამგორის მიმზიდველი სურათი, მისი გმირული წარსულის ფონზე, დახატული აქვს პოეტს ლექსში „სამგორში ვარ". ლექსი თემატიკურად აქტუალურია, იგი მხატვრულადაც კარგად არის შესრულებული. მასში გამოყენებულია ნათელი პოეტური თქმები და შედარებები, მაგალითად, „დამანახეთ თეძურლენგის ნატერფალი, ხორცმეტივით ამოვკვეთო სატიალე".

თუ წინათ მგზავრი კანკალით მიჰყვებოდა „რიონზე გაბმულ ბორანს", დღეს მასზე ახალი ხიდია გადაჭიმული. იგი ახალ იერსა და მშვენებას ანიჭებს ინდუსტრიულ ქუთაისს. აქ ახლა ხალხის ძლევამოსილი შრომა განაგებს თვით რიონის ზვირთთა თამაშსაც:

მღელვარე ტალღებს წაჰყოლია დღეები
ჰყვავის ნარგიზი და შრიალებს
გულგანახარი,
ამღერებულა დღეს რიონის ზვიადი
მკერდიც
და ზვირთებს არხევს ჰანგი ახალი.

სამსტროფიანი ლირიკული ლექსი „ოსტატის სიმღერა" გამოხატავს რიგითი მშენებლის სიხარულსა და აღფრთოვანებას ხვალინდელი დღით, ახლანდელი მშენებლობის წარმატებით... ბედნიერი მშენებელი სიმღერით მიჰყვება ცადაზიდულ ხარაჩოს:

აბა, ჩქარა, ხარაჩოზე ფრთაგაშლილს,
ავურების ლაშქარი არ მომაკლოთ.
ან კედლებით საქართველოს ლაჟვარდში
კომუნიზმის კარი უნდა შევაღო.

მშობლიური ქვეყნის აღორძინებისა და საბჭოთა ადამიანის შრომითი გმირობის ამსახველ ლექსებში პოეტი იძლევა ბნელი წარსულისა და მზიური დღევანდელობის კონტრასტულ ზოგად სახეებს. ამ თემატიკური რკალის ზოგიერთი ლექსი დამძიმებულია ჭარბი ისტორიული ასოციაციებით, რაც აფერმკრთალებს ჩვენი დროის მშრომელი ადამიანის კონკრეტულ მხატვრულ სახეს. ლექსთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია ზოგადი ამღერება და სქემატურობა („მშობლიური ლაჟვარდი", „მაშულის სიმღერა" და სხვა).

ზოგიერთ ლექსში ა. სინაური შრომის თემასთან ორგანულად აკავშირებს ხალხთა ურღვევი მეგობრობის იდეას. ამასთანავე ახერხებს ამ იდეის მხატვრულ განხორციელებას. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ლექსი „უკრაინელ მეგობარ პოეტს გენადი ბრეჟნიოვს".

დიდი სამამულო ომის წლებში ა. სინაურს ეწვია უკრაინელი პოეტი გენადი ბრეჟნიოვი, რომელმაც გულთბილი ლექსი უძღვნა დავრდომილ პოეტს. ერთი წლის შემდეგ ა. სინაური ნაპასუხო ლექსში თხოვს მას კვლავ ინახულოს ქუთაისი, თუ როგორ არნახულად იზრდება იგი ომისშემდგომ, როგორ იცვლის წინანდელ სახეს:

ქედმაღალი ტინის ხიდით გადალახავ
ჩონგურივით ამღერებულ რიონის ზვირთს...
მოდი დღესვე, თორემ მერე ვეღარ ნახავ,
ქუთაისი ძველ სამოსელს როგორ იცვლის.

წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლების ამსახველი ლექსები. ამ ციკლის ლექსები ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმითაა შთაგონებული, ბრძოლისა და გამარჯვების პათოსითაა დაწერილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია შინმოუსვლელი შვილისადმი მიძღვნილი ლექსები („შვილის ბარათი", „მინდა ვიხილო შენი მერანი", „პასუხი შვილის ბარათზე", „წერილი ნამას" და „მამის აჩრდილი"). ამ ლექსებში ავტორი გულწრფელად და მღელვარებით გამოხატავს პატრიოტი მამის კეთილშობილურ განცდებსა და მისწრაფებებს.

პატრიოტული გზნებითაა დაწერილი ბალადა „მაღულიშვილი", ლექსები: „უკვდავება" და „მახარობელი", თუმცა უკანასკნელი ლექსი დატვირთულია ისტორიული ასოციაციებით.

მხატვრული შედარების დანიშნულებაა აზრის რელიეფურად წარმოსახვა, შესადარებელი მოვლენის ნაფიოდ ჩვენება. ამ თვალთახედვით ა. სინაურის ზოგიერთი ლექსი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ლექსში „ვაშლის ხე" ნახმარია მკითხველისათვის ძნელად წარმოსადგენი შედარება:

„ვით ბერიკაცი მოზიდულ. მშვილდად
ნაყოფის ზიდვით მხრებში მოხრილა"(?).

ამავე ლექსში გვხვდება უმართებულო გამოთქმაც, მაგალითად: „ახლა ჟამანს სწევს ნორჩი ხე მშვიდად" (?).

რიგ ლექსებში აქა-იქ შეინიშნება სტრიქონთა განმეორებანი, მაგალითად, ლექსში „წერილი მამას" გამოთქმული სტრიქონი: „რომ მე აქ ტყვიას უმმად არ ვკარგავ" თითქმის უცვლელადვე ეორდება მეორე ლექსში „დედას" — „მედგრად ვარ, ტყვიას უმმად არ ვკარგავ" — და სხვ.

ლექსის „მაღლაკის ტაშირზე" ტექსტში გაპარულია ორი კორექტურული შეცდომა: ერთგან ნაცვლად სიტყვისა „ფარვანა" სწერია „ფარავნად", იქვე „ფალავნის" მაგიერ „ფარავანს", რაც ლექსის სტრიქონებს აბუნდოვანებს, მკითხველისათვის გაუგებარს ხდის.

ა. სინაურის კრებული ქართველ მკითხველს ნათელ წარმოდგენას მისცემს ხანდაზმული, ამჟამად ლოგინად ჩავარდნილი პოეტის შემოქმედების შესახებ.

წიგნის ავტორი მხატვრული სიტყვის იარაღით დღესაც აქტიურად ემსახურება ხალხს, კომუნიზმის დიად საქმეს.

სიმონ არველაძე

უზბეკი მწერლის მოთხრობები

★

ჰაკიმ ნაზირი თვალსაჩინო მწერალია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა და ლექსები, რომლებშიაც ასახულია საბჭოთა უზბეკეთის სოციალისტური მშენებლობა და ის გმირული ბრძოლა დიადი მომავლისათვის, რომელსაც ეწევა უზბეკეთის მშრომელი ხალხი.

ჰაკიმ ნაზირი პოპულარული მწერალია არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. მისი ლექსები და მოთხრობები თარგმნილია როგორც რუსულ, ისე მოძმე რესპუბლიკების ენებზე.

ჰაკიმ ნაზირის საბავშვო მოთხრობების კრებული „ყიშლაყელი ბიჭები" კარგადაა თარგმნილი ნ. თოფჩიშვილის მიერ. მოთხრობაში „პიონერული ბაღი" გაკიცხულია ქურდობა. სოციალისტური შრომის გმირს ნიაზ-ათასს თავისმა შვილმა, დავრონმა, ერთი ტომარა სასუქი მოჰპარა და პიონერთა ბაღში წაიღო. ეს ამბავი ნიაზ-ათასმა გაიგო და იმ წამსვე აცნობა დავრონის ამხანაგებს — მაჰმუდჯანს და ომონს, ემსჯელათ დავრონის საქციელზე. ამხანაგებმა ის გადააყენეს რგოლის ხელმძღვანელობიდან.

მოთხრობა „მაჰმუდჯანის კვიცი" ოსტატურადაა დაწერილი. მაჰმუდჯანი და ომონი სრულიად უმიზეზოდ დაემდურნენ ერთმანეთს, მაგრამ შრომამ და შრომისადმი სიყვარულმა ისინი ერთმანეთთან ისევ დააახლოვა, მტკიცედ დააკავშირა და ისინი როგორც სწავლაში, ისე საკოლმეურნეო გეგმის შესრულებაში მოწინავენი გახდნენ. ამ მოთხრობის იდეა ის არის, რომ შრომა აკავშირებს ადამიანებს, შრომას მოაქვს ადამიანისათვის ბედნიერება და საამური ცხოვრება. მოთხრობაში „ბანჩის ბუჩქი" ავტორი გადმოგვცემს, თუ რა სიმდიდრეა ჩვენთვის ბამბა და როგორ უნდა დავიცვათ ის გაჩანაგებისაგან. ასევე საინტერესოა მოთხრობა „ბიძა და ძმისწული". ჰუსან-ალა, ნაცვლად იმისა, რომ საკოლმეურნეო ფართობზე — ბამბის პლანტაციებზე კეთილსინდისიერად მუშაობდეს სხვა კოლმეურნეებთან ერთად, თავის ბაღს უვლის და გულგრილად ეკიდება საკოლმეურნეო სამუშაოებს. ამას ხედავს მერგოლური პიონერი თაშთილა და ბიძას მიუთითებს, — გავიდეს საკოლმეურნეო სამუშაოზე. ჰუსან-ალაზე თაშთილასა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის, თაჯიჰონის, რჩევა-დარიგებამ იმოქმედა. „მე პატიოსანი არა ვარ?" შეძრწუნებული ეკითხებოდა ის თავის თავს, — ყველაზე უარესი ვარ? ეს როგორ? ძმისწულმა მითხრა, იმის მაგიერ, რომ ბამბის მოვლით ვიყო გართული, ჩემს ბოსტანში ჩავჯექი... და ეს იმ დროს, როცა დიდი და პატარა მხოლოდ ბამბაზე ფიქრობს... მე ყველაზე ცუდი გავხდი... და ეს მას შემდეგ, რაც თითქმის ოცდახუთი წელიწადია უკვე კოლმეურნეობაში ვმუშაობ... კოლმეურნეობა რომ არ ყოფილიყო, საიდან მექნებოდა, რაცა მაქვს: სახლი, ბაღი... მამაჩემი ხომ ისე გარდაიცვალა, პატარა მიწის ნაკეერიც კი ვერ მიიღო". ჰუსან ალა მიდის კოლმეურნეობის სამმართველოში, სადაც ის დაბარებულია. ამის შემდეგ ჰუსან-ალასათვის საყვედური არავის უთქვამს. ის ჩადგა მოწინავე კოლმეურნეთა რიგებში.

„ორი მოთხრობა ერკინჯანის შესახებ", ისევე როგორც ავტორის სხვა მოთხრობები, დიდაქტიკური ხასიათისაა. ერკინმა მოატყუა პიო-

* ჰაკიმ ნაზირი. ყიშლაყელი ბიჭები. საბლიტგამი. 1953.

ნერხელმძღვანელი, რისთვისაც ამხანაგებმა და მშობლებმა ერკინი სასტიკად გაკიცხეს. ერკინმა შეიგნო, რომ პიონერმა ტყუილი არ უნდა თქვას და ამიტომ განაცხადა: „პიონერულ სიტყვას ვიძლევი, თუ კიდევ ვინმე მოვატყუო, შვილად აღარ ჩამთვალო!". მოთხრობა „რა არის მეგობრობა" საინტერესოა თავისი შინაარსით. აქ უბრალოდ გადმოცემულია ის, რომ საბჭოთა ადამიანებმა ერთმანეთს არ უნდა დაუმალონ თავიანთი ნაკლი და შეცდომა. ერკინი და ფულადი კარგი მეგობრები იყვნენ, ყველას ეგონა, რომ ფულადი ერკინის შეცდომებს დამალავდა, მაგრამ ფულადმა ერკინს გაბედულად პირში უთხრა მისი შეცდომების შესახებ, როდესაც კრებაზე წყდებოდა კომკავშირში ერკინის მიღების საკითხი.

ჰაკიმ ნაზირის საბავშვო მოთხრობებს გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე უზბეკური ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა ქართულ ენაზე მისასალმებელი მოვლენაა.

ალ. სიგუა

ვალერიან გუნიას ნაწერები

★

ვალერიან გუნია (1862-1938) აღორძინებული ქართული თეატრის ბურჯთაგანი და მისი პირველი მემატიანე იყო. მსახიობი, დრამატურგი და მთარგმნელი, იგი, ამავე დროს, წერდა ქართულ, რუსულ, სომხურ თეატრებზე. მიმოიხილავდა ქართული თეატრის არსებობის ათ წელს.

ვ. გუნიას ნაწერები ქართული თეატრალური კრიტიკის განვითარების იმ პერიოდს ასახავენ, როცა ქართული თეატრალური აზროვნება ის-იმ იყო, იქმნებოდა. ვ. გუნია ქართული თეატრალური კრიტიკის პირველი მეკვლე იყო და მისი „თეატრალური ნააზრევი, — როგორც სამართლიანად შენიშნავს წინასიტყვაობაში დ. ჯანელიძე, — მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რაც ამ წიგნშია წარმოდგენილი, ასახავს ქართული სასცენო რეალიზმის საუკეთესო ტრადიციას და ამდენად ის ღირსეული და გამოსაყენებელია საბჭოთა თეატრალური კულტურისათვის".

პირველი, რაც შეინიშნება ვ. გუნიას ნაწერებში, ეს არის ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვ. ბაჩაბელის ნააზრევის კეთილისმყოფელი გავლენა. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე ქართულ თეატრს განიხილავდა, როგორც ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს და ქართული სცენა ნაციონალურ-გამათავისუფლებელი იდეების საუკეთესო ტრიბუნად მიაჩნდა.

ამიტომ გასაგებია ის თავგამოდება, რაც ახასიათებდა ვ. გუნიას ქართული თეატრის დიდ იდეურ სიმაღლეზე აყვანისათვის ბრძოლაში. იგი თეატრს ანიჭებდა აქტიურ, გარდამქმნელ როლს. ვინაიდან თეატრი ხალხზე იდეური ზემოქმედების მძლავრი საშუალებაა და ზნეობრივი ნორმების შთამნერგავი, ამიტომ აუცილებელია მწერალს ჰქონდეს უნარი მოვლენათა და ფაქტების სწორი, მხატვრულ-ფილოსოფიური განზოგადებისა. არა კმარა მხოლოდ სიმართლით აღწერო ეხა თუ ის მოვლენა, საჭიროა აიყვანო იგი განზოგადების მაღალ ხარისხში: „თუ მწერლის მართალ აღწერილობას აკლია საზოგადოებრივი ინტერესი, — წერს ვ. გუნია, — თუ იგი საერთო სენს და ჭირს არ მკურნალობს, თუ ცხოვრების უკეთესმართ, უწესო და მავნებელ მოვლენებს არ ებრძვის, ვიმეორებ, ამგვარი სიმართლე უფასურია, ამგვარი თხზულება უმნიშვნელოა" (გვ. 29).

ამგვარად, ვ. გუნია ცდილობს ქართულ თეატრში დანერგოს რეალისტური მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილი გახდეს ცხოვრების სიმართლით ასახვა. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ ანიჭებს ვ. გუნია უპირატესობას იმ ქართველ დრამატურგებს და სცენის ოსტატებს, რომელთა შემოქმედებაში ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა რეალიზმის ელემენტები.

ვ. გუნია ებრძვის იმ პიესებს, სადაც ცოცხალი აზრი, იდეა, დრამატული ნაწარმოების ტენდენციურობა შეცვლილია უმნიშვნელო ამბებით და არაფრისმთქმელი კომიკური სიტუაციებით. განიხილავს რა სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანცის დრამატურგიას, ვ. გუნია წერს: „ამ მწერალს დიდ ღირსებად ჩაეთვლება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ყველა მის პიესაში აშკარად გამოსჭვივის დედააზრი, ტენდენცია და შეგნებული მიმართულება. სუნდუკიანცის კალამმა არ იცის პირფერობა, იმისათვის ყველა ერთია: შავს შავად და თეთრს თეთრად გვიხატავს და სიმართლის გულისათვის არაფერს ზოგავს. ამიტომაც, თუ მართლა დრამატურგს სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაშინ სუნდუკიანცის შრომა დიდად სასარგებლო იყო სომეხი და ქართველი საზოგადოებისათვის" (გვ. 32).

ებრძოდა რა დასავლეთ ევროპის დეკადენტურ დრამატურგიას, რომელიც, სამწუხაროდ, ქართული სცენისკენაც იკაფავდა გზას და რომელიც უიდეობას ნერგავდა, ვ. გუნია მას უპირისპირებდა ნაწარმოებებს, სადაც მკვეთრად ჩანდა იდეური მიზანსწრაფვა და ავტორისეული ტენდენციურობა. თავებში „ქართველი დრამატურგები" და „დრამატიული ხელოვნება" ვ. გუნია დაწვრილებით ჩერდება ნაწარმოების ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა მხატვრული ენა, კომპოზიცია, მხატვრულ სახეთა სისტე-

* ვ. გუნია. კრებული. „ხელოვნება", 1953.

მა და დრამატიული ნაწარმოების არქიტექტონიკის სხვა მხარეები.

ვ. გუნიას კარგად ესმოდა, რომ სპექტაკლის იდეური და მხატვრული საფუძველი მაღალმხატვრული რეპერტუარია. ამიტომ, მიმოიხილავდა რა ქართული თეატრის 1885-1886 წლების სეზონს, გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ სცენის დიდ ეროვნულ მნიშვნელობას აკნინებენ ვოდევილები და ფარსები. თეატრი სერიოზულ სახეს კარგავსო, წერს ვ. გუნია: „ორი წლის განმავლობაში 122 პიესა წარმოუდგენიათ, მათ შორის 13 ახალი პიესა, და ისიც მომეტებულად უხეირო“ (გვ. 102). ამიტომ „უაზრო და უმნიშვნელო რეპერტუარს უნდა გადავაჩვიოთ მაყურებელი და სერიოზულ რეპერტუარს და სცენიურ თამაშობას მივაჩვიოთ“. ამ მიზნით ვ. გუნია ცდილობდა, მწერლობა მეტად დაეახლოვებინა თეატრთან, აღმოეჩინა ახალგაზრდა დრამატურგები და ამით მტკიცე საფუძველი შეექმნა თეატრისათვის.

ვ. გუნიამ იცოდა, ქართულ თეატრს თვითყოფითი, ეროვნული სახე რომ ჰქონოდა, ამისათვის აუცილებელი იყო ქართული ორიგინალური დრამატურგიის განვითარება. ორიგინალური პიესა ვ. გუნიას ქართული თეატრის განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნდა. ერთ-ერთ თავში — „რა ესაჭიროება ქართულ თეატრს“ — ვ. გუნია წერს: „ჩვენ თეატრს, უწინარეს ყოვლისა, უნდა ეროვნული მიმართულება ჰქონდეს და სხვა დანარჩენი წვრილმანიც შესაფერად უნდა შეეწყოს... დედათესლი კი ხსენებული მიმართულებისა ჩვენის აზრით არის რეპერტუარი — ესე იგი ისეთი მასალა, რომლისაგან მზადდება ეროვნული სულიერი საზრდო, ამის გარდა რეპერტუარი ისეთი ძლიერი მომქმედია თეატრის აგებულების აღორძინებისათვის, რომ უიმისობა თეატრს ძირს დამხობას უქადის, რაც გინდა სხვაფრივ კარგად იყოს მოწყობილი თეატრის საქმე“ (გვ. 17). ამ აზრს გუნია თანამიმდევრულად ატარებდა და ყოველ ხელსაყრელ მომენტში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ, რაკი თეატრი ხალხის მსახურია, იგი უმთავრესად ეროვნული უნდა იყოს ფორმით, ხოლო მსახიობის შემოქმედება მით უფრო მაღალმხატვრული და დაფასებელია, რაც უფრო სრულყოფილად გამოხატავს იგი ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას. სწორედ ამ თვალსაზრისით აფასებს იგი მ. საფაროვა-აბაშიძის შემოქმედებას.

კრებულს თან ერთვის ვრცელი შენიშვნები მხატვრული თავისებურების მიმტანი მაყურებლამდე მსახიობია. ამიტომ ვ. გუნია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასცენო ოსტატობის საკითხს. იგი საგანგებოდ აღნიშნავს იმ ქართველ მსახიობთა ღვაწლს, რომლებმაც განსახიერების მაღალოსტატური ტრადიცია შექმნეს და სათავე დაუდეს შესრულების რეალისტურ სკოლას. ვ. გუნია მსახიობის ხელოვნებაში ხაზს უსვამს უმთავრესს: ტიპიური ხასიათების შექმნის უნარს და მაღალმხატვრული სცენური სახეების შექმნის პროცესში ფორმისა და შინაარსის მთლიანობის აუცილებლობას.

გარდა იდეური ზემოქმედებისა, ვ. გუნიას აზრით, თეატრმა მაყურებელს უნდა განუვითაროს მშვენიერების შეგრძნობისა და ესთეტიკური იდეალის შეცნობის ალღო.

კრებულის შემდგენლების მიმართ საყვედური უნდა გამოვთქვათ, რომ ვრცელ შესავალ წერილში, რომელშიც საფუძვლიანად არის განხილული ვ. გუნიას სასცენო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, კრიტიკულად არ არის შეფასებული ვ. გუნიას ზოგიერთი შეხედულება. ასეთია, მაგალითად, დრამისა და ტრაგედიის ჟანრის განსაზღვრა. ხოლო ის ადგილი, სადაც გუნია ტიპიურობაზე ლაპარაკობს, შესავალი წერილის ავტორს თანამედროვე თეატრალური აზროვნების თვალსაზრისით კრიტიკულად უნდა გაეშუქებინა და ისე მიეწოდებინა საბჭოთა მკითხველისათვის.

ვ. გუნია, როგორც რევოლუციამდელი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ვერ ამაღლდა თეატრის კლასობრივი ბუნების გაგებამდე. „მსახიობის საიუბილეო ალმანახი“ იუწყებოდა: ვ. გუნიას სწამს, რომ „თეატრი და საზოგადოდ ხელოვნება საერთოა და აქ პარტიული ბრძოლისა და კინკლაობის შეტანის დიდი წინააღმდეგიაო“. ვ. გუნია ამ იდეური ჩიხიდან დიდი ოქტომბრის რევოლუციამ გამოიყვანა და იგი პირველთაგანი იყო, რომელიც უყოყმანოდ დადგა ახალი ხელოვნების შექმნის საბრძოლო გზაზე.

ვ. გუნიას სხვა ნარკვევები — „დიქცია“, „მიმიკა“, „გრიმი, ტანსაცმელი და სამკაულობა“ უმთავრესად კომპილაციური ხასიათის ნაშრომებია, მაგრამ ის რჩევები, რომელთაც იგი იძლევა ამ ნარკვევებში, უთუოდ სამსახურს გაუწევდა იმდროინდელ ქართველ მსახიობს.

ნარკვევში, რომელიც მიეძღვნება ივ. მაჩაბელს და მ. საფაროვა-აბაშიძეს, არის ცდა ამ მოღვაწეთა პორტრეტების შექმნისა და მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტის აღნიშვნისა.

კრებულს თან ერთვის ვრცელი შენიშვნები და ვ. გუნიას მიერ შესრულებული როლების სია.

ნოდარ გურაბანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონოგრაფია პეტრე ბაგრატიონზე

★

პეტრე ბაგრატიონის შესახებ ბევრი ნაშრომია გამოქვეყნებული. ამ მონოგრაფიათა რიცხვს შეემატა ივანე კუპუხიძის წიგნი „პეტრე ბაგრატიონი".

ბაგრატიონის პიროვნებით ი. კუპუხიძე ბავშვობიდანვე დაინტერესებულა. იგი 55 წლის წინათ, როცა ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის მოწაფე იყო, წასწყდომია რომელიღაც მოძველებულ სახელმძღვანელოში 1812 წლის სამამულო ომის ეპიზოდის აღწერას, ამ წიგნის მიხედვით გაუგია, თუ როგორი ვაჟკაცობა გამოიჩინეს ბაგრატიონის მამაცმა ჯარებმა ნაპოლეონის ჯარების შემუსვრაში ბოროდინოს ველზე. მონოგრაფიის ავტორს ამის შემდეგ დაუწყია ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა, ფეხით დაუვლია ის ადგილები, სადაც იბრძოდა ბაგრატიონი, შეუგროვებია მასალები და ამ გულმოდგინე მუშაობის შედეგად შეუდგენია წიგნი ბაგრატიონზე. რედაქციის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ი. კუპუხიძეს სპეციალური სამხედრო განათლებაც მიუღია. ამ პროფესიის არჩევაში, ჩვენი აზრით, ბაგრატიონისადმი სიყვარული და დაინტერესებაც შეასრულებდა ერთგვარ როლს. სამხედრო განათლების მიღება კი განსვენებულ ი. კუპუხიძეს, დამსახურებულ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, ხელს შეუწყობდა, ასე ფართოდ დაეხასიათებინა პ. ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ავტორი მიმზიდველი ენით გადმოგვცემს ბაგრატიონის გენეალოგიას, გვაცნობს მის ბავშვობას, სამხედრო კარიერის დაწყებას; წიგნში მოცემულია რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობის მაჩვენებელი საგულისხმო ფაქტები; ნაჩვენებია პეტრე ბაგრატიონის საბრძოლო გზა რუსეთის არმიის უბრალო ჯარისკაცობიდან ინფანტერიის გენერლობამდე.

ბაგრატიონის შესახებ დღემდის გამოცემულ მონოგრაფიებში ბაგრატიონის პიროვნება არ არის ისეთი სისრულით დახასიათებული, როგორც ეს მოცემულია ი. კუპუხიძის წიგნში. საინტერესოა მასალები იმის შესახებ, თუ რა ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში 20 დიდი ლაშქრობისა და 150 ბრძოლის ლეგენდარული გმირი, დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ სუვოროვის მოწაფის, — კუტუზოვის შემდეგ პ. ბაგრატიონი ყველაზე პოპულარული სარდალი იყო რუსეთში, რომ ეს დიდება და სიყვარული ბაგრატიონმა მოიპოვა დაძაბული შრომით, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით.

ავტორი ამბობს, რომ ბაგრატიონი „დაბადებული იყო მხოლოდ სამხედრო საქმისათვისო". ბაგრატიონის ცხოვრების გზის შესწავლა სწორედ ამაზე მიუთითებს. რუსეთის არმიას ჰყავდა მსოფლიოში ისეთი სახელგანთქმული მხედართმთავრები, როგორიც იყვნენ სუვოროვი და კუტუზოვი, რომელთა ხელმძღვანელობით (განსაკუთრებით სუვოროვისა) გაიფურჩქნა ბაგრატიონის სამხედრო ნიჭი. ბაგრატიონის გამარჯვებათა მიზეზი უნდა ვეძებოთ უმთავრესად რუსეთის არმიის, რუსი ჯარისკაცების გამძლეობაში და უსაზღვრო პატრიოტიზმში.

ი. კუპუხიძეს მოჰყავს ბევრი ახალი მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ბაგრატიონი იყო ავანგარდული და არიერგარდული ბრძოლების დიდი ოსტატი. ამგვარ ბრძოლებს კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არმიის ბრძოლისუნარიანობისა და ომების მოგების თვალსაზრისით. პ. ბაგრატიონს გამომუშავებული ჰქონია არიერგარდული ბრძოლებისა და მოძრაობის საკუთარი ტაქტიკა. „თუ შეებმები მოწინააღმდეგეს ბრძოლაში, მთავარ ძალებს ჩამოშორდები და მტერს თავს ჩაუგდებ გასანადგურებლად, თუ მოერიდები ბრძოლას , მტერს საშუალებას მისცემ მთავარ ძალებს წამოეწიოსო",—ამბობდა ის. ამრიგად, რთულ საარიერგარდო ბრძოლაში საჭიროა განსაკუთრებული ტაქტიკა, ალღო, რათა არც მტერს ჩაუვარდე ხელში და არც საშუალება მისცე — დაეწიოს მთავარ ძალებს. ტაქტიკა, რომელიც შეიმუშავა ბაგრატიონმა, იმაში მდგომარეობდა, რომ მოგერიებითს პოზიციაზე ის დიდხანს არ გაჩერებულიყო, მუდამ ემოძრავა, უკან ბრძოლით დაეხია. ამაში პ. ბაგრატიონს ისიც შველოდა, რომ მას შესწევდა უნარი პოზიციებში სწრაფი ორიენტირებისა, მტრის სუსტი და ძლიერი მხარეების სწრაფად შეფასებისა. ამიტომ იყო, რომ ბაგრატიონი მძიმე მდგომარეობიდან მალე გამოდიოდა, მტერს დაუყოვნებლივ ამარცხებდა, თვითონ უვნებლად რჩებოდა.

რუსმა ხალხმა მჭიდროდ დააკავშირა დიდი

მხედართმთავრის — სუვოროვის სახელი პ. ბაგრატიონის სახელთან. მონოგრაფიაში შეტანილია თარგმანი ხალხური ლექსისა — „ხმა სუვოროვის თ. პ. ბაგრატიონისადმი“, სადაც ხალხი ბაგრატიონს სუვოროვის დიდ მოწაფედ და მისი საქმის განმგრძობად მიიჩნევს. ეს ხალხური ლექსი, უნდა ვიფიქროთ, მას შემდეგ არის შექმნილი, როცა პ. ბაგრატიონმა დიდი სამხედრო ტალანტი გამოავლინა ბოროდინის ველზე.

ახლა ცნობილი გახდა ისიც, რომ თვით ბაგრატიონის სიცოცხლეში რუს ხალხს შეუქმნია შესანიშნავი ლექსები, რითაც ის ადიდებდა ბაგრატიონის გულადობასა და თავდადებას მტერთან ბრძოლაში. ხალხმა ნაპოლეონის დამმარცხებელ ფალავანად სწორედ ბაგრატიონი მიიჩნია, რაც კარგად არის გადმოცემული ხალხურ ლექსში:

თუმც გულადობს ბონაპარტე,
ვნახავთ, მალე აცეკვდება,
როცა სადმე ბრძოლის ველზე
ბაგრატიონს ის შეხვდება!

ბაგრატიონის გმირობა გამოხატა აგრეთვე პოეტმა დერჟავინმა.

ბაგრატიონს უმღერა და ხოტბა შეასხა პოეტმა ვ. ჟუკოვსკიმაც, რომელიც ცნობილ ლექსში „მგოსანი მეომართა ბანაკში“ ბაგრატიონს რუსეთის დიდი მხედართმთავრების გვერდით იხსენიებს. ამაღლებულ ლექსს უძღვნის ბაგრატიონს მისი თანამებრძოლი და მეგობარი პოეტი დენის დავიდოვი, რომელმაც დიდ მებრძოლს „ჰომიროსის ნაშიერი“ უწოდა. ბაგრატიონის სახე დახატა აგრეთვე დიდმა რუსმა მწერალმა ლ. ტოლსტოიმ თავის უკვდავ ნაწარმოებში „ომი და მშვიდობა“.

რუსი და ქართველი ხალხებისათვის ერთნაირად საყვარელმა პ. ბაგრატიონმა გამოხატულება ჰპოვა ქართულ მწერლობაშიც. სარეცენზიო წიგნში დასახელებულია ლექსი „პეტრე ბაგრატიონი“ (აღმოჩენილი საქ. მუზეუმის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში), სადაც უცნობი პოეტი ასე მიმართავს ბაგრატიონს:

პეტრე, ქართველთა დღეს დიდებაო,
სახსოვრად დავსდოთ შენი ქებაო.

პოეტი ბაგრატიონს წარმოგვიდგენს დიდი სუვოროვის მოწაფედ, მის თანამებრძოლად. ასეთივე შინაარსის ლექსი გამოქვეყნდა 1853 წელს „ცისკარში“ (№ 1). მისი ავტორია პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი. დიმიტრის აზრით, დიდმა მხედართმთავარმა შეასრულა დევიზი: „არს უკვდავება მოკვდავთა, სიმხნის სახელის ძიება“.

ი. კუპუხიძეს მოჰყავს საგულისხმო მასალები, სადაც ნათლად ჩანს ბაგრატიონის მჭიდრო ურთიერთობა ხალხთან. ამ მხრივ საინტერესოა ციტატი პოეტ დიმიტრი ივანეს ძე ხვოსტოვის ლექსიდან, რუსული ხალხური სიმღერის მთლიანი ტექსტი, რომელშიც რუსი ხალხი ბაგრატიონსა და სუვოროვს შორის თანატოლობის ნიშანს ავლებს, ბაგრატიონს ახალ სუვოროვს უწოდებს.

ბაგრატიონი დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ ხალხში. ჩვენს მამულიშვილს ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოსთან, ერთნაირად უყვარდა მას რუსეთი და საქართველო, კარგად იცოდა, რომ საქართველოს კეთილდღეობა დამოკიდებული იყო რუსეთთან კავშირზე.

1806 წელს პ. ბაგრატიონმა თავისი ძმის — რომანის ხელით საქართველოში ქართულად დაწერილი წერილი გამოგზავნა. ამ წერილში ის ოთარ ამილახვარს სწერს: „თქვენ იცით, თუ რუსეთის უძლეველი მხედრობა და ყოვლად მოწყალე ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას (საქართველოს) არ შესწეოდა, აქამდე დიდ უბედურებას მიეცემოდა და ამისათვის გმართებთ სრულის ერთგულებით სამსახური ხელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა, გირჩევთ სიყვარულით, რომ რაც მანდ მყოფთ ჯართა დასჭირდეთ პური თუ სხვა სახმარი ნივთი, შეძლებისამებრ შეეწევნეთ...“

ი. კუპუხიძის წიგნი „პ. ბაგრატიონი“ კარგი საჩუქარია განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. სასურველია წიგნი ითარგმნოს რუსულ ენაზე.

ვ. გოგოლაძე

საინტერესო ლექსების კრებული

★

1944 წელს სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაეცა 27 წლის ახალგაზრდა პოეტი მირზა გელოვანი. იგი ერთ ლექსში წერდა: რა არის ოცი წელი, მე ასებს ვითვლი და ათასებიც ბევრ ცოტავებაო. მირზა გელოვანს სწყუროდა დიდხანს სიცოცხლე და ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრება, მაგრამ მეტად მოკლე იყო მისი პოეტური შემოქმედების გზა.

მირზა გელოვანის ლექსები აქამდე გაბნეული

* მირზა გელოვანი. ლექსები. საბჭოთა მწერალი. 1954.

იყო ჟურნალ-გაზეთებში და მკითხველისათვის ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი. მხოლოდ ახლა, პოეტის გარდაცვალების ათი წლისთავზე, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა მცირე ფორმის წიგნაკი, რომელშიც თავმოყრილია მირზა გელოვანის საუკეთესო ლექსები.

მირზა გელოვანი გაბედულად ეძიებდა მხატვრული აზროვნების თავისებურ ფორმებს და ხშირად სასურველ წარმატებებსაც აღწევდა. იგი არასოდეს არ მიდიოდა შაბლონის გზით, მაგრამ მისი ორიგინალობა არც თვითმიზნურია, როდესაც აზრიც და ფორმაც ეწირება პოეტის ახირებულებას — შექმნას საკუთარი, თუნდაც უაზრო, გაუგებარი ფორმები.

საბჭოთა ლირიკის პირდაპირი დანიშნულებაა გამოხატოს ჩვენი ადამიანის მდიდარი ბუნება, გვიჩვენოს სოციალიზმის ეპოქის ადამიანის სულიერი სამყარო, დაეხმაროს პარტიას და მთავრობას აღზარდოს ძლიერი ნებისყოფის, თავის საქმეში დარწმუნებული ახალგაზრდობა. მისთვის უცხოა პესიმიზმი და გულგატეხილობა, უიდეობა და აპოლიტიკურობა. ამ მოთხოვნას უყენებს ყველა პოეტს ჩვენი თანამედროვეობა, სოციალისტური ცხოვრების პირობები. მანვე გამსჭვალა მირზა გელოვანის პოეტური ბუნება ჯანსაღი ოპტიმიზმით და საბჭოთა პატრიოტიზმის გმირული სულისკვეთებით.

მებრძოლი განწყობილებით გამოირჩევა ის ლექსები, რომლებიც შექმნილია სამამულო ომის ბრძოლების უშუალო შთაბეჭდილებების საფუძველზე. თვით სატრფიალო ლექსებშიც ისმის თავდადებული პატრიოტის, სამშობლოსათვის მებრძოლი ადამიანის გმირული ხმა. ეს ლექსები გამოხატავენ გამარჯვების ღრმა რწმენას და მტრის შემუსვრის გარდუვალობას. მათში ვერსად ნახავთ წუწუნსა და გულგატეხილობას, სიმხდალეს და სინანულს ფრონტული მძიმე მდგომარეობის გამო. პოეტის რწმენა გამარჯვების შესახებ გამომდინარეობს იმის შეგნებიდან, რომ იგი იბრძვის სამართლიანობის დასაცავად, იცავს სამშობლოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ხალხის სიკეთეს, მან იცის, სადაც უნდა იყოს იგი, უკრაინის ვრცელ ტრამალებზე თუ ბელორუსიის სტეპებზე, ყველგან იცავს სამშობლოს, იცავს მოსკოვს, იცავს თბილისს.

წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს,
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.

პოეტს ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ სამამულო ომი იყო უდიდესი გამოცდა ჩვენი ხალხისა და ამ ომში გამარჯვება [illegible] ბაზის გახდიდა ჩვენს ცხოვრებას. იგი აღფრთოვანებული ლაპარაკობდა,

რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ მზე გამარჯვების.

და სურდა თავისი წვლილი შეეტანა ჩვენი ხალხის ამ გამარჯვებაში, რისთვისაც

იწვა თოვლში სიკვდილის გვერდით
და მტრის საფარში გზავნიდა სიკვდილს.

პოეტს მხედველობიდან არ რჩებოდა ისიც, რომ ბრძოლაში გამარჯვება მსხვერპლს მოითხოვს და ეს მსხვერპლი შეიძლება თვითონაც იყოს.

ამაღამ ჩემი სვანური მუხლი
მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს.
დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი,
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟებს, —

წერდა პოეტი, მაგრამ არასოდეს არ შორდებოდა „ყოფნის მტკიცე იმედი“ და სასოწარკვეთილებაში არ ვარდებოდა. პირიქით, იგი ყოველთვის აღფრთოვანებული ლაპარაკობდა გამარჯვებით დაბრუნებაზე. მის ფრონტულ ლექსებს თითქმის ყველას რეფრენად დასდევს გამარჯვების გამომხატველი სიტყვები: „...მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები“.

ძნელია გავითვალისწინოთ პოეტის ბიოგრაფია და აუღელვებლად წავიკითხოთ ლექსი „ო, მაპატიეთ“, რომელშიც პოეტი ფრონტზე სიკვდილის შემთხვევაში სთხოვს სატრფოს — აპატიოს დანაშაული „არდაბრუნების“. მისი ყოველი სიტყვა გამთბარი იყო დაბრუნების მტკიცე რწმენით, ამ ლექსში კი წერს:

და სადმე ტყვია თუ გააციებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო მაპატიეთ
დანაშაული არდაბრუნების.

მირზა გელოვანი პოეზიის დანიშნულებას ხედავს სამშობლოს სამსახურში. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „მეგობარ პოეტს“, რომელშიაც პოეტი ზურგში დარჩენილ მეგობარს მოუწოდებს კალმი ჩააყენოს მტერზე გამარჯვების დიადი საქმის სამსახურში.

მირზა გელოვანის „შავნაბადა“ შთაგონებულია პირველ ქართველ კომკავშირელთა არალეგალური კრებით შავნაბადას მთაზე. ამბის ცენტრში მოქცეულია ახალგაზრდა ქალი, რომელიც სატრფოს მოლოდინში უნებური მოწმე გახდა კრებისა. ქალის გულში ღრმად ამოიკრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების ცოთავის სიტყვები თავისუფლებაზე. ძან აიტანა მენშევიკური პოლიციისაგან მიყენებული ყოველგვარი წამება და არ გასცა კრების ადგილსამყოფელი. აქ წყდება ამბავი. შემდეგ იმავე ქალს, ვხედავთ კომუნარების ბალში ბორის ძნელაძის ძეგლთან. იგი ისევე ბუტბუტებს ახლაც სახელს „ბორის“, როგორც რამდენიმე წლის წინ შავნაბადადან დაბრუნებული. „შავნაბადას“ ლირიკულ ეპილოგში მოცემულია საბჭოთა ახალგაზრდის, მთელი კომკავშირული თაობის წმინდა ფიცი სამშობლოს წინაშე — დაიცვას სამშობლოს ბედნიერი ცა და მიწა.

რევოლუციამდე ჩამორჩენილი და •სარწმუნოებრივ ტყვეობაში მყოფი კუთხის, ხევსურეთის სამეურნეო და კულტურული წინსვლის კოლორიტული სურათია მოცემული სიუჟეტიან ლექსში „აონი“. პოეტი გვიჩვენებს ძველისა და ახლის ბრძოლის მაღალმხატვრულ სურათს, გვიჩვენებს თუ როგორ ნადგურდებოდა მორწმუნე ბერის შეგნებაში ილუზიები ღვთის უძლეველობის შესახებ. ხევსბერის რელიგიური რწმენის შერყევას განაპირობებს, სოციალისტური ცხოვრების ცხოველმყოფელობა და კულტურის აღმავლობა.

მირზა გელოვანი წარსულსაც თანამედროვეობის თვალით უყურებს და თავისებურად გააზრებს წარსულის გმირებს, რომელთა სახეებში გვაძლევს ვაჟკაცობისა და რაინდობის გმირულ რომანტიკას („შავლეგო“, „თორღვა“).

ცალკე უნდა აღინიშნოს მირზა გელოვანის ლექსების სიტყვიერი მასალის სიუხვე, რითმის კოლორიტულობა, რიტმის მელოდიურობა და საერთოდ ფრაზის საამო მუსიკალური ეღერადობა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ვხვდებით ბუნდოვან და ძნელად ამოსაცნობ სახეებს, შედარებებს, მეტაფორებს. ხან პოეტს იტაცებს არაფრისმთქმელი ეკზოტიკა, რომელიც ვერ ახდენს მკითხველზე ზემოქმედებას („ცხენის ტირილი“ და სხვ.). მაგრამ ეს მეტად მცირეა და არსებითად მოდის იმ პერიოდზე, როდესაც ახალგაზრდა პოეტი მხოლოდ ბმას ისინჯავდა.

მირზა გელოვანის ლექსების კრებულის გამოცემით „საბჭოთა მწერალმა“ კარგი საქმე გააკეთა.

ანდრო მირიანაშვილი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გამომცემლობა

კ. მარქსი — სამოქალაქო ომი საფრანგეთში. პ/მგ. გამოშვებისათვის დ. ლაშქარაძე, გვ. 118, ფასი 1 მან. 25 კაპ.

ფ. ენგელსი — სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ. პ/მგ. გამოშვებისათვის დ. ლაშქარაძე. გვ. 102, ფასი 1 მან. 10 კაპ.

ფ. ენგელსი — ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული. პ./მგ. გამოშვებისათვის დ. ლაშქარაძე, გვ. 72, ფასი 70 კაპ.

ვ. ი. ლენინი — ფრიდრიხ ენგელსი. გვ. 18, ფასი 20 კაპ.

ვ. ი. ლენინი — სოფლის ღარიბებს. გვ. 96, ფასი 1 მან.

ვ. ი. ლენინი — მოსახლეობისადმი; „დემოკრატიისა" და დიქტატურის შესახებ; რა არის საბჭოთა ხელისუფლება? გვ. 110, ფასი 1 მან. 10 კაპ.

ვ. ი. ლენინი — ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ; პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა. გვ. 32, ფასი 30 კაპ.

ვ. ი. ლენინი — ფელიკორუსების ეროვნული საამაყის შესახებ. გვ. 10, ფასი 10 კაპ.

ი. სტალინი — პასუხად „სოციალ-დემოკრატს". გვ. 18, ფასი 15 კაპ.

გ. მალენკოვი — საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ (5 ოქტომბერი 1952 წელი). პ/მგ. გამოშვებისათვის ირ. ყიფიანი, გვ. 184, ფასი 5 მან.

საბჭოთა უკრაინას — ქართველი მწერლები; სარედაქციო კოლეგია: ირ. აბაშიძე, კ. კალაძე, ს. ჩიქოვანი, ს. ჯილაია, გვ. 606, ფასი 15 მან. 75 კაპ.

ნ. ნიკიტინი — ჩრდილოეთის ავრორა (თარგმ. ა. გოგებაშვილისა), რედ. თ. კოპლატაძე და ლ. ტიტვინიძე. გვ. 568, ფასი 9 მან. 50 კაპ.

რ. ინანიშვილი — მოთხრობები. რედ. მ. ბაკურაძე, გვ. 60, ფასი 5 მანეთი.

ე. ი. პესიკინა — პარტიის საგიტაციო მუშაობა მასებში. რედ. თ.გელიაშვილი, გვ. 42, ფასი 45 კაპ.

ა. გრიბნიოვი — გაზეთის რედაქციის მუშაობის ორგანიზაცია. რედ. ნ. ჯაში. გვ. 102, ფასი 1 მან.

ა. ეფიმოვი — ახალი ისტორია (ნაწილი პირველი), რედ. გ. ცეცხლაძე, გვ. 248, ფასი 5 მან. 35 კაპ.

საქართველოს სსრ გეოგრაფია — (მე-7 კლასისათვის), ალ. ჯავახიშვილის რედაქციით. გვ. 250. ფასი 1 მან. 95 კაპ.

ა. აფხაიძე — გუთნები და მათი გამოყენება. რედ. დ. ციციშვილი, გვ. 192, ფასი 4 მან. 60 კაპ.

საგლეგამი

იაკობ გოგებაშვილი — მოთხრობები. რედ. ვ. ძიძიგური, გვ. 32, ფასი 1 მან. 90 კაპ.

ლეო ქიაჩელი — დათუნა. რედ. დ. შენგელია, გვ. 140, ფასი 4 მ. 50 კ.

დაუვიწყარი დღეები — რედაქტორი ა. გაბესკირია, გვ. 292, ფასი 6 მან. 90 კაპ.

ოვანეს თუმანიანი — გიქორი (თარგმ. იოსებ გრიშაშვილისა), რედ. ნ. აგიაშვილი, გვ. 32, ფასი 1 მან. 40 კაპ.

პლატონ ვორონკო — ლეგენდის დაბადება (თარგმ. ალ. გომიაშვილისა), რედ. გრ. აბაშიძე, გვ. 56, ფასი 1 მან. 85 კაპ.

ნ. ნეკრასოვი — საბავშვო ლექსები (თარგმ. მ. ლებანიძისა), რედ. ქ. ქუჩუკაშვილი. გვ. 100, ფასი 2 მან. 20 კაპ.

გრიგოლ იმედაძე — გადაიხედე ბაღჩაში, რედ. ი. ნონეშვილი, გვ. 148, ფასი 5 მან. 25 კაპ.

თამარ ჩხაიძე — ახალი გაზაფხული, რედ. ნ. აგიაშვილი, გვ. 136, ფასი 4 მან.

სიმონ ფვერავა — სოფლის სურათები. რედ. შ. ძიძიგური, გვ. 400, ფასი 5 მან 80 კაპ.

ლატვიური ზღაპრები — (თარგმანი ნინო სამუკაშვილისა), რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 228, ფასი 5 მან. 20 კაპ.

წელიწადის ოთხი დრო — რედ. ი. გრიშამვილი, ვ. ჭელიძე, გ. საყვარელაძე. გვ. 254 ფასი 18 მან. 10 კაპ.

ი. ვასილენკო — ვარსკვლავი (თარგმ. ფ. მელითაურისა), რედ. ვ. ჭელიძე, გვ. 104, ფასი 2 მან. 20 კაპ.

არჩილ ჩაჩიბაია — მწვერვალები. რედ. დ. ბენაშვილი, გვ. 300, ფასი 7 მან. 10 კაპ.

მოთხრობები — (რეკომენდირებული). რედ. გ. შატბერაშვილი, გვ. 462 , ფასი 8 მან. 10 კაპ

3 11/348. ХХ.

ᲬᲚᲘᲡ 8 ᲗᲕᲔ.

РЕСПУБЛИКА
12 VII

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ